

სოციალური დემოკრატიის კურსი 2

სიმონ ფაუტი და სხვები

ეკონომიკა და
სოციალური დემოკრატია

შინაარსი

ნინასიტყვაობა მე-3 გამოცემისათვის	4
1. შესავალი	6
2. ფუძემდებლური ეკონომიკური თეორიები	9
2.1. ადამ სმიტი – ეკონომიკური ლიბერალიზმის ფუძემდებელი	12
2.2. კარლ მარქსის კაპიტალიზმის კრიტიკა	17
2.3. ჯონ მეინარდ კეინსი: კაპიტალიზმის მართვა	23
2.4. ეკონომიკური თეორიის იდეალური ტიპები	28
2.5. ეკონომიკა დღეს	30
3. სხვადასხვა ეკონომიკური სისტემა და წყობა	42
3.1. კაპიტალიზმი და დემოკრატია	42
3.2. კოორდინირებული და არაკოორდინირებული კაპიტალიზმი	46
3.3. ახალი ზოგადი გარემო გლობალიზაციის პირობებში	51
4. სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირები	55
4.1. საბაზისო ღირებულებები	55
4.2. ძირითადი ეფლებები	58
4.3. ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები	64
4.4. ექსკურსი: ხარისხობრივი ზრდის განსაზღვრა	73
5. პარტიების ეკონომიკური პოლიტიკების შედერება	76
5.1. ჰამბურგის პროგრამა – გერმანიის სოციალ- დემოკრატიული პარტიის ძირითადი პრინციპების პროგრამა	77
5.2. ძირითადი პრინციპები გერმანიისთვის – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ) პროგრამა	81

5.3. „მომავალი მწვანეა“ – „კავშირი 90/მწვანეების“ ძირითადი პრინციპების პროგრამა	83
5.4. თავისუფალ დემოკრატთა პარტიის (თდპ) „ვისბატენის ძირითადი პრინციპები“	86
5.5. პარტია „მემარცხენეების“ „საპროგრამო თეზისები“	88
5.6. პროგრამების შეფასება სოციალური დემოკრატიის მიზნების შესაბამისად	91
<hr/>	
6. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური მოდელები	94
6.1. აშშ	94
6.2. დიდი ბრიტანეთი	99
6.3. გერმანია	104
6.4. იაპონია	112
6.5. შვედეთი	118
<hr/>	
7. ეკონომიკური პოლიტიკა: პრატიკული მაგალითები	124
7.1. ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკა: ზრდის პოლიტიკა მდგრადი მომავლისთვის	125
7.2. საბიუჯეტო პოლიტიკა: რამდენი გვაქვს გერმანიის კალი	129
7.3. პრივატიზაციის რისკები და შანსები	134
7.4. ღირსეული შრომა და ერთობლივი მართვა: ღირსეული შრომის პოლიტიკა	140
7.5. დებატები მინიმალური ხელფასების შესახებ	147
<hr/>	
8. გეოდემო განსაკუთრებული განსაკუთრებული განსაკუთრებული განსაკუთრებული	154
<hr/>	
ავტორების გასახელება	158

50-იანი გენერაცია მა-3 გამოცემისათვის

ფინანსური პაზრისა და ეკონომიკური კრიზისები გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. საჭირო გახდა არა მარტო კრიზისის კონკრეტული შედეგების დაძლევა, ის ჩვენი საზოგადოების საფუძვლებსაც შეეხო. დღეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გვინდა მომავალ წლებსა თუ ათწლეულებში ცხოვრება და შრომა. როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს სამართლიანი და სოლიდარული ეკონომიკური წყობა? რა ბალანსი უნდა მოიძებნოს სახელმწიფოსა და ბაზარს შორის? როგორ შეუძლია სოციალური დემოკრატიის თანამედროვე, დირექტულებებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკას წარმატების მიღწევა?

მათთვის, ვისაც სურს საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებები გამოხატოს და პოლიტიკური ცხოვრების თანამონაწილე გახდეს, ეს საკითხები გადამწყვეტია. არა კონტროლირებადი პაზრის რწმენამ სავალ გზას ჩამოგვაშორა. ახლა მოგვეცა შანსი, ახალი კურსი ავირჩიოთ. მაგრამ მხოლოდ ის, ვინც იცის, საით მიდის ეს გზა, შეძლებს თავისი იდეების მხარდაჭერის მოპოვებას და დასახული მიზნების მიღწევას. მით უმეტეს მნიშვნელოვანია, დარწმუნებული იყო საკუთარი გეზის სისწორეში.

ამ კონტექსტში მოცემულ წიგნს თავისი წვლილის შეტანა სურს. მასში განხილულია მნიშვნელოვანი ეკონომიკური თეორიები, აღნერილია სხვადასხვა ეკონომიკური წყობა, განსაზღვრულია ძირითადი ღირებულებები და ორიენტირები და დასმულია შეკითხვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ღირებულებებს სოციალური დემოკრატიის კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკისთვის. ამასთანავე, ცხადია, რომ აქ ვერ ნახავთ საბოლოო პასუხებს. კითხვა, თუ როგორ შეიძლება შედგეს სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკა, მუდმივ განსჯას და ახალ არგუმენტაციას მოითხოვს. ამიტომ ამ გამოცემაში დასრულებულ პასუხებს კი არ გთავაზობთ, არამედ გაცნობისა და შემდგომ მსჯელობისთვის გინვევთ.

ეს წიგნი „სოციალური დემოკრატიის კურსების“ სერიის შეორე ტომია და ეფუძნება ნაშრომს „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“. მასში განხილულია სოციალური დემოკრატიის ძირითადი ღირებულებები, მოყვანილია ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალური დემოკრატიის საზოგადოებრივი მოდელების, ასევე ლიბერტარიული დემოკრატიისა და სოციალური დემოკრატიის შედარებები. ამ სერიის მესამე ტომის სათაურია „სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია“.

როდესაც მსჯელობა 21-ე საუკუნის ეკონომიკას შეეხება, უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ის გარდამტები პროცესები, რომლებმაც გლობალიზაცია მოგვიტანა. წიგნების სერიის ერთ-ერთი მომდევნო ტომის თემა სწორედ გლობალიზაცია და სოციალური დემოკრატია იქნება. ამ ტომში გლობალიზაცია განიხილება იმ კუთხით, თუ რა გავლენას ახდენს ის ეკონომიკური წყობის ფორმირებაზე და მის გარემოზე. გლობალიზაციისადმი მიძღვნილი წიგნი გლობალიზაციის წინაპირობების და მისი პოლიტიკური ორგანიზების შესაძლებლობების ანალიზს შემოგთავაზებთ.

გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ სიმონ ფაუტსა და ტობიას გომბერტს. სიმონ ფაუტი ნაშრომის ძირითადი ნაწილის ავტორია. ტობიას გომბერტმა შეასრულა სარედაქციო და დიდაქტიკური სამუშაოები, რაშიც მან განსაკუთრებული კომპეტენცია და დიდი მონდომება გამოიჩინა. გვინდა ასევე მადლობა ვუთხრათ თომას მაიერსა და მიჰაელ დაუდერშტედტს წიგნის კონცეფციის შემუშავებისას მოცემული რჩევებისთვის, ვილჰელმ ნიოლინგს მისი საყურადღებო შეზღუდვებისთვის და ყველა ავტორს შესანიშნავი თანამშრომლობისთვის. მათი წვლილის გარეშე წიგნი ვერ შეიქმნებოდა. ზოგიერთი ხარვეზისათვის პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთ.

სოციალური დემოკრატიის აკადემიის სიმბოლო კომპასია. აკადემიის ბაზაზე ფრიდრიხ ებერტის ფონდი იძლევა შესაძლებლობას, განხილულ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისი და გაირკვეს ორიენტირები. მოხარული ვიქენებით, თუ ჩვენი ნაშრომი ხელს შეგიწყობთ საკუთარი პოლიტიკური გზის განსაზღვრაში. სოციალური დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობას სწორედ ის განაპირობებს, რომ იგი მოქალაქეთა მუდმივი ინტერესისა და მისწრაფების საგანია.



დ-რი კრისტიან კრელი
დირექტორი
სოციალური დემოკრატიის აკადემია



იოჰენ დამი
პროექტის ხელმძღვანელი
„სოციალური დემოკრატიის კურსები“

ბონი, 2009 წლის დეკემბერი

1. შესავალი

რომელი
ეკონომიკური
პოლიტიკა
შეესაბამება
სოციალურ
დემოკრატიას?

რითი იზომება
ეკონომიკური
პოლიტიკის
ნარმატება?

ეკონომიკური
ზრდის,
სოციალური
თანასწორობისა
და ეკოლოგიური
მდგრადობის
ბალანსი

1998 წელს ყოფილმა ფედერალურმა კანცლერმა გერჰარდ შრედერმა თავის სამთავრობო განცხადებაში ბრძანა, რომ მისი კოალიცია ემსრობა არა მემარჯვენებსა თუ მემარცხენებს, არამედ თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკას.

მაშასადამე, აღარ არსებობს პოლიტიკის ამ სფეროში განსხვავებები ლიბერალებს, კონსერვატორებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის? არსებობს კი სოციალური დემოკრატის ეკონომიკური თეორია, რომელიც სხვა მიმდინარეობებისგან განსხვავდება?

თუ ნამდვილად არსებობს კიდევ „თანამედროვე“ და „არათანამედროვე“? და ვინ იტყოდა თავის თავზე, რომ არათანამედროვე პოლიტიკას ეწევა, და, საერთოდ, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „თანამედროვე“? ფეხბურთის მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა ერთხელ თქვა: „თანამედროვედ თამაშობს ის, ვინც წარმატებულია“. თუ ამას პოლიტიკაზე გადავიტანთ, თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა ის არის, რომელსაც წარმატება მოაქვს.

მაგრამ რითი იზომება ეს წარმატება? ერთნი ამბობენ, რომ ის მაქსიმალურ შესაძლო კეთილდღეობასა და ზრდაშია. სხვები განსაკუთრებულად თანასწორობასა და სამართლიანობას გამოიყოფენ: შესაბამისად, ეკონომიკური წყობა არ უნდა იწვევდეს უთანასწორობას, ჩაგვრასა და უსამართლობას. და ყოველთვის უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მათი აზრი, ვისაც მდგრადობა, რესურსების დაზოგვა და ეკოლოგია ეკონომიკის წარმატების საზომად მიაჩნია: ზრდა არ უნდა გახდეს ზე-ექსპლუატაციის მიზეზი.

სოციალური დემოკრატის ძირითადი ღირებულებებია თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა. ამდენად, პროგრამული თვალსაზრისით სოციალურ დემოკრატიას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება ჰქონდეს. სამივე პრინციპი, ანუ, პირველი, ზრდა, მეორე, სოციალური თანასწორობა, და, მესამე, მდგრადობა, ერთმანეთს უნდა ეხმიანებოდეს.

მაგრამ ეს გზა არ არის წინასწარ მონიშნული. თანამედროვე, ღირებულებებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა, გერჰარდ შრედერის ციტატის ინტერპრეტაციით, არ იყენებს რეფლექსურად მხოლოდ კლასიკურ მემარცხენე თუ მემარჯვენე ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინსტრუმენტებს. სოციალური დემოკრატიის თანამედროვე, ღირებულებებზე

დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ რიგში, შედეგებზეა ორიენტირებული. მისი მიზანია ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც თავისუფლების, სამართლიანობის, სოლიდარობის ღირებულებები და ყოვლისმომცველი ძირითადი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები ყველა ადამიანისთვისაა განხორციელებული.

ეს წიგნი გთავაზობთ საფუძვლიან ორიენტირებს იმ კითხვებზე პასუხების გასაცემად, თუ რომელი თეორიული საფუძვლების გამოყენება შეუძლია აქ სოციალურ დემოკრატიას, რომელი ეკონომიკური სისტემა და წყობა შეუწყობს ხელს მისი მიზნების განხორციელებას, როგორ განისაზღვრება ეკონომიკური წყობა სხვა ქვეყნებში და რას ნიშნავს ეს თეორიული პრობლემები კონკრეტული პოლიტიკის წარმოებისთვის.

ნიგნის მიზანი და
სტრუქტურა

**სოციალური დემოკრატიის
ეკონომიკური პოლიტიკის
ორიენტაცია (თავი 4)**

წიგნის „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“ საგანი		ლიტერატური დემოკრატია		
		სოციალური დემოკრატია	ლიტერატურული დემოკრატია	
თავი 2	თეორია	მარქსი		სმიტი
თავი 3.1	სისტემა		კაპიტალიზმი	
თავი 3.2	წყობა	ავტორიტარული	კონდიციონირებული	არაკონდიციონირებული
თავი 6	ქვეყნები		შევდეთი იაპონია გვრ ფინანსთი აპშ	
თავი 5	პარტიების პროგრამების შედარება			
თავი 7	პრაქტიკული მაგალითები			

თავდაპირველად ეკონომიკური თეორიის დონეზე განიმარტება, რა კვლევებსა და დასკვნებს გვთავაზობენ ისტორიაში ყველაზე გავლენიანი ეკონომისტები – ადამ სმიტი, კარლ მარქსი და ჯონ მეინარდ კეინისი. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ლიპერალიზმის, ანტიკაპიტალიზმისა და მართვადი კაპიტალიზმის იდეალური ტიპები დღევანდელი გადასახედიდან და სოციალური დემოკრატიის მიზნების კონტექსტში განიხილება (თავი 2).

თავი 2:
ეკონომიკური
თეორია

სხვადასხვა ეკონომიკური სისტემისა და წყობის დონეზე განიხილება კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის არსებული დამოკიდებულება და აისახება დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში გაბატონებული კონდიციონირებული და არაკონდიციონირებული კაპიტალიზმის ეკონომიკური წყობის ორივე ფორმა (თავი 3).

თავი 3:
სხვადასხვა
ეკონომიკური
სისტემა და წყობა

თავი 4:
სოციალური
დემოკრატიის
ეკონომიკური
პოლიტიკის ორიენტაცია

თავი 5:
პარტიების
ეკონომიკური
პოლიტიკის
პროგრამები

თავი 6 და 7:
სხვადასხვა
ქვეყნის
მოდელები და
პრაქტიკული
მაგალითები

ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამების დონეზე, ასევე საბაზისო ღირებულებების, ძირითადი უფლებებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური პრინციპების ურთიერთკავშირის საფუძველზე შემუშავდება სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია (თავი 4).

მეორე მხრივ, კოორდინირებული და არაკოორდინირებული ეკონომიკური წყობისა და სოციალური დემოკრატიის აღწერილი ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციის საფუძველზე ბუნდესტაგში წარმოდგენილი პარტიების ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამები შედარებული იქნება მათ ძირითად პროგრამებთან (თავი 5).

გამოცემის დასასრულს გთავაზობთ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიისა და შვედეთის სხვადასხვა ეკონომიკური წყობის შედარებას (თავი 6) და ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის სფეროების კონკრეტულ მაგალითებს, როგორებიცაა პრივატიზაცია, ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკა, ლირსეული შრომა და საწარმოო პროცესში თანამონაწილეობა, ასევე მინიმალური ხელფასი (თავი 7).

ამგვარად, სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხი განიხილება სხვადასხვა დონეზე, რომლებიც ამ ნაშრომში აისახება, განსაკუთრებით საკითხი, თუ რითი გამოირჩევა უშუალოდ სოციალური დემოკრატია.

ამ შეკითხვაზე პირველ პასუხს გსდპ თავის ძირითად პროგრამაში იძლევა:

„სოციალური დემოკრატია უზრუნველყოფს ყველა ადამიანის არა მარტო ძირითად სამოქალაქო, პოლიტიკურ და კულტურულ უფლებებს, არამედ, ასეთივე მნიშვნელობით, ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. საზოგადოების დემოკრატიზაციის საშუალებით ის უზრუნველყოფს ყველასთვის თანასწორ სოციალურ მონაწილეობას, პირველ რიგში, ერთობლივ მართვას, სამოქალაქო უფლებებზე დაფუძნებული, წინასწარი სოციალური დაცვის მქონე სოციალური სახელმწიფოს და კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის საშუალებით, რომელშიც გარანტირებულია დემოკრატიის უპირატესობა ბაზართან მიმართებით.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 19)

2. ფუძემდებლური ეკონომიკური თაორიენტი

ამ თავში:

- წარმოდგენილია ისტორიულად ყველაზე გავლენიანი ეკონომიკური თეორიები;
- ასახულია მათი დღევანდელი მნიშვნელობა;
- განხილულია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მათ სოციალური დემოკრატიისთვის.

„პრაქტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არანაირ ინტელექტუალურ გავლენას არ განიცდიან, ჩვეულებრივ, რომელიმე წარსულში ჩარჩენილი ეკონომისტის მონები არიან“ (კეინსი, 1966: 323), – წერდა ჯონ მეინარდ კეინსი, თავად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომისტი ისტორიაში. ამ თავში წარმოდგენილი და შედარებული იქნება მისი და მასთან ერთად უდიდესი და ყველაზე გავლენიანი ეკონომისტების, ადამ სმიტისა და კარლ მარქსის, თეორიების ძირითადი მასასიათებლები. ამ-დენად, იკვეთება ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიების სამი პოლუსი.

მაგრამ ლირს კი განვიხილოთ იმ ეკონომისტების იდეები, რომელთა ნაშრომები მრავალი წლის წინ შეიქმნა? შეესაბამება კი მათი წარმოდგენები მუდმივად ცვალებად გლობალიზებულ მსოფლიოს თუ მათ უკვე დიდი ხანია მტკვრი დაედოთ, გაუგებარი გახდნენ და ისტორიის მიერ უარყოფილი არიან?

რატომ და როგორ არის ეს თეორიები მნიშვნელოვანი სოციალური დემოკრატიისთვის? ისინი ორი თვალსაზრისითაა საგულისხმო:

ჯერ ერთი, ბევრ შემთხვევაში ისინი „იდეოლოგიური კარიერია“, რომელსაც პოლიტიკა თავისითვის იყენებს. მათი ცოდნა შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის არგუმენტაციის ჭეშმარიტების დადგენაში და, შესაბამისად, იდეოლოგიური „სიბეჭის“ თავიდან აცილებაში დაგეხმაროთ.

მეორეც, სოციალური დემოკრატია ამ სამი ეკონომიკური თეორიიდან სრულად არცერთს არ იზიარებს; იგი მხოლოდ ზოგად ნორმატიულ ჩარჩოს ქმნის. ის სამივე თეორიას იშველიებს, მაგრამ აშკარა უპირატესობას მართვად კაპიტალიზმს ანიჭებს, როგორც იგი კეინსმა აღნერა.

სამი დიდი
ეკონომისტი:
სმიტი, მარქსი
და კეინსი

არიან თუ არა
კლასიკოსები
კვლავ
აქტუალური?

„იდეოლოგიური
კარიერი“

სოციალური
დემოკრატია:
სამივე თეორიის
მოშველიება

ამასთანავე, სამივე თეორიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. უამრავია მათი უარყოფის ცდა. მათ მნიშვნელობას ვადაგასულად მიიჩინებდნენ, თუმცა მუდმივად ჩნდებოდა მათი აქტუალობის მტკიცებულება. ვერავინ, ვინც საფუძვლიანად არის დაკავებული ეკონომიკით, ვერ უგულებელყოფს სმიტის, მარქსისა თუ კეინსის იდეებს.

ისტორიული
კონტექსტი: სმიტი:
მე-18 საუკუნის
შუა ნლები

მარქსი: მე-19
საუკუნის შუა
ნლები

კეინსი: 1930-იანი
ნლები

ეკონომიკური
ცნებები და
მოდელები დროს
უძლებს

ამ კლასიკოსების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ეპოქის კონტექსტი. ადამ სმიტმა თავისი იდეები ჩამოაყალიბა მე-18 საუკუნის შუა ნლებში, მერკანტილიზმის, ანუ იმ თეორიის ხანაში, რომლის სწავლებით, მონარქებს უნდა ეკონტროლებინათ ვაჭრობა და ემართათ ეკონომიკა, რათა თავიანთი კარის უზომი ფუფუნება და ეფინანსებინათ. შესაბამისად, სახელმწიფოს მიმართ მისი სკეპტიციზმი მფლანგველი, თვითგამდიდრებაზე ორიენტირებული მონარქიების გამოცდილებიდან განვითარდა და არა თანამედროვე საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მაგალითზე.

კაპიტალიზმის მჭევრმეტყველურ კრიტიკას მე-19 საუკუნის შუა ნლებში მარქსი უპირისპირებდა მასების გაღატაკებას ადრეული ინდუსტრიალიზაციისა და გლობალიზაციის პირველი ტალღის პერიოდში. დღეისათვის მისი წარმოდგენები მე-20 საუკუნის სახელმწიფო სოციალიზმის ფონზე აღიქმება, რაც ამ მოსაზრებების დამახინჯებულ სურათს იძლევა.

და ბოლოს, კეინსი 1930-იან ნლებში სწავლობდა ეკონომიკურ ლიტერალიზმს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მისი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ იყო, როგორც მინიმუმი, ცდა, შეემუშავებინა რჩევები ეკონომიკური სისტემის სტაბილიზაციისთვის, რათა მომავალი დემოკრატიები რადიკალურ დიქტატურად არ გარდაქმნილიყო. 2007 წლს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე კეინსის იდეები ისევ აღმოჩნდა. მისი შეხედულებები ფინანსური ბაზრის გლობალური რეგულირების, ასევე სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შესახებ კვლავ ფართო დისკუსიების თემაა.

სამი დიდი ეკონომისტის, სმიტის, მარქსისა და კეინსის, შეხედულებების შესწავლა არა მარტო ზოგად ორიენტაციას გვაძლევს, არამედ დიდი პრაქტიკული სარგებელიც მოაქვს. მრავალი ეკონომიკური მოდელი და განმარტება, რომლებიც დღეს ჩვენთვის კარგადაა ცნობილი და რომლებსაც ხშირად ვიყენებთ, ისე, რომ მათი წარმომავლობა არ ვიცით, სწორედ ამ სამმა პიროვნებამ ჩამოაყალიბა.

სმიტი	მარქსი	კეინსი	
როდის	მე-18 ს-ის შუა წლები	მე-19 ს-ის შუა წლები	1930-იანი წლები
საპაპი	მერკანტილიზმი, აბსოლუტიზმი	ინდუსტრიალიზაცია და მშრომელთა გაღატაკება	მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და დიქტატურების წარმოქმნა
მთავარი მიზანი	თავისუფლება მერკანტილისტური სახელმწიფოსგან	მშრომელთა მდგომარე- ობის გაუმჯობესება და მათი გათავისუფლება ჩაგვრისგან	დემოკრატიის უზრუნველყოფა ეკონომიკისა და შრომის ბაზრის სტაბილიზაციით
კავშირი სოციალურ დემოკრატიასთან	თავისუფლება და კომპერაციის მოდელი	„ლირსეული შრომის“ მოდელი და შრომისა და კაპიტალის დაბალანსების საკითხი	კოორდინირებული ეკონომიკის და აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის მოდელი

„ბაზრის უხილავი ხელის“ ცნება ადამ სმიტმა დაამკვიდრა. ამით უნდა ასრინილიყო ბაზრის ეფექტიანობა. ზოგჯერ ეს გამონათქვამი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ბაზრის მითურ ყოვლის-შემძლეობაზე.

ვინც „ლირსეული შრომისკენ“ მიმართული პოლიტიკის წინააღმდეგია, მარქსს გვერდს ვერ აუვლის. სწორედ მას ეკუთვნის „შრომის გაუცხოების“ ცნება.

და ბოლოს, კეინსს ეკუთვნის ხშირად ციტირებული გამოთქმა „შორეულ პერსპექტივაში ჩვენ, ყველანი, გარდაცვლილები ვართ“. ამით ის საბაზრო კრიზისის გამო სახელმწიფოსგან სახასუხო ზომების მიღებას მოითხოვდა. მისი „მინიშნება“ მიმართული იყო, პირველ რიგში, მათ წინააღმდეგ, ვინც გრძელვადიან პერსპექტივაში იმედს სწორედ ბაზრის თვითგანკურნების უნარზე ამყარებდა და არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ.

სმიტი:
„ბაზრის უხილავი
ხელი“

მარქსი: „ლირსეული
შრომა“

კეინსი: „შორეულ
პერსპექტივაში ჩვენ,
ყველანი, გარდაც-
ვლილები ვართ“

დამატებითი
ლიტერატურა:
Nikolaus Piper (Hg.)
(1996). *Die großen
Ökonomen: Leben
und Werk der
wirtschaftswissen-
schaftlichen
Vordenker*. Stuttgart.

2.1. ადამ სმიტი – ეკონომიკური ლიბერალიზმის ფუძემდებელი

სმიტი: „ერთა კეთილდღეობა“

ისტორიული კონტექსტი: მერკანტილიზმი მე-18 საუკუნის შუა წლებში

ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევართა ფუნდამენტური ნაშრომია 1776 წელს ადამ სმიტის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „ერთა კეთილდღეობა“.

იმ პერიოდში დიდი ბრიტანეთი მერკანტილიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა (შდრ. Gerstenberger 2006: 40, 57-65; და Conert 2002: 64).

მერკანტილიზმის ეპოქაში, რომელიც მე-16-დან მე-18 საუკუნეებდე გრძელდებოდა, თავადები და მეცენები თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის ნარმატებას დაგროვებული ოქრო-ვერცხლის ოდენობით ზომავდნენ. ვაჭრობა აღიქმებოდა, როგორც თამაში ნულოვანი ანგარიშით:

რასაც ერთი ქვეყანა იგებდა, მეორე კარგავდა. ურთიერთსარგებლიანობის ფაქტორი ალიარებული არ იყო. ამიტომ საქონლის იმპორტს დიდ საბაჟო გადასახადებს უწესებდნენ, ნედლეულის შემოტანას კი ხელს უწყობდნენ. სამეფო კარი ეკონომიკის მართვას ცდილობდა. გილდიები დეტალურად განსაზღვრავდნენ, თუ ვის რა საქმიანობა უნდა განეხორციელებინა და რამდენი საქონელი უნდა ეწარმოებინა.

სმიტმა „კაპიტალისტური მანიფესტი“ იმისთვის დაწერა, რომ ბოლო მოელო ამ ხისტი ეკონომიკური წყობისთვის. მისმა იდეებმა ფეხი მოიკიდა. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა ეკონომიკისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის საქმეში.

სმიტმა ძირეულად შეცვალა თეორია ქვეყნის ეკონომიკის სიმდიდრის შესახებ. ის სიმდიდრეს მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ზომავდა და არა, მერკანტილისტების მსგავსად, ოქროს რეზერვების ოდენობით.

ადამ სმიტი (1723-1790) ეკონომიკური ლიბერალიზმის მამამთავრადა მიჩნეული. ის იყო მორალისტი ფილოსოფოსი და საბაჟო მოხელე შოტლანდიაში.

მისი თეზისის მიხედვით, ძალთა თავისუფალი საბაზრო ურთიერთებებისას ყველაზე მეტი კეთილდღეობა მაშინ ნარმოშობას, როცა ყველა თავის სარგებელს ეძებს. 1776 წელს სმიტმა გამოაქვეყნა წიგნი „ერთა კეთილდღეობის არსისა და მიზეზების კვლევა“ (მას მეტნილად „ერთა კეთილდღეობად“ მოიხსენიები), რომელიც თანამედროვე ეკონომიკის საფუძლადა მიჩნეული. მისი ფუძემდებლური იდეები დღემდე ასახულია ეკონომიკის სახელმძღვანელოებში.

ნაკლებადაა ცნობილი, რომ მორალისტ ფილოსოფოს სმიტს „ეთიკური გრძნობების თეორიაში“ მიაწინა, რომ სამართლიანობა, ნიღბა და გულახდილობა აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობისთვის და რომ ურთიერთთანაგრძნობა საზოგადოებრივი თანაარსებობის უმნიშვნელოვანესი მამორავებელი ძალაა.

საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად სმიტი სამ წყაროს ასახელებს:

- სწრაფვა სარგებლისა და საკუთრებისკენ;
- შრომის გადანაწილება და სპეციალიზაცია;
- თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია.

ერთ-ერთ მაგალითზე ის განმარტავს, თუ როგორ შეიძლება იყოს წარმატებული სწრაფვა სარგებლისა და საკუთრებისკენ და საბოლოოდ ემსახუროს საზოგადო კეთილდღეობის საქმეს.

„ჩვენ ველით ჩვენს სადილს არა ყასბის, ლუდის მხარშველისა თუ ხაბაზის კეთილგანწყობის, არამედ მათ მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის საფუძველზე. ჩვენ მივმართავთ არა მათ კაცთმოყვარეობას, არამედ მათ ეგოზმს, და ვსაუბრობთ არა საკუთარ საჭიროებებზე, არამედ მათ სარგებელზე.“ (სმიტი, 1974: 17)

თავისი წაშრომის „ერთა კეთილდღეობა“ პირველივე წინადადებაში სმიტი განსაზღვრავს შრომის გადანაწილებას, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას:

„შრომის გადანაწილება ხელს უწყობს და აუმჯობესებს შრომის პროდუქტიულობას ისე, როგორც სხვა არაფერი.“ (სმიტი, 1974: 9)

მან შრომის გადანაწილების უპირატესობა ქინძისთავის მწარმოებელი ფაბრიკის მაგალითზე განიხილა: ცალკე აღებულ მუშას დამოუკიდებლად დღეში მხოლოდ რამდენიმე ქინძისთავის დამზადება შეუძლია. თუ საწარმოო პროცესი რამდენიმე საფეხურად დაიყოფა და თითოეულს შეასრულებს სპეციალიზებული მუშა, რომელიც პასუხისმგებელია წარმოების კონკრეტულ საფეხურზე, ამ შემთხვევაში ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ქინძისთავის დამზადებაა შესაძლებელი.

საბოლოოდ სმიტი თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის მხარდასაჭერად გამოდის. მუშებს შორის შრომის გადანაწილების მსგავსად, პარტიებსაც, რომლებსაც ერთმანეთთან თავისუფალი ურთიერთობა აქვთ, შეეძლოთ ის სპეციალიზაცია აერჩიათ, რომელსაც ისინი ყველაზე უკეთ ფლობენ. ამგვარად, პროდუქტიულობა მთლიანობაში გაიზრდებოდა. „ბაზრის უხილავი ხელის“ სამუალებით გადანაწილება, სმიტის თანახმად, მეტ ეფექტს მოიტანდა, ვიდრე ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვის რომელიმე ფორმა. მაგალითად სმიტი შოტლანდია-სა და პორტუგალიას შორის არსებულ ვაჭრობას იშველიებს.

პროდუქტიულობა
შრომის
გადანაწილების
გზით

კეთილდღეობა
თავისუფალი
ვაჭრობისა და
კონკურენციის
გზით

ვაჭრობის
საშუალებით
„შედარებითი“
უპირატესობის
გამოყენება

რა არის
„Laisser-faire“?

საწარმოო ძალების
გამოთავისუფლება

შრომის
გადანანილების
პრობლემა

სმიტი: „ეთიკური
გრძნობების
თეორია“

თუ შოტლანდია განსაკუთრებულად მაღალხარისხიანი შალით გა-
მოირჩეოდა, პორტუგალია კარგ ღვინოს ანარმოებდა. ამას უწოდებდა
სმიტი შედარებით სარგებელს. თუ ორივე ქვეყანა კონცენტრირებას სა-
კუთარ პროდუქციაზე მოახდენს და მისით ივაჭრებას, ნაცვლად იმისა,
რომ დიდი ძალისხმევა მოახმაროს როგორც ღვინის, ისე შალის წარ-
მოებას, მაშინ ორივე სარგებელს ნახავს.

ეს იდეა ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელ შეხედულებას, რომ ვაჭრობა
იყო თამაში ნულოვანი ანგარიშით. ირონიაა, რომ სმიტი, როგორც მე-
ბაჟე, ათ წელზე მეტ ხანს იცავდა მერკანტილისტურ სავაჭრო წესებს.

იმისათვის, რომ კეთილდღეობის წყაროებმა – მოგებისკენ სწრაფვამ,
შრომის გადანანილებამ, ვაჭრობამ და კონკურენციამ – იმოქმედოს, სახ-
ელმწიფო, სმიტის აზრით, მხოლოდ ირიბად უნდა ზემოქმედებდეს ბა-
ზარზე და მას რაც შეიძლება მეტ თავისუფლებას უნდა აძლევდეს. აქე-
დან წარმომვა ეგრეთ წოდებული „Laisser-faire“ – დოქტრინა¹, რომლის
მიხედვითაც, სახელმწიფო საზოგადოების უსაფრთხოების, ქვეყნის თავ-
დაცვის, მართლწესრიგის დაცვის, ინფრასტრუქტურისა და განათლების
სფეროებით უნდა შემოიფარგლოს და ბაზარში არ უნდა ჩაერიოს. ამის
საფუძველზე მაქსიმალურად იზრდება პროდუქტიულობა.


სმიტმა შექმნა ეკონომიკის ლიბერალიზაციის თეორიული საფუძვლები,
რომლებმაც, პირველ რიგში, მე-19 საუკუნის ინდუსტრიალიზაციასთან
ერთად მანამდე უცნობი საწარმოო ძალები გამოათავისუფლა. თუმცა
სმიტი იქიდან გამოდიოდა, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ავ-
ტომატურად დაბალანსდებოდა, და მან წინასწარ ვერ განჭვრიტა შესა-
ძლო კრიზისები და რეცესიები.

ისევე, როგორც მარქსი, რომელიც თავის თეორიებში მშრომელთა
ჩაგვრასა და შრომის გაუცხოებას იკვლევდა, სმიტიც ხედავდა კაპი-
ტალიზმის მანკიერ მხარეებს. ის შიშობდა, რომ შრომის მუდმივი
დაქუცმაცება ადამიანების დაწლუნებებს გამოიწვევდა, და ამის საპირ-
წონედ მათთვის განათლების მიღების შანსს ითხოვდა.

თავის მეორე, ნაკლებად ცნობილ დიდ ნაშრომში, „ეთიკური გრძნობების
თეორია“ (1759), სმიტი აღნერს ადამიანების მოთხოვნილებას, იმოქ-
მედონ წესიერად და სამართლიანად და გადალახონ საკუთარი ეგოიზმი,
როგორც კოლექტიური მოთხოვნილებების მქონე არსებებმა. ამდენად,
ის უარყოფს აზრს, რომლის მიხედვითაც იგი კაციობრიობას მაქსიმა-
ლური მოგებისკენ მიმართულ homo oeconomicus-ად წარმოაჩენს.

1 Laissez faire (ფრანგ.) – ნიშანებს „აკეთონ, რაც სურთ“.

სმიტს საკუთარი თავი, პირველ რიგში, არა ეკონომისტად, არამედ მორალისტ ფილოსოფობად მიაჩნდა და ხაზგასმით აღნიშნავდა სამართლიანობის, ნდობისა და გულახდილობის მნიშვნელობას ბიზნესის საქმეში.



სურ. 1: სმიტი: საზოგადო კეთილდღეობა სარგებლის მეშვეობით

კლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორია, რომელიც სმიტის იდეებს ეფუძნება, დომინირებდა 1929 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. მხოლოდ ამ უკანასკნელის შემდეგ გაჩნდა საყოველთაო ეჭვები, ნამდვილად ხდება თუ არა უხილავი ხელით მართული ბაზრის მუდმივი დაბალანსება. ღრმა კრიზისი და მისი თანმდევი უმუშევრობის მაღალი დონე Laisser-faire პრინციპით ვერ აიხსნებოდა. კლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმის საფუძვლები შეირყა. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატმა იოზეფ ე. სტიგლიცმა წარსულის შეფასებისას აღნიშნა, უხილავი ხელი მხოლოდ იმიტომ იყო უხილავი, რომ ხშირად ის იქ საერთოდ არ არსებობდა (სტიგლიცი, 2002).

სმიტის გავლენა

მომდევნო ათწლეულებში კეინსიანიზმი გავრცელდა. გარკვეულ ხანს ჩრდილში ყოფის შემდეგ, 1980-იანი წლებიდან, ნეოლიბერალების მეშვეობით ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები აღმავლობას განიცდის.

ჩიკაგოს სკოლა

იმ ეკონომისტთა შორის, რომლებმაც სმიტის იდეები აიტაცეს, განავითარეს და გაავრცელეს, ყველაზე ცნობილად ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიკი და მილტონ ფრიდმანი არაან მიჩნეული. ამ უკანასკნელმა დააფუძნა ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგია, რომელსაც „ჩიკაგოს სკოლადაც“ მოიხსენიებენ (პროფესორი ფრიდმანი ჩიკაგოში ასწალიდა). თუმცა ნეოლიბერალებმა მხოლოდ სმიტისეული სახელმწიფოს კრიტიკა და თავისუფალი ბაზრისადმი მიდრეკილება გაითავისეს. მისი „ეთიკური გრძნობების თეორია“ ჰაიკმა და ფრიდმანმა უყურადღებოდ დატოვეს.

ახლებური
ინტერპრეტაცია
ტეტჩერისა
და რეიგანის
მმართველობის
დროს

სმიტის ნაშრომების ახლებურმა ინტერპრეტაციამ განსაკუთრებული ზეგავლენა აშშ-ში პრეზიდენტი რონალდ რეიგანისა და დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის დროს მოახდინა. მათი პოლიტიკის ლაიტმორტივი იყო ლოზუნგი „სახელმწიფო არ არის პრობლემის გადაჭრის ნაწილი, სახელმწიფო თავადაა პრობლემა“. ეს ნიშნავდა დერეგულაციას, პრივატიზაციას და სახელმწიფოს მხრიდან მომსახურების შემცირებას.

ვაშინგტონის კონსენსუსი

ბაზრის აპოლოგეტები დიდ გავლენას ახდენდნენ ასევე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკაზე. ეგრეთ წოდებული ვაშინგტონის კონსენსუსის ფარგლებში ამ ინსტიტუტებმა გაავრცელეს ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგია, მათ შორის, ლათინურ ამერიკაში, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში და 1997 წლის აზის კრიზისის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ფინანსური ბაზრების დერეგულაციაც მეტწილად ამ იდეოლოგიის დამსახურება იყო. ამის შედეგად მივიღეთ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მძიმე გლობალური ფინანსური კრიზისი და 2008 წლიდან – საყოველთაო რეცესია. კრიზისის მასშტაბმა და მოცულობამ ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნების გადაფასება მოიტანა. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიის ნაცვლად, რომელიც ბრმად ენდობა ბაზარს, უპირატესობა მათ ენიჭება, ვინც სახელმწიფოსა და ბაზარს შორის ახალ ბალანსს ეძებს და აღიარებს პოლიტიკის ეკონომიკაზე.

დამატებითი
ლიტერატურა:
*Helen Winter und
Thomas Rommel
(1999), Adam Smith
für Anfänger. Der
Wohlstand der
Nationen: eine
Leseeinführung,*
München.

2.2. კარლ მარქსის კაპიტალიზმის კრიტიკა

კარლ ჰენრიხ მარქსი (1818-1883) იყო გერმანელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური ფურნალისტი.

იმას, რაც ლიბერალ ეკონომისტებს თვითსუფალი ბაზრის განვითარებით განპირობებულ სტაბილურობად და ზრდად მიაჩინდათ, მარქსი უნიდებდა კლასობრივ ბრძოლას, ჩავრას, გაღატაკებას და კრიზისებისადმი მიღრეკია სისტემას, რომელსაც შეეძლო პროლეტარული რევოლუცია გამოიწვია.

მარქსის უნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-თეორიული ნაშრომია ნაწილობრივ მისი სიკედლის შემდეგ გამოქვეყნებული „კაპიტალი“, რომლის სამი ტომი 1867 და 1894 წლებს შორის გამოიცა. დიდი პოლიტიკური რეზონანსი ჰქონდა 1848 წელს გამოქვეყნებულ „კომუნისტურ მანიფესტს“.

არასტაბილურობითა და დესტრუქციულობით ხასიათდება, რასაც არა „ერთა კეთილდღეობისკენ“, არამედ მშრომელთა დიდი უმრავლესობის გაღატაკებისკენ მივყავართ.

იმისათვის, რომ მარქსის იდეების გაგება შევძლოთ, მე-19 საუკუნის ადრეული ინდუსტრიალიზაციის ხანაში, მშრომელთა ცხოვრების უმდიმესი პირობების არსებობის პერიოდში უნდა გადავინაცვლოთ. დუისბურგის ინდუსტრიული კულტურის მუზეუმის დოკუმენტი მკაფიოდ გამოხატავს ამ შთაბეჭდილებას (ბაიერი და სხვები, 2002: 18):

„მაშინ, როდესაც შეძლებულები ქალაქებარეთ არისტოკრატიულ უბანს იშენებდნენ, მშრომელთათვის გაუკაცრიელებული ქუჩების რიგებში შეუხედავი, გადატვირთული, არაჰიგიენური და გადამეტებულად ძვირი სახლები ნამოიჭიმებოდა ხოლმე. [...] მაგალითისთვის, აქ ერთ ოთახში ხშირად მთელ ოჯახს ვინდე უცნობთან ერთად ეძინა, თანაც ბევრი ადამიანი რიგრიგობით იყოფდა საწოდლს: ძილის რიტმი სამუშაო განრიგს შეესაბამებოდა: ფაბრიკებში შრომის პირობები მანქანა-დანადგარების მოთხოვნებზე იყო დამოკიდებული და მათ შეესაბამებოდა მათზე მომუშავე ადამიანების შრომის პირობები. 70-საათიანი სამუშაო კვირა წესი იყო, ტექსტილის ნარმოებაში კი ეს დრო 80 საათსაც აღწევდა. მეტად გავრცელებული იყო ბავშვთა შრომა, თითქმის არ არსებობდა სოციალური უსაფრთხოება, მნიშვი იყო კანმირთელობის დაცვა.“

მარქსის დამოკიდებულება
სმიტობა

ისტორიული
კონტექსტი:
ადრეული
ინდუსტრია-
ლიზაცია
მე-19 საუკუნის
შუა წლებში

ეს აღწერილობა დღესაც აქტუალურია მრავალი დარიბი ქვეყნის ცხოვრებისა და შრომის პირობებისთვის.

ამ არაპუმანური შრომისა და ცხოვრების პირობებს მარქსი განიხილავ-და არა როგორც უბედურ შემთხვევას, არამედ როგორც კაპიტალიზმის გარდაუალ შედეგს. მისი ანალიზის მიხედვით, თავისუფალ ბაზარს აუცილებლად მოჰყვება გაფირვება და ჩაგვრა, ვინაიდან კაპიტალისტების სარგებელი სწორედ მშრომელთა ჩაგვრიდან გამომდინარეობს.

მარქსის თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს „დამატებული ლირებულების“ ცნებას, რომელიც მან პირველად თავისი ნაშრომის, „კაპიტალის“, 1867 წელს გამოქვეყნებულ პირველ ტომში და მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემულ მომდევნო ტომებში განმარტა. დამატებული ლირებულება არის მოგების სახით მიღებული ლირებულება, რომელიც აღემატება მენარმის მიერ ინვესტირებულ კაპიტალს – მაგალითად, თუ მან მხოლოდ 100 ევრო ჩადო ნარმოებაში (როგორც საქონლისა და ყველა საწარმოო საშუალების პროპორციული ანაზღაურება), მაგრამ ბაზარზე მისი მოგება 110 ევროს უდრის. მარქსის მიხედვით, დამატებული ლირებულების სისტემატური მიღება შესაძლებელია ადამიანთა შრომის საფუძველზე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც მუშა ქმნის ლირებულებას, რომელიც აღემატება მის ხელფასს.

მარქსის განმარტებით, მუშები სწორედ იმ ოდენობის ხელფასს იღებენ, რომელიც მათ საარსებოდ ესაჭიროებათ. რაც შეეხება კაპიტალისტებს, ისინი მდიდრდებიან ხელფასებსა და წარმოებულ დამატებულ ლირებულებას შორის წარმოქმნილი განსხვავებით.

ის იქიდან გამოდიოდა, რომ კაპიტალისტი – სულ უფრო მზარდი კონკურენციის იძულებით – ამ დამატებული ლირებულების გაზრდას შეეცდება. ხელფასები კვლავ შემცირდება, სამუშაო დროის ხან-

მარქსის შრომის ლირებულების თეორიის მიხედვით, დამატებული ლირებულება ინარმოება მოგებისგან, რომელსაც მენარმე იღებს მუშის შრომისგან ხელფასისა და საწარმოო საშუალებების ხარჯების გამოქვითვის შემდეგ. ამდენად, დამატებული ლირებულება მუშის ჩაგვრას უტოლდება. ამასთანავე, მარქსი ასხვავებს აბსოლუტურ დამატებულ ლირებულებას, რომელიც მარტივი დამატებითი შრომისგან (გახანგრძლივებული სამუშაო დრო) მიღება, და ფარდობით დამატებულ ლირებულებას, რომელიც პროდუქტულობის ზრდის შედეგად ნარმოიშობა. (Das Wirtschaftslexikon 2009)


2 მაღლობას ვუძით გამომცემლობას J.H.W. Dietz Nachf. (ბონი), იმისთვის, რომ ამ ტომში ეკონომიკური ლექსიკონის სხვადასხვა ცნების გამოყენების შესაძლებლობა მოგვცა.

გრძლივობა მოიმატებს და ავტომატიზაცია გაძლიერდება. ამის შედე-გად გაიზრდება უმუშევრობა. ამასთანავე, კონკურენციები სულ უფრო მეტად განიდევნებიან ბაზრიდან. საბოლოოდ საზოგადოება გაიყოფა უქონლებად და იმ ადამიანების მცირე ჯგუფად, რომელთა ხელშიც კონცენტრირებულია კაპიტალი.

„დამატებული ღირებულების“ ცნების გვერდით თავის 1844 წელს შექმნილ „ფილოსოფიურ-ეკონომიკურ მანუსკრიპტებში“ მარქსმა „შრომის გაუცხოების“ ცნებაც განსაზღვრა. სმიტის მსგავსად, მარქსმა მასში პროდუქტიული შრომის გადანაწილების ჩრდილოვანი მხარეები ასახა. მასობრივი პროდუქციის წარმოებისა მუშა მხოლოდ მცირეგაბარიტიან და მონოტონურ სანარმოო პროცესში მონაწილეობს. მას არ აქვს კონტაქტი მზა პროდუქტთან და ამასთან დაკავშირებული კმაყოფილების გრძნობა მისთვის უცხოა.

სმიტისთვის კონკურენცია და შრომის გადანაწილება პროგრესის წყარო იყო. მარქსს, ამის საპირისპიროდ, კონკურენცია და შრომის გადანაწილება კაპიტალიზმის უდიდეს მანკიერებად, ასევე ჩაგვრისა და გაუცხოების მიზეზად მიაჩნდა. ის ხედავდა, რომ მის დროში სანარმოო პროგრესს სიკეთე მხოლოდ კაპიტალის მესაკუთრეთათვის მოჰქმნდა, მშრომელებისთვის კი ეს მხოლოდ მეტ გადატაკებას ნიშნავდა.

„გაუცხოების“
ცნება



სურ. 2: მარქსის არგუმენტაციის საბაზისო სტრუქტურა

მარქსის მიხედვით, მოგებაზე ორიენტირებული ეკონომიკური წყობა არასტაბილური და კრიზისებისადმი მიღდეკილი იყო. მისი აზრით, საბოლოოდ ამას ჩაგრულთა რევოლუციის გამოწვევა შეეძლო.³

„საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება იმ წერტილს მიაღწევენ, სადაც შეუთავსებელი გახდებიან მათ კაპიტალისტურ გარსთან. ის აფეთქდება. კაპიტალისტური კერძო საკუთრების აღსასრულის დრო დგება.“ (მარქსი, 1991: 684-685)

საწარმოო
საშუალებათა
კერძო
მფლობელობა,
როგორც
კლასობრივი
საზოგადოების
მახასიათებელი

კარლ მარქსის თეორიის უკანასკნელი საკვანძო ცნება, რომელსაც ის, უპირველეს ყოვლისა, 1848 წლის კომუნისტური პარტიის მანიფესტში აღნიშნავს, არის „საკუთრების“ ცნება, რომელიც საწარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობას გულისხმობს.

მარქსისთვის საწარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობა კაპიტალისტური კლასობრივი საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თავის ადრეულ ნაშრომებში პროგნოზირებული პროცეტარული რევოლუციის შემდეგ ის კერძო საკუთრების გაუქმებას ვარაუდობდა. დაბალი ანაზღაურების გამო, რომელიც მხოლოდ არსებობაზე იყო გათვლილი, მუშათა კლასს არ ეძლეოდა საკუთრების დაგროვების შესაძლებლობა. კაპიტალისტები კი საკუთრებას ჩაგვრის საფუძველზე ეუფლებოდნენ.

სხვა საკითხებთან ერთად მარქსი კომუნისტური პარტიის მანიფესტში შემდეგ მოთხოვნებს აყენებდა:

- კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კრედიტისა და ყოვლისმომცველი მონოპოლიის მქონე ეროვნული ბანკის მეშვეობით;
- ტრანსპორტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში;
- სახელმწიფო ფაბრიკებისა და საწარმოო საშუალებების გაფართოება, ყველა მიწის კულტივაცია და გაჯანსაღება ერთობლივი გეგმის შესაბამისად (შდრ. მარქსი/ენგელსი, 1987: 54).

3 მარქსის მკვლევრების აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რად მიაჩნდა მარქსის რევოლუცია – აუცილებელ თუ მხოლოდ სავარაუდო ისტორიულ ფაქტად. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვიმსჯელებთ ამაზე მისი მოღვაწეობის ცალკეული ეტაპების თუ მისი მთლიანი შემოქმედების მიხედვით. დამატებითი ლიტერატურა: პაინრიპი (2004: 169-178).

მარქსის უმნიშვნელოვანესი ინტერპრეტატორი, ფრიდრიხ ენგელსი, მოგვიანებით ამგვარი ნაციონალიზაციის უარყოფით მხარეებსაც აღნიშნავდა: „რაც უფრო მეტ საწარმოო ძალას დაეპატრონება იგი [სახელმწიფო], მით უფრო მეტად იქცევა ის საზოგადო კაპიტალისტად, მით უფრო მეტ მოქალაქეს დაჩაგრავს. [...] კაპიტალისტური ურთიერთობები კი არ გაუქმდება, არამედ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება აყვანილი“ (ენგელსი, 1988: 553-554).

ეკონომისტ ჯონ კენეტ გელბრეიგს ამასთან დაკავშირებით შემდეგ ციტატას მიაწერენ: „კაპიტალიზმის დროს ადამიანი ადამიანებს ჩაგრავს. კომუნიზმის დროს კი პირიქითაა.“ ისეთმა სახელმწიფომ, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი ან გდრ, რომლებმაც გაიზიარეს კომუნისტური მანიფესტის მოთხოვნები ბანების, ტრანსპორტისა და საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაციისა და განსაზოგადოების შესახებ, მარცხი განიცადა.

მარქსი მიუთითებდა ისტორიაზე, როგორც კლასობრივი ბრძოლის შედეგზე, რომელიც თავის პიეს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის დაპირისპირებისას აღწევდა და რომელიც საბოლოოდ შეიძლებოდა პროლეტარული რევოლუციით დაგვირგვინებულიყო. ის ავითარებდა უტოპიას უკლასო საზოგადოების შესახებ, რომელიც კონკურენციისა და საწარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობის გარეშე არსებობს.

მაგრამ ისტორიამ დაგვანახვა, რომ მარქსის მიერ აღწერილი გალატაკება და საკუთრების სულ უფრო მეტად კონცენტრირება კაპიტალისტების ხელში გარდაუვალი არ არის. მოგვების უფრო სამართლიანი გადანაწილება მშრომელთა პროფესიონერებში ორგანიზებისა და სოლიდარიზაციის, ასევე სოციალური სახელმწიფოს შექმნისა და დაფუძნების გზით იქნებოდა შესაძლებელი.

კაპიტალის კონცენტრაცია ავსტრიელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპერის, მიერ აღწერილი „შემოქმედებითი ნგრევის“ საშუალებით იქნა დაძლეული. ის

მარქსის მიერ ხშირად გამოყენებული ცნებები „ბურჟუაზია“ და „პროლეტარიატი“ ურთიერთსაპირისპირო კლასებს ასახავს. ცნება „პროლეტარი“ ნარმოქმნილია ლათინური სიტყვისგან „proletarius“ („ყველაზე დაბალი ფენისთვის მიუთვნებული“). ცნება „ბურჟუაზია“ ფრანგული ნარმომავლობისაა და „ეკონომიკური საკუთრების მქონე ფენას“ ნიშნავს.

ნაციონალიზაციის
პრობლემები

ისტორია, როგორც
კლასობრივი
ბრძოლის შედეგი

გალატაკება
გარდაუვალი არ
არის

შუმპეტერი:
„შემოქმედებითი
ნგრევა“

„ახალი, გარე თუ შიგა ბაზრების გახსნა და სახელოსნოებისა და ფაპ-რიკების ორგანიზაციული განვითარება ისეთი კონცერნების სახით, როგორიცაა [...], ასახავს მსგავს პროცესს [...], რომელიც უწყვეტად გარდაქმნის ეკონომიკურ სტრუქტურას შიგნიდან გარეთ, განუწყვეტლივ ანადგურებს ძეგლ სტრუქტურას და მუდმივად ქმნის ახალს. ეს „შემოქმედებითი ნგრევის“ პროცესი კაპიტალიზმის არსებითი ფაქტორია.“ (მუმპეტერი, 1942: 137-138)

საავტომობილო მრეწველობამ მეეტლების, მჭედლებისა და მეჯინიბების ადგილი დაიკავა. საბეჭდი მანქანების დამამზადებლებმა გზა კომპიუტერების მწარმოებლებს დაუთმეს. ეს გახლავთ შემოქმედებითი ნგრევის მაგალითები, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ინოვაციას, მაგრამ, მეორე მხრივ, ახალ არასამედონობას ქმნის და ადამიანების განსაკუთრებულ მოქნილობას მოითხოვს.

სახელმწიფო
სოციალიზმის
ნარუმატებლობა

კვლევის არსი

სახელმწიფო სოციალიზმის ექსპერიმენტი, რომელიც მარქსს ეფუძნებოდა, წარუმატებელი აღმოჩნდა და თავისი თეორეტიკოსის დისკრედიტაცია მოახდინა. გამოდის, რომ თეორია დაძლეულია? ფაქტია, რომ ჯერ არ შექმნილა ბაზრის ეფექტუანობასა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელის ქმედითი ალტერნატივა, რომელმაც პრაქტიკული გამოცდაც გაიარა.

მარქსი უკეთესი ანალიტიკოსი იყო, ვიდრე მრჩეველი. მისი სწავლებიდან პრაქტიკული რეკომენდაციების გამოტანა ძნელია; არც მისმა პროგნოზებმა გაამართლა. თუმცა მისი კვლევები კვლავ ყურადღების ცენტრშია. მარქსი, როგორც სხვა არავინ, მიანიშნებს თავისუფალი კაიტალიზმის რისკებსა და კრიზისებზე.

როგორ შეიძლება დავახასიათოთ მარქსი? იქნებ ისე, როგორც ეს ვილი ბრანდტმა 1977 წელს ტრირში კარლ მარქსის სახლის მონასულებისას გააკეთა: „ყველაზე მეტად მარქსს პატივს მაშინ დავდებთ, თუ მას, პოზიტიურადაც და ნეგატიურადაც, ხელშეუხებლობის პიედესტალიდან ჩამოვიყვანთ. მიუხედავად იმისა, თუ რა შექმნეს ანდა რისი შექმნასურდათ მარქსისგან, მისი აზროვნებისა და მოქმედების მოტივი იყო თავისუფლებისკენ სწრაფვა, ადამიანთა განთავისუფლება მონობისა და უუფლებო დამოკიდებულებისგან.“

დამატებით
ლიტერატურა:
*Francis Wheen (2008),
Über Karl Marx. Das
Kapital, München.*

2.3. ჯონ მეინარდ კეინსი: კაპიტალიზმის მართვა

ჯონ მეინარდ კეინსი (1883-1946) – ბრიტანული ეკონომისტი, რომელმაც არსებოთი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ეკონომიკურ თეორიაზე.

თავის გავლენიან ნაშრომში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) მან ეჭვევებს დააყენა პაზრის თვითგანკურნების ძალა და დააფუძნა კეინსიანიზმი, რომლის მიზანი კაპიტალიზმის მართვაა.

კეინსი მუშაობდა ასევე ბრეტონ-ვუდსის სისტემის კონცეფციაზე, რომელიც ომისშემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებს განსაზღვრავდა.

ამდენად, პრობლემურია როგორც ადამ სმიტის სწავლება რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფო გავლენის მქონე თავისუფალ კაპიტალიზმზე, ისე მარქსის მიერ კონკურენციისა და საწარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობის უარყოფა. არსებობს კი კოორდინირებული კაპიტალიზმის შუალედური გზა, რომელიც იყენებს ბაზრის საწარმოო ძალებს, მაგრამ, ამასთანავე, აბალანსებს და არბილებს მის გამანადგურებელ ძალებს?

ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი განიხილავდა კაპიტალიზმის ორსახოვნებას (რომელიც იანუსის თვისებაა), რის გამოც იგი, მართალია, ეფექტური და პროდუქტული იყო, მაგრამ სტრუქტურულად არასტაბილური გახლდათ. ის აღიარებდა საკუთრებასა და კონკურენციაზე დაფუძნებულ ბაზრის მოდელს, თუმცა უპირისპირდებოდა სმიტის სწავლებასთან დაკავშირებულ ნეოკლასიკური აზროვნების სკოლას.

მაგალითად, იგი აკრიტიკებს კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, რადგან „მისი ვარაუდები იშვიათად ანდა არასდროს არ გამართლებულა და მას არ შეუძლია რეალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა“ (კეინსი, 1966: 319).

1929 წლის მძიმე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო კეინსი ეჭვევებს აყენებდა, „უხილავი ხელის“ არსებობასაც. ბაზარი, როგორც ამას სმიტი ვარაუდობდა, ვერ ახდენდა საკუთარი თავის ნორმალიზებას, ხოლო უმუშევრობა მაღალ დონეზე რჩებოდა და ეკონომიკა ხანგრძლივ სტაგნაციას განიცდიდა.

კეინსმა შემოიღო „დამავალი სპირალის“ გაგება: როდესაც ნაკლები საქონელი იწარმოება და ადამიანებს სამსახურდან ათავისუფლებენ, ეს მომხმარებელთა და მწარმოებელთა უნდობლობას იწვევს და კიდევ უფრო ცოტა ფული იხარჯება („პანიკური დაზიგვა“). მოთხოვნა მცირდება, მენარმები ნაკლებს ანარმობენ და კიდევ უფრო ამცირებენ სამუშაო ადგილებს, კიდევ უფრო მეტი იზოგება და ა. შ. კრიზისი სულ უფრო მწვავდე-

კეინსი:
შუალედური
გზა?

ნეოკლასიკური
აზროვნების
სკოლის
კეინსისეული
კრიტიკა

ეჭვები
„უხილავი ხელის“
გამო

ეკონომიკური
„დამავალი
სპირალის“ რისკი

ბა და ეკონომიკა შეიძლება ხანგრძლივ დეპრესიაში ჩავარდეს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რომლის დროსაც ყოველივე ეს ახდა, ამ განმარტებამ ხორცი შეისხა. კეინსმა არა მარტო გამოიცნო ის სიტუაციები, როდესაც თავისუფალი ბაზარი ვერ ფუნქციონირებს, არამედ შეიმუშავა ამის საწინააღმდეგო კონცეფციაც ანტიციკლური მართვის სახით.

საჭიროა
სახელმწიფოს
აქტიური ჩარევა

კონიუნქტურის
სახელმწიფოებრივი
დარეგულირება

ეკონომიკური ვარდნის პერიოდში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ბაზარში და უნდა ჩაწინაცვლოს კერძო მოთხოვნას, რის შედეგადაც მას დაგვალიანება ნარმოებობა და მეტ ფულს დახარჯავს; ანდა მას შეუძლია პირდაპირ გასცეს ფული მოქალაქეებზე, მაგალითად, გადასახადების შემცირების გზით. თუმცა არის იმის საშიშროება, რომ ეს ლონისძებება არ გაამართლებას, თუ ადამიანები კვლავ განაგრძობენ დაზოგვას უნდობლობის გამო. უფრო ქმედითი იქნებოდა, სახელმწიფოს უშუალოდ დაესარჯა სახსრები, მაგალითად, ქუჩები ან სკოლები აეშენებინა. დამატებითი ხარჯებით დასაქმდებოდა მეტი ადამიანი, რომლებიც ისევ მეტს მოიხმარდნენ, გაიზრდებოდა მოთხოვნა და, შესაბამისად, პროცესი „აღმავალი სპირალის“ პრინციპით განვითარდებოდა. კეინსი ამას შემდეგნაირად გამოხატავდა:

„თუ ჩვენ ას ორმოცდათ მილიონ ფუნგზე მეტს გავცემთ, მაშინ ყველა ადამიანს მაღალი შემოსავალი ექნება; და მათ, ვინც უმუშევარია, ალარ დასჭირდებათ უმუშევრობის შემწეობა. ამას გარდა, ეს ხარჯები გარკვეული რაოდენობის ადამიანებს დასაქმებს. ფული ეკონომიკაში იტრიალებს, სხვადასხვა საქონლისთვის გაიცემა და მხოლოდ მცირეოდენ ნარმოებებში არ იქნება კონცენტრირებული.“


(კეინსი, 1939, ციტირებულია ვაინერტის (2008) მიხედვით)

„შორეულ
პერსპექტივაში
ჩვენ, ყველანი,
გარდაცვლილები
ვართ“

ამით მან უარყო რწმენა ბაზრის თვითდაბალანსების შესახებ, როგორც ამას სმიტი უშვებდა. ცნობილია მისი ზევით მოყვანილი გამონათქვემი „შორეულ პერსპექტივაში ჩვენ, ყველანი, გარდაცვლილები ვართ“. ამით ის პოლიტიკური პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებდა, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა დღევანდელი დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ვიდრე უკეთესი მომავლისა და თვითრეგულობად ბაზარზე სათუო იმედების დამყარება.

თუმცა კეინსი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ბაზარში ჩარევა სარისკოა, ვინაიდან ამ ჩარევის სწორი დროისა და სწორი მოცულობის განსაზღვრა რთულია. ამასთან დაკავშირებით ის წერდა:

„ამჟარაა ის ფაქტი, რომ მეტად საეჭვოა ჩვენი ძირეული ცოდნა, რომლის საფუძველზედაც სავარაუდო შედეგები უნდა შევაფასოთ. ფაქტორების ჩვენეული გაეგა, რომლებითაც რამდენიმე წლის შემდეგ უნდა განისაზღვროს ინვესტიციის შედეგი, ჩვეულებრივ, მნირია და ხშირად უმნიშვნელო.“ (კეინსი, 1966: 126)



სურ. 3: კუინსის არგუმენტაციის სტემატიკური სტრუქტურა

მისმა კვლევებმა და მისმა რეკომენდაციებმა, რომ სახელმწიფო ბაზარში უნდა ჩაერიცს, მაშინ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა, რომ ხშირად საუპრობენ „კეინსისულ რეკოლუციაზე“, რომლითაც ის დაუპირისპირ-და როგორც სმიტს, ისე მარქსს. რეაქციაც შესაბამისი იყო: ლიბერალე-ბი და კონსერვატორები კეინსს შეფარულ სოციალისტს უწოდებდნენ. მარქსისტები კი მას ბაზრის ქომაგს ეძახდნენ. ფაქტია, რომ კეინსი იმ დროისთვის არა მარტო გერმანიაში მოახლოებულ დიეტატურებს შეე-ნინაალმდება და თავისი რჩევებით დემოკრატიის შენარჩუნება სურდა.

ეგრეთ წოდებული
კეინსისეული
რევოლუცია

„როგორც ჩანს, დღევანდელი ავტორიტარული სახელმწიფო სისტემები უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტას შრომისუნარიანობისა და თავისუფლების ხარჯზე ცდილობენ. აშკარაა, რომ მსოფლიო აღარ იქნება მომთმენი უმუშევრობის მიმართ, რომელიც, ჩემი აზრით, ხანმოკლე პერიოდული გამოცოცხლების მიუხედავად, დღევანდელ კაპიტალისტურ ინდივიდუალიზმთანაა დაკავშირებული. თუმცა პრობლემის სწორი ანალიზი ამ დაავადების განკურნების და, იმავდროულად, შრომისუნარიანობისა და თავისუფლების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.“ (კეინსი, 1966: 321)

„ფსიქოლოგიური კანონი“

ამას გარდა, კეინსმა „ფსიქოლოგიური კანონით“ დაასაბუთა, რატომ არის გადანანილება არა მარტო სოციალურად სასურველი, არამედ ეკონომიკურად რაციონალურიც. დინამიკურ ეკონომიკას საკმარისი მოთხოვნა ესაჭიროება. და ვინაიდან მზარდი შემოსავლების ფონზე დაზოგვის კოეფიციენტი მატულობს, მოხმარებისადმი მიღრეკილება კი იყლება, მიზანშეწონილია, დაბალი ანაზღაურების მქონე ადამიანები, რომელთა დაზოგვის კოეფიციენტი უფრო მცირეა, მეტ შემოსავალს იღებდნენ.

საბოლოოდ, კეინსმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ევრეთ წოდებული ბრეტონ-ვუდსის სისტემის ჩამოყალიბებაში.

კეინსმა მე-20 საუკუნეზე ისეთი გავლენა მოახდინა, როგორიც არცერთმა სხვა ეკონომისტმა. მისი რეერომენდაციების მიზანმიმართული განხორციელება პირველად აშშ-ში 1933 წელს დემოკრატი პრეზიდენტის, ფრანკლინ დ. რუზველტის, მიერ ინიციირებული „ახალი კურსით“ („New Deal“)

მოხდა: ჯერ ერთი, საგრძნობლად იმატა სახელმწიფო ინვესტიციებმა, მაგალითად, ინფრასტრუქტურის სფეროში. მეორეც, სოციალური მოსახურების ზრდამ მოხმარების გამყარება გამოიწვია, ვინაიდან დაბალი შემოსავლის მქონე ანდა შემოსავლის არმქონე ადამიანებს დაზოგვის მცირე კოეფიციენტი ახასიათებთ. 1970-იან წლებამდე კეინსის სწავლება ქრესტომათიად იყო აღიარებული. გერმანიაში მისი განსაკუთრებული მიმდევარი გახლდათ ეკონომისტი კარლ შილდერი, სოციალ-დემოკრატი,

ბრეტონ-ვუდსის სისტემა: 1944 წელს ამერიკულ კურორტზე, ბრეტონ-ვუდსში, გამართა კონფერენცია, რომელმაც ომისშემდგომი მსოფლიოს საფინანსო არქიტექტურა განსაზღვრა. მისი არსი იყო სერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომლის თანახმად, გაცვლითა კურსის რყევები ამერიკულ დოლართან მიმართებით აისახებოდა. დაარსდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და მსოფლიო ბანკი, როგორც საერთაშორისო კრედიტების გამცემი და ფინანსური ბაზისი მარეგულირებელი ინსტიტუტები. ბრეტონ-ვუდსის სისტემამ 1973 წლამდე იარსება. სავალუტო ბაზარზე წარმოქმნილი რყევების ფონზე უარი ეთქვა გაცვლით კურსის დოლარზე მიმდინარების ამით დაინგრა ფინანსური ბაზრის სტაბილურობა.

1966–1972 წლებში ფინანსებისა და ეკონომიკის ფედერალური მინისტრი. იმ პერიოდში აშშ-ის კონსერვატორმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქ-სონმა ბრძანა: „ახლა ჩვენ, ყველანი, კეინსიანელები ვართ“.

მიუხედავად ამისა, 1970-იანი წლების შუა ხანებიდან კეინსიანიზმი კრიზისში მოექცა. ერთი მხრივ, ანტიციკლურმა საბიუჯეტო პოლიტიკამ ვერ იმუშავა კეინსის კონცეფციის თანახმად. მართალია, კრიზისის დროს ხარჯებმა იმატა, მაგრამ საბიუჯეტო დავალიანების დაფარვა ეკონომიკურად უკეთეს წლებშიც ვერ მოხერხდა. ამის გამო გაიზარდა სახელმწიფოს ვალები და დეფიციტური ხარჯების დაფარვის შესაძლებლობები კრიზისიდან კრიზისამდე მცირდებოდა. ამას დამატა ნავთობის ორი კრიზისი. ნავთობის ფასების არანორმალურმა ზრდამ წარმოშვა „მანკიერი წრე“: ხელფასები გაიზარდა, მაგრამ მომატებულმა ენერგოფასებმა გააბათილა დამატებითი შემოსავალი; ხელფასები კვლავ გაიზარდა, რამაც გამოიწვია ინფლაციის მატება. ამან კი ისევ შეამცირა ხელფასები. სახელმწიფო ეკონომიკურმა პროგრამამ ქმედითობა დაკარგა. ეკონომიკა იმავდროული მაღალი ინფლაციის ფონზე სტაგნაციას განიცდიდა (სტაგფლაცია). ასპარეზზე ნეოლიბერალები და ნეოკლასიკოსები გამოვიდნენ და წარმოებაზე ორიენტირებული მიწოდების პოლიტიკა წამოსწიეს: დღის

სტაგფლაცია: სტაგნაციისა და ინფლაციის დროში თანხვედრა.
(Das Wirtschaftslexikon 2009)

წესრიგში დადგა ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა ხარჯების შემცირების გზით, ბიუჯეტის კონსოლიდირება და ეკონომიკური ხარჯვა.

მრავალწლიანი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ, მათ შორის, 2007 წლს დაწყებული ფინანსური ბაზრის კრიზისის გამო, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა ფართოდ დერეგულირებულ ბაზარში სახელმწიფოს ჩარევის თაობაზე. იგრძნობა კეინსის ხელახალი გააზრების ტენდენცია. ეს წამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან ის, რასაც კეინსი საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე წერდა, დღეს ისე აქტუალურია, როგორც არასდროს:

„სპეცუალანტები საპნის ბუშტებივით უვნებელი არიან წარმოების უწყვეტ წაკადში. მაგრამ საქმე სერიოზულადა, თუ წარმოება სპეცუალაციის ქარცეცხლში საპნის ბუშტად იქცა. როდესაც ქვეყნის კაპიტალის განვითარება კაზინოს საქმიანობის გვერდითი პროდუქტია, სამუშაო, სავარაუდოდ, ცუდად არის შესრულებული.“ (კეინსი, 1966: 134)

დამატებითი
ლიტერატურა:
Reinhard Blomert
(2007), John
Maynard
Keynes,
Reinbek.

Heinz-J. Bontrup
(2006), Keynes
wollte den
Kapitalismus
retten. Zum
60. Todestag von
Sir John Maynard
Keynes, Bonn.

2.4. ეკონომიკური თეორიის იდეალური ტიპები

ყოველდღიურ პოლიტიკურ დისკუსიაში სმიტის, მარქსისა და კეინსის იდეები ყოვლისმომცველია. თუ ლიბერალი პოლიტიკოსი ცდილობს, სახელმწიფოს მხოლოდ მისი ძირითადი ამოცანები დაუკავშიროს და მიაჩინა, რომ სახელმწიფო არ არის პრობლემის გადაჭრის ნაწილი, სახელმწიფო თავადაა პრობლემა, მაშინ ის ადამ სმიტის შეხედულებას იზიარებს. შეუძლუდავი მსოფლიო კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც ბაზრები სულ უფრო ხშირად კარგავენ წონასანორობას, კეინსის მიდგომა საბაზრო ეკონომიკის მართვის შესახებ კვლავ აქტუალური ხდება. და როდესაც ვუყურებთ განვითარებად ქვეყნებში არსებული ფარიგების სურათებს, სადაც დასაქმებულები 14 საათის განმავლობაში კერავენ ტანსაცმელს ექსპლუატატორული ანაზღაურებისთვის, უნებლიერ მარქსის იდეები მოგდის თავში.

ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან იდეალური ტიპის კონტექსტში⁴ სმიტი, მარქსი და კეინსი წარმოადგენერნ სამ განსხვავებულ ეკონომიკურ მსოფლმხედველობას, რომელთაც ცალკეული პოლიტიკური ბაზაკები მაშინ იშველიებენ, როდესაც საქმე გადანაწილებას, ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთობას და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა საკითხებს ეხება. სამი იდეალური ტიპის აღწერა შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

1. სუფთა კაპიტალიზმი
2. ანტიკაპიტალიზმი
3. მართვადი კაპიტალიზმი
1. სახელმწიფო ეკონომიკური პროცესებისგან განზე უნდა დადგეს. საკუთრებისკენ სწრაფვა ეკონომიკური მოქმედების მამოძრავებელი ძალაა და ამიტომ ის ხელშეუხებელია (სმიტისეული ლიბერტარიანული შეხედულება).
2. კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც სანარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობას და კონკურენციას ეფუძნება, მასების ჩაგვრისა და გალატაკებისკენ მივყავართ. ამდენად, ის გაუქმდება (მარქსისეული კომუნისტური შეხედულება).
3. ეკონომიკური წესრიგი საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება, თუმცა სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში რეგულირების, გადანაწილებისა და მაკროეკონომიკური მენეჯმენტის, ანუ მოთხოვნის გამიზნული მართვის გზით. კერძო საკუთრება გარანტირებულია, თუმცა იმავდროულად დაკავშირებულია სოციალურ ვალდებულებებთან და პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე (კეინსისეული სოციალური დემოკრატია).

4 აქ „იდეალური ტიპი“, სოციოლოგ მაქს ვებერის გაგებით, არის რეალობის გამიზნული გადაჭარება, რათა შესაძლებელი გახდეს სოციალური სინამდვილის სეგმენტების აზრობრივი წარმოსახვა და განსაზღვრა. „იდეალური ტიპი“ წიმზავს ასევე იმას, რომ, სავარაუდოდ, ამ შესავალ წანილში სუბარია მხოლოდ ცალი თვალით დანახულ გა-მარტივებულ ხედვაზე.

ეკონომიკური თეორიების ამ დისკურსიდან იკვეთება: თავისუფალი ბაზარი წარუმატებელია, ისევე, როგორც საბაზრო წესრიგის სრული უარყოფის ცდა. ისტორია გვასწავლის, რომ დამანგრეველია როგორც ბაზრის რადიკალიზმი, ისე ბაზრის სრული გაუქმება. კაპიტალიზმი უნდა იმართებოდეს, თუ მიზნად სოციალური დემოკრატიის მიღწევაა დასახული. იმდროინდელი გავლენიანი ეკონომისტის, კარლ შილერის, მონდომებით, ყოვლივე ეს 1959 წლის გსდა-ის გოდესპერგის პროგრამაში შემდეგნაირად აისახა: „იმდენი ბაზარი, რამდენიც შესაძლებელია, იმდენი დაგეგმვა, რამდენიც საჭიროა“.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი თეორიები ისტორიულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ისტორიამ დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმი არ დანგრეულა თავისი შიგა დაპირისპირებების გამო, როგორც ამას კარლ მარქსი წინასწარმეტყველებდა. თუმცა კაპიტალიზმს არც ჰარმონიული წონასწორობისთვის მიუღწევია, როგორც ამას ადამ სმიტი მოელოდა. მე-20 საუკუნეშ მოიტანა მოსახლეობის ფართო მასებისთვის მანამდე უცნობი კეთილდღეობა, ასევე სოციალური მღელვარებები და უთვალავი კრიზისი. როგორ უნდა შეფასდეს ყოველივე ეს სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით? მათიას პლატცეკი, პერ შტაინბრუკი და ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი 2007 წელს დაბეჭდილ წიგნში „დროის სიმაღლეზე“ ერთ-ერთ სავარაუდო პასუხს გვთავაზობენ:

„ერთი მხრივ, ორთოდოქს მარქსისტთა და, მეორე მხრივ, ლიბერალთა ვიწრო ეკონომიკურ აზროვნებას თეორეტიკოს ედუარდ ბერნშტაინის გარემოცვაში მყოფი „რევიზიონისტი“ სოციალ-დემოკრატები პოლიტიკის უპირატესობას, ასევე რეფორმებისა და პროგრესის, კომპრომისისა და კლასობრივი ზღვრის მიღმა არსებულ ინტერესთა დაბალანსების პრინციპებს უპირისპირებდნენ. იქ, სადაც სხვები ეკონომიკური და ისტორიული ძალების თვითდინებას ენდობოდნენ, სოციალ-დემოკრატები ტრანსფორმაციული პროცესების აქტიურ და პრაგმატულ მართვაზე ამყარებდნენ იმედებს. მათ სურდათ, ბაზრების დინამიკა აქტიურად დაუკავშირებინათ სოციალურ რეფორმასა და საზოგადოებრივ განახლებასთან, რათა ამით სისტემატურად ხელმისაწვდომი გაეხადათ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის; არა მარტო ჰქონდათ შეთანხმებული მიდგომა საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიისა და სოციალური თანადგომის მიმართ, არამედ მიეღწიათ პოლიტიკური სამუალებების გამოყენებით ამ პრინციპების პოზიტიური ურთიერთექმედებისთვის – სწორედ ამაში მდგომარეობდა მე-20 საუკუნის დასაწყისში პროგრესის ისტორიულად სრულიად ახალი და უძრეცემენტო სოციალ-დემოკრატიული ხედვა. პრაქტიკულად პირველად და

„იმდენი ბაზარი,
რამდენიც
შესაძლებელია,
იმდენი დაგეგმვა,
რამდენიც
საჭიროა“

რა პასუხს
გვთავაზობენ
ამ შეკითხვებზე
სოციალ-
დემოკრატი
პოლიტიკისები?

უპრეცედენტო წარმატებით მოხერხდა იმის შეთავსება, რაც ისტორიულად შეუსაბამოდ და ერთმანეთის სანინააღმდეგოდ იყო მიჩნეული: დინამიკური საბაზო ეკონომიკა, არსებული დემოკრატია და სოციალური თანადგომა. სრულიად დამსახურებულად უხმიდა ამას სოციოლოგმა რალფ დარენდორფმა „სოციალ-დემოკრატიული მე-20 საუკუნე“. [...] დღეს ხელახლა და მკაფიოდ უნდა გავიხსენოთ, რა მძიმედ მოსაპოვებელი იყო სოციალური დემოკრატიის გამარჯვება საუთარ ოპონენტებზე და როგორი მოწყვლადია ამ წარმატების ნაყოფი 21-ე საუკუნეში. [...] ამდენად, უაღრესად საჭიროა, თვითდავერებულმა სოციალ-დემოკრატიამ გაიაზროს, რამდენად მნიშვნელოვანი და სამაგალითოა კვლავ 21-ე საუკუნის მსოფლიოსთვის მისი წარმატების იდეა, რომელიც მარქსისტული ორთოდექსულობისა და ლიბერალური Laissez-faire-ს დაპირისპირების კონტექსტში განვითარდა. ეს იმიტომ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში პაზრებს, დემოკრატიასა და საზოგადოებას შორის არსებულ ფუნდამენტურ შეიგა დაძაბულ ურთიერთობებში არაფერი არ შეცვლილა.“
(პლატცეკი/შტანბერჟი/შტაინმაიერი, 2007: 19-21)

2.5. ეკონომიკა დღეს

სად იმყოფება
დღეს
ეკონომიკური
მეცნიერება?

რთული შეკითხვა:
მაგალითი

არცერთი
გაბატონებული
აზრი: ორი მიზეზი

ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ეკონომისტების წარდგენის შემდეგ ისმება კითხვა, თუ სად იმყოფება დღეს ეკონომიკური მეცნიერება. იმას, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, შემდეგი ამბავი ცხადყოფს:

ევროპულ თანამეგობრობაში დიდი ბრიტანეთის განევრებასთან დაკავშირებით 1973 წელს ყოველდღიურ გაზეთში „London Times“ დაიბეჭდა 154 ეკონომისტის მიერ ხელმოწერილი წერილი იმ ვარაუდის შესახებ, რომ დიდ ბრიტანეთს ევროპული თანამეგობრობის წევრობა ეკონომიკურად უფრო მეტ ზარალს მოუტანდა, ვიდრე სარგებელს. მეორე დღეს გამოქვეყნდა (სხვა) 142 ეკონომისტის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ეს წევრობა დიდი ბრიტანეთისთვის, სავარაუდოდ, უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ზიანის მომტანი. მოგვიანებით დაიბეჭდა მკითხველის წერილი, რომელშიც გამოითქვა ეჭვი, რომ ეკონომისტებს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის უფრო მეტი ზარალი მოაქვთ, ვიდრე სარგებელი (ციტირებულია ვაგნერი/ვიგარდის (2002: 773) მიხედვით).

ეს ანეკდოტური შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული აზრი აღბათ არ არსებობს. ამას ძირითადად ორი მიზეზი აქვს:

პირველ რიგში, ეკონომიკა, ისევე, როგორც ნებისმიერი მეცნიერება, ფილოსოფის კარლ პოპერის სიტყვები რომ მოვისველით, არა კლდეზე, არამედ ჭაობზე აგებული. ეს იმას ნიშანავს, რომ მონაცემები, ფაქტები და დაკვირვებები, რომლებიდანაც ეკონომისტები თავიანთ დასკვნებს აკეთებენ, არაზუსტი და, შესაძლოა, უბრალოდ მცდარია.

მეორეც, ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ღირებულებებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, მისი ვარაუდები და თეორიები ადამიანებისა და საზოგადოების წარმოდგენებით განისაზღვრება. ეკონომისტი, რომელსაც სჯერა, რომ ადამიანი არის მაქსიმალური მოგებისკენ მიმართული homo oeconomicus, მივა სხვა შეფასებამდე, ვიდრე ეკონომისტი, რომელიც ადამიანს სოციალურ და კომპლექსურ არსებად აღიქვამს.

ეკონომისტმა უურნალისტმა ანდრეას ჰოფმანმა თავის პუბლიკაციაში შეგვახსენა, რომ სარწმუნო ფაქტებზე დაფუძნებული ეკონომიკა, სავარაუდოდ, დიდი ოდენობით შეიცავს იდეოლოგიას და, ამდენად, ჩვენ ეკონომისტთა რჩევებს კრიტიკულად უნდა შევხვდეთ.

„მე არ შემიძლია ავიდე თვითმფრინავში ისე, რომ სუბსიდიებზე არ ვიფიქრო. ეკონომისტებს სტულთ სუბსიდიები. სუბსიდიები ბოროტების იმპერიიდან წარმოიშობა; ისინი ეკონომიკის პარალიზებას იწვევენ. თუმცა სუბსიდიების გარეშე ვერცერთი აერობუსი ვერ იფრენდა. ჩვენ მხოლოდ იმიტომ დავფრინავთ აერობუსებით, რომ ზოგიერთ სახელმწიფო მეთაურს თვითმფრინავების აგება სურდა. სხვა შემთხვევაში ბოინგი ისევე იბატონებდა ჰაერში, როგორც ბილ გეიტსი კომპიუტერებზე. [...] ანდა ავილოთ პროფესიონალების ძალაუფლება. ამბობენ, რომ პროფესიორები აბრკოლებენ ფირმების წარმატებებს. მაგრამ მაშინ რატომ არიან მთელ მსოფლიოში სწორედ გერმანელი ავტომწარმოებლები, მანქანათმშენებლები, ლითონისა და ელექტრონარმოებები ასე წარმატებული? მათ არ უნდა უმართლებდეთ, ვინაიდან სწორედ მათ საწარმოებშია ყველაზე ძლიერი პროფესიონირები. [...] პრაქტიკულ მაგალითებს ნამდვილი ეკონომისტი ექსპერტები ძალზე იშვიათად იყენებენ. თუ რეალობას მოიშველიებთ, დაიმსახურებთ ეკონომისტის გამკიცხავ მზერას, რომელსაც მოპყვება განმარტება, რომ საუბარია არა რეალობაზე, არამედ „სტრუქტურულ-პოლიტიკურ მიდგომაზე“. [...] მაშინ რატომ არ იძლევა ხშირად ეს რუკა სწორ მიმართულებას? პირველი მსოფლიო ომი არ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან ის ეკონომისტებს არარენტაბულურად მიაჩნდათ. „შავ ხუთმაბათა მდე“ რვა დღით ადრე, 1929 წლის ოქტომბერში ეკონომიკის ვარსკვლავმა ირვინგ ფიშერმა ბრძანა, რომ საბირჟო კრახი არასდროს არ მოხდებოდა. გერმანიის ხუთი რეცესიდან არცერთი არ ყოფილა ნინასწარ გამოცნობილი რომელიმე მეცნიერის მიერ, ისევე, როგორც

პირველი: არცერთი მეცნიერება არ არის აგებული „კლდეზე“

მეორე: ეკონომიკური გამონათქვამები ღირებულებებთანა დაკავშირებული

ოთხმოცდაათიანი წლების ინტერნეტის პუმი. 2002 წლის შემოდგომაზე ინსტიტუტები 2003 წლისთვის 1,4%-იან ზრდას მოელოდნენ, თუმცა რეალურად ეკონომიკა 0,2%-ით შემცირდა და დღემდე ყველა მკითხაობს, რატომ იქმნება გერმანიაში სამუშაო ადგილები და კვლავ იზრდება ეკონომიკა. ნავთობი ძალიან გაძვირდა და ანგელა მერკელი აფლავებს რეფორმებს.“ (გამოქვეყნდა გაზეთში „Süddeutsche Zeitung“ 2006 წლის 16 სექტემბერს)

ეკონომიკა არ
არის ზუსტი
საბუნებისმეტყვე-
ლო მეცნიერება

დასკვნა: საკუთარი
მიდგომების
გაცნობა

ორი ბანაკი:
მინოდებისა
და მოთხოვნის
პოლიტიკები

მინოდების
პოლიტიკა:
ადამ სმიტი,
დევიდ რიკარდო,
ჯონ სტიუარტ
მილი

ფაქტია, რომ ეკონომიკა არ არის ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელსაც ზუსტი პროგნოზების გაკეთება შეუძლია, არამედ ის ვარაუდებზე დაფუძნებულ, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ, ემპირიულად გამართლებულ თეზისებს გვთავაზობს.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ მსჯელობიდან? ცხადია, არა ის, რომ ეკონომიკური მეცნიერება ნაკლებად მეცნიერულია და მისი გამონათქმამების ინტერპრეტირება სრულიად თავისუფლად შეიძლება. აქ მნიშვნელოვანია, რომ ეკონომისტები გვაცნობდნენ თავიანთ საწყის შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რათა მკითხველს შეეძლოს მათი დასკვნების კლასიფიცირება და ინტერპრეტირება.

ეკონომიკური მეცნიერებები დღეს შეიძლება უხეშად დაიყოს ორ ბანაკად – მინოდების პოლიტიკად და მოთხოვნის პოლიტიკად, რომელთა შორის, ცხადია, კავშირები და დამთხვევები არსებობს.

მინოდების პოლიტიკა

მინოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა წარმოდგენილია ადამ სმიტის წეოკლასიკური თეორიის ტრადიციებში, რომლის გამგრძელებლები არიან ეკონომისტები დევიდ რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი და სხვები. პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფოს კრიტიკისა და ბაზრის ლიბერალური თეორიიდან იკვეთება, გულისხმობს მენარმებისთვის შეძლებისდაგვარად ხელსაყრელი პირობების შექმნას, როდესაც ისინი კარგი მოგების მიღებას შეძლებენ. აქედან წარმოიშვა ტერმინი „მინოდების პოლიტიკა“: უნდა მოხდეს საქონლისა და მომსახურების მინოდების ოპტიმიზაცია. თეორიის თანახმად, აქედან ავტომატურად წარმოიშობა მოთხოვნა. სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს ბაზარში. სუბსიდიები, სახელმწიფო საკუთრება და რეგულირებები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს, უნდა შენარჩუნდეს შეძლებისდაგვარად დაბალი გადასახადები და მოსაკრებლები. ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს ვალუტის სტაბილურობას, თუმცა არ ერევა კონიუნქტურულ რყევებში.

მოთხოვნის პოლიტიკა

მოთხოვნაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა ჯონ მეინარდ კეინსის დაფუძნებულია და დასაქმებისა და კონიუნქტურის მართვაში სახელმწიფოს აქტიურ მონანილეობას მოთხოვნას. აქ ძირითადი მნიშვნელობისაა ქვეყნის ეკონომიკაში უწყვეტი მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამასთანავე, ხელფასები პროდუქტიულობის შესაბამისად მაინც უნდა გაიზარდოს. ჰენრი ფორდი, რომელმაც თავის ქარხნებში მასოპრივ წარმოებას მისცა დასაბამი და ამით პროდუქტიულობის სტიმულირებას ახდენდა, მხარს უჭრდა უფრო მაღალ ხელფასებს მოთხოვნის ინტერესებიდან გამომდინარე. მას მიაწერენ ციტატას „მანქანები არ ყიდულობენ“.

როდესაც კერძო მოხმარება და ინვესტიციები კლებულობს, სახელმწიფომ საინვესტიციო პროგრამები და დასაქმების ინტენსიური ღონისძიებები უნდა დაიწყოს. ამ დამატებითი მოთხოვნის გზით მენარმები კვლავ აძლიერებენ ინვესტირებას, მატულობს დასაქმება და იზრდება კერძო მოთხოვნა. კრიზისის დროს ცენტრალურმა ბანკმა მხარი უნდა დაუჭიროს კონიუნქტურას საპროცენტო განაკვეთების შემცირებითა და ფულადი მასის გაზრდით.

განმასხვავებელი ნიშნები

მინიდებაზე ორიენტირებული და მოთხოვნაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ხელფასის მნიშვნელობის შეფასებაა. პირველი ხელფასს განიხილავს ხარჯის დამამდიმებელ ფაქტორად, რომელიც განსაკუთრებით კრიზისის დროს უნდა შემცირდეს. მეორე ხელფასს განმარტავს, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მოთხოვნის გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც ეკონომიკური ვარდნის პერიოდში უნდა გამყარდეს, რათა არ წარმოშვას „დამაგალი სპირალი“, როგორც ეს 1920-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მოხდა. მოთხოვნის დეფიციტს ზოგიერთი ეკონომისტი გერმანიის 2001-2005 წლების სტაგნაციის მიზეზად მოიხსენიებს. ხელფასების მრავალწლიანი გაყიდვისა და შემცირებული სახელმწიფო ინვესტიციების კომბინაციით დაეცა შიგა მოთხოვნა, რამაც გერმანიის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. როგორც კრიზისიდან გამოსავალი, მოთხოვნილ იქნა ხელფასის გაზრდა და სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამები (ჰორნი, 2005). თუმცა მოთხოვნის პოლიტიკასთან მიმართებით ორი პრობლემა წარმოიშობა: პირველ რიგში, პრაქტიკულად რთულია, მიაღწიო სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანების რეალურ დაფარვას ეკონომიკურად ხელსაყრელ პერიოდში. სხვასთან ერთად ესეც გახლდათ სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანების შემდგომი ზრდის მიზეზი. საპოლონდ სულ უფრო მცირდება შესაძლებლობები ეკონომიკური პროგრამებისა და პოლიტიკური აქტივობებისთვის. მეორეც, სტიმულირებულმა მოთხოვნამ და ცენტრალური ბანკის პოლიტიკამ, რომელიც ბაზარზე ფულის მოზღვავებას გულისხმობდა, ზოგ შემ-

მოთხოვნის
პოლიტიკა: ჯონ
მეინარდ კეინსი

ხელფასის
განსხვავებული
განმარტებები

დამატებითი
ლიტერატურა:
*Eine gute Übersicht
über die Hintergründe
dieser
Debatte befindet
sich im lesenswerten
und gut
verständlichen
Buch von Peter
Bofinger
„Grundzüge
der Volks-
wirtschaftsle-
hre“ (2007).*

თხვევაში გამოიწვია ხელფასების მუდმივი ზრდა, რასაც, თავის მხრივ, ინფლაციამდე მივყავართ. ამას კი, კვლავ მაღალი ხელფასების სწრაფ გაუფასურებასთან მივყავართ. იმავდროულად ინფლაციამ განაპირობა „პანიკური დაზოგვა“, რომელმაც მოხმარების სტაგნაცია მოახდინა. ამ განვითარების ლოგიკური შედეგი იყო 1970-იანი წლების სტაგნაციისა და ინფლაციის ფატალური კომბინაცია – ეგრეთ წოდებული სტაგფლაცია.

1970-იანი წლების
კუინისანი ზმიდან
1990-იანი წლების
ვაშინგტონის
კონსენსუსამდე

რომელია ამ ორი თეორიიდან უფრო გავლენიანი? როგორც უკვე იქნა აღწერილი, ეკონომიკური კრიზისების დროს 1920-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე კეინსისეული მოთხოვნის პოლიტიკა მთელ მსოფლიოში დომინირებდა. მსოფლიო ეკონომიკის სტაგნაციასა და მზარდ ინფლაციაზე (სტაგფლაცია) საპასუხოდ, 1970-იან წლებში ნეოკლასიკური მიწოდების პოლიტიკა რენესანსს განიცდიდა. მიწოდების პოლიტიკის წარმართვა 1980-იანი წლებიდან აშშ-ში რონალდ რეიგანმა, დიდ ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერმა და გერმანიაში შემსუბუქებული ფორმით ჰელმუტ კოლმა დაიწყეს. 1990-იან წლებში ეს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება ვაშინგტონის კონსენსუსის დოქტრინაში აისახა და შემდგომ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საშუალებით ხდებოდა პროპაგანდირება ლიბერალიზაციის პოლიტიკისა, რომელიც გადასახადების შემცირებას, პრივატიზაციას, დერეგულაციას, თავისუფალ ვაჭრობას და სუბსიდიების გაუქმებას გულისხმობდა: ბაზარი უნდა განმტკიცებულიყო, ხოლო სახელმწიფოს უკან უნდა დაეხია. ამასობაში მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი და ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომისტი იოზეფ ე. სტიგლიცი ვაშინგტონის კონსენსუსის ცნობილი კრიტიკოსი გახდა. მას ბრმა ნდობა მიაჩნია იდეოლოგიად, რომელსაც არ აქვს ემპირიული საფუძველი. არსებობენ სახელმწიფოები, რომლებმაც ბაზრის ლიბერალიზაციის რეცეპტები გაიზიარეს და ეკონომიკის სტაგნაციას განიცდიან, მაშინ, როდესაც სხვებმა ბაზრების უფრო ძლიერი კოლორდინირებისა და მართვის წყალობით სოციალურ და ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს (სტიგლიცი, 2002).

გერმანელი
ეკონომისტები:
მათი უმრავლესობა
მიწოდებაზეა
ორიენტირებული

გერმანელი ეკონომისტების უმრავლესობა, როგორც ჩანს, ამჟამად მიწოდების პოლიტიკას ემხრობა. როდესაც 2005 წელს, წითელ-მწვანე კოალიციის ჩანაფიქრით, მოთხოვნის დეფიციტი სახელმწიფო ხარჯებით უნდა დაძლევულიყო, ანუ კლასიკური კეინსისეული პოლიტიკის შესაბამისად, 250-ზე მეტმა ეკონომიკის პროფესორმა „პამპურგის მიმართვა-ში“ მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვა. მოთხოვნაზე ორიენტირებული პოლიტიკის მომხრე ეკონომისტებს გასულ წლებში თავის დაცვა უწევდათ, ახლა კი მათი თვალსაზრისი მეტყურადლებას იმსახურებს.

კეინსის მოთხოვნის თეორიით, მაგალითად, შეგვიძლია აგხსნათ, რატომ მოახდინა გავლენა 2008 წლის ფინანსური ბაზრის კრიზისმა რეალურ ეკონომიკაზე ასე სწრაფად და ღრმად და რატომ გამოიწვია რეცესია მთელ მსოფლიოში. მოცემულ სიტუაციას ბევრმა ქვეყანამ მოთხოვნის სტიმულირების კლასიკური კეინსისეული პოლიტიკით უპასუხა, რაც სახელმწიფო ხარჯების ზრდასა და მოსახლეობის ფართო მასების მსყიდველობითი უნარის გაძლიერებას გულისხმობდა.

2008 წლიდან ფინანსური ბაზრისა და ეკონომიკურმა კრიზისმა მასობრივი გადააზრება გამოიწვია. თავად „დორჩე ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე იოზეფ აკერმანი ამბობს: „მე აღარ მჯერა ბაზრის თვითგანკურნების ძალების“ (აკერმანი, 2008) და გლობალურ ფინანსურ მეთვალყურეობას ითხოვს. ბაზრის რადიკალებს თავის დაცვა უნდევთ და ხდება კეინსის მოძღვრების ხელმეორედ აღმოჩენა, ვინაიდან მისი თეორიები ამ მძიმე კრიზისს განმარტავს და მისი დაძლევის შესაძლო გზებს გვთავაზობს.

კეინსის აქტუალობა არაა შემთხვევითი. ბოლოს და ბოლოს, მისი მთავარი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ არის პირ-მშო 1930-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, რომელიც ნაწილობრივ დღევანდელ მდგომარეობას ჰქავს. მაშინაც და ახლაც, ფინანსური ბაზრის კრაბის შემდეგ, მთელ მსოფლიოში კონიუნქტურა ერთდროულად შემცირდა, რამაც ნეგატიური „დამავალი სპირალი“ წარმოშვა. კრიზისის კიდევ უფრო გალრმავების შიშთ და შემცირებული მსყიდველობითი უნარის ფონზე შენამეურნეობები უფრო ნაკლებს მოიხმარებ, მეწარმეები ინვესტიციების გადავადებას ახდენენ და ბანკები თითქმის აღარ გასცემენ კრედიტებს. კიდევ უფრო მცირდება წარმოება, რის გამოც ადამიანები სამუშაო ადგილებს კარგავენ და ისევ კლებულობს მოხმარება. 1930-იანი წლების კრიზისს ბოლო მხოლოდ მას შემდეგ მოელო, რაც გაფართოვდა ბაზრის რეგულირების მასშტაბები და სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამები, რასაც სწორედ კეინსი ქადაგებდა.

როგორ აიხსნება ამერიკული უძრავი ქონების ბაზარზე კრიზისის წარმოშობა? იქ გაჩინდა გიგანტური სპეციულაციური ბუჭჭი, რომელმაც საერთაშორისო საბანკო სისტემა კოლაფსის პირას მიიყვანა. კეინსის მოსწავლე ჰაიმან მინსკი ამის განმარტებისას დამაჯერებლად იშველიებს საკუთარ მასწავლებელს (მინსკი, 1986). ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის პერიოდში მატულობს სიხარბე და რისკისადმი მიღრეკილება. უფრო მეტი მოგების ძიების ფონზე იზრდება რისკიანი ქმედებების რაოდენობა. ბანკებს შორის მიმდინარე კონკურენციის გამო ისინი თავს არიდებენ რეგულირებას ახალი ფინანსური პროდუქტების საშუალებით, რათა სარისკო ინვესტიციები დააფინანსონ. როდესაც უამრავი რისკი გროვდება, ხუხულა ინგრევა, რაც შემდგომ მოხდა კიდეც. როგორც გამოსავალს, მინსკი

კეინსისეული
პასუხები
2008 წლის
ფინანსური
ბაზრის
კრიზისზე

ითხოვს სახელმწიფოს მეშვეობით რეგულირებას, რათა ბაზარი საკუთარი თავისგან იქნეს დაცული და გადაილახოს ფინანსური კრიზისი. არარეგულირებად მსოფლიო ფინანსურ ბაზრებთან გამოთხოვებას კეინსი ჯერ კიდევ თავის 1926 წლის ესეში „Laisser-faire-ს დასასრული“ ითხოვდა. მან პრაქტიკულადაც შეიტანა წვლილი მსოფლიო ბაზრის წესების შექმნაში. სხვათა შორის, ის მონაწილეობდა ბრეტონ-ვუდსში გამართულ კონფერენციაში, სადაც შემუშავდა მსოფლიო ფინანსური ბაზრების წესრიგის პროექტი, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში სტაბილურობას უზრუნველყოფდა. და ახლა ეს საკითხი კვლავ მსოფლიო დღის წესრიგშია. ლონდონის 2009 წლის აპრილის ეკონომიკურად უმნიშვნელოვანესი 20 ქვეყნის (G20) შეხვედრა მეორე ბრეტონ-ვუდსად განხილებოდა. ამ მიმართულებით იქ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: გადაწყვდა ჰეჭ-ფონდებისა და სარეიტინგო სააგენტოების მსოფლიო რეგულირება და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური სტაბილურობის ფორუმი შეიქმნა.

დამატებითი
ლიტერატურა:
*Michael Dauderstädt
(2009), Krisenzeiten:
Was Schulden
vermögen und
was Vermögen
schulden, Friedrich-
Ebert-Stiftung
(Hg.), Bonn.*

რა გზას გვთავაზობს კეინსი კრიზისიდან თავის დასაღწევად? კონიუნქტურული რყევები, როგორც წესი, საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის საშუალებით უნდა იმართებოდეს. შესაბამისად, 2008 წლის კრიზისის საპასუხოდ, მთელი მსოფლიოს ცენტრალურ ბანკებში დაიწია პროცენტებია. კრიზისის სიმძიმის გამო ამ ღონისძიებას ჩვეული ზემოქმედება კი არ ჰქონია, არამედ დაიწყო ფულის დაგროვება, როგორც ამას კეინსი განსაკუთრებულად მძიმე კრიზისების დროს ნინასწარმეტყველებდა. იმისათვის, რომ კერძო ინვესტიციებისა და მოხმარების დეფიციტის შედეგები დაიძლიოს, დავალიანების დასაფარავად კეინსი სახელმწიფო ინვესტიციებს იხმობს. ბევრმა ქვეყანამ 2008 და 2009 წლებში რეაგირება სწორედ მოთხოვნის სტიმულირების კეინსისეული კლასიკური პოლიტიკით მოახდინა, რაც სახელმწიფო ხარჯების არნახულ ზრდასა და მოსახლეობის ფართო მასების მსყიდველობითი უნარის უზომო გაძლიერებას გულისხმობდა. მას შემდეგ, რაც აშშ-ში, ჩინეთსა და ევროპულ სახელმწიფოებში ნაწილობრივ უკვე გადაწყვდა კონიუნქტურული პაკეტების საკითხი, ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნების (G20) უმაღლესი დონის შეხვედრაზე 2009 წლის აპრილში მიღწეულ იქნა შეთანხმება, მსოფლიო ეკონომიკაში ჩადებულიყო 1,1 მილიარდი აშშ დოლარი მისი სტიმულირების მიზნით. დიდი ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატმა ფინანსთა მინისტრმა ალსტერ დარლინგმა თავისი მთავრობის ეკონომიკური პაკეტის პრეზენტაციის დროს მკაფიოდ მიანიშნა კეინსის თეორიაზე.

გერმანიის
ეკონომიკის
კვლევის
ინსტიტუტების
კლასიფიკაცია

ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტები ხშირად წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კონკრეტულ ფუნდამენტულ მიმართულებას (ორიენტირებულს მიზოდებაზე ან მოთხოვნაზე) და მათი ორიენტაცია ერთ-ერთ აღნიშნულ თეორიას ესადაგება. გერმანიის ეკონომიკის კვლევის

ხუთი დღდი ინსტიტუტის კლასიფიკაციაც ამ პრინციპითაა შესაძლებელი – „მიწოდებაზე ორიენტირებული“ ან „მოთხოვნაზე ორიენტირებული“. რთულია მათი კვლევების ეკონომიკური პოლიტიკის განსჯის პროცესზე გავლენის უგულებელყოფა. ამდენად, საჭიროა მათი ეკონომიკური საფუძვლების ცოდნა და ამის გათვალისწინება მათ მიერ წარმოდგენილი ანალიზისა და რეკომენდაციების განხილვისას. ამასთანავე, ხუთივეს ერთად მუშაობაც უწევს, პირველ რიგში, როდესაც საჭიროა ეკონომიკური პროგნოზების შემუშავება, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველია და მრავალი წარმოების დაგეგმვაზე ახდენს გავლენას.

- ეკონომიკის კვლევის გერმანული ინსტიტუტი (DIW) ბერლინში, ხელმძღვანელი – პროფ. კლაუს ციმერმანი, www.diw.de, უფრო მეტად მოთხოვნაზე ორიენტირებული;
- ჰალეს ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი (IWH) ჰალეში, ხელმძღვანელი – პროფ. ულრიჰ ბლუმი, www.iwh-halle.de, უფრო მეტად მიწოდებაზე ორიენტირებული;
- მსოფლიო ეკონომიკას ინსტიტუტი (IfW) კილში, ხელმძღვანელი – პროფ. დენის ი. სნოუერი, www.ifw.de, მიწოდებაზე ორიენტირებული;
- ეკონომიკის კვლევის რაინ-ვესტფალიის ინსტიტუტი (RWI) ესენში, ხელმძღვანელი – პროფ. კრისტოფ მ. შმიდტი, www.rwi-essen.de, მიწოდებაზე ორიენტირებული;
- ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი (ifo) მიუნხენში, ხელმძღვანელი – პროფ. ჰანს-ვერნერ ზინი, www.ifo.de, მიწოდებაზე ორიენტირებული და ამ ხუთი ინსტიტუტიდან ბაზართან მიმართებით ყველაზე ლიბერალური.

აქვე უნდა აღინიშნოს მიწოდებაზე ორიენტირებული „ეიოლნის გერმანული ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი“ (IW, ხელმძღვანელი: პროფ. დოქ. მიჰაელ ჰიუტერი, www.iwkoeln.de), რომელიც ახლოს დგას დამსაქმებლებთან, ასევე დაახლოებულია პროფესიონერებთან, მოთხოვნაზე ორიენტირებული ინსტიტუტი „WSI“ (ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ხელმძღვანელი: პროფ. დოქ. ჰაუკი, www.wsi.de) და მასთან არსებული „IMK“ (მაკროეკონომიკისა და ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი, ხელმძღვანელი: დოქ. გუსტავ ჰერნი).

მიწოდების პოლიტიკა	მოთხოვნის პოლიტიკა
ძირითადი იდეა	მენარმეებისთვის შეძლები-სადაგვრად ხელსაყრელი პირობების შექმნა, როდე-საც ისინი კარგი მოგების მიღებას შეძლებენ
აზროვნების ტრადიცია	ადამ სმიტი, დევიდ რიკარ-დო, ჯონ სტიუარტ მილი
სახელმწიფო ალქმა	პასიური სახელმწიფო
ხელფასებისა-დომი მიღვომა	ხელფასები გადამწყვეტი ფაქტორია.
ცენტრალური ბანკის როლი	უნდა უზრუნველყოს ვალუტის სტაბილურობა.
დამახასიათე-ბელია პერიოდისთვის	1980-იანი წლებიდან
ინსტიტუტები	ჰალეს ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი (IWH) მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი (IfW) ეკონომიკის კვლევის რაინ-ვესტფალიის ინსტიტუტი (RWI) ეკონომიკის კვლევის ინ-სტიტუტი (ifo) კიოლნის გერმანული ეკო-ნომიკის კვლევის ინსტი-ტუტი (IW)
	დასაქმებისა და კონიუნქ-ტურის სახელმწიფოს მიერ მართვით ქვეყნის ეკონომი-კაში უწყვეტი მოთხოვნის უზრუნველყოფა
	ჯონ მეინარდ კეინსი
	აქტიური სახელმწიფო
	ხელფასები მოთხოვნის ფაქტორია და პროდუქტი-ულობასთან ერთად უნდა იზრდებოდეს.
	უნდა უზრუნველყოს ვალუტის სტაბილურობა და წლილი უნდა შეიტანოს დასაქმებისა და ეკონომიკის მუდმივი ზრდის საქმეში.
	1930-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე, ხელმიტებად მომძლავრდა 2008 წლიდან.

დაძაბულობა ბაზარს, ხმის უფლებას, რეგულირებასა და პოლიტიკურ მართვას შორის

ფუძემდებლური ეკონომიკური პოლიტიკის თეორიების განხილვის შემდეგ ისმება კითხვა, თუ როგორ შეუძლია მათზე დაყრდნობით თანამედროვე ღირებულებებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალური დემოკრატიის მშენებლობა. პასუხის მისაღებად მომდევნო ორთავში წარმოდგენილია ერთგვარი გზამკვლევი სოციალური დემოკრატიის ორიენტირების შესახებ. ამ ადგილას საჭიროა მინიშნება დაძაბულ ურთიერთობებზე, რომლებიც სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისის შესაბამისად უნდა დაბალანსდეს (შდრ. მაიერი, 2005გ: 67).

1. პროდუქტიულობა და ზრდა versus სოციალური სამართლიანობა და უსაფრთხოება

სმიტისა და მარქსის აღწერის თანახმად, საკუთარი ინტერესებისა და საკუთრებისკენ სწრაფვა დიდი რაოდენობის ძალებს ათავსისუფლებს. ბაზრისა და კონკურენციის წყალობით შეზღუდული რესურსები იქით მიედინება, სადაც მათი გამოყენება ყველაზე პროდუქტიული იქნება. ეს პროცესი უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე გეგმურ ეკონომიკას შეეძლო.

მეორე მხრივ, ბაზარი არათანაბარ გადანაწილებას წარმოშობს და თავისი ციკლური მერყეობითა და კრიზისებისადმი მიდრეკილებით, კეინსის აღწერის თანახმად, სტრუქტურულად არასტაბილურია. ამდენად, ბაზრები იმგვარ პოლიტიკურ ჩარჩოში უნდა მოექცეს, რომელიც ხელს შეუწყობს კრიზისების შეზღუდვას. სოციალურმა სახელმწიფომ ბაზრის რისკებისგან ადამიანების დაცვა უნდა უზრუნველყოს. პროგრესული (ანუ შემოსავალთან ერთად მზარდი) საშემოსავლო გადასახადების, აგრეთვე მემკვიდრეობისა და ქონების გადასახადების საშუალებით უნდა დამყარდეს სამართლიანი გადანაწილება. ხარჯების, საგადასახადო და საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით უნდა მართოს სახელმწიფომ კონიუნქტურული რყევები. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს უნდა იმატოს სახელმწიფო ხარჯებმა, რათა მოხმარების სტაბილურობა შენარჩუნდეს და ხელსაყრელი კრედიტების საშუალებით მოსახლეობაში საინვესტიციო მზაობა გაღვივდეს.

2. მოქნილობა და ინოვაცია versus დაქირავებით დასაქმებულთა დაცვა და ფართო სოციალური უსაფრთხოება

ბაზრის,
დემოკრატიისა
და სოციალური
თანადგომის
ბალანსი

ზრდა და
სამართლიანობა

მოქნილობა და
უსაფრთხოება

კონკურენციასა და შეჯიბრებას, ერთი მხრივ, ინოვაციასთან მი-
ვყავართ. ამასთანავე, ვარდნები და კრიზისები, რომლებიც, მეორე
მხრივ, მათ თან სდევს, დასაქმებულთა განთავისუფლებისგან დაცვი-
სა და სოციალური მომსახურების საშუალებით უნდა შემსუბუქდეს.
ღრმა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, მაგალითად,
რურის ოლქის კრიზისში მყოფი სამთო-მომპოვებელი მრეწველო-
ბის შემთხვევაში, მხოლოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის
გამიზნული სტრუქტურული პოლიტიკითაა შესაძლებელი.

საკუთრება და სოციალური თანამონაწილეობა

3. საკუთრება და კონკურენცია versus სოციალური თანამონაწილეობა და რეგულირება

ყველა ეკონომიკურმა წყობამ, რომლებიც ძირიფესვიანად უარყოფდა
საწარმოო საშუალებებზე საკუთრების უფლებასა და კონკურენ-
ციას, კრახი განიცადა. ყოველი წარმატებული ეკონომიკური წყობა
საკუთრებასა და კონკურენციას ეფუძნება. თუმცა ეს არ ათავი-
სუფლებს საკუთრებას სოციალური პასუხისმგებლობისგან. ძირითა-
დი კანონის მე-14 მუხლი ამბობს: „საკუთრება და მემკვიდრეობის
უფლება გარანტირებულია. [...] საკუთრება ავალდებულებს. იმავ-
დროულად, მისი გამოყენება საზოგადოების კეთილდღეობას უნდა
ემსახურებოდეს.“ იმისთვის, რომ ბაზარზე უზრუნველყოფილი იყოს
სამართლიანობა და თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული მოთა-
მაშების უპირატესობა, საჭიროა კონკურენციის რეგულირება.

4. წარმოების ავტონომიური ფუნქცია versus ხმის უფლება და პოლიტი- კური სტრუქტურირება

საკუთრების სამართლიდან გამომდინარეობს პირის უფლება,
ჰქონდეს წარმოება. საწარმოებში გადაწყვეტილებას მხოლოდ კაპი-
ტალის მესაკუთრები კი არ უნდა იღებდნენ, არამედ ისინიც, ვინც
თავისი შრომით ღირებულების შექმნის პროცესში მონაწილეობს.
ამიტომ მეწარმის გადაწყვეტილება ხმის უფლების გათვალისწინებით
იზღუდება.

აქედან გამომდინარეობს ოთხი განზომილება:

- პოლიტიკური სტრუქტურირება
- ბაზრის ლოგიკის დაცვა
- თანამონაწილეობისა და ხმის უფლებები
- მაკროეკონომიკური რეგულირება.

ეკონომიკური პოლიტიკის ოთხი განზომილება

მთლიანობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური დემოკრატიის ღირებულებებზე დამყარებულ ეკონომიკურ წყობაში ბაზრის ლოგიკის დაცვა გარკვეული პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში შეიძლება. საკუთრება ავალდებულებს; იმავდროულად, ის საზოგადოების კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამის უზრუნველყოფა საწარმოო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არა მარტო კაპიტალის მესაკუთრეების, არა-მედ დამსაქმებლების თანამონაწილეობით არის შესაძლებელი. ზოგადი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ხდება მაკროეკონომიკური რეგულირების საშუალებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავისი საბიუჯეტო და საპროცენტო პოლიტიკით გავლენას ახდენს სტაბილურ ზრდასა და მაღალ დასაქმებაზე.

რას ნიშნავს ეს სოციალური დემოკრატიისთვის?

- ის, ვინც ეკონომიკური საკითხებით ინტერესდება, უნდა გაეცნოს სხვადასხვა თეორიულ საფუძველს და მას უნდა შეეძლოს იდეოლოგიების იდენტიფიცირება.
- სოციალური დემოკრატია არა ერთ, არამედ რამდენიმე თეორიულ მიდგომას იყენებს.
- თუმცა ცენტრში მართვადი კაპიტალიზმი დგას, როგორც ამას კეინსი ითხოვდა.
- სოციალური დემოკრატია იზიარებს ასევე კაპიტალიზმის მარქსისტულ კრიტიკას და სმიტის მიერ აღწერილ ბაზრის ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას.
- ასე რომ, ეკონომიკური წესრიგი კონკურენციასა და საკუთრებას უნდა ეფუძნებოდეს. თუმცა საჭიროა ბაზრების რეგულირება, სახელმწიფოს მხრიდან კრიზისების აქტიურად დაძლევა და ხმის უფლებისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.

3. სხვადასხვა ეკონომიკური სისტემა და ციონი

ამ თავში:

- საუბარია კაპიტალიზმისა და დემოკრატიას შორის არსებულ ურთიერთობებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, დაძაბულია და, მეორე მხრივ, – ურთიერთმხარდამჭერი;
- აღწერილია კაპიტალიზმის სხვადასხვა ტიპი, რომლებიც კოორდინირების დონით განსხვავდება;
- განმარტებულია ცნება „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“;
- განხილულია, თუ რა დადებით გავლენას ახდენს და რა ჩრდილოვანი მხარეები აქვს გლობალიზაციას სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით.

3.1. კაპიტალიზმი და დემოკრატია

განადგურებს
თუ არა
„სუპერკაპიტალიზმი“
დემოკრატიას?



გაანადგურებს თუ არა „სუპერკაპიტალიზმი“ დემოკრატიას? – ეს შეკითხვაა დასმული ეკონომიკური ჟურნალის, „Manager magazin“-ის, 2008 წლის მარტის ნომრის ყდაზე. იქვე კალიაა გამოსახული. მოწინავე სტატიაში აღნიშნულია, რომ გლობალიზებული საბაზრო ეკონომიკა⁵ დემოკრატიის დამაჯერებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. შემდეგ მოდის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ აღარ სჯერა ბევრ მოქალაქეს, რომ მათ გლობალიზებულ ეკონომიკაში მოგების ნახვა შეუძლიათ, ამის შედეგად კი ეკონომიკისა და პოლიტიკისადამი ნდობა კლებულობს.

ამგვარად, „Manager magazin“-ის სტატიაში დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზეა მსჯელობა.

5 საბაზრო ეკონომიკა თუ კაპიტალიზმი – არსებობს კი აზრობრივი განსხვავება? შინაარსობრივად ორივე ცნება საკუთრებასა და კანკურენციაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემას გულისხმობს. ზეპირ ლექსიკაში კი ხშირდ იკვეთა, რომ „საბაზრო ეკონომიკას“ უფრო ლიტერალური ეკონომიკურ სისტემის მხარდაჭერები იყენებენ, „კაპიტალიზმი“ კი უფრო ბაზრის ერიტრიუსები სარგებლობენ. ამ წიგნში ორივე ცნებას გამოვიყენებთ, რაც არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც რომელიმე კონკრეტული იდეოლოგისადმი მიღწეულება.

ისტორიულად დემოკრატიისა და კაპიტალიზმის წარმოქმნის პროცესები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. დემოკრატიები ხმირად თავისუფალი ბაზრების გაჩენასთან ერთად წარმოიშობოდა. მე-18 და მე-19 საუკუნეების ეპოქაში თავდაპირველად გაისმა მოწოდება პიროვნების თავისუფლებისა და ისეთი ეკონომიკური წყობისკენ, რომელიც კონკურენციასა და კერძო საკუთრებას დაეფუძნებოდა (შდრ. თავი 2, ადამ სმიტის თეზისების თაობაზე). ამ მოთხოვნასთან ერთად გაჩნდა მისწრაფება სამართლებრივი გარანტიებისა და სავალდებულო ძირითადი უფლებებისკენ, აგრეთვე პოლიტიკური თანამონანილეობისა და ხელისუფლებაში მოქალაქეთა წარმომადგენლობის მოთხოვნა. ახალი დროს პირველი დემოკრატია წარმოიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ეს მოხდა დევიზით „No taxation without representation“ (არავითარი დაბეგვრა ხელისუფლებაში წარმომადგენლობის გარეშე), რაც ეკონომიკური ჩართულობისა და პოლიტიკური თანამონანილეობის ერთობლიობას გულისხმიბდა. 1989 წლის შემდეგ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებშიც ეკონომიკური ლიბერალიზმი და დემოკრატიზაცია ხელიხელჩაკიდებულები მიაპიჯებდნენ.

დღიდ ხნის განმავლობაში ერთმნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები, პრინციპები, ეკონომიკურად უფრო წარმატებული იყვნენ, ვიდრე არადემოკრატიული რეჟიმები. დასავლეთის აყვავება და აღმოსავლეთი ბლოკის ეკონომიკური კრახი ვითომდა ამყარებდა ამ მოსაზრებას. ამასობაში წარმოიშვნენ არადემოკრატიული სახელმწიფოებიც, რომლებმაც გამოავლინეს მაღალი ეკონომიკური ზრდა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ჩინეთი, რომელიც ეკონომიკურად მას შემდეგ ვითარდება, რაც 1970-იანი წლების ბოლოდან კაპიტალისტურ ქვეყნად იქცა, თუმცა ამ პროცესის პარალელურად არ ხდება მისი დემოკრატიზაცია. ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მაგალითზედაც ვერ ვხედავთ (ჟერ?) ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაციის სინქრონულ სვლას. ამას ადასტურებს „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების“ ინდექსი, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება და ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების კლასიფიკაციას ახდენს. აქ ეკონომიკური თავისუფლების კუთხით პირველ ადგილებზე ჰონკონგი და სინგაპური იმყოფებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ (კვლავ?) არსებობენ ავტორიტარული კაპიტალისტური სისტემის მქონე სახელმწიფოები. თუმცა ყველა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება.

ამასთანავე, დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის არსებული ურთიერთობა სულაც არ არის თავისუფალი დაძაბულობისგან. დემოკრატიის საფუძველი თანასწორობაა: „one man, one vote“ – ყველა ხმას თანაბარი წონა აქვს. საბაზრო ეკონომიკა კი უთანასწორობას ეფუძნება. კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაში გამომცხვარი „ორცხობილა“ სხვადასხვა

ისტორიულად
გადაჯაჭვულები:
დემოკრატია და
კაპიტალიზმი

არიან კი
დემოკრატიული
სახელმწიფოები
ეკონომიკურად
უფრო
წარმატებული?

კაპიტალიზმსა
და დემოკრატიას
შორის დაძაბული
ურთიერთობა

სიდიდის ნაჭრებად იყოფა. მართალია, სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს მის გადანაწილებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა თანაბარი სიდიდის ნაჭერს მიიღებდა, რაც ყველანაირ სტიმულს მოსპობდა.

უთანასწორობას
შეუძლია
„დეფექტური
დემოკრატია“
ნარმოშვას

უთანასწორობას შეუძლია მიგვიყვანოს ასევე სიტუაციამდე, როდესაც ეკონომიკურად ძლიერ მოთამაშებს ისეთი მყარი პოზიცია უკავიათ, რომ ძალუდა გამოიყენონ ვეტოს უფლება, რაც „დეფექტურ დემოკრატიას“ წარმოშობს. პოლიტოლოგი ვოლფგანგ მერკელი ამ ცნების განმარტებას გვთავაზობს: „დეფექტური დემოკრატიები იმ სისტემების ბატონობაა, რომელთაც, პრინციპიში, ახასიათებთ ქმედითი დემოკრატიული არჩევნების რეჟიმი, რომლითაც რეგულირდება ბატონობის ხელმისაწვდომობა, მაგრამ რომლებიც ერთი ან რამდენიმე დანარჩენი ქვესისტემის მოქმედების ლოგიკის ხარვეზების გამო კარგავენ დამატებით საყრდენს, რომელიც შემდგარ დემოკრატიაში თავისუფლებას, თანასწორობასა და კონტროლს უზრუნველყოფს“ (მერკელი და სხვები, 2003: 66).

დემოკრატიის
ხელის შემშლელი
ფაქტორები

ეს იმას ნიშნავს, რომ იმართება არჩევნები და არსებობს დემოკრატიის სხვა ელემენტები, თუმცა მათ ხელის შექმლელი ფაქტორები აუკრიბდებას. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ერთ-ერთი მოთამაშე ეკონომიკურად იმდენად ძლიერია, რომ მას ძალუბს კოლექტურ გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადება. წარმოიდგინეთ ინგესტორი, რომელსაც შეუძლია დააშანტაჟოს საზოგადოება წარმოების განთავსების ადგილის გამო, დაემუქროს მას კაპიტალის გატანით, რათა მიაღწიოს პოლიტიკურ შეღავათებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი თუ შრომითი სტანდარტების შესუსტება. ეს დემოკრატიული პრინციპების დარღვევა იქნებოდა.


დემოკრატიისა
და საბაზრო
კაპიტალიზმის
ურთიერთდამო-
კიდებულებათ.
მასერის თეორიის
მიხედვით

ამ სერიის პირველ გამოცემაში 62-ე-66-ე გვერდებზე და 89-ე გვერდიდან განიხილება დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა თომას მაიერის სოციალური დემოკრატიის თეორიის საფუძველზე.

45-ე გვერდზე მოცემული სურათი დემოკრატიის პარადოქსს ასახავს: ერთი მხრივ, კაპიტალიზმი დემოკრატიის წინაპირობაა, მეროვ მხრივ კი, არასაკმარისად რეგულირებულ ბაზარს შეუძლია ისეთი პირობები შექმნას, რომლებიც თანამონაწილეობის პრინციპს ეწინააღმდეგება, და, ამდენად, დეფექტური დემოკრატია წარმოშვას.

მილტონ ფრიდმანი:
საბაზრო
ეკონომიკისა
დემოკრატიასთან
მივყავართ

ამ დიფერენციაციასა და რისკებში, რომლებიც კაპიტალიზმს დემოკრატიისთვის მოაქვთ, მდგომარეობს სოციალურ დემოკრატიასა და ლიბერტარიულ დემოკრატიას შორის განსხვავება. ლიბერტარიანები ეკონომისტების თვალსაზრისით, როგორიცაა მილტონ ფრიდმანი, საბაზრო ეკონომიკას პოლიტიკურ თავისუფლებასა და დემოკრატიასთანაც მივყავართ.



სურ. 4: დემოკრატიის თეორიის პარადოქსი

ამასთანავე, მან თავად ნარმოადგინა ემპირიული საწინააღმდეგო მაგა-
ლითი. ბევრი თავისი კოლეგის გაოგნების მიუხედავად, 1970-იან წლებში
ფრიდმანი ჩილეს სასტიკი სამხედრო ხუნტის მრჩეველი გახდა. ფრიდ-
მანის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დიქტატორმა აუგუსტო
პი-
ნოჩეტმა ეკონომიკის უკიდურესი ლიბერალიზაცია მოახდინა. თუმცა,
ლიბერტარიანელი ეკონომისტების მოლოდინის მიუხედავად, ამას სულაც
არ მოუტანია უფრო მეტი პოლიტიკური თავისუფლება, რომ არაფერი
ვთქვათ დემოკრატიზაციაზე. პირიქით, ეკონომიკურმა აღმავლობამ
დიქტატურის სტაბილიზება მოახდინა. ჩილე, ლათინური ამერიკის სხვა
სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე გვიან დაუბრუნდა დემოკრატიას.

როგორ ხდება, რომ კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის არსებუ-
ლი დაძაბული ურთიერთობა კვლავ იმსახურებს ყურადღებას და მის
შესახებ ეკონომიკურ ჟურნალებშიც კი მსჯელობენ? ამაზე პასუხს
ამერიკელი ეკონომისტი და კლინტონის მთავრობის შრომის ყოფილი
მინისტრი რობერტ რაიჰი თავის 2008 წელს გამოცემულ წიგნში „სუ-
პერკაპიტალიზმი – როგორ ასამარებს ეკონომიკა ჩვენს დემოკრატიას“
გვთავაზობს. ომისშემდგომი დროიდან 1980-იან წლებამდე პერიოდს
ის აღწერს, როგორც ზომიერი კაპიტალიზმის თითქმის ოქროს ხანას

საწინააღმდეგო
მაგალითი: ჩილე

თემის
„დემოკრატია და
კაპიტალიზმი“
აქტუალობა

(თითქმის, ვინაიდან ეს პერიოდიც იმსახურებს გარკვეულ კრიტიკას; ამ კონტექსტში რობერტ რაიჰი ეკონომიკაში ქალებისა და უმცირესობების თანამონაწილეების არასაკმარის შანსებს იხსენებს). ომისშემდგომი დროის დასავლეთ საზოგადოებებში შესაძლებელი გახდა მზარდი ცხოვრების დონისა და მინიმალური სოციალური სტანდარტების მიღწევა პროფესიუნარებს, დამსაქმებლებსა და მთავრობას შორის დამყარებული კონსენსუსის საფუძველზე. „Laisser-faire“ ეკონომიკის დროის წინა წლებთან შედარებით ეს უდიდესი წინსვლა იყო. გლობალიზებული ეკონომიკის „სუპერკაპიტალიზმში“ შემოსავლების მხრივ განსხვავება კვლავ იზრდება. დასაქმებულთა უფლებები და სოციალური სტანდარტები ისევ საფრთხის წინაშეა და დამსაქმებელთა სოციალური პასუხისმგებლობა კლებულობს. რობერტ რაიჰი მიღის ისეთივე დასკვნამდე, როგორამდეც დასაწყისში ციტირებული „Manager magazin“ და თომას მაიერი, და ამბობს: ბაზრის ცენტრიდანულ ძალებს დემოკრატიის დასამარება შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, რობერტ რაიჰი რეგულირების საშუალებით პაზრის შეზღუდვას და დასაქმებულთა უფლებების გაძლიერებას ემხრობა.

სუპერკაპიტალიზმი – რობერტ რაიჰის მიერ შექმნილი ტერმინი, რომელიც გლობალიზაციის პირობებში განვითარებულ კაპიტალიზმს აღწერს.

3.2. კოორდინირებული და არაკოორდინირებული კაპიტალიზმი

ამ წიგნის მე-2 თავში წარმოდგენილია ეკონომისტების – სმიტის, მარქსისა და კეინსის – ეკონომიკური სისტემების იდეალური ტიპები. რეალურ სამყაროში ეკონომიკური მოდელების სხვადასხვა შერეული ტიპი არსებობს. პიტერ ა. ჰოლი და დევიდ სოლკისი (2001) გამოყოფენ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ორ მოდელს, რომლებსაც ისინი თავიანთ წიგნში „კაპიტალიზმის ვარიაციები“ აღწერენ, როგორც არაკოორდინირებულ და კოორდინირებულ კაპიტალიზმს. ეს მიდგომა ეკონომიკური სისტემების გაანალიზებისა და შეფასების დიდ შესაძლებლობას გვაძლევს.

ამასთანავე, ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან შემდეგი განზომილებებით განსხვავდება:

- ფინანსური სისტემა
- შრომითი ურთიერთობები
- განათლებისა და ტრენინგის სისტემა
- საწარმოთა შორის ურთიერთობები.

არაკონორდინირებული კაპიტალიზმი

აღნიშვნული განზომილებებით ლიბერალური, არაკონორდინირებული კაპიტალიზმი შემდეგნაირად ხასიათდება:

- ფინანსური სისტემა: წარმოება მეტწილად კაპიტალის (აქციების) ბაზრის საშუალებით ფინანსდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებები მოქმედებენ აქციონერთათვის ღირებულების შექმნის პრინციპით (Shareholder-Value-Principle). ამასთანავე, კაპიტალის მესაკუთრეები მზად არიან, მოახდინონ ინვესტირება რისკის მქონე წარმოებებში და შეძლებისდაგვარად სწრაფი და მაღალი მოგების მიღებას იმედოვნებენ.
- შრომითი ურთიერთობები: შრომითი ურთიერთობები მეტწილად მოკლევადიანია („hire and fire“) და განთავისუფლებისგან დაცვა სუსტია. ხელფასების თაობაზე მოლაპარაკებები ინდივიდუალურად ან საწარმოს დონეზე მიმდინარეობს. დამასაქმებელთა ასოციაციები და პროფესიონალური საკმაოდ სუსტადაა განვითარებული.
- განათლებისა და ტრენინგის სისტემა: ძირითადად ზოგადი პროფილის სპეციალისტების მომზადება ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ განათლება იძლევა მეტწილად ზოგად კვალიფიკაციებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პროფესიებთან. ეს აადვილებს შრომის ბაზრის მობილურობას სხვადასხვა პროფესიულ სფეროს შორის, თუმცა იმავდროულად სპეციალური პროფესიული ცოდნის დეფიციტზე მიუთითებს.
- საწარმოთა შორის ურთიერთობები: ცოტაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული ფირმა (მაგალითად, როდესაც საწარმოები ერთობლივად არიან წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოებში) და მცირეა საწარმოთაშორისი თანამშრომლობა (მაგალითად, კვლევის სფეროში). დარგობრივი კავშირები უფრო საკუთარ კომპანიებს ლობირებენ და ნაკლებად ხელმძღვანელობენ მთელი საზოგადოების ინტერესებით.

ამ სისტემას შეუძლია მოქნილად და სწრაფად მოერგოს ბაზრის ცვლილებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების ეს მოდელი ხელს უწყობს ინოვაციურ მრეწველობას, თუმცა დასაქმებულისთვის ნაკლებად სტაბილური და უსაფრთხოა.

კონორდინირებული კაპიტალიზმი

კონორდინირებული კაპიტალიზმი შემდეგნაირად ხასიათდება:

ფინანსური
სისტემა

შრომითი
ურთიერთობები

განათლებისა
და ტრენინგის
სისტემა

საწარმოთა
შორის
ურთიერთობები

**ფინანსური
სისტემა**

- ფინანსური სისტემა: დაფინანსება ძირითადად საბანკო კრედიტების საშუალებით ხორციელდება. ეს უფრო „მომტმენი“ კაპიტალია, ვი-დრე Shareholder-Value მოდელში იყო, და შესაძლებელს ხდის გრძელვადიან ინვესტიციებს. თუმცა წარმოების დაფინანსების ეს ფორმა ართულებს კაპიტალის მოზიდვას იმ მოთამაშებისთვის, რომლებიც ბაზარზე ჯერ არ დამკვიდრებულან, მაგალითად, საწარმოების დამფუძნებლებისთვის. მენეჯმენტის კონტროლსა და შეფასებას, ბაზრის გარდა, სხვა მოთამაშებიც ახდენენ, კერძოდ, ბანკები, დასაქმე-ბულები და სახელმწიფოს წარმომადგენლები (Stakeholder-Model).

**შრომითი
ურთიერთობები**

- შრომითი ურთიერთობები: ხელფასების თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს კოორდინირებულად არა ცალკეული ფირმების, არამედ დარგების დონეზე (საერთო სატარიფო ხელშეკრულებები). შრომითი ურთიერთობები მეტილად გრძელვადიანია. სტაბილურობა და სოციალური თანასწორობა ურთიერთდაკავშირებულია. არსებობს კარგად ორგანიზებული დამსაქმებელთა კავშირები და პროფესიონალი, ასევე გათვალისწინებულია საწარმოს მართვაში დასაქმებულთა მონაწილეობა.

**განათლებისა
და ტრენინგის
სისტემა**

- განათლებისა და ტრენინგის სისტემა: განათლების მოდელი ფირმებისთვის დამახასიათებელ და დარგობრივ კვალიფიკაციებს აერთიანებს და მას მხარს უჭერენ დამსაქმებელთა და დასაქმე-ბულთა სათავო ორგანიზაციები (განათლების დუალური სისტემა). ამდენად, ხდება ფირმებისა და დარგებისთვის დამახასიათებელი პროფესიული ცოდნის გავრცელება.

**საწარმოთა
შორის
ურთიერთობები**

- საწარმოთა შორის ურთიერთობები: ხშირად საწარმოები ერთმანეთთან ურთიერთგადაჯაჭვებული კაპიტალის საშუალებით არიან დაკავშირებული. დარგობრივი კავშირები პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

კოორდინირებული კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია მაღალი სტაბილურობა და ნაკლები დინამიკა და მოქნილობა, ვიდრე არაკოორდინირებული კაპიტალიზმისათვის. ამ სისტემაში არსებული საწარმო ხაზები და პროცესები უწყვეტად და თანდათანობით იცვლება. ინოვაციები პატარა ნაბიჯებით მკვიდრდება. სისტემა ახალ გარემოებებს ნელა ეგუება.

გამიჯვნის აზრი

ორივე სისტემას აქვს სპეციფიკური ღირსებები და ნაკლოვანებები. პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის კუთხით არცერთ მოდელს არ აქვს განსაკუთრებული უპირატესობა. გამიჯვნა ხელს უწყობს მოდელების უკეთ გაგებას ორი მიზეზის გამო:

1. ანალიტიკური თვალსაზრისით: ამ სქემით შესაძლებელია განიმარტოს, თუ რატომ წარმოიშობა წარმოების განსხვავებული მოდელები.

ანგლოსაქსური ქვეყნები თავიანთი მოქნილი შრომის ბაზრითა და ვენერული კაპიტალის მარტივი ხელმისაწვდომობით ხელს უწყობენ ინოვაციურ მრეწველობას, მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ფირმები, კერძოდ, Google, Microsoft და ზოგიერთი „სტარტაპ-კომპანია“, აშშ-ში წარმოიშვნენ. კოორდინირებული კაპიტალიზმის ქვეყნებს, როგორებიც არიან შევდეთი და გერმანია, აქვთ მაღალკუნძულისა და მაღალკუნძულის მაგალითად, საავტომობილო დარგში ან მანქანათმშენებლობაში. იქ ინარმოება საქონელი, რომელიც დიდ კაპიტალდაბანდებებს და საკმაოდ გრძელვადიან დაგეგმვას მოითხოვს. წარმოების ამ სფეროებში საჭიროა არა ძირული ინოვაციები, არამედ მუდმივი გაუმჯობესება. ამ პირობებში უპირატესობა იმ რეგიონებს ენიჭებათ, სადაც არის კვალი-ფიციური სამუშაო ძალა, რომელიც დიდხანს ჩრება საწარმოში, და სადაც ხელმისაწვდომია „მომთმენი“ კაპიტალი.

2. ნორმატიული თვალსაზრისით ეს მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება. სოციალური დემოკრატიის ლირებულებები მეტნილად კოორდინირებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ხორციელდება. გრძელვადიანი შრომითი ურთიერთობები დასაქმებულებს მეტ დაცულობას სთავაზობს, ვიდრე „hire-and-fire“ (დასაქმე და დაითხოვე) საბაზრო ურთიერთობები. საწარმოები, რომლებიც გრძელვადიან ინვესტიციებს ახორციელებენ და არ აქვთ გათვლა მოკლევადიან მოგებაზე, ასევე ხელს უწყობენ სტაბილური შრომითი გარემოს შექმნას.

ნორმატიული
დონი

სოციალური საბაზრო ეკონომიკა. კოორდინირებული კაპიტალიზმის გერმანული ვარიანტის ალსანიშავად ომისშემდგომი დროიდან დამკვიდრდა ცნება „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, ან „რაინის კაპიტალიზმი“, გერმანიის ფედერაციული რესუბილიკის მთავრობის ყოფილი რეზიდენციის ადგილსამყოფლის მიხედვით. სოციალური საბაზრო ეკონომიკა იყო რეაქცია ინდუსტრიალიზაციის სოციალურ გადახრებზე, ერთი მხრივ, და ნაცისტური დიქტატურის საშინელებებზე, მეროკ შერივ. ეს არის ცდა, მოიძებნოს მესამე გზა დაუმორჩილებელ კაპიტალიზმსა და სოციალისტურ ეკონომიკურ წყობას შორის. მათ უკანასკნელს ომისშემდგომ დროიში პქონდა საკანონმდებლობა და მიღებული ინიციატივით კანონი არ განსაზღვრავდა კონკრეტულ ეკონომიკურ წყობას. მე-15 მუხლით დაშვებულია საწარმოო სამსახურებათა ნაციონალიზაცია. პარტიებიც ნაწილობრივ კრიტიკულად იყნენ განწყობილი კაპიტალიზმის მიმართ: ქდე-ის ჩრდილოეთ ეკსტრალიის განყოფილება 1947 წელს მიღებულ აღენის პროგრამაში „ქრისტიანულ სოციალიზმს“ ემსრიბიდა, ხოლო გსდპ მომპოვებელი მრეწველობის ნაცონალიზაციას მოითხოვდა. ამდენად, სოციალური საბაზრო ეკონომიკა იყო ცდა, საბაზრო ეკინომიკა და დემოკრატია გერმანელი მოსახლეობის თვალში მომზიბლავი გამხდარიყო.

ეკონომისტი ალფრედ მიულერი-არმაგი, რომელმაც მნიშვნელოვან-ნილად ჩამოაყალბა კონცეფცია და აღიაშნული ცნება, თავის 1947 წელს გამოცემულ წიგნი „ეკონომიკის მართვა და საბაზრო ეკო-ნომიკა“ შემდეგ განმარტებას გვთავაზობს:

„ჩვენ ვსაუბრობთ „სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე“, რათა გა-ნისაზღვროს ეს მესამე ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმა. ეს ისას ნიშნავს. [...] რომ საბაზრო ეკონომიკა გვესახება, როგორც მომა-ვალი ეკონომიკური წყობის მზიდა კანკალების, ოღულისხმიბა არა თვითდინებაზე მიშვებული ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა, არამედ გაცნობიერებულად რეგულირებული, და კერძოდ, სო-ციალური კუთხით რეგულირებული საბაზრო ეკონომიკა.“ (მიუ-ლერი-არმაგი, 1947: 88)

კონკრეტულად პრაქტიკაში ეს ნიშნავს კონკურენციას, თავისუ-ფალ ფასარმოქმნას და სანარმოო საშუალებების კერძო მფლო-ბელობას, ერთი მხრივ, და სოციალურ თანასწორობას სოციალური დაზღვევისა და პროგრესიუბადი დაბეგვრის საშუალებით, მეორე მხრივ: ამასთანავე, სახელმწიფოს რილი ზუსტად არ გაისაზღვრე-ბოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო შეზღუდულად ერო-და, მაგალითად, იმ შემთხვევებში, თუ საჭირო იყო მონოპოლიების წარმოქმნის თავიდან აცილება. 1970-იანი წლებიდან სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე, მათ შორის, კონიუნქტურულ პოლიტიკაზე, გაიზარდა.

რაინის კაპიტალიზმი საერთაშორისო მოწონება დაიმსახურა, ვი-ნაიდან მან შექმნო ეკონომიკისა და დასაქმების ზრდის შერწყმა მზარდ სოციალურ სახელმწიფოსთან. სხვა ევროპული ქვეყნებიც ესწრავებიან ამ მოდელს. ლისაბორის ხელშეკრულება სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ევროკავშირის მიზნად განსაზღვრავს.

ლუდვიგ ერპარტის დაპირება „კეთილდღეობა ყველასთვის“ ვერ შეეხო ყველა მოქალაქეს, ვინაიდნ ისეთმა ფაქტორებმა, რო-გორებიცა 1970-იანი წლების ნავთობის კრიზისები და გერმანიის გაერთიანება, ახალი სოციალური პრიბლებები წარმოშვა, განსა-კუთრებით შრომის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, მოხერხდა ფართო საშუალო ფერის შექმნა, რომელმაც მნიშვნელოვანილად მოახდინა ახალგაზრდა დემოკრატიის სტაბილიზება.

ამასობაში ცნების პოპულარობამ მისი გარკვეულად თავისუფალი ინტერპრეტირება გამოიწვია. რომებაზეც ტესტის მსგავსად, ის სრუ-ლიად განსხვავებული კოცეფციების საშუალებით განიძარტება.

გერმანიის გაერთიანებული პროფესიონების ძირითად პროგრა-მაში სოციალურ საბაზრო ეკონომიკა დახსასიათებულია, როგორც „დიდი ისტორიული პროგრესი“. მეტალურგიული დარგის დამ-საქმებელთა კავშირის მიერ დაარსებულ ერთ-ერთ ორგანიზაციას კი „ინიციატივა – ახალი სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ ჰქვია. ამდენად, ამასობაში თითქმის ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა იშველიებს სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, თუმცა, ამასთანავე, სრულიად სხვადასხვაგვარად განმარტავს სოციალურ პოლიტიკას, რეგულირებასა და საბაზრო ეკონომიკას შორის არსებულ ბალანსს.

3.3. ახალი ზოგადი გარემო გლობალზაციის პირობებში

2006 წელს გამოიცა წიგნი „ბრტყელი სამყარო“. რა იგულისხმება ამ მეტა-ფორმაში? ავტორი თომას ფრიდმანი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ გლობალზაციის დაწყებასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკა შევიდა ახალ ეპოქაში, რომელშიც უზომოდ გაიზარდა გლობალური კონკურენცია. ქვეყნების ეკონომიკებს მხოლოდ შეზღუდულად აქვთ თავის დაცვის შესაძლებლობა. გლობალური კონკურენციის სათამაში მინდორი გასწორებულია – ის ბრტყელია. ფრიდმანი გლობალზაციის რამდენიმე მამოძრავებელ ძალას გამოყოფს:

- 1950-იანი წლებიდან სავაჭრო შეზღუდვები ეტაპობრივად უქმდება საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) (და მისი წინამორბედის – ტარიფებისა და ვაჭრობის ენერალური შეთანხმების (GATT)) ხელშეკრულებებმა შეამცირეს საბაჟო გადასახადები და გააუქმეს შეზღუდვები იმპორტზე. 1970-იანი წლებიდან ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსები საკმაოდ თავისუფალი გახდა. ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის რეგიონული ზონებისა და თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული შეთანხმების (NAFTA) (აშშ, კანადა და მექსიკა) შიგნით პრაქტიკულად ყველა სავაჭრო შეზღუდვა მოხსნილია. ისეთ გაერთიანებებს, როგორებიც არიან მერკოსური ლათინურ ამერიკაში და ასეანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მსგავსი განზრახვა აქვთ.
- თუ წარსულში მსოფლიო ბაზრებზე ევროპა, აშშ და იაპონია იყვნენ გაბატონებული, დღეს კონკურენციაში სულ უფრო მეტი ქვეყანა ერთვება. მას შემდეგ, რაც 1970-იანი წლებიდან ჩინეთი თანდათან ახორციელებს თავისი ჩაკეტილი გეგმური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნას და მსოფლიო ბაზარზე გადის, შეინიშნება მისი ეკონომიკის მაღალი ტემპით ზრდა და ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორი ხდება. 1989 წლის გარდაქმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები და აღმოსავლეთი ევროპაც გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს მსოფლიო ვაჭრობაში. ცოტა ხანში ინდოეთმაც დაიწყო თავისი პროტექციონისტული და საკმაოდ რეგულირებული ეკონომიკის ღიბერალიზაცია და ის ამჟამად ეკონომიკური ზრდის კუთხით ჩინეთის მონაცემებს უახლოვდება. ამდენად, გლობალურ კონკურენციაში ორ მილიარდზე მეტი ადამიანია ჩართული.
- ამ ორივე პოლიტიკურად მოტივირებულ პროცესს ტექნიკური ინოვაციები აჩქარებს. საერთაშორისო სატელეფონო საუბრების ხარჯები ბოკვანი ტექნიკის საშუალებით საგრძნობლად შემცირდა, რისი წყალობითაც აშშ-დან წარმოებული სატელეფონო ზარების მომსაზრება დღეს უკვე ინდოეთშია შესაძლებელი. ინტერნეტის მეშვეობით წამებში

გლობალიზაცია
– „ბრტყელი
სამყარო“

გლობალიზაციის
მამოძრავებელი
ძალა

1. სავაჭრო
შეზღუდვების
გაუქმება

2. გარდამავალი
ეკონომიკის
მქონე ქვეყნების
აღმასვლა

3. ტექნიკური
ინოვაციები

გადაიცემა შეკვეთები ჰამბურგიდან შანსაიში. პარიზში არსებული ფირმის პროგრამული უზრუნველყოფა ინდიქტის ქალაქ ბანგალორში ხდება. შეიძლება ბუღალტერიის ლონდონიდან პრაღაში გადატანა, თანამედროვე ლოგისტიკა შესაძლებელს ხდის რთული საწარმოო ჯაჭვის შექმნას, როდესაც ცალკეული ნაწილების წარმოება და ანყობა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილს ხდება, საბოლოო პროდუქტი კი დედამიწის ნებისმიერ წერტილში იყიდება. საზღვაო გადაზიდვების ხარჯები შემცირდა და თვითმფრინავით მგზავრობაც აღარ არის ფუფუნება.

გლობალიზა-
ციისგან
მოგებულები
ცოდნაზე
დამყარებული
ეკონომიკის
მქონე ქვეყნები
არიან

შედეგები
მაღალხარისხიანი
სამრეწველო
საქონლისათვის

შედეგები
მასობრივი
წარმოების
საქონლისათვის

ვინ არის გლობალიზაციისგან მოგებული? ყველაზე მაღალი მოგება ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნება ნახეს. აქ განვითარებულია მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის დარგები, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე უდიდესი გასავალი აქვთ. რატომ ხდება ასე? აიპოდის შემუშავება დიდ ხარჯებითაა დაკავშირებული, მაგრამ საკმაოდ მცირე საცალო ხარჯის წყალობით შესაძლებელი ხდება მისი მილიონობით ეგზიმპლარის გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე. ადგილობრივ, შეზღუდულ ბაზარზე ამ პროდუქტის შემუშავება, სავარაუდო, ვერ აანაზღაურებდა განეულ ხარჯებს. წარმოებული პროგრამული უზრუნველყოფიდან, სიმღერიდან თუ კინოფილმიდან მიღებული მოგება მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია მისი გასაღების ბაზარი.

იგივე ეხება მაღალხარისხიან სამრეწველო საქონელსაც. ახალი ავტომობილის მოდელის შემუშავება დიდ დროს (ხუთი წლიდან ათ წლამდე პერიოდს) და ხარჯებს მოითხოვს. ახალი ტექნოლოგიები, მაგალითად, ჰიბრიდული ძრავა, მოგებიანი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც წარმოებული ავტომანქანების გასაღების დიდი ბაზარი იქმნება. საავტომობილო მრეწველობამ იაპონიასა და გერმანიაში, რომლებიც განვითარებაში უდიდეს ინვესტიციებს დებენ, გლობალიზაციის პირობებში წარმოუდგენელი მოგება ნახა. მთლიანობაში, გლობალიზაციით მოგებული ის ქვეყნები დარჩნენ, რომლებსაც განათლების მაღალი დონე აქვთ და მკვლევრებისა და შემოქმედი მეცნიერებისთვის მომხილავები არიან.

განსხვავებული მდგომარეობაა მასობრივი წარმოების საქონელთან მიმართებით. თუ, მაგალითად, ფაბრიკა მაისურებს უშვებს, ხარჯების ზრდა თითქმის პირდაპირპროპორციულია პროდუქციის მოცულიბის ზრდისა. მაღალი დონის განათლებიდან და ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე კონკურენციის უპირატესობას არ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, თუ საუბარია მარტივად წარმოებულ საქონელზე, რომლის შემთხვევაში კვლევა და შემუშავება დიდ როლს არ ასრულებს. ამიტომ მასობრივი პროდუქციის წარმოება თანდათან გადის მაღალი ანაზღაურების მქონე ქვეყნებიდან. იგი იმ ქვეყნებში ინაცვლებს, სადაც წარმოების ხარჯი მინიმალურია. ტექსტილის მრეწველობა ევროპაში ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი დარგი იყო. დღეისათვის ის მხოლოდ ზოგიერთ სეგმენტში შემორჩია, მაგალითად, დიზაინერული ტანსაცმლის სფეროში. მასობრივმა წარმოებებმა ინდიკირდა, პანგლადეშსა თუ ჩინეთში გადაინაცვლა.

ეს იმას ნიშნავს, რომ გლობალიზაციისგან მოგების ნახვა შეუძლიათ როგორც ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, რომლებიც გვთავაზობენ პროდუქციას, რომლის შემუშავება დიდ ხარჯებს ან შემოქმედებით მიღვომას მოითხოვს, ისე იმ ქვეყნებს, რომლებიც იაფად აწარმოებენ მასობრივ პროდუქციას. ასეც მოხდა: გერმანია, როგორც ექსპორტის მსოფლიო ლიდერი, ახდენს ძვირად ლირებული ავტომანქანებისა და ძირითადი სანარმოო საშუალებების ექსპორტს მთელ მსოფლიოში. იტალიელი და ფრანგი დიზაინერები ამზადებენ ძვირფას ტანსაცმელს მთელი მსოფლიოსთვის. ამერიკული საინფორმაციო ტექნოლოგიების ფირმები Google და Microsoft ჩინეთისა და რუსეთში ისევე ცნობილი არიან, როგორც თავის სამშობლოში. მეორე მხრივ, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მოგებიანია იაფი მასობრივი პროდუქციის იმპორტი: ტოსტერები, ნინდები, IKEA-ს ავეჯი, ე. ი. ყველაფერი, რაც ჩინეთში, აღმოსავლეთ ევროპაში და დაბალი ანაზღაურების მქონე სხვა ქვეყნებში იწარმოება, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაიაფდა მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით.

ამ პროცესს, ცხადია, ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს:

1. გლობალიზაციისგან საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირ მოგებას არ ნახულობს, ზოგიერთი სარგებელს საერთოდ არ იღებს, ზოგი კი მხოლოდ ზარალდება. ევროპის ტექსტილის ფაბრიკის თანამშრომლებისთვის მცირე ნუგებია ის ფაქტი, რომ მეზობელი საინფორმაციო ტექნოლოგიების ფირმა შეკვეთებს ვერ აუდის, თუ მისი ფაბრიკა იხურება, რათა სამომავლოდ დაბალი ანაზღაურების მქონე ქვეყანაში გადაინაცვლოს. მთლიანობაში, კეთილდღეობის მისატა როგორც მდიდარ, ისე განვითარებად ქვეყნებში. 1990 წლის შემდეგ მომდევნო ორ ათწლეულში შეინიშნება უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ჩინეთში 1970-იანი წლებიდან გაეროს კლასიფიკაცით დადგენილი სიღარიბის ზღვარი 400-მა მილიონმა ადამიანმა გადალახა, თუმცა მათ ხშირად მიუღებელ შრომით პირობებში უნევთ მუშაობა. ამავე დროს, კეთილდღეობის გადანანილება ისე უსამართლოდ ხდება, როგორც არასდროს. სულ უფრო იზრდება შემოსავლების დონეებს შორის განსხვავება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, თუმცა ეს მდიდარ სახელმწიფოებშიც ხდება.
2. მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რომელმაც რამდენიმე ათწლეულს გასტანა, რთული პროცესი იყო. ამასთანავე, ეს ეგრეთ წოდებული „ნეგატიური“ გლობალიზაცია, რომლის დროსაც რეგულირებები უქმდებოდა, ბევრად სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე „პოზიტიური“ გლობალიზაციის, ანუ ახალი, აუცილებელი სტანდარტების შემოღების პროცესი. მაგალითად, უკვე 15 წელია, ვერ ხერხდება კლიმატის ცვლილების შესახებ კიოტოს ოქმის რატიფიცირება ყველა სახელმწიფოს მიერ და ის ქვეყნებიც, რომლებმაც შესაბამისი ვალდებულებები აიღეს, ხშირად არ ასრულებენ მათ. საერთაშორისო სოციალური სტანდარტები, როგორიცაა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი დასაქმებულთა დაცვის ნორმები, არ არის სავალდებულო. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ გაეროს პაქტები სავალდებულოდ არის მიჩნეული, თუმცა რეალურად მათი უზრუნველყოფა არ ხდება. ამ ძირითადი უფლებების განხორციელებამდე დიდი გზაა გასავლელი.

მოითხოვს თუ არა
კონკურენციის
გამძაფრება
სოციალური და
გარემოსდაცვითი
სტანდარტების
დადაბლებას?

საწინააღმდეგო
მაგალითი:
სკანდინავია

მრავალჯერ გამოითქვა წუხილი, რომ გლობალიზაცია არის „race to the bottom“ (რბოლა ფსკერისკენ), ანუ შეჯიბრება უდაბლესი სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტებისთვის. ამ თეზის ენინააღმდეგება ის ფაქტი, რომ უმაღლესი სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების მქონე ქვეყნებს იმავდროულად ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკი აქვთ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან, პირველ რიგში, სკანდინავიური ქვეყნები თავისინთ სამაგალითო ეკოლოგიური ნორმებით და ყველაზე ფართო სოციალური სისტემებით, რომელიც ძალადი გადასახადებით ფინანსდება. ამდენად, დიდი ხარჯები არ უნდა იქნეს აღქმული კონკურენციის დაბრკოლებად, თუ მათ მიყვავართ ისეთ საუცხოო განათლების სისტემასთან და კვლევით მიღწეულებთან, შესანიშნავ ინფრასტრუქტურასთან, კორუუფისგან თავისუფალ და ეფექტუალ მმართველობასთან, აგრეთვე სოციალურ მშევრულებასთან, როგორიც ფინეტში, შვედეთში, ნორვეგიასა და დანიაშია. მაღალგანვითარებულ, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს შეუძლია მხარი დაუჭროს კონკურენტუნარიანობას და კეთილდღეობას ღია ბაზრების პირობებშიც. თუმცა ეს გარკვეულ გარემოებებზეა დამოკიდებული: თუ ქვეყნებში მაღალი ხარისხით მიღებული მოგება ვერ ფარავს ხარჯებს, მაშინ ისინი გლობალიზაციით წაგებული რჩებიან. და ბოლოს, ის ფაქტი, რომ უმაღლესი სტანდარტების მქონე ქვეყნები გლობალიზაციის პროცესის გან ყველაზე მაღალ მოგებას ნახულობენ, არ ნიშნავს იმას, რომ ეს სტანდარტები ავტომატურად სხვა სახელმწიფოებზედაც ვრცელდება.

რას ნიშნავს ეს სოციალური დემოკრატიისთვის?

- კაპიტალიზმისა და დემოკრატიის საწყისები მჭიდროდაა ურთიერთგადა-ჯაჭვული.
- კაპიტალიზმს შეუძლია წარმოშვას უთანასწორობა, რაც დემოკრატიას ძირს უთხრის. სოციალურმა დემოკრატიამ ამ გამოწვევების შესაბამისი პასუხები უნდა მოძებნოს.
- სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით კოორდინირებული კაპიტალიზმი ყველაზე მისაღები მოდელია. არაკოორდინირებული კაპიტალიზმისგან განსხვავებით, ის უზრუნველყოფს სტაბილურ ეკონომიკურ წყობას უმაღლესი დონის სოციალური თანასწორობით და უფრო გრძელვადიან შრომით ურთიერთობებს.
- გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკურ პროგრესს და ეკონომიკის მაღალ დინამიკას. თუმცა მან მსოფლიო ახალი სოციალური გამოწვევების წინაშე დააყენა.

4. სოციალური დამოუკატის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირები

ავტორები: კრისტიან კრელი, სიმონ ფაუტი

ამ თავში:

- ნაჩვენებია სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირები;
- განსაზღვრულია სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები: თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა;
- აღწერილია ძირითადი უფლებები, რომელთა სრული დამკვიდრებისა და განხორციელებისკენაც ისწრაფვის სოციალური დემოკრატია;
- და ბოლოს, განხილულია მდგრადი განვითარების, სოციალური თანასწორობისა და ეკონომიკური ზრდის პრინციპები, რომლებმაც უნდა განსაზღვროს სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკა, თუ ის საბაზისო ღირებულებებისა და ძირითადი უფლებებისკენ არის მიმართული.

იმისათვის, რომ სოციალური დემოკრატიის ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაცია გავარკვით, ჩვენ თავდაპირველად შეგნებულად გავალთ ეკონომიკური პოლიტიკის ვიზრ ჩარჩოებიდან და შევეცდებით პრინციპულად გავცეთ პასუხი შეკითხვას, თუ რა ღირებულებებისკენ აპირებს სოციალური დემოკრატია საზოგადოების წარმართვას. პოლიტიკის თვალთახედვის არეში მუდამ უნდა რჩებოდეს მთელი საზოგადოება, მაშინაც კი, თუ საუბარია ისეთ ცალკეულ სფეროებზე, როგორიცაა ეკონომიკური ანდა სოციალური პოლიტიკა.

4.1. საბაზისო ღირებულებები

თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა სოციალური დემოკრატიის უმთავრესი საბაზისო ღირებულებებია. ის მისისწრაფვის საზოგადოებისკენ, რომელშიც ეს ღირებულებები განხორციელებულია. სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები თანაბარმიშვნელოვანი და ურთიერთდამოკიდებულია და ერთდროულად იცავს და ზღუდავს ერთმანეთს.

სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები დეტალურად არის აღწერილი, დასაბუთებული და ილუსტრირებული წიგნში „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“. ამიტომ ამ გამოცემაში მათზე მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით.

თავისუფლება,
სამართლიანობა
და სოლიდარობა

თავისუფლება:
დამოუკიდებელი
არსებობა

სამართლიანობა:
თანამონაწილეობა
და უსაფრთხოება

სოლიდარობა:
ერთმანეთისთვის
მხარში ამოღომა

ისტორიული
ფესვები

დამატებითი
ლიტერატურა:
*Tobias Gombert
(2008), Grundlagen
der Sozialen
Demokratie,
Lesebücher der
Sozialen Demokratie,
ტომზ 1, Bonn,
გვ. 9-43.*

- თავისუფლება დამოუკიდებელ არსებობას ნიშავს. აქ, პირველ რიგში, სახელმწიფოს ან საზოგადოების თვითმინებური ჩარევისგან თავისუფლება იგულისხმება. თუმცა ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ თავისუფლების გამოყენების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობებია შექმნილი.
- სამართლიანობა ყველა ადამიანის თანაბარ ღირსებას ეფუძნება და მოითხოვს არა მარტო კანონის წინაშე თანასწორობას, არამედ ასევე თანამონაწილეობისა და სოციალური უსაფრთხოების თანაბარ შანსებს, მიუხედავად ოჯახური მდგომარეობისა, სოციალური კუთვნილებისა, ქონებისა თუ სქესისა.
- სოლიდარობა არის ადამიანების მზადყოფნა, მხარში ამოუდგნენ და დახმარების ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. სოციალ-დემოკრატია იმპანეს რაუმ სოლიდარობას უწოდა დუღაბი, რომელიც საზოგადოებას კრავს.

საინტერესოა ამ სამი საბაზისო ღირებულების ისტორია. მათი ისტორიული ფესვები განმანათლებლობის ეპოქაშია, როდესაც ეს ღირებულებები რევოლუციურ ლოზუნგად ჩამოყალიბდა. „თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის“ მოთხოვნა თან სდევდა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას. მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მუშათა მოძრაობა კვლავ და კვლავ იხმობდა ამ მოთხოვნებს. როდესაც 1863 წელს ფერდინანდ ლასალის მეცადინეობით გსდპ-ის შექმნა დაიწყო, მუშებმა მოწოდება „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“ თავიანთ დროშაზე ამოქარება.

საბოლოოდ, გსდპ გახდა პირველი პარტია, რომელმაც საბაზისო ღირებულებები – თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა – 1959 წელს თავის ძირითადი პრინციპების პროგრამაში, „გოდესბერგის პროგრამაში“, დააფიქსირა. ზუსტად ორი ათწლეულის შემდეგ (1978 წელს) ქდკ-მაც მიმართა თავის პირველ ძირითადი პრინციპების პროგრამაში ამ სამ საბაზისო ღირებულებას, თუმცა სხვაგვარი გაგებით.


დღეს საბაზისო ღირებულებები აღარ არის რევოლუციური მოძრაობის მოთხოვნა; მათ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიმდინარეობა აღიარებს. თუმცა არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბაზისო ღირებულებებთან „თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა“ მიმართებით ყველა პარტიამ კონსენსუს მიაღწია.

პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის კვლავ არსებობს ორი დონის მნიშვნელოვანი განსხვავებები საბაზისო ღირებულებებთან მიმართებით.

1. ცალკეული ღირებულებების გაგება

შესაძლებელია ცალკეული ღირებულებების განსხვავებული ინტერპრეტაცია. მაგალითად, თავისუფლება ყველას ერთნაირად არ ესმის. ლიბერალური მიმდინარეობები განსაკუთრებით გამოყოფენ ეგრეთ წოდებულ ნეგატიურ თავისუფლებებს, ანუ სახელმწიფოს თვითნებობისგან თავის დაცვის უფლებას და კერძო საკუთრების დაცვას. სოციალური დემოკრატია უფრო შორს მიდის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის გადამწყვეტია არა მარტო დამცავი უფლებების, არამედ ასევე შესაძლებლობების, პოზიტიური უფლებების არსებობა. სოციალური დემოკრატიის თვალთახედვით, ჭეშმარიტი თავისუფლება, მაგალითად, სიტყვის თავისუფლების კონტექსტში, გულისხმობს არა მარტო გამოხატვის თავისუფლების კანონმდებლობაში დაფიქსირებას, არამედ მნიშვნელოვანია, ყველას მიეცეს შესაძლებლობა, მაგალითად, განათლებისა და სხვა საშუალებებით, ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი უფლება სიტყვის თავისუფლებაზე.

საბაზისო
ღირებულებების
განსხვავებული
ინტერპრეტაცია



სურ. 5: ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები

2. საბაზისო ღირებულებების ურთიერთდამოკიდებულება

დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული საბაზისო ღირებულებების ინტერპრეტაციას, არამედ ასევე მათ ურთიერთდამოკიდებულებას. საგულისხმოა, თუ რამდენად თანაბარი მნიშვნელობისაა საბაზისო ღირებულებები ანდა აღემატება თუ არა რომელიმე მათგანი დანარჩენებს. ამის დემონსტრირება პოლიტიკური ღირებულების მაგალითზე შეიძლება: ღირებულებური თვალსაზრისით, თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა. ამიტომ თავისუფლება, მაგალითად, კონკურენციის თავისუფლება ან საკუთრების თავისუფლება, ჩვეულებრივ, უფრო მნიშვნელოვან ღირებულებად მიიჩნევა, ვიდრე სამართლიანობა, რომელსაც საკუთრების თავისუფლების შეზღუდვა ძალუძს. სოციალური დემოკრატია საბაზისო ღირებულებებს ერთმანეთისგან არ ასხვავებს. ის აღიარებს, რომ საბაზისო ღირებულებები თანაბარი მნიშვნელობისაა.

ამდენად, მაშინაც კი, როდესაც გერმანიაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიმდინარეობა საბაზისო ღირებულებებს – თავისუფლებას, სამართლიანობასა და სოლიდარობას – მიმართავს, ხშირად მათ ისინი საკმაოდ სხვადასხვაგვარად ესმით.

4.2. ძირითადი უფლებები

როდესაც ვცდილობთ, პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ჩამოთვლილ საბაზისო ღირებულებებს სოციალური დემოკრატიის ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციისთვის, ორმაგი პრობლემის წინაშე ვდგებით:

პირველ რიგში, საბაზისო ღირებულებები სადაცოა. მათ არა მარტო განსხვავებული პოლიტიკური მიმდინარეობები, არამედ განსხვავებული კულტურებიც არაერთგვაროვან მნიშვნელობას ანიჭებენ. ამდენად, ისინი არ არის ფართო და საყოველთაოდ აღიარებული საფუძველი ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციისთვის.

მეორე მხრივ, საბაზისო ღირებულებები საქმაოდ აბსტრაქტულია, არადა ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტირების განმარტებისთვის კონკრეტოკაა საჭირო. ეკონომიკური პოლიტიკის ზუსტი და კონკრეტული გეზის განსაზღვრისთვის მხოლოდ საბაზისო ღირებულებები არ კმარა.

ამდენად, სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის აღწერის მნიშ-

ვნელოვანი პარამეტრებია, თუმცა ისინი საჭიროებენ უფრო ფართო და საყოველთაოდ აღიარებულ საფუძვლებს, ასევე ზუსტ და კონკრეტულ მოთხოვნებს.

ამ საკითხზე სოციალური დემოკრატიის მამებს არაერთხელ უმსჯელიათ. ასე, პოლიტოლოგ თომას მაიერის წინადადებით, სოციალური დემოკრატია არა მარტო საბაზისო ღირებულებებს, არამედ ასევე ძირითად უფლებებს უნდა ეყრდნობოდეს. აქედან გამომდინარე, მაიერს სოციალური დემოკრატიის თეორიის უმთავრეს ამოსავალ წერტილად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ადამიანის უფლებათა პაქტებში დეკლარირებული ძირითადი უფლებები მიაჩნია. ეს საკითხი დეტალურად იქნა აღნერილი წიგნში „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“.

რამდენიმე არგუმენტი მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ სოციალური დემოკრატიის ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრისას გაეროს პაქტებზე დაყრდნობაც საჭიროა:

- გაეროს პაქტები არის ყველაზე უნივერსალური, საყოველთაოდ აღიარებული და სხვადასხვა კულტურულ გარემოში და ქვეყანაში მოქმედი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ძირითად უფლებებს და, შესაბამისად, არეგულირებს ადამიანთა თანაცხოვრებას.
- გაეროს პაქტებში ძალიან კონკრეტულად და ზუსტად განიმარტება თითოეული ადამიანის ეკონომიკური უფლებები.

აქედან გამომდინარე, ჩვენ დეტალურად უნდა აღვწეროთ გაეროს პაქტებში ასახული ძირითადი უფლებები და დავადგინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკისთვის და რითი განსხვავდება ამ კუთხით სოციალური დემოკრატია სხვა პოლიტიკური მიმდინარეობებისგან.

1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა შესახებ ორი პაქტი შეიმუშავა.

პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (სამოქალაქო პაქტი) მოიცავს, პირველ რიგში, ეგრეთ წოდებულ ნეგატიურ თავისუფლებებს, ანუ პიროვნულ თავისუფლებაში სახელმწიფოს ან საზოგადოების თვითნებური ჩარევისგან თავის დაცვის უფლებას. აქ იგულისხმება, მაგალითად, პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 9) ან შეუზღუდავი სიტყვის თავისუფლება (მუხლი 19) და თავისუფალი და ფარული არჩევნების უფლება (მუხლი 29).

ამოსავალი
წერტილი:
გაერთიანებული
ერების
ორგანიზაციის
ადამიანის
უფლებათა
პაქტები

მოიცავს
სხვადასხვა
კულტურას და
ქვეყანას

კონკრეტიკა და
სიზუსტე

1966 წელი: გაეროს
ორი პაქტი

1. გაეროს
სამოქალაქო
პაქტი

2. გაეროს
სოციალური
პაქტი

პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (სოციალური პაქტი) მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ თავისუფლებებს, ანუ შესაძლებლობების უფლებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს და ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების თავისუფლებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებების საშუალებით. აქ იგულისხმება, მაგალითად, შრომის უფლება (მუხლი 6), აგრეთვე შრომის სამართლიანი, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები (მუხლი 7), თავისუფალ პროცესუალი გაერთიანების უფლება (მუხლი 8), სოციალური უსაფრთხოების უფლება (მუხლი 9) და თავისუფალი ზოგადი და უმაღლესი განათლების უფლება (მუხლი 13).

ხშირად გაეროს
პაქტებში
განცხადებული
უფლებები და
მათი რეალიზება
სრულიად
განსხვავებულია

დღეისათვის სამოქალაქო პაქტის რატიფიცირება მსოფლიოს 151-მა სახელმწიფომ მოახდინა, ხოლო სოციალური პაქტისა – 148-მ. თუმცა საყურადღებოა, რომ პაქტებს ხელი იმ სახელმწიფოებმაც მოაწერეს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ფუნდამენტურ თავისუფლებებს. აშკარაა, რომ გაეროს პაქტების ფორმალური მოქმედება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს პაქტებში აღნერილი „თავისუფალი ადამიანის იდეალი, რომელიც თავისუფალია შიშისა და გაჭირვებისაგან“. ხშირად განცხადებული უფლებები და მათი რეალიზება სრულიად განსხვავებულია.

გარდა ამისა, სოციალური პაქტით დადგენილი უფლებები სახელმწიფოებს ავალდებულებს არა ძირითადი უფლებების დაუყოვნებელ განხორციელებას, არამედ მათი თანდათანობითი განხორციელებისკენ სწრაფვას. პაქტი აღნერს სახელმწიფოთა ვალდებულებას, იმოქმედონ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფორმალურად გარანტირებული უფლებების განხორციელება და განმტკიცება.

სოციალური
დემოკრატია:
გაეროს პაქტების
განხორციელება

სოციალური დემოკრატიის მიზანია გაეროს პაქტებში ჩამოყალიბებული ძირითადი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების განხორციელება ყველა სფეროში, იმგვარად, რომ ისინი მოქმედებდნენ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკაშიც. სოციალური დემოკრატია თავისი არსით არის მთელ მსოფლიოში პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების თანამიმდევრული განხორციელების პროგრამა.

რამდენადაა
შესაძლებელი
სამოქალაქო
უფლებებისა და
თავისუფლებების
მნიშვნელობის
მიხედვით
დალაგება?

მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობის მიხედვით დალაგება? აქვთ კი მათ თანაბარი მნიშვნელობა? ამ საკითხზე დებატები ოსკარ ლაფონტენმა დაიწყო, როდესაც ინტერვიუში აფრიკაში შიდსით დაავადებულთათვის სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობის საკითხი წამოჭრა (გაზეთი „Der Tagesspiegel“, 2008 წლის 15 აგვისტო). ნიშავს კი ეს იმას, რომ თავისუფლებები ეხმარება შეძლებულ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი აზრის გამოხატვა მასმედიის საშუალებებით შეუძლიათ? ისარგებლებს კი სიტყვის თავისუფლებით ღარიბი,

რომელსაც გაზეთის ყიდვის შესაძლებლობაც არა აქვს? ნობელის პრემიის მფლობელმა, ინდოელმა ეკონომისტმა ამარტია სენმა, განაცხადა, რომ „დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც თავისუფალი მასმედია, მასობრივი შიმშილობა ჯერ არ ყოფილა“ (სენი, 1999). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასობრივ შიმშილობას, ჩვეულებრივ, არსებული სურსათის არათანაბარი ხელმისაწვდომობა განაპირობებს. მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია თავისი მოქალაქეების წინაშე და რომელსაც სურს, კვლავ იქნეს არჩეული, დიდანს ვერ გაბედავს სოციალური პრობლემების იგნორირებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შესახებ თავისუფალი მასმედია საჯაროდ საუბრობს. ამრიგად, სენს მიაჩნია, რომ თავისუფლებას სოციალური თანასწორობისაკენ მივყავართ. იგი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა შექმნან დამოუკიდებელი მოქმედებისა და თავისუფლებისთვის საჭირო საფუძველი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება მხოლოდ იქ არსებობს, სადაც არის მინიმალური სოციალური უზრუნველყოფა და ეგრეთ წიდებული საერთო ინტერესების სფეროების მომსახურება (მაგ., ჯანდაცვა და განათლება).

ამრიგად, ძირითადი სამოქალაქო და სოციალური უფლებები, პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლები ურთიერთდამოკიდებულია და მათი ერთ-მანეთან დაპირისპირება არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომისას აზრი გამოოქვა ვილი ბრანდტმა: „თუ მკითხავენ, გარდა მშვიდობისა, რა არის ჩემთვის ყველაფერ დანარჩენზე მნიშვნელოვანი, მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვიტყვი: თავისუფლება; თავისუფლება ყველასოთვის და არა ზოგიერთებისთვის; სინდისისა და სიტყვის თავისუფლება; აგრეთვე გაჭირვებისა და შიშისაგან თავისუფლება“ (ბრანდტი, 1987: 32). მაშასადამე, ბრანდტისთვის მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხრივ, თავისუფლება თვითნებობისა და ჩაგვრისაგან და, მეორე მხრივ, მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრების თავისუფლება, ანუ პოზიტიური თავისუფლებები. ძირითადი უფლებების გლობალური განხორციელების მოთხოვნა მკაფიოდ განასხვავებს სოციალურ დემოკრატიას ლიბერტარული დემოკრატიისაგან.

სოციალური დემოკრატია და ლიბერტარული დემოკრატია

სოციალური დემოკრატია და ლიბერტარული დემოკრატია არის, უპირველეს ყოვლისა, თეორიულად ფორმულირებული იდეალური ტიპები, რომლებიც პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. თუმცა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის განხილული უნდა იქნეს დემოკრატიის ეს სხვადასხვა მოდელი.

როგორც ლიბერტარული, ისე სოციალური დემოკრატია ლიბერალურ დემოკრატიას ეფუძნება და მათ საერთო ფესვები აქვთ:

ნეგატიური და
პოზიტიური
თავისუფლებები
ურთიერთდა-
მოკიდებულია

ვილი ბრანდტი:
„აგრეთვე
გაჭირვებისა
და შიშისაგან
თავისუფლება“

დემოკრატიის
სხვადასხვა
მოდელი...

... საერთო
ფესვებით

- პლურალისტური დემოკრატია სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვით ხორციელდება;
- პოლიტიკური ძალაუფლება კონსტიტუციას ემორჩილება;
- ხალხის სუვერენიტეტი დემოკრატიული უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე ხორციელდება.

თუმცა ისინი მკაფიოდ განსხვავდებიან პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების ურთიერთობების ხედვის თვალსაზრისით. ლიბერტარულ დემოკრატიას მიაჩნია, რომ პოზიტიური თავისუფლების მინიჭება ზღუდვს ნეგატიურ თავისუფლებებს და მათი განადგურებაც კი შეუძლია. სოციალური დემოკრატიის თვალთახედვით კი, ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებების თანასწორობა განაპირობებს მათ ფორმალურ გამოყენებას ყველას მიმართ და უზრუნველყოფს რეალურ განსხვავებას.

სამქალაქო
უფლებებისა და
თავისუფლებებ-
ბის უპრალო
ფორმალური
აღიარება
საქმარისი
არ არის

მაგალითი:
სიტყვის
თავისუფლება

სოციალური
დემოკრატიის და
ლიბერტარული
დემოკრატიის
განსხვავებული
ამოცანები

თავისუფლებების უბრალო ფორმალური აღიარება, რასაც ლიბერტარული დემოკრატია გვთავაზობს, საქმარისი არ არის, ვინაიდან ეკონომიკურმა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ისეთი ურთიერთობები, როგორებიცაა დამოკიდებულება და დაქვემდებარება;
- შრომის არაჟუმანური პირობები;
- არათანაბარი შესაძლებლობები პოლიტიკური მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელებისთვის (მდრ. მაიერი 2005ბ: 15).

განვიხილოთ აზრის გამოთქმის მაგალითი. ლიბერტარული თვალსაზრისით, ეს საქმარისია, თუკი სახელმწიფო არაფერს აკეთებს სიტყვის თავისუფლების შესაზღუდავად, მაგალითად, თუ იგი პრესაზე ცენზურას არ ახორციელებს. სოციალური დემოკრატიის თვალთახედვით, სახელმწიფომ კიდევ უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგას და აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი აზრის გამოხატვის რეალურ თანაბარ შესაძლებლობებს. ეს მოიცავს ინფორმაციისა და განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა, უპირველეს ყოვლისა, არსებობდეს აზრის ჩამოყალიბების უნარი. გარდა ამისა, მასმედიის საშუალებების საკუთრების უფლება იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ამ უფლების მქონე პირებმა ვერ შეძლონ მასმედიის ძალის გამოყენება ყველა დანარჩენისთვის საკუთარი შეხედულებებს თავზე მოსახვევად. ასეთი არასათანადო გამოყენება არღვევს კერძო მესაკუთრის სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც სოციალური დემოკრატიის მნიშვნელოვანი პრინციპია. ლიბერტარული დემოკრატიის თვალსაზრისით, საკუთრების თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა სრულიად მიუღებელია.

საერთო ფესვების მიუხედავად, სოციალური დემოკრატია და ლიბერტარული დემოკრატია სხვადასხვა მოსაზრებას ეფუძნება, რაც, ეკონომიკური სისტემის თვალსაზრისით, განსხვავებულ ამოცანებს აყენებს.

მაგალითად, თვისებრივად განსხვავდება მათ მიერ ბაზრის როლის აღქმა. ლიბერტარული დემოკრატიისთვის ბაზარი თავისუფლების გამოხატულებაა და ამიტომ იგი თვითრეგულირებადი ბაზრისკენ ილტვის. მისგან განსხვავებით, სოციალური დემოკრატის მტკიცედ სწამის, რომ აპსოლუტურად თავისუფალი ბაზარი საზოგადოებისთვის არასა-სურველ შედეგებს გამოიწვევს. ამის ერთ-ერთი მაგალითია 2008 წლის ფინანსური ბაზრის კრიზისი. მაშასადამე, სოციალური დემოკრატია აღიარებს სოციალურად ჩართულ ბაზრებს, რომლებიც პოლიტიკურ ჩარჩოსა და სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება.

აუცილებელია
სოციალურად
ჩართული
ბაზრები



სურ. 6: ლიბერალური, ლიბერტარული და სოციალური დემოკრატიების შედარება (ეკონომიკური მოსაზრებების ჩათვლით)

ცხადია, რომ სოციალური დემოკრატია და ლიბერტარიული დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად მსგავსი პერსპექტივებით ხასიათდება, რადგან სათავეს ორივე ლიბერალური დემოკრატიიდან იღებს, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, განსაკუთრებით ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით.

ბაზრის სოციალ-დემოკრატიული აღქმა აგრეთვე გამოხატულია გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„ჩვენ მიგვაჩინია, რომ ბაზარი არის ეკონომიკური კოორდინაციის აუცილებელი ფორმა და იგი სხვა ალტერნატივებზე მაღლა დგას. მაგრამ საკუთარ თავს მინდობილი ბაზარი ბრძანა როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. მას არ შეუძლია, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საჯარისი რაოდენობის საზოგადოებრივი სიკეთე. თავისი პოტენციალის გამოსავლენად ბაზარს სჭირდება რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს სანქციები, ეფექტიანი კანონები და უზრუნველყოს სამართლიანი ფასნარმოქმნა.“

(ჰამბურგის პროგრამა 2007: 17)

4.3. ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები

სამი პრინციპი

რას ნიშნავს კონკრეტულად სოციალური დემოკრატიის საპაზისო ღორებულებები და ძირითადი უფლებები სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკისთვის?

აქ გამოხატული შეხედულების შესაბამისად, სოციალური დემოკრატიის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, რეალურ სამყაროში განახორციელოს თავისი საბაზისო ღირებულებები და ძირითადი უფლებები, სამ პრინციპს უნდა ეფუძნოდეს:

- ზრდა;
- სოციალური თანასწორობა;
- მდგრადი განვითარება.

ზრდა,
სოციალური
თანასწორობა,
მდგრადი
განვითარება

სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით, ეკონომიკური პოლიტიკა სამივე პრინციპს თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს. ეს განასხვავებსა სოციალურ დემოკრატიას კონსერვატიული, ლიბერტარიანული და მემარცხენე პოპულისტური შეხედულებებისაგან, რომელთაგან თითოეული ერთ რომელიმე პრინციპზეა ორიენტირებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც სამივე პრინციპს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება, შეიძლება

იქნეს მიღწეული ხარისხობრივი ზრდა და საერთო სიკეთეზე ორიენტირებული მდგრადი პროგრესი.

ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ღონისძიება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად თანაბრად განიხილავენ ისინი ამ პრინციპებს. მაშასადამე, ეს სამი პრინციპი სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმია.



სურ. 7: სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების სამკუთხედი

ზრდა

გაეროს პაქტების შესაბამისად, ადამიანების ცხოვრება „შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი“ უნდა იყოს. ეს კონკრეტულად ნიშნავს „მდგრად ეკონომიკას, სოციალურ და კულტურულ განვითარებას და სრულ და ნაყოფიერ დასაქმებას“. გაჭირვებისაგან თავისუფლება საბაზისო მატერიალურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამისთვის ქვეყანას ისეთი მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) სჭირდება, რომელიც კეთილდღეობის მინიმალურ დონეს უზრუნველყოფს და თითოეულ ადამიანს თავისი ძირითადი უფლებების განხორციელების საშუალებას მისცემს. აქ საქმე ეხება, ერთი მხრივ, ინდივიდუალურ კეთილდღეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, - მთელი საზოგადოების კეთილდღეობასაც, ვინაიდნ მას უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი საზოგადოებრივი ამოცანების გადასაჭრელად.

გაეროს
სოციალური
პაქტი: „შიშისა
და გაჭირვებისაგან
თავისუფლება“

ეკონომიკური ზრდა: მთლიანი შიდა პროდუქტის (მპ) ზრდა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნაში ნარმობული ყველა საქონლისა და მომსახურების ჯამური ღრებულების ზრდა. ზოგდად გავრცელებული შეხედულებით, ყოველთვის ხდება რომელიმე სახეობის ზრდა. მაგალითად, სტანდაცია „ნულოვან ზრდად“ არის მიჩნეული, ხოლო ნარმობის შემცირება – უზრყოფით ზრდად. თუმცა, თუ ფასები იზრდება, ეს პოზიტურად მიიჩნევა, სულ მცირე, ნომინალური ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში. მისგან განსხვავებით, რეალური ზრდის შემთხვევაში ფასების ზრდა არ გაითვალისწინება (Das Wirtschaftslexikon 2009)

ზრდის
მინიმაცური
რაოდენობა არის
თავისუფალი და
სამართლიანი
საზოგადოების
წინაპირობა,
რომელიც
სოლიდარობას
ეფუძნება

რას ნიშნავს
„ზრდა“?

1967, კანონი
სტაბილურობისა
და ზრდის შესახებ:
„მუდმივი და
სათანადო ზრდა“

ამრიგად, სოლიდარობაზე დაფუძნებული თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოებისთვის საჭიროა კეთილდღეობა. ეს კეთილდღეობა, უპირველეს ყოვლისა, მიღწეული და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური ზრდით. მხოლოდ მაღალნაყოფიერი წარმოებით და ღირებულების შექმნით შეიძლება შეიქმნას სივრცე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ისტორია ადასტურებს, რომ ეკონომიკის მდგრადი ზრდის შემთხვევაში ეროვნული პროდუქტი უფრო სამართლიანად ნაწილდება, ვიდრე ეკონომიკური რეცესიის დროს. მაშასადამე, ზრდა არის სოციალური დემოკრატიის ღირებულებებისა და მიზნების განხორციელების წინაპირობა, როგორც ეს ამ ტომშია წარმოდგენილი.

მაგრამ რას ნიშნავს „ზრდა“? ბოლო ათწლეულების განმავლობაში „სწორი ზრდის“ შესახებ სოციალური დემოკრატიის კონცეფცია საკმაოდ შეიცვალა.

1967 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის, კარლ შილერის (რომელიც იმ დროს ეკონომიკურ საკითხთა მინისტრი იყო, ხოლო მოგვანებით – ფი-

ნანსთა), ინიციატივით, ეკონომიკის სტაბილურობისა და ზრდის შესახებ კანონში ძირითად პოლიტიკურ მიზნად „მუდმივი და სათანადო ეკონომიკური ზრდა“ იქნა აღიარებული. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებად აგრეთვე დაისახა უმუშევრობის დაბალი დონე, ინფლაციის დაბალი დონე და საგარეო ვაჭრობის დაბალანსება. ეს ოთხი მიზანი ეგრეთ წოდებულ ჯადოსნურ კვადრატს ქმნიდა. შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანაა ეკონომიკური რყევების დაბალანსება და რეცესიების თავიდან აცილება, კეინსის თეორიის შესაბამისად.

„ზრდა“ ჰამბურგის პროგრამაში

„სოციალური დემოკრატიის ეკონომიკურ პოლიტიკაში კეთილდღეობასა და ცხოვრების მაღალ ხარისხს ყოველთვის პრიორიტეტული ადგილი ეკავა. წარსულში პროგრესი ძირითადად რაოდენობრივი ზრდის მიხედვით აღიქმებოდა. დღეს კლიმატის სწრაფი ცვლილება, დაძაბული ეკოსისტემები და მსოფლიო მოსახლეობის ზრდა მოითხოვს განვითარების ახალ მიმართულებას, რომელიც მომავალზე იქნება ორიენტირებული. ამაზე დამოკიდებული, იქნებათუარაგანვითარება პროგრესული. ჩვენ გვჭირდება მდგრადი პროგრესი, რომელიც დინამიკურ ეკონომიკას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას გააერთიანებს. ამისთვის საჭიროა ხარისხობრივი ზრდა, რესურსების მოხმარების შეზღუდვა. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებები გამოიმუშაონ ღირსეული შრომით, რომელიც თავისუფალი იქნება ექსპლუატაციისაგან; თითოეულმა ადამიანმა შექმნილი სიმდიდრიდან თავისი სამართლიანი წილი უნდა მიიღოს.“

(ჰამბურგის პროგრამა 2007: 42)

პოპულარულმა კვლევამ „ზრდის საზღვრები“, რომელიც 1972 წელს გამოქვეყნდა, სხვა ასპექტებთან ერთად განამტკიცა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ზრდას აგრეთვე თან სდევს ბუნებრივი რესურსების მოხმარება და გარემოს დაზიანება. ამიტომ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა დისკუსია დიდი ხნის განმავლობაში ზრდის მიზანშენონილობის თუ შესაძლებლობის თაობაზე.

იმავდროულად შემუშავდა ზრდის უფრო რთული კონცეფცია, რომელიც ცდილობს, შეაჯეროს ტექნოლოგიური ინოვაცია, ეკოლოგიური განახლება და საზოგადოების კონსოლიდირება. ამ კონცექსტში 2000 წელს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ლიდერთა ხელმძღვანელობით მიღებულ იქნა ეგრეთ წოდებული ლისაბონის სტრატეგია, რომელიც ათი წლის განმავლობაში ევროპის მთელ მსოფლიოში ყველაზე კონკურრენტულიანი და დინამიკური ეკონომიკის მქონე სივრცედ გარდაქმნას ისახავდა მიზნად.

მაშასადამე, „ზრდის“ განმარტება მუდმივად იცვლებოდა. ზრდისადმი ეიფორიული დამოკიდებულება, რომელიც 1960-იანი წლებისთვის იყო დამახასიათებელი, 1970-იან წლებში კრიტიკული დამოკიდებულებით შეიცვალა. იმავდროულად ჩამოყალიბდა ზრდის ხარისხობრივ კონცეფციაზე დაფუძნებული უფრო გონივრული ხედვა, რომელიც მხარს უჭერს სოციალურ პროგრესს რესურსების შეზღუდული გამოყენებით. ეს უფრო რთული ხედვაა, რომელიც ზრდის, მდგრადი განვითარებისა და სოციალური თანასწორობის დაბალანსების საშუალებას იძლევა.

სოციალური თანასწორობა

სოციალური თანასწორობა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპი, სოციალური დემოკრატიის პოზიციიდან გამომდინარეობს. მას ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს.

თუკი სოციალური დემოკრატიის მიერ ალიარებული საბაზისო ლირებულებები და ძირითადი უფლებები სერიოზულად აღიქმება, მაშინ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური თანასწორობა. ეს გამომდინარეობს არა მხოლოდ ისეთი საბაზისო ლირებულებებიდან, როგორებიცაა სამართლიანობა, თავისუფლება და სოლიდარობა, არამედ ძირითადი უფლებებიდანაც, რომლებიც გაეროს პაქტებშია ჩამოყალიბებული. მაგალითად, მოითხოვება „ცხოვრების სათანადო პირობები“, მაგრამ ქალებისთვის აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „შრომის ისეთი პირობები, ... რომლებიც მამაკაცების შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებ-

1972, „ზრდის საზღვრები“:
ზრდაზე
ფოკუსირების
კრიტიკა

2000, ლისაბონის
სტრატეგია:
ზრდის
კოპლექსური
კონცეფცია

რაოდენობრივი
ზრდის
კონცეფცია
ითვალისწინებს
რესურსების
მოხმარებას და
სოციალურ
პროგრესს

გაეროს
სოციალური
პაქტი:
„ცხოვრების
სათანადო
პირობები“

ლობა“; აგრეთვე მოითხოვება, რომ ადამიანს ჰქონდეს „ცხოვრების სა-თანადო დონე, შესაფერისი საკუების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით“, განათლების უფლება და, აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ადამიანის პიროვნების სრული განვითარება“.

სოციალური დემოკრატია ისწრაფვის სოციალურ მოქალაქეობაზე და-ფუძნებული საზოგადოებისკენ, რომელშიც თითოეული ადამიანი ღირ-სეულად იცხოვრებს და მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება, რათა მათ, ბაზარზე ნარმატების მიუხედავად, გარანტირებული ჰქონ-დეთ როგორც სოციალურ, ისე დემოკრატიულ ცხოვრებაში მონა-ნილეობა. აქედან გამომდინარე, სოციალური დემოკრატიის თვალსაზ-რისით, ეკონომიკური ზრდა აუცილებელი პირობაა, მაგრამ თვითმიზანი არ არის, და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა. დინამიკური და პროდუქტიული ეკონომიკიდან მიღებული შემოსავალი თანაბრად უნდა განანილდეს. ამის მეშვეობით ადამიანები შეძლებენ, ღირსეული შრომით მოიპოვონ საარსებო საშუალებები და ეროვნული პროდუქტის ზრდისაგან სამარ-თლიანი ნილი მიღონ.

სოციალური
თანასწორობა
გერმანიის
კონსტიტუციაშია
განცხადებული

კერძო საკუთრების
სოციალური
ვალდებულებები:
მაგალითები

არსებობს რაიმე
ნინააღმდეგობა
სოციალურ
თანასწორობასა და
დამსახურების
პრინციპს შორის?

გერმანიის ეკონომიკურ სისტემაში სოციალური თანასწორობა აგრეთვე განცხადებულია ძირითადი კანონის მე-19 მუხლში, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განსაზღვრავს, როგორც „ფედერალურ სოციალურ სახელმწიფოს“. გარდა ამისა, მე-14 მუხლი ანქსებს კერძო მესაკუთრის სოციალურ ვალდებულებებს: „საკუთრება წარმოშობს ვალდებულებებს; მისი გამოყენება იმავდროულად საზოგადოებრივ სი-კეთეს ემსახურება“.

მაგალითად, საცხოვრებელი სახლების მეპატრონეებს არ შეუძლიათ, ბოროტად გამოიყენონ ისინი სპეცუალური მიზნებისთვის. ისინი ვალ-დებული არიან, მოუარონ მათ და გასცემ იჯარით. მენეჯერები პასუ-ხისმგებელი არიან არა მხოლოდ აქციონერების წინაშე, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე. მაგალითად, მათ ევალებათ, უზრუნველყონ სა-მუშაო ადგილების შენარჩუნება და გარემოს დაცვა. ყველა, ვინც იღებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსაკუთრებით მოზრდილ წილს, თავის მხრივ, ვალდებულია ბევრი რამ გააკეთოს საზოგადოებისთვის. საკუთრებასთან დაკავშირებული სოციალური ვალდებულებები სო-ციალური დემოკრატიის უმთავრესი მახასიათებელია.

მაგრამ განა სოციალური თანასწორობა არ ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ანაზღაურების პრინციპს? განა სო-ციალური თანასწორობა არ აბრკოლებს ნაყოფიერი შრომის სტიმულს, რაც ასე მნიშვნელოვანია დინამიკური ეკონომიკისა და ზრდისთვის? ეს კითხვები პირდაპირ მიუთითებს იმ რეალურ წინააღმდეგობრივ ურ-თიერთობაზე, რომელიც ზრდაზე ორიენტაციასა და სოციალურ თანას-წორობას შორის არსებობს.

თუმცა არსებობს უკუკავშირიც: პროდუქტიულობის ამაღლება და ზრდა ყოველთვის მოითხოვს სოციალურ ბაზისს. ღირებულების შექმნისთვის აუცილებელია სოციალური თანასწორობის მინიმალური დონის არსებობა. მაგალითად, ამერიკელმა ეკონომისტმა როდრიკმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფოები, რომელებიც მაღალი დონის სოციალური უზრუნველყოფით გამოირჩევიან, იმავდროულად წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები არიან. სხვა ასპექტებთან ერთად ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალური დაცვა აძლიერებს ინდივიდუალურ მოტივაციას.

სოციალურად დაცული ადამიანები უკეთ არიან მზად ცვლილებებისთვის, რისკებისთვის და ინოვაციებისთვის (მდრ. როდრიკი, 1997: 178 და ა. შ.).

ამ კავშირს თითქმის არავინ უარყოფს. თვით ჰანს-ვერნერ ზინმა, რომელიც დღეს ბიზნესისადმი კეთილგანწყობილ დაწესებულებას – ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტს – ხელმძღვანელობს მიუნხენბი, 1985 წელს ლუდვიგ-შაქსიმილიანის სახ. უნივერსიტეტში თავის პირველ ლექციაზე აღნიშნა: „[სოლიდარობა] ახალგაზრდებს აძლევს დაცულობას და საკუთარი თავის რწმენას, რაც აუცილებელია სარისკო, მაგრამ იმედის-მომცემი შესაძლებლობების გამოყენებისთვის. ამ თვალსაზრისით, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ

მართებულია ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო ჩვენ ძვირი გვიჯდება. პირიქით, მე სავსებით დასაშვებად მიმართია, რომ მხოლოდ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოში გახდა შესაძლებელი გარევეული დონის მნარმავებელი ძალების გამოთავისუფლება, რომელმაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფრო სამართლიან მონაწილეობას საწარმოს კაპიტალში, როგორც შემოსავლის დამატებითი წყარო, უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფრო სამართლიან მონაწილეობას ფირმის ნარმატებაში. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ინოვაციებსა და პროდუქტიულობას.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 43-44)

„სოციალური თანასწორობა“ ჰამბურგის პროგრამაში:

„გერმანიაში შემოსავალი და საკუთრება სამართლიანად არ არის განაწილებული. სოციალურებულებურატიული საგადასახდო პოლიტიკის მიზანია უთანასწორობის შეზღუდვა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. ჩვენ მხარს უჭიროთ ხელფასების ზრდას, თუკი იგი დაკავშირებულია პროდუქტიულობის ზრდასთან და ინფლაციის დონესთან. ჩვენ გვსურს, მეტი ქონება იყოს მუშაქთა ხელში. მუშაქთა მონაწილეობა საწარმოს კაპიტალში, როგორც შემოსავლის დამატებითი წყარო, უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფრო სამართლიან მონაწილეობას ფირმის ნარმატებაში. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ინოვაციებსა და პროდუქტიულობას.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 43-44)

ციალური დემოკრატია ზრდაზე ორიენტაციასა და სოციალურ თანასწორობას შორის ბალანსის მიღწევისაკენ ისწრაფვის. ამის კონკრეტული მაგალითია შვედური მოდელი. მე-6 თავში, რომელშიც შვედეთია განხილული, ნაჩვენებია, რომ სწორედ სოციალური თანასწორობის მაღალი დონე განაპირობებს ამ ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებებს.

რორდოკი:
ღირებულების
შექმნისთვის
სოციალური
თანასწორობაა
საჭირო!

კრიტიკოსებიც კი
აცხადებენ, რომ
კეთილდღეობაზე
ორიენტირებული
სახელმწიფო ხელს
უწყობს
ნაყოფიერებას

ზრდაზე
ორიენტაციასა
და სოციალურ
თანასწორობას
შორის ბალანსის
მიღწევისაკენ
სწრაფვა

მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება სოციალური დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის მესამე საკვანძო პრინციპია. მდგრადი განვითარება ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებს მოიცავს.

„მდგრადობის“
კონცეფცია ტყეს
უკავშირდება

გარემოსდაცვითი საკითხები ხშირად მდგრადობასთანაა დაკავშირებული. მდგრადობის შესახებ პირველი მოსაზრებები ფაქტობრივად სწორედ ეკოლოგიურ საკითხებზე მსჯელობიდან წარმოიშვა. „მდგრადობის“ კონცეფცია ტყეს უკავშირდება: ტყიდან აღარ უნდა იქნეს გამოტანილი არცერთი ხე, თუკი მის ნაცვლად ახლის გაზრდა არ შეიძლება, – განაცხადა ჯორჯ ლუდვიგ ჰარტინგმა, რომელიც მე-18 საუკუნეში სოფლის მეურნეობის ქომაგი იყო და ტყის საკითხებზე წერდა. დღეს ეკოლოგიური მდგრადობა იმას ნიშნავს, რომ გარემო, რომელიც სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია, მაქსიმალურად ხელუხლებელი გადაეცეს მომავალ თაობებს. ამიტომ ძირითადი ასპექტებია რესურსების კონსერვაცია, კლიმატის დაცვა, ჯიშების დაცვა და გარემოს დაბინძურების შეზღუდვა. გაეროს სოციალური პაქტით დადგენილი ძირითადი უფლებები აგრეთვე ხაზგასმით მიუთითებს „გარემოს ჰიგიენის ყველა ასპექტის“ გაუმჯობესებაზე (მუხლი 13) და, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ყოველი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო ბუნებრივი საფუძვლების დაცვას; არა მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალ თაობებს აღარ ექნებათ არსებობისთვის აუცილებელი პირობები, არამედ იმიტომაც, რომ აქ და ახლა სჭირდებათ ადამიანებს სუფთა სასმელი წყალი და ჭანსაღი ჰაერი.

სოციალ-დემოკრატები მდგრადობის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე საუბრობდნენ.

1983,
ბრუტლანდტის
კომისაა

1983 წელს მდგრადობის იდეა აიტაცა ბრუტლანდტის კომისიამ (ეს სახელი კომისიას ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად მიენიჭა), რომელიც გაეროს ინიციატივით შეიქმნა. კომისიამ განაცხადა, რომ

„მდგრადია განვითარება, რომელიც აქმაყოფილებს ამუამინდელ მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილობ თავიანთი მოთხოვნილებები.“
(ციტირებულია Hauff-ის (1987: 46) მიხედვით)

მაგრამ „მდგრადობის“ კონცეფციას ეკოლოგიურთან ერთად ეკონომიკური განზომილებაც აქვს. 1998 წელს გერმანიის ბუნდესტაგის სპეციალურმა კომიტეტმა წარმოადგინა საბოლოო მოხსენება სათაურით „მდგრადობის კონცეფცია – მოდელიდან განხორციელებისკენ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეკონომიკური მდგრადობა ნიშნავს იმას, რომ კეთილდღეობის შექმნა მომავალმა თაობებმაც შეძლონ, რათა მათაც იცხოვრონ სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამ მიზნით სახელმწიფო ხარჯები – განსაკუთრებით სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ქვეყნებში – ინტენსიურად უნდა დაფინანსდეს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გრძელვადიანი ინვესტიციები განათლების, კვლევებისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადად გამოჩენდა გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. სწრაფ მოგებაზე ორიენტირება არ ითვალისწინებს მდგრად განვითარებას, რაც სახიფათოა როგორც ცალკეული კომპანიებისთვის, ისე მთელი ეკონომიკისთვის, რადგან მის დესტაბილიზაციას იწვევს.

მაგრამ მდგრადობას სოციალური განზომილებაც აქვს: სოციალური მდგრადობა ნიშნავს საზოგადოების ყველა წევრის მუდმივ მონაწილეობას და სოციალური დაძაბულობების საიმედო დარეგულირებას; ანუ ეს არის ძირითადი საჭიროებების და საზოგადოების მონაწილეობის საიმედო უზრუნველყოფა.

გამაფრთხი-
ლებელი
მაგალითი

ჰამბურგის
პროგრამა:
„მდგრადობა
ნიშნავს:
ფიქრს
მომავალზე
ორიენტირებით“

მდგრადი განვითარება გასდე-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„მდგრადი განვითარების პრინციპი ნიშნავს: ფიქრს მომავალზე ორიენტირებით; ნინააღმდეგობის განვევას როგორც მოკლევადიანი ორიენტირების-თვის, ისე ეკონომიკური საწყისის დომინირების-თვის და ბიზნესის მართვის ლოგიკისთვის. ეს ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებად დასახულია საზოგადოებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარება და დემოკრატიული მრავალფეროვნების აღიარება, გამძლე ეკოლოგიური სისტემა, სოციალური ინტეგრაცია და კულტურული მონაწილეობა.“
(ჰამბურგის პროგრამა 2007: 17-18)

სარისხობრივი ზრდა ხამი პრინციპის თანაბარი განხორციელება

არის ეს სამი
პრინციპი
ურთიერთსაწინ-
ნაღმდევება?

ზრდა, სოციალური თანასწორობა და მდგრადი განვითარება: სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ამ სამი ამოცანის თანაბარ საწყისებზე განხორციელება. მაგრამ შესაძლებელია კი ეს? განა სოციალური თანასწორობა არ ზღუდავს საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებს? განა ზრდას უსათუოდ სჭირდება ნედლეული და ამიტომ არ იწვევს მდგრადი განვითარების შესუსტებას? როგორც ჩანს, ეს სამი პრინციპი ურთიერთსაწინააღმდევობა. როგორ შეიძლება მათი თანაბრად განხორციელება?

ამ საკითხს ვიღი ბრანდტი ჯერ კიდევ 1973 წელს გამოეხმაურა ზრდისა და მდგრადი განვითარების პრინციპებთან მიმართებით:

ვიღი ბრანდტი
ზრდისა და
მდგრადი
განვითარების
ურთიერთ-
დამოკიდებუ-
ლების შესახებ

„ვერც პიროვნება და ვერც საზოგადოება ვერ იცხოვრებს ბუნების ხარჯზე. ჩვენი გარემოს განვითარების ასეთი გზა ენიააღმდეგება ადამიანის კეთილდღეობას. ... ხმაური, ჰაერისა და წყლის დაბინძურება მართლაც საეჭვოს ხდის ეკონომიკური ზრდით მიღებულ სარგებელს. მიუხედავად ამისა, მე ნინააღმდეგი ვარ, ნაჩეარევად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება გამოსავალი გზების შესახებ, მაგალითად, ზრდის და პროდუქტიულობის საყოველთაო შემცირების თაობაზე. საკითხი ეხება იმას, თუ სად, როგორ და რა მიზნით ხდება ეკონომიკური ზრდა; საჭიროა გვესმოდეს, რომ ზრდა და ეკონომიკური პრინციპები ადამიანს უნდა ემსახურებოდეს. თუ გვინდა, ჩვენ ვმართოთ „გარემოებები“ და არა „გარემოებებმა“ გვმართოს ჩვენ, მაშინ მეტი უურადღება უნდა მივაქციოთ ამ საკითხს და დროდადრო ცოტა უფრო მუყაითად უნდა ვიმუშაოთ.“
(ვიღი ბრანდტი, ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვა, 1973 წლის 18 იანვარი)

მთავარი
კითხვები:
ზრდა სად,
როგორ და
რისთვის?

მდგრად
განვითარებას
შეუძლია ხელი
შეუწყოს ზრდას.

ბრანდტი ამბობს, რომ ზრდის პრინციპის უპირობო მხარდაჭერა შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ფრთხილად უნდა განვიხილოთ, თუ სად, როგორ და რა მიზნით იქმნება ეკონომიკური ზრდა, ვის ინტერესებს მოემსახურება იგი და ვინ მიიღებს მისგან სარგებელს. ამრიგად, სოციალურმა დემოკრატიამ უარი უნდა თქვას „ბრმა ზრდის“ ცნებაზე და მხარი უნდა დაუჭიროს ხარისხობრივ ზრდას, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს სოციალურ თანასწორობასა და მდგრად განვითარებას.

თუ ვიღი ბრანდტის სულისკვეთებას გავიზიარებთ და საკითხს უფრო ჩავულრმავდებით, ნათელი გახდება, რომ სამი პრინციპი ყოველთვის არ ენინააღმდეგება ერთმანეთს და რომ ისინი ურთიერთდამოებული არიან და ერთმანეთს აძლიერებენ. უკვე ნათლად ითქვა, რომ სოციალური თანას-

წორობა დინამიკური ეკონომიკის წინაპირობაა, ხოლო ზრდას აგრეთვე შეიძლება დაქმაროს ეკოლოგიური მდგრადობა. გერმანიაში განახლებადი ენერგიების წარმოებასთან დაკავშირებული ეკონომიკის დარგები ეკო-ნომიკური ზრდის ტემპებით გამოირჩევა და მრავალი სამუშაო ადგილის შექმნას უზრუნველყოფს. ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის მსგავსი ურთიერთკავშირები პრაქტიკულ მაგალითზე მე-7 თავშია ნაჩვენები.

მაშასადამე, ზრდის, სოციალური თანასწორობისა და მდგრადი განვი-თარების პრინციპების ერთდროულად განხორციელებისაკენ სწრაფვა სერიოზული გამოწვე-ვაა, მაგრამ იგი იმავ-დროულად დიდ შეს-აძლებლობას იძლევა. საჭიროა მუდმივად გა-დამოწმდეს და ხელახ-ლა იქნეს განხილული ის შედეგები, რომლებ-საც ამ სამი პრინციპის მოქმედება წარმოშობს. აქ რაიმე საბოლოო ჭეშმარიტება არ არსებობს. მაგრამ ამ პრინ-ციპებისადმი თანაბარი მიდგომის შემთხვევაში მოხდება ხარისხი ზრდა, რომელიც სარგებლობას მოუტანს მთელ საზოგადოებას.

„ხარისხობრივი ზრდა“ გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„ჩვენ ვმუშაობთ მდგრადი პროგრესის-თვის, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ დინამიზმს, სოციალურ სამართლიანობას და ეკოლოგიურ გზივრულობას. ხარისხობრივი ზრდის მეშვეობით ჩვენ გვსურს დავ-ძლიოთ სიღარიბე და ექსპლუატაცია, უზ-რუნველვყოთ კეთილდღეობა და ღირსეული მრომა ყველასთვის და რაღაც ვიღონოთ კლიმატის საშიში ცვლილების წინააღმდეგ. აგრეთვე მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს არ-სებობის ბუნებრივი საფუძვლები მომავალი თაობებისთვის და გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი. ამისთვის ჩვენ გვსურს ხალხის სამ-სახურში ჩააყაყნოთ სამეცნიერო და ტექნი-კური პროგრესის შესაძლებლობები.“
(ჰამბურგის პროგრამა 2007: 5)

მაგალითად:
ეკოლოგიური
სამრეწველო
პოლიტიკა (თავი 7)

ზრდის,
სოციალური
თანასწორობისა და
მდგრადი
განვითარების
ერთობლიობიდან
წარმოიშობა
ხარისხობრივი
ზრდა

4.4. ექსკურსი: ხარისხობრივი ზრდის განსაზღვრა

როგორ შეიძლება რიცხობრივად გამოვსახოთ ეკონომიკური პროგრესი? ეკონომიკური განვითარების გამოსახვისთვის ყველაზე გავრცელებული ინდიკატორია მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). მშპ არის მოცემული წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული ყველა საქონლისა და მომ-სახურების ჯამური ღირებულება. თუ მშპ იზრდება, ადამიანები ეკო-ნომიკურ წინსვლაზე საუბრობენ; როდესაც მისი სტაგნაცია ხდება ან როცა ის იკლებს, რეცესიაზე ინყება საუბარი. მშპ-ის მნიშვნელობაზე არავინ დავობს: სახელმწიფო ბიუჯეტი, უმუშევრობის შემცირება და

ეკონომიკური
პროგრესი = მშპ?

საზოგადოების კეთილდღეობა ეკონომიკურ ზრდაზეა დამოკიდებული.

მშპ-ის უხილავი ნერტილები

თუმცა მშპ-ს გარკვეული უხილავი წერტილებიც აქვს ეკონომიკური პროგრესის განსაზღვრის თვალსაზრისით. კერძოდ, სოციალ-დემოკრატიული თვალთახედვით, სურათი, რომელსაც მხოლოდ მშპ-ზე ფოკუსირებით ვიღებთ, სრულყოფილი არ არის, რადგან ეს მაჩვენებელი მიუთითებს მხოლოდ წარმოების საერთო მოცულობაზე, შემდეგი საკითხების გათვალისწინების გარეშე:

1. განაწილება

- როგორ არის განაწილებული მშპ? სამართლიანადაა იგი განაწილებული? ძირითადი რესურსები უმცირესობის ხელში ხომ არ არის? რა კრიტერიუმებით ხდება განაწილება? საჭიროების, შრომის თუ სოციალური წარმოშობის შესაბამისად?

2. ეკოლოგია

- რამდენად ითვალისწინებს წარმოება ეკოლოგიურ მდგრადობას? რესურსების ინვესტირება გარემოს დაცვის მიზნით ხდება? თუ ზრდა ბუნებრივი გარემოს ბოროტად გამოყენების ხარჯზე მიიღწევა?

3. მდგრადობა

- როგორ მიიღწევა ზრდა და სად მიდის ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები? ისინი სამომზმარებლო და სახელმწიფო დავალიანების ხარჯზე ხომ არ არის დაგროვებული? ან ხდება კი ინვესტირება ინფრასტრუქტურის, განათლებისა და კვლევების სფეროებში, რამაც შესაძლებელი უნდა გახადოს გრძელვადიანი ზრდა?

4. არაფულადი საქმიანობები

- გათვალისწინებულია თუ არა არაფულადი საქმიანობები? მშპ მხოლოდ გაზრდილი შრომის ხარჯზე იზრდება? რატომ იზრდება მშპ, როდესაც საზოგადოებრივ საწყისებზე შრომა ან ოჯახში შრომა ანაზღაურებადი საქმიანობის ფორმას იღებს, თუმცა პრაქტიკულად წარმოება არ იზრდება?

ზრდის სხვადასხვა კონცეფცია...

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური პროგრესისა და დიფერენცირებული ზრდის უფრო რთული კონცეფციები, რომლებიც ეკონომიკის მთლიანი პროდუქციის გარდა სხვა მაჩვენებლებსაც მოიცავს.

ზრდის ტრადიციული კონცეფცია

- ეკონომიკის სრული მწარმოებლობა

ზრდის განვირცობილი კონცეფცია

- ეკონომიკის სრული მწარმოებლობა
- სოციალური თანასწორობა
- მდგრადი განვითარება

არსებობს რამდენიმე მიღვომა, რომლებიც ზრდის უფრო დეტალურ გამოსახვას ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი შეიმუშავა მსოფლიო ბანკის ეკონომისტიმა და ალტერნატიული ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჰერმან ე. დეილიმ (Daly/Cobb 1989, Daly 1996). მან მონაწილეობა მიიღო რეალური პროგრესის დონის გაანგარიშების მეთოდის შექმნაში, რომელსაც პროგრესის ჭეშმარიტ მაჩვენებელს [Genuine Progress Indicator (GPI)] უწოდებენ. ეს მეთოდი მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად სხვა ფაქტორებსაც ითვალისწინებს, რომლებიც რეალური დანახარჯებისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული რეალური მოგების გაანგარიშების საშუალებას იძლევა (Lawn 2003). ფაქტორები, რომლებიც ამ ინდიკატორს ქმნის, მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მოიცავს: შემოსავლების სოციალურ განაწილებას, აუნაზღაურებელ შრომას და ნებაყოფლობით შრომას, განათლების ზრდას, დანაშაულის ზრდას, დასვენებას, რესურსების გამოყენებას, გარემოსთვის მიყენებულ ზიანს და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის გაწეულ ინვესტიციებს. რა თქმა უნდა, მშპ-ის და სხვა, მსგავსი ინდიკატორების გაანგარიშება ძალზე რთულია, ხოლო ცალკეული ფაქტორების კონკრეტული სტრუქტურა და შეფასება – წინააღმდეგობრივი. თუმცა, საფუძვლიანი კრიტიკის მიუხედავად, ასეთი გაანგარიშება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაანგარიშების ჩვეულებრივი მეთოდების სისუსტეების გამოვლენას, მშპ-ის გაანგარიშების ჩათვლით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „Redefining Progress“ (ვებგვერდის მისამართი: www.rprogress.org) რეგულარულად აქვეყნებს მონაცემებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მშპ-ის შესახებ. ეს მონაცემები ნათლად უჩვენებს, რომ პროგრესის ჭეშმარიტი მაჩვენებლის მიხედვით გაანგარიშებული პროგრესის დონე შეიძლება უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ამას მშპ-ის ზრდა უჩვენებს. რაც მთავარია, გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და სოციალური უსამართლობის გაუთვალისწინებლობის გამო პროგრესის ჭეშმარიტი მაჩვენებელი ზოგიერთ ქვეყანაში იკლებს კიდეც.

მშპ-ის ალტერნატივის ძიება კვლავ გრძელდება: საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ, შექმნა კომისია, რომელშიც წამყვანი ექსპერტები შევიდნენ. კომისიის მიზანია იმ ინდიკატორების შემუშავება, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება ცხოვრების ხარისხი, სოციალური პროგრესი და ეკოლოგიური მაჩვენებლები. ამ კომისიის მუშაობის შედეგებს მთავრობა თავის მომავალ საქმიანობაში გაითვალისწინებს.

პროგრესის
ჭეშმარიტი
მაჩვენებელი...

**დამატებითი
ლიტერატურა:**
*Michael Dauderstädt (2007),
Soziale Produktivität oder Umverteilung?
Herausforderungen für eine Politik der neuen Wertschöpfung, Berliner Republik 3/2007.
Hagen Krämer (2009), Wen beglückt das BIP?, Wiso direkt, Friedrich-Ebert-Stiftung (Hg.), Bonn.*

5. პარტიაზე ეკონომიკური პროგრამების შედება

ავტორი: ტოშიას გომბერტი

ამ თავში:

- შედარებულია ბუნდესტაგში წარმოდგენილი ხუთი პოლიტიკური პარტიის პროგრამები;
- გაანალიზებულია მათი მიზნები კოორდინირებული და არაკოორდინირებული მოდელების საფუძველზე;
- პარტიები კლასიფიცირებულია ხარისხობრივი ზრდის მიმართ მათი პოზიციების მიხედვით, რომელზედაც ორიენტირებული არიან სოციალ-დემოკრატები.

რომელი პარტიაა უფრო კომპეტენტური ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში? რომელ პარტიას შეუძლია შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების უკეთ გადაჭრა? რომელ პარტიას აქვს ყველაზე კარგი იდეები სოციალური პოლიტიკის სფეროში? საყოველთაო არჩევნების წინა პერიოდში მასმედიის ყველა ანალიზში ეს კითხვებია ყურადღების ცენტრში. ზოგადად, ეკონომიკურ საკითხებში ყველაზე კომპეტენტურად მემარჯვენე ცენტრისტული პარტიები არიან მიჩნეული, ხოლო სოციალური პოლიტიკის საკითხებში დიდი ნდობით მემარცხენები სარგებლობენ. პარტიათა ასეთი განსაზღვრა საკმაოდ მდგრადია და პოლიტიკური პარტიების ზოგად იდეოლოგიაზე მიუთითებს. მაგრამ არის კი ეს შეფასება ზუსტი? პასუხი ასეთია: არის კიდეც და არც არის.

ეს კლასიფიკაცია გარკვეულწილად შეესაბამება პარტიათა სახელმძღვანელო პრინციპებს და ძირითად ორიენტირებს. რა თქმა უნდა, შეეთხვები გარკვეულ გაუგებრობას წარმოშობს: ისინი არ განმარტავენ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კომპეტენციებს და არ ითვალისწინებენ ამ კომპეტენციათა ურთიერთდამოკიდებულებას. თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვით არ შემოიფარგლება. უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი ურთიერთობა სოციალურ პოლიტიკასთან და სხვა სფეროებთან. ეკონომიკური პოლიტიკა – ესაა იმავდროულად საზოგადოებრივი პოლიტიკა, რამდენადაც ჯეროვნად ფუნქციონირებადი ეკონომიკა ყოველთვის ჩართულია საზოგადოებრივ სისტემაში. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამიტომ პარტიის ეკონომიკური პროგრამის შესწავლისას ყურადღებით უნდა განვიხილოთ მთლიანი პროგრამა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ეკონომიკის როლის აღწერა პარტიის

მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური სისტემის ფარგლებში.

აქ კვლავ გამოვადგება კომპასის მაგალითი: მიმართულების განსაზღვრისთვის უნდა აღვწეროთ არა მხოლოდ მიზნად დასახული ეკონომიკური მოდელი, არამედ კონკრეტული ორიენტაციის საწყისი წერტილიც (რაც უკვე გავაკეთეთ წინა თავში).

რა თქმა უნდა, პარტიები რეალურ მდგომარეობას განსხვავებულად აფასებენ და მოვლენათა განვითარების სხვადასხვა კონცეფციას ავითარებენ, რაც კარგად ჩანს მათი პროგრამებიდან. ქვემოთ განვიხილავთ პარტიული პროგრამების ელემენტებს, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება. ეს ელემენტები კოორდინირებული და არაკოორდინირებული ეკონომიკის კატეგორიების საფუძველზე იქნება აღნერილი.⁶

5.1. ჰამბურგის პროგრამა – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი პრინციპების პროგრამა

2007 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ეგრეთ წოდებული ჰამბურგის პროგრამა მიიღო. ეს არის მისი ადრინდელი პროგრამების უახლესი მიმართულება. მასში მცირედი ცვლილებებით შენარჩუნებულია ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხები, რომლებიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1959 წელს, გოდესბერგის პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ნათქვამია: „ჩევნი დევიზია: იმდენი კონკურენცია, რამდენიც შესაძლებელია, და იმდენი სახელმწიფო რეგულირება, რამდენიც აუცილებელია“ (გვ. 43).

ამრიგად, ძირითადი იდეა არის კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა, თუმცა იგი სახელმწიფოსა და ბაზარს ერთ სიბრტყეში არ განიხილავს: პოლიტიკა ყოველთვის მაღლა დგას. ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით პროგრამაში ნათლადაა გამოკვეთილი, რომ „სახელმწიფო რეგულირება“ უნდა იყოს იმდენი, რამდენიც „აუცილებელია“: ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური ჩარევა უნდა იყოს „მთავარი“. მაგრამ რისთვის არის საჭირო „სახელმწიფო რეგულირება“?

სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაც და შეზღუდვაც ორ ძირითად მოსაზრებას ეფუძნება: პირველი, ცნობილია არარეგულირებული

6 ადრე წარმოდგენილი კატეგორიები ამ კონტექსტში შემოკლებული იქნება: კატეგორია „სანარმოთა შორის ურთიერთობები“ პარტიულ პროგრამებში ძნელად მოიპოვება და ამიტომ აქ განხილული არ იქნება.

ან არასაკმარისად რეგულირებული სახელმწიფო მოდელის ხარვეზები; მეორე, დასახულია დემოკრატიული სოციალიზმის (გვ. 16-17) მიზნები, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ აქტიური და დემოკრატიული საზოგადოების მეშვეობით, სახელმწიფო რეგულირების პირობებში. მთლიანობაში, დეფექტები და მიზნები განსაზღვრავს ხარვეზებს და სოციალური პოლიტიკის ამოცანებს, რომელთა განხორციელებასაც ცდილობს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი პროგრამის დახმარებით.

ჰამბურგის პროგრამაში შეჯამებულია ბაზრის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მხარეები: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბაზარი არის ეკონომიკური კოორდინაციის აუცილებელი ფორმა და იგი სხვა ალტერნატივებზე მაღლა დგას. მაგრამ საკუთარ თავს მინდობილი ბაზარი ბრმაა როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. მას არ შეუძლია, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საზოგადოებრივი სიკეთე“ (გვ. 17). მაშასადამე, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა არა ბაზრის მეშვეობით, არამედ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორიენტაციით მიღწევა. კერძოდ, საბაზრო მექანიზმები კი არ წყვეტს, არამედ კიდევ უფრო ამწვავებს ბაზრის გლობალიზაციით გამოწვეულ პრობლემებს, რაც სილარიბესა და სიმდიდრეს შორის უფსკრულის ზრდით და ეკოლოგიური კრიზისით გამოიხატება. იმისათვის, რომ ეკონომიკური ღირებულების შექმნა ყველას-თვის სასარგებლო იყოს, აუცილებელია რეგულირება, საზოგადოებრივი დისკუსიები და კონტროლი.

„დემოკრატიული სოციალიზმი ჩვენთვის კვლავ რჩება სოლიდარობაზე დაფუძნებული თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოების ხედვად, რომლის განხორციელებაც ჩვენი უცვლელი ამოცანაა. ჩვენი მოქმედების პრინციპია სოციალური დემოკრატია“ (გვ. 16-17). მაშასადამე, დღევანდელ სიტუაციას უპირისპირდება პროექტი, რომელიც ორიენტირებულია ძირითად ღირებულებებზე და ყველა ადამიანისთვის მათ განუხრელ დაცვაზე არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამიტომ ამ მიზანს განამტკიცებს განვითარების იდეები: მიზნის სახელმწიფო განკარგულებებით მიღწევა შეუძლებელია;

მიზანი: „თანასწორობა“

„ჩვენ გვსურს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი და სამართლიანი მონაწილეობა მდგრად დასაქმებაში, რომელიც სათანადო დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. სამუშაო, რომელსაც ძირითადად ქალები ასრულებენ, ხშირად დაბალანაზღაურებადია. უზრუნველყოფილი უზდაიქნეს თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურება. ... ამის მისაღწევად საჭიროა სამართლებრივი ღონისძიებები, რათა ქალები წამყვან თანამდებობებზე დაინიშნონ სანარმოებში, ადგინისტრაციებში, სამეცნიერო და კვლევით პროცესებში და სამეცნალყურეო საბჭოებში.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 41)

მიზანი: „ერთობლივი მართვა“:

„იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფო პაზარს ვეღარ უზრუნველყოფს სოციალური და ეკოლოგიური ჩარჩოებით, მის ნაცვლად ეს ეკოკავშირმა უნდა გააკეთოს. ... იქ, სადაც ეკონომიკური საქმიანობა სცილდება სახელმწიფოს საზღვრებს, მუშაյთა უფლებების მოქმედება საზღვართან არ უნდა შეწყდეს. ამიტომჩენენ გვსურს დავიცვათ და გავაძლიეროთ ერთობლივი მართვა ეკოროპულ კომპანიებით. თავისუფალი კოლექტიური მოლაპარაკებების განმტკიცებისა და გაძლიერების მიზნით ჩვენ მხარს ვუჭროთ ტრანსასაზღვრო კოლექტიური მოლაპარაკებებისა და კოლექტიური ხელშეკრულებების ეკოროპულ სამართლებრივ საფუძველს.“
(ჰაბურგის პროგრამა 2007: 26, 28-29)

იგი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი შრომით: „ვინაიდან ჩვენ ამ მიზნის ერთგული ვართ, ჩვენ დემოკრატიულ პოლიტიკას ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ და პოლიტიკური სუბორდინაციის წინააღმდეგი ვართ. პოლიტიკური საწყისი არ უნდა დავიდეს მხოლოდ სახელმწიფომდე – მან უნდა მოიცვას სამოქალაქო საზოგადოების კავშირები და ქსელები, აგრეთვე ადამიანთა თა-

ვისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედებები“ (გვ. 17).

კერძოდ, თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევებად გლობალიზაცია, გენდერული თანასწორობა და ეკოროკავშირის მზარდი როლი სახელდება. უკვე ნახსენები ბაზრის ხარვეზებისა და პარტიის მიზნების ფონზე კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ბაზრის კოორდინირებული ფორმები.

ფინანსური სისტემა: ჰაბურგის პროგრამაში ცალკე თავი ეთმობა კაპიტალისა და ფინანსური ბაზრების გავლენას. ეს ასახავს მათ მზარდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას სანარმოთა დაფინანსებასა და კონტროლში (მათ შორის, გერმანიაში): „ჩვენ გვსურს გამოვიყენოთ კაპიტალის ბაზრის პოტენციალი ხარისხობრივი ზრდისთვის“ (გვ. 46-47). თუმცა, იმავდროულად, გათვალისწინებულია არახელსაყრელი გარემოებები და კრიზისებთან დაკავშირებული მზარდი რისკები: „იქ, სადაც ფინანსური ბაზარი მხოლოდ მოკლევადიანი მოგებისკენ ისწრაფვის, იგი საფრთხეს უქმნის სანარმოთა ზრდის გრძელვადან სტრატეგიას, რითაც ანადგურებს სამუშაო ადგილებს. სააციონ საზოგადოებების მეშვეობით ჩვენ გვსურს დავვეხმაროთ ინვესტორებს, რომლებიც უფრო გრძელვადიან კაპიტალდაბანდებზე არიან ორიენტირებული, და არა სწრაფ მოგებაზე. ჩვენ ინვესტორებისთვის გვჭირდება წესები და ფონდები, რომლებიც არ დაუშვებენ ცალმხრივ მოგებაზე ორიენტირებას სანარმოთა გრძელვადიანი განვითარების ხარჯზე. სასაქონლო და ფინანსური ბაზრების საერთაშორისო ინტეგრაციის ზრდის გამო მათი საერთაშორისო რეგულირება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს“ (გვ. 47). გარდა ამისა, მდგრადო-

ბაზე მათი გრძელვადიანი ორიენტაციის გამო უნდა შენარჩუნდეს შემნახველი და კოპერატიული ბანკები: ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარებაში და შეუძლიათ საკვანძო მნიშვნელობა შეიძინონ ადგილობრივ ეკონომიკაში.

შრომითი ურთიერთობები: სოციალ-დემორატიული პარტია მუშათა მოძრაობის ტრადიციების მატარებელია. შესაბამისად, მისი ამოცანაა მუშაკთა უფლებების განხორციელება და გაუმჯობესება. ამ მიზნით ძირითადი ეკონომიკური სისტემის ფარგლებში უნდა შენარჩუნდეს არსებული მარეგულირებელი ბერკეტები: სატარიფო ავტონომია და საერთო სატარიფო ხელშეკრულებები. ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების პროცესმა მოლაპარაკებების პარტნიორებიდან საწარმოს დონეზე არ უნდა გადაინაცვლოს. მინიმალური ხელფასის დადგენა სატარიფო ავტონომიის დასაყრდენი უნდა გახდეს. საწარმოებმა „კომპანიის შიგა დემორატიის“ პრინციპი უნდა დაიცვან: უნდა განმტკიცდეს ერთობლივი მართვა (რომელსაც საწარმოო საბჭო ახორციელებს) და სამეთვალყურეო საბჭოებში მონაწილეობა. ჰაბბურგის პროგრამას დაემატა ორი ახალი ასპექტი, რომლებმაც შრომით ურთიერთობებზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გავლენა უნდა მოახდინოს დასაქმებულთა სასარგებლოდ: მუშაკთა ფინანსური მონაწილეობა მრეწველობის დარგობრივი ფონდების მეშვეობით უნდა გაიზარდოს. ამასთანავე, უმუშევრობის დაზღვევა უნდა გარდაიქმნას მუშაკთა დაზღვევის სისტემად, რომელიც დაფარავს ტრენინგის/განათლების ხარჯებსა და ოჯახური მდგომარეობით გამოწვეულ გაცდენებს, რითაც განამტკიცებს მუშაკთა მდგომარეობას დამსაქმებლებთან შრომით ურთიერთობებში.

პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა: უნდა შენარჩუნდეს განათლების დუალური სისტემა, სადაც ჩართულია, ერთი მხრივ, სასკოლო კომპონენტი, რომელზედაც სახელმწიფოა პასუხისმგებელი, და, მეორე მხრივ, საწარმოს კომპონენტი. თუმცა პროფესიული სწავლებისთვის საჭიროა სოლიდარობაზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემა. ეს უდავოდ სცილდება თანამშრომლობის არსებულ ფარგლებს, რომელიც მეტი საწარმოო სწავლების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. უმაღლესი განათლების პირველი საფეხური უნდა დარჩეს ან კვლავ უნდა გახდეს უფასო. პრიორიტეტი უნდა მიერჩოს შემდგომ სწავლებასა და ტრენინგებს, რომლებიც პროფესიული განათლების მესამე საყრდენია.

სამრეწველო პოლიტიკა: სახელმწიფომ და საზოგადოებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს იმ სექტორებს, რომლებიც ახალ წამყვან ბაზრებს მიეკუთვნება (მაგალითად, განახლებადი ენერგიის წყაროები, მომსახურებისა და ჯანდაცვის სფერო, ადგილობრივი სახელობო დარგები და სხვა). საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ინვესტირება უმნიშვნელოვანეს ამოცანებს განეუთვინება.

მთლიანობაში, ჰამპურგის პროგრამა მხარს უჭერს ხარისხობრივ ზრდაზე ორენტირებულ ეკონომიკას: თანაბრად უნდა განმტკიცდეს სოციალური თანასწორობა, ეკოლოგიური მდგრადობა და ეკონომიკური ზრდა.

5.2. ძირითადი პრინციპები გერმანიისთვის – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ) პროგრამა⁷

2007 წელს ახალი პლატფორმა წარმოადგინა აგრეთვე ქრისტიან-დე-მოკრატიულმა კავშირმა (ქდკ). წარმატებულ სამომავლო მოდელად მას ძირითადად სოციალური საბაზრო ეკონომიკა მიაჩნია: „ქრისტიან-დე-მოკრატიული კავშირი სოციალური საბაზრო ეკონომიკის პარტიაა. ... ქდკ უარყოფს კოლექტივიზმის სოციალისტურ და სხვა ფორმებს. ეს ეხება აღვირახსნილ კაპიტალიზმაც, რომელიც მხოლოდ ბაზარს ეყ-რდნობა და თანამედროვე სოციალური პრობლემების გადაჭრა არ შეუ-ძლია. გაერთიანებულ გერმანიაში და გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენ კვლავ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ერთგული ვრჩებით“ (ძირითა-დი პრინციპების პროგრამა 2007: 46-47).

„კოლექტივიზმის“ უარყოფა აგრეთვე აისახება „მეწარმეობის“ მოდელში, რომელიც სოციალური საბაზრო ეკონომიკის გული და საფუძველია: „ქრის-ტიან-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს თავისუფალ, სოციალურად პასუხისმგებელ მეწარმეობას. სწორედ მეწარმეებსა და კომპანიის მენე-ჯერებს ძალუბთ შექმნან გრძელვადიანი სამუშაო ადგილები, რომელთა რეპუტაცია და კულტურული იდენტურობა ხელს უწყობს მსოფლიოში გერმანიის სახის ჩამოყალიბებას. მეწარმეებს წარმატებისთვის თავისუ-ფლება, სათანადო პირობები და სტიმულები სჭირდებათ“ (გვ. 49).

უკვე ცხადია, რომ ძირითადი იდეა მნიშვნელოვნად განსხვავდება სო-ციალ-დემოკრატების პოზიციისაგან როგორც მიზნების, ისე მეთო-დების თვალსაზრისით: თავისუფალი და სოციალურად პასუხისმგებე-ლი მეწარმეობა და მორალური და სოციალური პასუხისმგებლობისკენ მოწოდება ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პლატფორმაა, ხოლო რეგულირება და დემოკრატიული თანამშრომლობა ყოველი ადამია-ნის უფლებათა განხორციელების მიზნით – სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ქდკ საზოგადოებისა და მუშაკთა მიმართ სოციალურ პასუ-ხისმგებლობას ცალკეულ მეწარმეებს აკისრებს.

7 Christlich Demokratische Union Deutschlands – გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი

ამრიგად, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისათვის პოლიტიკის როლი აშკარად უფრო ნაკლებია: „სოციალური საპაზრო ეკონომიკა კონკურენტული სისტემაა. სოციალური საპაზრო ეკონომიკის პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური სისტემა, რომელმაც ეკონომიკის განვითარება უნდა უზრუნველყოს (Ordnungspolitik)“ (გვ. 49).⁸ მაშასადამე, სახელმწიფოს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: კომერციული საქმიანობისა და ხელშეკრულებათა გაფორმების თავისუფლების უზრუნველყოფა; საპაზრო ბარიერებისაგან დაცვა; ბაზარზე გაბატონებული კომპანიების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვა; ბაზრის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; პატიოსანი კონკურენციის პირობებში საერთაშორისო დონეზე ბაზრების გახსნა (შდრ. გვ. 49 და 52).

მაშასადამე, საპაზრო ეკონომიკასთან მიმართებით სახელმწიფოს როლი ლიბერალური ხედვის ძირითად მახასიათებლებზე ორიენტირებული, თუმცა იგი რეგულირების გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს.

ფინანსური სისტემა: გერმანიაში საერთაშორისო კაპიტალისა და ფინანსური ბაზრების მნიშვნელობის ზრდას დადებითად აფასებენ, ხოლო ინვესტიციების შესაძლებლობებზე ხაზგასმით მიუთითებენ: „ფონდები, რომლებიც კაპიტალდაბანდებათა შესაძლებლობებს ეძებენ, მაგალითად, კერძო აქციათა ფონდები, გერმანიაშიც შეძლებენ კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციურობის გაზრდას“ (გვ. 52). ქდკ-ს მიაჩნია, რომ კერძო საინვესტიციო ჯგუფების ძალაუფლება ბაზარზე საშინაო, თუმცა აქ სათანადოდ იღვნიან არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ „საიმედო ჩარჩო“ და გამჭვირვალობა (შდრ. გვ. 52).

შრომითი ურთიერთობები: შრომითი ურთიერთობებისადმი ქდკ-ის მიდგომა ქრისტიანობის სოციალური ეთიკიდან მომდინარეობს (გვ. 50). იგი განვითარების ინდივიდუალურ პოტენციალზე მიუთითებს: „სანარმოებს წარმატებისთვის კარგად განათლებული, შემოქმედებითი და მოტივირებული თანამშრომლები სჭირდებათ. თანამშრომლებს მონაწილეობისთვის ესაჭიროებათ შესაძლებლობები, პასუხისმგებლობა და თავისუფლება, რომელთა ფარგლებშიც სრულად და წარმატებულად უნდა განვითარონ თავიანთი უნარები. განათლება და ტრენინგი მათი დასაქმების პოტენციალისა და შრომის მნარმარებლობის ზრდას უზრუნველყოფს. დასაქმებულებს თავიანთი ცხოვრების დასაგეგმად საბაზისო დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები სჭირდებათ. მათ აქვთ უფლება, მიიღონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაბამისი წილი“ (გვ. 50). შრომით ურთიერთობებში კოლექტიური დაცვისა და კოლექტიური ორგანიზების მიმართ ქდკ-ს

8 „Ordnungspolitik“-ის ძრითადი პრინციპია ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც საპაზრო ძალები ურთიერთქმედებენ და ავთარებენ თავიანთ დროისში კონკურენციის პირობებში (პანს ტიტმეიერი, სეცუილური ჯილდოს გადაცემისას წარმოთქმული სიტყვა, 1997 წელი, გერმანულ-ბრიტანული ფორუმი ლონდონში, 15.12.97).

კრიტიკული დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, იგი მხარს უჭერს სატარიფო ავტონომიის შენარჩუნებას, მაგრამ მოლაპარაკების მხარეებს მოუწოდებს, დაივიწყონ ხისტი დარგობრივი სატარიფო შეთანხმებები და „მეტი პასუხისმგებლობა დააკისრონ ინდივიდუალურ კომპანიებს“ (გვ. 58). კანონის საფუძველზე შექმნილი „მუშაკთა საწარმოო კავშირების“ მეშვეობით უნდა გაძლიერდეს საწარმოთა დონეზე მიღებული რეგულაციები და არა ჩარჩო სატარიფო ხელშეკრულებები. ეს შრომის კანონმდებლობაში რევოლუციის ტოლფასი იქნებოდა. ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს ცხარე კამათი შრომის კანონმდებლობის ექსპერტებს შორის. ქრისტიან-დემოკრატები მხარს უჭერენ მუშაკთა მონაწილეობას საწარმოს მართვაში, მაგრამ ეს უფრო ეხება საწარმოს როლის გაზრდას ჩარჩო სატარიფო ხელშეკრულებებთან შედარებით.

პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა: ქდევ მხარს უჭერს პროფესიული განათლების დუალურ სისტემას, რადგან იგი არის „ქვეყნის უპირატესობა საერთაშორისო კონკურენციაში და ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალება“ (გვ. 38). პროგრამა კერძო და სახელმწიფო დამსაქმებლებს მოუწოდებს, შექმნან საწარმოო სწავლების მეტი საშუალებები, რომლებიც დაფუძნებული იქნება „პასუხისმგებლობასა და მიზნობრივ სტიმულებზე“ და არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იძულების ზომებზე (გვ. 39). სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დაწესდეს „სწავლის გადასახადი, რომელიც სოციალურად პასუხისმგებელი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი იქნება“.

საბოლოო ჯამში, ქდევ საკუთარ თავს წარმოაჩენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის დამცველად, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალურად პასუხისმგებელი მენარმის მოდელი. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ქდევ-ს ბევრი რამ ლიბერალური იდეებისგან აქვს ნასესხები, მაგალითად, დერეგულაციასთან დაკავშირებული მრავალი წინადადება.

5.3. „მომავალი მწვანეა“ – „კავშირი 90/მწვანეების“ ძირითადი პრინციპების პროგრამა⁹

პარტიამ „კავშირი 90/მწვანეები“ თავისი პროგრამა ჯერ კიდევ 2002 წელს წარმოადგინა. აქ განხილულ პარტიულ პროგრამებს შორის მას ყველაზე დიდი მოცულობა აქვს. იგი საზოგადოების სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად გარდაქმნასა და მზის

9 „კავშირი 90/მწვანეები“

ენერგეტიკისა დანერგვაზეა ორიენტირებული. მომავლის უმთავრეს პრობლემად ბუნებრივი რესურსების დრაკონული ექსპლუატაციაა აღიარებული. თუმცა საჭირო გარდაქმნები წარმოდგენილია პროექტის სახით, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებთან ერთად სოციალური მოთხოვნების ფართო სპექტრსაც მოიცავს. საზოგადოებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებით პარტია „კავშირი 90/მწვანები“ სხვა პარტიებისაგან ლიბერალური, მაგრამ არა საბაზრო ლიბერალური იდეებით გამოირჩევა: „არსებული სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ზედმეტადაა ორიენტირებული სანარმოთა მოგებაზე, მოლოდინებს არ ამართლებს და მისი სასწრაფოდ გარდაქმნაა საჭირო. არ შეიძლება სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციით შემოიფარგლოს. ყველა სოციალური ჯგუფის თავისუფლების გარეშე, მოქალაქეთა თვითგამორკვევის გარეშე და სუბსიდიურობის პრინციპის დაცვის გარეშე სოციალური სოლიდარობა შეუვალ ბიუროკრატიად გადაქცევა. ჩვენ მხარს კუჭერთ სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო რესურსების გამოყენებით განმტკიცებას, მაგრამ, იმავდროულად, უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო ზეგავლენა. ამით განვსხვავდებით ჩვენ სახელმწიფო სოციალისტური, კონსერვატიული და საბაზრო ლიბერალური პოლიტიკური მოდელებისაგან“ (გვ. 43). ამრიგად, „კავშირი 90/მწვანები“ მოითხოვს „მმართველობის ჩარჩოს“ შემუშავებას, რომელმაც ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს (გვ. 46).

ფინანსური სისტემა: პარტია „კავშირი 90/მწვანები“ მწვავედ აკრიტიკებს ფინანსური სისტემის არსებულ ფორმას. პარტიას მიაჩნია, რომ საჭიროა „ბაზარზე გაბატონებული გლობალური მოთამაშების“ წელში გატეხვა: „ეს მოითხოვს, ერთი მხრივ, დემოკრატიულ ჩარჩოს და, მეორე მხრივ, ეკოლოგიურ ინფორმაციასა და განათლებას, ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის განვითარებისთვის საჭირო ეკონომიკურ სტიმულებს და სამრენველო სექტორთან შეთანხმებას“ (გვ. 27-28). ამიტომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პაზრის ინტეგრირებას: „აუცილებელია შეივსოს უფლებული ეკონომიკის გლობალიზაციასა და არასათანადო პოლიტიკურ კონტროლს შორის და დასრულდეს ამ პროცესის ინტეგრირება. დღეისათვის ევროპის კავშირი იმ სახელმწიფოთა შორის ერთობლივი პასუხისმგებლობის განვითარების ყველაზე მასშტაბური მაგალითა, რომლებმაც ამ მიზნით ნაწილობრივ დათმეს თავიანთი სუვერენიტეტი. ევროპის კავშირმა უნდა შეწყვიტოს ეკონომიკური პოლიტიკის მკაცრი ნეოლიბერალური კურსი და უფრო მეტი საერთაშორისო როლი უნდა შეასრულოს გლობალიზაციის სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების ფორმირებაში“ (გვ. 17). ეს ეხება გლობალურ ეკონომიკასაც: საჭიროა განვითარდეს საერთაშორისო ინსტიტუტები და შემოღებულ იქნეს ფინანსური ურთიერთებულების სავალდებულო რეგულაციები და მინიმალური სტანდარტები (გვ. 59). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული

პარტიისაგან განსხვავებით, პარტია „კავშირი 90/მწვანები“ არაფერს ამბობს „საფირმო ბანკებისა“ და შემნაცვლი ბანკების როლზე, რაც ასე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული ეკონომიკის ხელშეწყობა მათი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება (შდრ. გვ. 54-55).

შრომითი ურთიერთობები: პარტია „კავშირი 90/მწვანები“ ისწრაფვის, დაამყაროს ისეთი შრომითი ურთიერთობები, როდესაც „რაც შეიძლება მეტი ადამიანი მიღებს შეგნებულ მონაწილეობას ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (გვ. 47). ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა როგორც გავლენიანი სოციალური პარტიონორების, ისე ძლიერი საწარმოო საბჭოების სატარიფო ავტონომიის შენარჩუნება. იმავდროულად, „ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმების სტრუქტურებს შორის მზარდი დიფერენციაცია სატარიფო გადაწყვეტილებების ფორმების რეგიონებისა და დარგების მიხედვით დიფერენცირებას მოითხოვს“ (გვ. 48), თუმცა სათანადო მნიშვნელობა ენიჭება საერთო სატარიფო ხელშეკრულებებს. ცხადია, რომ იგულისხმება ჩარჩო სატარიფო ხელშეკრულებები და მათი უფრო მოქნილი და ინდივიდუალური დარგობრივი და რეგიონული სატარიფო ხელშეკრულებებით შეესება. „კავშირი 90/მწვანები“ აგრეთვე მხარს უჭერს, „საწარმოო საშუალებათა ფოლობაში ხალხის მონაწილეობას“ (გვ. 131). ის სპეციალურად არ აზუსტებს, ეს ეხება საწარმოს თუ საწარმოთაშორის ფონდებს. იმავდროულად, ის თანამფლობელობისა და ერთობლივი მართვის საკითხის ერთად განხილვას და ქარხნებისა და კომპანიების ერთობლივი მართვის „ცვალებადი საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად ადაპტაციას“ მოითხოვს (გვ. 131). ტექსტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნები და საჭიროებებია აქ ნაგულისხმები.

პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა: პარტიას „კავშირი 90/მწვანები“ მიაჩნია, რომ პროფესიული განათლების სისტემა ყოველ ადამიანს უნდა აძლევდეს საშუალებას, ჩამოაყალიბოს განათლების/ტრენინგის ინდივიდუალური გზა უწყვეტი სწავლის საზოგადოების პირობებში (გვ. 99). აქ ფოკუსირება, უპირველეს ყოვლისა, პირველადი განათლების უფრო მოკლე პერიოდზე და შემდგომ პროფესიულ ტრენინგზე ხდება: ეს არის გარკვეული მოდულური სისტემა (გვ. 99). ამასთანავე, პირველადი განათლება (მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით) [პროფესიულ და მრავალდისციპლინურ] „საკვანძო უნარებზე“ უნდა იქნეს კონცენტრირებული (გვ. 100). ფირმაში ყოველ-დღიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული უფრო სპეციფიკური ტრენინგის უზრუნველყოფისთვის კომპანიები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ქდე-ის პლატფორმებთან შედარებით ეს იდეები მოკლებულია კონკრეტულ ფორმულირებას: ნათელი არ არის, უნდა შენარჩუნდეს თუ არა პროფესიული განათლების დუალური სისტემა და უნდა იყვნენ თუ არა ფირმები პასუხისმგებელი ფინანსური

უზრუნველყოფისათვის და, პროფესიულ სკოლებთან ერთად – სწავლების შინაარსისათვის. ასევე არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უწყვეტი სწავლება ფინანსურად და ორგანიზაციულად: პროგრამაში ნახსენებია მხოლოდ სატარიფო ხელშეკრულების მხარეთა როლი და ის ფაქტი, რომ უნდა არსებობდეს „ბალანსი კერძო და სახელმწიფო დაფინანსებას შორის“ (გვ. 103).

მთლიანობაში, პარტიის „კავშირი 90/მწვანები“ მიერ ნარმოდგენილი პროგრამა მდგრად განვითარებაზეა ორიენტირებული. რაც შეეხება სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობას – ანუ, როგორ უნდა გამოიყენებოდეს კომერციული საბაზრო ეკონომიკა – პროგრამა ლიბერალური მიდგომების ჰიბრიდს (მაგალითად, მარეგულირებელი ჩარჩო, მაგრამ, იმავდროულად, ტრენინგის სისტემაში ინდივიდუალური მონაწილეობა) და სოციალ-დემოკრატიულ მიდგომებს აღნერს. ჯერ კიდევ გასარკვევია, არის თუ არა იგი საზოგადოების ლოგიკური მოდელი.

5.4. თავისუფალ დემოკრატია პარტიის (თდპ) „ვისბადენის ძირითადი პრინციპები“¹⁰

ბუნდესტაგში წარმოდგენილ პარტიათა შორის თდპ-ს ყველაზე ძველი პროგრამა აქვს – 1997 წლის „ვისბადენის პრინციპები“. (ეკონომიკური) ლიბერალიზმის ერთგულება თდპ-ს თავის განმასხვავებელ ნიშანად მიაჩნია: „თდპ, როგორც ორგანიზებული ლიბერალიზმის პარტია, რაციონალურობისაკენ, პლურალიზმისა და კონკურენციისაკენ სწრაფვით განსხვავდება სხვა პარტიებისაგან, რომლებიც პროგრესის მიღწევას სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინტერვენციების მეშვეობით ცდილობენ“ (გვ. 6). ამრიგად, სახელმწიფოს როლი თდპ-სთვის არის როგორც კრიტიკის საგანი, ისე ათვლის წერტილი: „ბიუროკრატიული სახელმწიფო ეკონომიკა“ (გვ. 14) და მისი „ბიუროკრატიული სტრუქტურა“ ხელს უშლის ეკონომიკისა და საზოგადოების თავისუფალ და მოქნილ განვითარებას: „ლიბერალები საუკეთესო სოციალური და ეკოლოგიური მიზნების მქონე სახელმწიფო ეკონომიკას ამჯობინებენ საბაზრო ეკონომიკას საუკეთესო სოციალური და ეკოლოგიური შედეგებით“ (გვ. 6). ლიბერალებისთვის ჭეშმარიტი გზაა ეკონომიკური ქმედითობის მიღწევა – სახელმწიფოს ჩარევისა და ძლიერი ინტერესთა ჯგუფების კარტელების გაუქმების მეშვეობით, რათა მიღწეულ იქნეს „სოციალური ქმედითობა“ (მდრ. გვ. 14). ამის მაგალითია ძირითად კანონში პრივატიზაციის შესახებ დებულების ჩართვის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, კერძო ბიზნესს საქმიანობის ყველა სფეროში უნდა ჰქონდეს უპირატესობა, თუკი მას შეუძლია, სულ

10 Freie Demokratische Partei – თავისუფალ დემოკრატია პარტია

მცირე, სახელმწიფო სანარმოების ტოლფასი მომსახურება უზრუნველყოს (შდრ. გვ. 30). თდპ მხარს უჭერს „სოციალურ და ეკოლოგიურ საბაზრო ეკონომიკას“. თუმცა ამ ცნების მისეული განმარტება განსხვავდება როგორც ქდევის, ისე პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ განმარტებისაგან.

ფინანსური სისტემა: ფინანსური სისტემა და კაპიტალის ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს. ეს მოკლე და კატეგორიული ფორმულა საუკეთესოდ გამოხატავს თდპ-ის პოზიციას. ფრაზა „საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად“ აქ ძლიერი ევროკავშირის მიერ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას გულისხმობს. 1997 წელს ლიბერალები-სთვის ეს შემდეგს ნიშნავდა: „ლიბერალები მხარს უჭერენ არა ხალხის საკუთრებას, არამედ ხალხს, როგორც მესაკუთრება. საკუთრების ფლობის შესაძლებლობა ზრდის შრომის მოტივაციას, ხელს უწყობს სოციალურ უზრუნველყოფას და ამაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას. იგი სამენარმეო რისკისა და პირადი პასუხისმგებლობის ახალი კულტურის შექმნის საფუძველია“ (გვ. 15). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სანარმოთა საკუთარი კაპიტალის დაფინანსების შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს, უპირველეს ყოვლისა, კერძო მატერიალური ფასეულობების ხარჯზე, აგრეთვე კაპიტალის ბაზრისა და „კონკურენციის ბარიერების“ მოსპობის მეშვეობით. სახელმწიფო მხოლოდ მარეგულირებლის როლს ასრულებს: „გერმანიისა და ევროპული ეკონომიკური სისტემების მეტი კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია საერთო ევროპული სტაბილური ვალუტა. სავალუტო კავშირი საბოლოო სახეს მისცემს ერთიან შიგა ბაზარს“ (გვ. 25). თდპ-ის მთავარი ამოცანაა ინვესტიონურებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ხალხში ინვესტირებისთვის მზადყოფნის სურვილის გაზრდა.

შრომითი ურთიერთობები: თდპ მოკლედ აჯამებს თავის შეხედულებებს შრომითი ურთიერთობების სფეროში საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით: „მუშავები თანამენარმენი უნდა გახდნენ“ (გვ. 14). ამ მიზნით სანარმოო საშუალებებში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს საკუთრების ხვედრითი წილი. თდპ კრიტიკულად აფასებს „სანარმოს მართვაში ფუნქციონერების მონაწილეობას“. სანარმოო საბჭოებისა და სამეთვალყურეო საბჭოებში მუშავთა მონაწილეობის მეშვეობით სანარმოთა კოლექტური მართვის სისტემის გაუქმების, შეზღუდვის ან შევსების შესახებ პარტიის პროგრამაში არაფერია ნათქვამი. ამასთანავე, სანარმოო საკუთრებაში მუშავთა მონაწილეობის მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით არ არის განმარტებული, კორპორაციულ და სანარმოო პროცესებზე ზემოქმედების რა საშუალებები ექნებათ დასაქმებულებს. თუმცა „დამოუკიდებელი თანამენარმის“ ცნება მიუთითებს, რომ საქმე ეხება „ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს“. მეორე მხრივ, საერთო სატარიფო ხელშეკრულებები (გვ. 14) მკაფიოდაა უარყოფილი; იმავდროულად, სატარიფო ხელშეკ-

რულებებში (კანონის საფუძველზე?) შეტანილი უნდა იქნეს საერთო დებულებები, რომლებიც კომპანიას საშუალებას მისცემს, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს საწარმოს მართვაში ორგანიზებული მონაწილეობის ფორმა. თდპ-ის წინადადებების განხორციელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ მათ თანამიმდევრული სახე არა აქვთ) გერმანიის შრომის კანონმდებლობას ნამდვილი რევოლუცია ემუქრება. ზოგადი (სამართლებრივი) დებულებები საფრთხეს უქმნის სატარიფო მოლაპარაკებების საფუძველს. გარდა ამისა, თუკი უპირატესობა საწარმოს დონეზე დადგენილ ნორმებს მიენიჭება, მაშინ თავდაყირა დადგება არსებული სამართლებრივი პირამიდა, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, კანონებისა და სატარიფო ხელშეკრულებების უპირატესობას კომპანიისა და ინდივიდუალური ხელშეკრულებების მიმართ და, მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებულ „ხელსაყრელობის პრინციპს“ („უნდა მოქმედდებდეს მუშაკებისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ნორმები“). პროგრამაში ღიად არის დატოვებული საწარმოთა ასე გაზრდილი ძალაუფლების კონტროლის საკითხი.

პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა: პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის საკითხს თდპ ზოგადად ეხება. აქაც დღის წესრიგში დგას „ლიაობა და კონკურენცია“; „მოძველებული მექანიზმებისა და რეჟიმების“ აღმოფხვრა; კერძო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ან შემოღება (შდრ. გვ. 24). ყველა სხვა შემთხვევაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ საჭიროა „პროფესიული განათლების მოქნილი ადაპტაცია და სრულყოფა ყველა სფეროში“ (გვ. 14).

მთლიანობაში, თდპ-ის პროგრამა არაკოორდინირებული საბაზრო ეკონომიკისკენ მოგვიწოდებს. ყველა პრობლემის სათავედ სახელმწიფო და დახავსებული ბიუროკრატია მიჩნეული; თითქმის ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება ბაზრისთვის მეტი თავისუფლების მინიჭების გზით. „თავისუფლება“ განმარტებულია, როგორც (სახელმწიფოს მხრიდან) იძულებისაგან თავისუფლება. თავისი ლიბერალური რადიკალიზმის გამო ეს პროგრამა მომხიბლავად ვეღარ გამოიყურება.

5.5. პარტია „მემარცხენების“ „საპროგრამო თეზისები“

პარტია „მემარცხენები“ (Die Linke) ორი პარტიის – „დემოკრატიული სოციალიზმის პარტია“ (Partei des Demokratischen Sozialismus - PDS) და „შრომა და სოციალური სამართლიანობა – საარჩევნო ალტერნატივა“ (Arbeit & soziale Gerechtigkeit – Die Wahlalternative - WASG) – გაერთიანების შედეგად შეიქმნა. პარტიის ჯერ პროგრამა არ წარმოუდგენია,

მაგრამ აქეს „საპროგრამო სადამფუძნებლო დოკუმენტი“, რომელიც გაერთიანებულ კონგრესზე 2007 წლის მარტში იქნა მიღებული. იგი ფორმალურად (პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის ფარგლებში) პარტიის სვალდებულო პროგრამის როლს ასრულებს. უნდა ითქვას, რომ ეს „საპროგრამო სადამფუძნებლო დოკუმენტი“ სრულყოფილი არ არის; იგი მხოლოდ პარტიის მისწრაფებებს ასახავს. პარტიის პროგრამის შემუშავებელმა კომიტეტმა ახალი პროგრამის პირველი პროექტი 2010 წლის მარტში წარმოადგინა.

პარტია „მემარცხენეებს“ უპირველეს ამოცანად მიაჩნია „აბობოქრებული კაპიტალიზმის“ წინააღმდეგ ალტერნატივის გამოქვებნა, კერძოდ, „სოლიდარობისა და დემოკრატიულად სტრუქტურირებული საზოგადოების პრინციპებზე დაფუძნებული განახლება“ (გვ. 1): „ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებებია დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ინტერნაციონალიზმი და სოლიდარობა. ... თავისუფლება და სოციალური უსაფრთხოება, დემოკრატია და სოციალიზმი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია“ (გვ. 2). ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ეკონომიკის საკვანძო სფეროები ხალხის ხელში გადავიდეს, რათა კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე „ეფექტური და დემოკრატიული ეკონომიკა“ შეიქმნას (გვ. 3). პარტია „მემარცხენეები“ აცხადებს, რომ პოლიტიკის სფეროში და სამომავლო ხედვებში მასშტაბური ცვლილებების განხორციელება შეუძლია. სადამფუძნებლო დოკუმენტის მიხედვით ძნელია იმაზე მსჯელობა, რამდენად მასშტაბური უნდა იყოს ეს „ცვლილებები“. დრო გვიჩვენებს, რომელი პოლიტიკური ფრთა დაიმკვიდრებს თავს.

ფინანსური სისტემა: პარტია „მემარცხენეებს“ საერთაშორისო ფინანსური და კაპიტალის ბაზრების საქმიანობა კრიზისებისა და დღევანდელი საზოგადოების უთანასწორობის მთავარ ფაქტორად მიაჩნია: „გლობალური ფინანსური ბაზრების გამო კაპიტალის მოგებიანობის მოთხოვნა შეუზღუდვავად მოქმედებს მთელ მსოფლიოში. ... კაპიტალის მოთხოვნებზე ორიენტირებული წარმოების მოქნილობის და შრომის ბაზრის ზრდა ანგრევს ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ... ნეოლიბერალური კაპიტალიზმი დემოკრატიის რღვევას იწვევს. უზარმაზარი ძალაუფლებაა თავმოყრილი გლობალური კაპიტალიზმის საერთაშორისო საფინანსო ფონდების, ტრანსნაციონალური კონცერნების და არასამთავრობო ორგანიზაციების – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვათა – ხელში. ისინი არანაირ დემოკრატიულ კონტროლს არ ექვემდებარებიან“ (გვ. 5). პარტია „მემარცხენეებს“ საჭიროდ მიაჩნია ფინანსური სისტემის რეორგანიზაცია. ამისთვის იგი მოითხოვს, ერთი მხრივ, „ფინანსური ბაზრების დემოკრატიულ კონტროლს“ და, მეორე მხრივ,

„კერძო ეკონომიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაციას“, მათ შორის, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განმტკიცების გზით. გარდა ამისა, ფინანსურ სისტემას უნდა დაემატოს ეკონომიკის სოლიდარული ფორმების (მაგალითად, კომპერატივების) მხარდაჭერა (გვ. 11), სახელმწიფო სექტორის გაფართოება (გვ. 8) და „დასაქმების ხელშემწყობი და მომავალზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამები“ (გვ. 9-10).

შრომითი ურთიერთობები: პარტია „მემარცხენებისთვის“ „შრომა“ მხოლოდ ხელფასის უზრუნველსაყოფად არ არის გამიზნული: „ჩვენ ვისწრაფვით საზოგადოებისკენ, სადაც ყოველი ქალი და ყოველი მამაკაცი შრომით შეძლებს არსებობისთვის საჭირო ანაზღაურებას გამომუშავებას. ყველას უნდა ჰქონდეს ანაზღაურებადი შრომის, ოჯახში და პარტნიორებთან მუშაობის, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის და კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება“ (გვ. 7). ანაზღაურებად შრომასთან დაკავშირებით პარტია „მემარცხენები“ მხარს უჭერს შრომითი ურთიერთობების უფრო მკაცრ რეგულირებას კანონმდებლობისა და სატარიფო ხელშეკრულებების მეშვეობით. მაგალითად, პარტია მოითხოვს სატარიფო ავტონომიის შენარჩუნებას, „დამაკმაყოფილებელი არსებობისთვის საკმარისი მინიმალური ხელფასის კანონით განსაზღვრას“, „დასაქმების დაცვის უფრო მაღალ დონეს“, „ყველა დასაქმებულისთვის ერთობლივი მართვის მკაცრი წესების შემოღებას“ და „სატარიფო ხელშეკრულებების საყოველთაო მოქმედების უზრუნველყოფას“. პარტია კომპანიების ერთობლივი მართვის პარიტეტის პრიციპის დაცვით განხორციელებას მოითხოვს (გვ. 13). აგრეთვე უნდა არსებობდეს პოლიტიკური მიზნებისთვის გაფიცვის უფლება, რომელიც დღემდე აკრძალულია ხელფასებზე მოლაპარაკების პერიოდში სამრეწველო მოქმედებებისაგან თავის შეკავების ვალდებულებით (გვ. 13). ეს მაგალითები უჩვენებს, რომ პარტია „მემარცხენები“ ეკონომიკისა ზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ რეგულირების მომხრეა.

პროფესიული განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა: ამ სფეროში პარტია „მემარცხენები“ საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობაზე მიუთითებს და ამოცანად ისახავს განათლების სისტემის იმგვარად რეორგანიზაციას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრული ჩართულობა. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით ეს მოიცავს „სწავლების ძირითადი უფლების“ მოთხოვნას: „ბოლო უნდა მოეღოს დამსაქმებელთა მიერ პროფესიული განათლების პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას. ჩვენ მხარს ვუჭიროთ საწარმოო სწავლებისთვის საჭირო ადგილების ფართო სპექტრის შექმნას. ამისთვის საჭიროა დაფინანსების განაწილების სავალდებულო სისტემა“ (გვ. 17). განათლებისა და შემდგომი ტრენინგის პროგრამებს სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი (გვ. 17).

მთლიანობაში, პარტია „მემარცხენეები“ სახელმწიფოს სხვა პარტიებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იმავდროულად, რამდენადაც ამის დანახვის საშუალებას პროგრამა იძლევა, პარტია კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში ჩრება. თუმცა პროგრამაში ამ მოდელის ერთგულებაზე მკაფიოდ არაფერო მიუთითებს. პარტია „მემარცხენეები“ დანარჩენი პარტიებისაგან განსაკუთრებით ორი ასპექტით განსხვავდება: პირველი, იგი დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკის საკვანძო სფეროების ნაციონალიზაციის საკითხს, მაგრამ ნაციონალიზაციის ფარგლები და მისი განხორციელების ფორმები დაკონკრეტებული არ არის; მეორე, სახელმწიფო ფინანსური სტრუქტურის მშენებლობისა და სახელმწიფოსათვის წაყენებული მოთხოვნების დასაკამაყოფილებლად საჭირო საკირი საკირისი სიმდიდრის შექმნის უზრუნველყოფის საკითხები მოკლედაა აღნერილი. მართალია, პროგრამა არ უნდა შეიცავდეს დაფინანსებისა და განხორციელების გეგმას, მაგრამ, როდესაც საქმე წინადადებების რეალისტურ განხორციელებას ეხება, მაშინ ეს საკითხი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

5.6. პროგრამების შეფასება სოციალური დემოკრატიის მიზნების შესაბამისად

სოციალური დემოკრატია – ამ წიგნში მოცემული კონცეფციის მიხედვით – გაეროს 1966 წლის პაქტებში ჩამოყალიბებული ძირითადი უფლებების კანონიერ მოქმედებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაზეა ორიენტირებული. ეს პაქტები ქვეყნების უმრავლესობას აქვს რატიფიცირებული. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სოციალური დემოკრატიის ნორმატიულ მოთხოვნებთან ყველაზე ახლოს დგას კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის სისტემები, ისეთი, როგორიც არის სკანდინავიაში.

ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ამოცანებთან დაკავშირებით სიმონ ფაუტმა და კრისტიან კრელმა სოციალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი სამი მიზანი განსაზღვრეს: ზრდა, სოციალური თანასწორობა და მდგრადი განვითარება. შესაბამისად, ეს წარმოშობს კითხვას – როგორ უნდა მოხდინოს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება ან შეცვლა.

ბუნდესტაგში წარმოდგენილი ხუთი პარტიის პროგრამები უნდა განვიხილოთ, როგორც „განზრახვათა შესახებ“ განცხადება, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას იმ მიმართულების თაობაზე, რომლისკენაც წაიყვანს გერმანიის ეკონომიკას და გერმანიის საზოგადოებას მოცემული პარტია ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. აქ ვერ გამოვიკვლევთ, რამდენად ერთგულად განახორციელებენ ეს პარტიები თავიანთ

პროგრამებს. თუმცა 2008 წელს ფინანსური ბაზრების კრიზისზე ქდევის და თდპ-ის რეაქციამ და სტრატეგიულმა წინადადებებმა უჩვენა, რომ პროგრამების ზოგადი ორიენტაცია და კონკრეტული პოლიტიკური ქმედებები ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, თდპ-მ ახლახან მხარი დაუჭირა ძლიერი სახელმწიფოს იდეას, ხოლო ქდევი (თავისი ლიბერალურ-ეკონომიკური ფრთის საწინააღმდეგოდ) – სერიოზულ სახელმწიფო გარანტიებსა და კრედიტებს.

მთლიანობაში, პარტიათა პოზიციების შესახებ შემდეგი დასკვნები (რა თქმა უნდა, ნაწილობრივ სუბიექტური) შეიძლება გაკეთდეს:

- ამ კონტექსტში ქდევი მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკას, რომელიც დღევანდელთან შედარებით ნაკლებად იქნება კოორდინირებული. ეკონომიკური ლიბერალიზმის ელემენტები მენარმეთა ინდივიდუალურ მორალურ ვალდებულებებთანაა კომბინირებული. ერთობლივი მართვის და კონტროლის კოლექტიური ფორმები უარყოფილია, შეკვეცილია ან უფრო მოქნილი სახითაა წარმოდგენილი.
- თდპ თავის პროგრამაში მხარს უჭერს არაკოორდინირებულ და ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას. ნათელი არ არის, რატომ უნოდებენ მის მიერ წარმოდგენილ მოდელს „სოციალურ და ეკოლოგიურ საბაზრო ეკონომიკას“.
- „კავშირი 90/მწვანები“ თავის პროგრამაში იცავს კოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც „მზის ენერგიის საზოგადოების“ მიმართულებით უნდა გარდაიქმნას. ამ მიმართებით მას ლიბერალური იდეები, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები და კოლექტიური კონტროლის ასპექტები აქვს გამოყენებული. მთლიანობაში, პარტიის „კავშირი 90/მწვანები“ პროგრამა ყველაზე დიდი ზომისაა, თუმცა მასში კოორდინირებული ეკონომიკის დეტალები საკმაოდ მწირადაა აღწერილი.
- პარტია „მემარცხენები“ აქტიურად უჭერს მხარს ეკონომიკის რეგულირებას და სახელმწიფოსაგან მოქალაქეების დაცვას მოითხოვს. იგი დანარჩენი ოთხი პარტიისაგან ორი ასპექტით განსხვავდება: ჯერ ერთი, მას შემუშავებული აქვს მხოლოდ „საპროგრამო თეზისები“ (თუმცა პარტიის პროგრამის პროექტი უკვე წარმოდგენილია); და მეორე, ნათელი არ არის, მართლაც არის იგი ორიენტირებული „საბაზრო ეკონომიკის“ მოდელზე თუ არა.
- სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის პროგრამაში თანამიმდევრულად უჭერს მხარს კოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკას და მის გაფართოებას. ეს გაფართოება გაეროს პაქტებით დადგენილი სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრზეა ორიენტირებული. იმავდროულად, იგი მმართველობის სათანადო ადაპტაციის საჭიროებას ითვალისწინებს. ეს ეხება, უპირველეს ყოვ-

ლისა, მდგრად განვითარებას, ფინანსური ბაზრების ინტერნაციონალიზაციას, ეკონომიკური პროცესების მოქნილობის გაზრდას და სოციალურ დაცვას.


ეკონომიკური პოლიტიკის ამ სამი მიზნის მიხედვით პარტიები შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

ქდევა და თდპ ეკონომიკური ზრდის მომხრენი არიან. როგორც ჩანს, ყველა სხვა მიზანს ისინი სწორედ ამ მიზანს უქვემდებარებენ. ეს პარტიები სკეპტიკურად უყურებენ „სოციალური თანასწორობის“ ცნებას.

პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ პროგრამა და კონცეფცია სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკის პირობებში „მზის ენერგეტიკაზე გადასვლის“ შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მდგრადი განვითარების მიზანზეა ორიენტირებული. ის აგრეთვე მხარს უჭერს „სოციალურ თანასწორობას“, „ხარისხობრივ ზრდას“ კი პირველადი ყურადღება არ ეთმობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „სოციალური თანასწორობის“ მიზანსაც.

პარტია „მემარცხენები“ მკაფიოდაა ორიენტირებული „სოციალური თანასწორობის“ მიზანზე.

სოციალ-დემოკრატიული პარტია სამიერ მიზანს თანაბრად და გაწონასწორებულად უდგება.



დავუბრუნდეთ თავდაპირველ საკითხს: ეკონომიკური და სოციალური კომპეტენციების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა სახითათოდ ამარტივებს სურათს და პარტიათა პოლიტიკის ადეკვატურად შეფასების საშუალებას არ იძლევა. თუმცა პარტიული პროგრამების ანალიზი აგრეთვე უჩვენებს, რომ მათ საზოგადოებრივ კოორდინაციასთან და ეკონომიკის ინტეგრაციასთან მიმართებით განსხვავებული მიზნები აქვთ. მხოლოდ ამ უფრო ფართო ჩარჩოს განხილვის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პარტიულ ლანდშაფტში ორიენტირება და მსაჯულის როლის შესრულება.

6. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური გოლებები

ამ თავში:

- შედარებულია განსხვავებული ეკონომიკური მოდელები, რისი საფუძველიცაა კაპიტალიზმის კოორდინირებული და არაკოორდინირებული მოდელების ზემოთ წარმოდგენილი გამიჯვნა და დევიდ სოსკი-სისა და პიტერ ჰოლის თეორია;
- განხილულია ფინანსური სისტემები, შრომითი ურთიერთობები, განათლების/ტრენინგის სისტემები და საწარმოთა შორის ურთიერთობები.
- ყურადღების ცენტრშია აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი და იაპონია;
- აღნიშნულია, რომ ისინი ეკონომიკურ მოდელთა ფართო სპექტრს მოიცავენ. ამასთანავე, აშშ-ის სისტემა ყველაზე ახლოსაა არაკოორდინირებული იდეალური ტიპის მოდელთან, ხოლო შვედური – კოორდინირებული იდეალური ტიპის ეკონომიკურ მოდელთან;
- მითითებულია, რომ ეს განსხვავებული ეკონომიკური მოდელები შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ღია ბაზების დროს. ისინი გარკვეული პირობების დაცვას მოითხოვენ და, სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარად უნდა შეფასდეს.

6.1. აშშ¹¹

ავტორი: სიმონ ფაუტი

ტიპური
არაკოორდინირე-
ბული საბაზრო
ეკონომიკა

აშშ არაკოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ტიპური მაგალითია (მაიერი, 2005ა: 279 და ა. შ.). იგი საბაზრო ლიბერალიზმის, ინდივიდუალიზმისა და სახელმწიფო ჩარევის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების ტრადიციებს მისდევს. ამერიკული ეკონომიკური სისტემა ძირითადად ორიენტირებულია მომხმარებლის მომსახურებაზე („მივცეთ მომხმარებელს ყველაფერი, რაც მას სურს“) და ქონების გაზრდაზე – ძირითადი სოციალური უფლებების ხარჯზე (Gilpin 2001: 150).

აშშ-ის ისტორიაში არსებობდა პერიოდები, როცა ეს შეფასებები არცთუ ისე შეესაბამებოდა სინამდვილეს. მაგალითად, 1930-იან წლებში პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ქვეყანას „ახალი კურსი“ – ფართომასშტაბიანი მასტრიმულირებელი პროგრამა – შესთავაზა, რითაც მხარი დაუჭირა კოორდინირებული ეკონომიკის გაძლიერებას. 1960-იან წლებში პრეზი-

11 აქ აშშ-ის და გერმანიის პრეზიდენტაცია მნიშვნელოვანნილად იმეორებს მაიერის (2005ა: 279–282) პრეზიდენტაციას. ჩვენ მადლობას ვუხდით ავტორს ციტირების ნებართვისთვის.

დენტ ლინდონ ჯონსონის პოლიტიკა, ეგრეთ წოდებული ომი სიღარიბის წინააღმდეგ, იმავე მიმართულებას მისდევდა. მიუხედავად ამისა, თვით ამ პერიოდშიც კი აშშ-ის ეკონომიკა მაინც საკმაოდ არაკონდინირებული რჩებოდა. ეკონომიკის კონდინაციის მაქსიმალურად შემცირების პრინციპს მისდევდნენ პრეზიდენტები რონალდ რეიგანი (1980-იან წლებში) და ჯორჯ ბუში (უმცროსი).

ფინანსური სისტემა

ამერიკული სანარმოები, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის ბაზრის მეშვეობით ფინანსდება. ეს ზრდის ფინანსური მარტინებულების გამჭვირვალობას, რამდენადაც ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიები ვალდებული არიან, თავიანთი ანგარიშები ღიად და რეგულარულად გამოაქვეყნონ. კომპანიათა სტრატეგია ძირითადად მაღალი შესაძლო დივიდენდებისკენ აქციონერთა სწრაფვას ეფუძნება. ამას ეწოდება აქციონერთათვის ღირებულების შექმნის პრინციპი.

კაპიტალის ხელმისაწვდომობა იმაზეა დამოკიდებულია, თუ როგორ აფასებს აქციონერები კომპანიის პერსპექტივებს. ფირმების შეერთება და ურთიერთშთანთქმა უფრო სუსტად რეგულირდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამის გამო სანარმოთა დირექტორები აშშ-ში ხმირად იძულებული ხდებიან, მოკლე დროში მაქსიმალური მოგების მიღებას შეეცადონ. არასაკმარისმა მოგებამ შესაძლოა მენეჯმენტის გათავისუფლება, საფონდო ბირჟის მეშვეობით კაპიტალის გატანა ანდა ფირმის შთანთქმა გამოიწვიოს.

შრომითი ურთიერთობები

აშშ-ში კაპიტალისა და შრომის ნარმომადგენელთა კავშირები უფრო დარგის ინტერესებს ლობირებენ, ვიდრე მთელი საზოგადოების ინტერესებს. დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფესიონელები, რომლებსაც პრაქტიკულად არც კი მოეპოვებათ ზეგავლენის მქონე სათავო ორგანიზაციები, უფრო სუსტი არიან, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომელთაც კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკური მოდელები აქვთ. თუმცა ზოგიერთ სექტორში აქაც არსებობენ ძლიერი პროფესიონელები, რომლებიც ეფექტიანად იცავენ კონკრეტულ ინტერესებს. მაგალითად, კალიფორნიაში არსებობს ციხის ზედამხედველთა კარგად ორგანიზებული პროფესიონი. იგი სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, სასჯელადსრულების სისტემის ჩათვლით. თუმცა ორგანიზებული წევრების ინდივიდუალური ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესზე მაღლა დგას. აშშ-ში ფაქტობრივად არ არსებობს სამსახურიდან განთავისუფლებისაგან დაცვის რაიმე საკანონმდებლო მექანიზმი. ამიტომ შრომითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მოკლევადიანი კონტრაქტები და ხელფასის თაობაზე მოლაპარაკებები სანარმოს დონეზე. საერთო სატარიფო ხელშეკრულებები, რომლებიც კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის

დაფინანსება
კაპიტალის ბაზრის
მეშვეობით

მოკლე დროში
მოგებისკენ
სწრაფვა

დასაქმებულთა და
დამსაქმებელთა
ორგანიზაციები
არ არიან
ორიენტირებული
მთელ
საზოგადოებაზე

თითქმის
დაუცველი
დასაქმებული

სუსტი
პროფესიული
კავშირები ანტი-
პროფესიული
პოლიტიკის
შედეგია

ზოგადი
კვალიფიკირები

სამხედრო
მრეწველობის
მერგამოყოფილი
სუბსიდიები

მოდელს ახასიათებს, აქ პრაქტიკულად არ გამოიყენება, რამდენადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში პროფესიონების ძალა მნიშვნელოვნად შესუსტდა. პროფესიონების ამგვარ შესუსტებასა და შემცირებას 33%-დან (1955 წელი) 8%-მდე (2006 წელი) რობერტ რაიხი ორი ფაქტორით ხნის: უპირველეს ყოვლისა, პროფესიონების მიმართ საწარმოთა პოლიტიკა აშკარად მტრული იყო; მეორეც, თვით სახელმწიფო ახორციელებდა პროფესიონების საწინააღმდეგო პოლიტიკას. მაგალითად: პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1981 წელს გაფიცულ საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორებს სასჯელი დაუწესა – ისინი თავიანთი პროფესიით ვეღარასოდეს იმუშავებდნენ (რაიჰი, 2008: 108 და ა. შ.).

განათლებისა და ტრენინგის სისტემა

ზოგადად, უფრო მეტად მოქნილი შრომის ბაზარი ემყარება განათლებისა და ტრენინგის სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ზოგადი კვალიფიკაცია, რომელიც გამოსადეგი იქნება სხვადასხვა ფირმასა და დარგში. ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე, მუშაკები შეიძლება ადვილად დაიქირაონ მოკლე ვადით და ასევე ადვილად გაათავისუფლონ („hire and fire“). იმ პირობებში, როდესაც შრომის ბაზარი სუსტად არის რეგულირებული, ხოლო კადრების დენადობა საგრძნობია, ამერიკელი მუშაკები ცდილობენ მაღალი კვალიფიკაცია მიიღონ, რათა იგი ახალ სამუშაო ადგილზე გამოადგეთ, ხოლო დამსაქმებელთა კავშირების სუსტი ურთიერთქმედებისა და კოორდინაციის გამო საწარმოებს აღარ ძალუბთ თანამშრომლობა განსაზღვრული სექტორისათვის გამიზნული სპეციფიკური სწავლების პროგრამების განსახორციელებლად. ამიტომაც აშშ-ში მუშაკები იმ ზოგად უნარებს ითვისებენ, რომებიც ყველაზე უკეთ მორგებულია მომსახურების სექტორზე, რომელიც ძალზე მგრძნობიარეა სახელმწიფოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. ამის გამო ბევრი კომპანია და სექტორი სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის.

მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსების ნაკლოვანება ერთგვარად კომპანისიდება სამხედრო მრეწველობის სექტორის მიერ გამოყოფილი სუბსიდიებით. სამოქალაქო სექტორში განხორციელებული ბევრი სიახლე სამხედრო სფეროში იყო შემუშავებული, მაგალითად, საავიაციო მრეწველობა, თანამგზავრული და საინფორმაციო ტექნოლოგიები (რაიჰი, 2008).

საწარმოთა შორის ურთიერთობები

ამერიკული კომპანიები გაცილებით მწვავე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის კოორდინირებული მოდელის მქონე ქვეყნებში მოქმედებენ. მაგალითად, ასეთი ქვეყნებია შვედეთი და გერმანია. აქ ყურადღება უმთავრესად საწარმოთა თანამშრომლობას, სახელმწიფოსა და პროფესიონებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას ექცევა (Hinchmann 2006: 350). საწარმოთა ინტეგ-

აშშ			
მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2008 წ.	38.800 €	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის სტანდარტების (PPS) მიხედვით; 1 PPS შეესაბამება 1 ევროს საშუალო მსყიდველობით უნარს (წყარო: Eurostat)	
საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990–2007 წ.	2,0 %	ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა სტაბილური ფასების პირობებში (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 195)	
სახელმწიფო ვალი 2008 წ.	70,7 %	სახელმწიფო ვალი პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Bundesministerium für Finanzen, Monatsbericht 12/2009, გვ. 99)	
მიმდინარე ანგარიშების ბალანსი 2008 წ.	– 4,9 %	საქონლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის სალდო პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook 10/2009, გვ. 187)	
დასაქმების დონე 2008 წ.	70,9 % (65,5 %)	15-დან 64 წლამდე დასაქმებულთა (დასაქმებულ ქალთა) ხევდრითი წილი საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
უმუშევრობის დონე 2008 წ.	5,8 %	უმუშევართა ხევდრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
შემოსავლების უთანაბრობა, გამოხატული ჯინის კოეფიციენტით 2009 წ.	40,8 %	შემოსავლების არათანაბარი განაწილების მაჩვენებელი; 100=მაქსიმალური არათანაბრობა (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 195)	
ქალთა შემოსავლების დონე მამაკაცთა შემოსავლების დონესთან შედარებით	62 %	ქალთა შემოსავლები პროცენტულად მამაკაცთა შემოსავლებან შედარებით (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 186)	
სიღარიბის ინდექსი 2009 წ.	15,2 %	სიღარიბის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის (სიცოცხლის მოსალობების ხანგრძლივობა, წიგნიერების დონე, ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა და ა. შ.) მიხედვით დგინდება; 0=მინიმალური სიღარიბე, 100=მაქსიმალური სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 180)	
პროფესიულ კავშირებში გაერთიანების ხევდრითი წილი 2007 წ.	11,6 %	პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა (წყარო: OECD)	

რიჩების დონე დაბალია: არც ბანკები და არც სხვა კომპანიები არ არიან წარმოდგენილი სამეცნიერო საბჭოებში. აშშ-ში იმთავითევე დომინირებდა ეკონომიკური თავისუფლების კონცეფცია, რაც იმას ნიმუშავს, რომ სახელმწიფო ბაზარში ერევა მხოლოდ ბაზრის ფუნქციონირების შენარჩუნებისათვის, მაგალითად, რათა არ დაუშვას კარტელთა წარმოქმნა. ძლიერი ანტიტრესტული კანონმდებლობა იმისთვისაა შექმნილი, რომ საწარმოებს ხელი შეუშალოს, მაგალითად, ფასების დაწესებაში.

დასკვნა: აშშ

აშშ-ის პრაქტიკულად არაკოორდინირებული საბაზრო ეკონომიკა საწარმოებს საშუალებას აძლევს, მოქნილად მოახდინონ რეაგირება საბაზრო პროცესებზე, თუმცა აძლევებს მათ, სწრაფად შეეგუონ ბაზრის ცვლილებებს. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობების ამერიკული სისტემა ნაჯეობად ეფექტიანია, როდესაც შესამუშავებელია წარმოების რთული სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან სტაბილურ დასაქმებას მოითხოვს. პირიქით, იგი ხელს უწყობს ისეთ ინოვაციურ სექტორებს, რომლებიც ვენტურულ კაპიტალზეა დამოკიდებული. მაგალითად, ასეთია საინფორმაციო ტექნოლოგიები, აგრძელებული მომსახურების სექტორი, რომლისთვისაც დამახსიათებელია ფართო პროფილის სპეციალისტების გამოყენება და შედარებით მცირე ხელფასი.

მთლიანად აშშ-ის ეკონომიკურმა სისტემამ უფრო მაღალ შედეგებს მიაღწია, ვიდრე ევროპის ქვეყნებისამ: 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკის ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა, ევროკავშირის ქვეყნებში კი ზრდა 2,2%-ს შეადგენდა. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, რა შედეგებს მოიტანს კრიზისი გრძელვადიან პერსპექტივაში. ცხადია, რომ ამ ეკონომიკური წარმატების ნაყოფი სულ უფრო არათანაბრად ნაწილდება. იმ დროს, როდესაც 1950-იან წლებში მმართველობის ნევროთა შემოსავლები იმავე საწარმოების მუშავთა შემოსავლებს 25-ჯერ აჭარბებდა, დღეს ისინი საშუალოდ 350-ჯერ მეტია (რაიჰი, 2008: 144). აშშ-ში ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის გამო აქ კერძო მესაკუთრეთა სიმდიდრე და დოვლათი სახელმწიფოს სიღარიბესთანაა შესამებული. ამის დადასტურებაა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია (ჰინკმანი, 2006: 352).

2009 წლიდან, როდესაც აშშ-ში ახალი მთავრობა მოვიდა, რეიგანისა და ბუშის ეპოქებისთვის დამახასიათებელი სუსტი სახელმწიფოს იდეოლოგია, რომელიც თითქმის არ ახორციელებს რეგულირებისა და ჩარევის პოლიტიკას, წარსულს ჩაპარდა. ობამას მმართველობისას განხორციელდა ჯანდაცვის რეფორმა, შემოლებულ იქნა ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტები და გაიზარდა ფინანსური ზედამხედველობა, რითაც აშშ მეტი რეგულირების, მეტი კოორდინაციისა და საზოგადოებრივი ხარჯების უფრო მაღალი დონის მიმართულებით მიდის.

6.2. დიდი ბრიტანეთი

ავტორი: ქრისტიან კრელი

დიდ ბრიტანეთს, ჩვეულებრივ, კაპიტალიზმის პიონერად მოიხსენიებენ. აქ ინდუსტრიალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და ლიბერალიზმი უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ბევრ სხვა სახელმწიფოში. იმავდროულად აქვე გამოვლინდა აღვირასნილი კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეებიც. შემთხვევითი როდი იყო, რომ ფრიდრიხ ენგელსი ხმირად აღწერდა დაქირავებული მუშების ყოფა-ცხოვრებისა და შრომის არაადამიანურ პირობებს მე-19 საუკუნის შუა სანებში „ინგლისში მუშათა კლასის მდგომარეობის“ მაგალითზე.

ენგელსის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ბრიტანეთის კაპიტალიზმში ბევრი ცვლილება მოხდა. თუმცა იმავდროულად ძეველი ტენდენციების გაგრძელებაც შეინიშნება. ეკონომიკის ბრიტანული მოდელი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური მოდელია. ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალიზმის შედარებით გამოკვლევებში დიდი ბრიტანეთი არაკონკრეტული, ლიბერალური საპაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად მოიხსენიება.

ქვემოთ აღნიშვნილია ეკონომიკის ბრიტანული მოდელის საკვანძო მახასიათებლები.

დაფინანსების სისტემა და საკუთრების სტრუქტურა

ბრიტანულ კაპიტალიზმში სანარმოთა შემოსავლები დაფინანსებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ბრიტანულ სანარმოებს საინვესტიციოდ დინამიკური ფინანსური ბაზრებისა და აქციათა ბაზრების „სწრაფი“ ფული სჭირდებათ. ამრიგად, დიდი მოგება კაპიტალის ხელმისაწვდომობის უმნიშვნელოვანესი წანამდლვარია. ამით დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ სისტემა განსხვავდება, მაგალითად, გერმანიისათვის მრავალი წლის განმავლობაში დამახასიათებელი სისტემისაგან, სადაც კომერციული ბანკები, რომლებიც ხანგრძლივად თანამშრომლობენ ერთსა და იმავე სანარმოსთან, ძალიან ხშირად მშვენიერად ერკვევიან მათ შიდა საკითხებში, სტრუქტურასა და სტრატეგიაში. დიდ ბრიტანეთში ინვესტორები და ფინანსისტები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციებს ეფუძნება. ამასთანავე, ყველაზე წინ სანარმოს მოგებიანობა დგას.

დიდი ბრიტანეთის საკუთრების სტრუქტურაც თავისებურია. იგი განსხვავდება იმ ქვეყნების სტრუქტურისაგან, სადაც საპაზრო ეკონომიკის კოორდინირებულ მოდელს მისდევენ. თუ ამ ქვეყნებში სანარმოთა წილი უფრო ხშირად არის ინვესტორთა ხელში, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი სტრატეგიული ინტერესები, მაგალითად, სხვა სანარმოების, ბანკებისა თუ სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელთა მიმართ, დიდ ბრიტანეთში სიტუაცია სრულიად სხვაგვარია: ბრიტანული სანარმოების მესაკუთრეთა დაახლოებით 80%-ს ფინანსური და კერძო ინვესტორები შეადგენენ.

კაპიტალიზმის
პიონერი...

...და მისი პნელი
მხარისა

არაკონკრეტული
ნირებული,
ლიბერალური
საბაზრო
ეკონომიკა

დაფინანსება
ფინანსური და
კაპიტალის
ბაზრების
მეშვეობით

საკუთრების
სტრუქტურა:
ფინანსური და
კერძო
ინვესტორების
დიდი ხელმისაწვდომობის
წილი

ისინი, უპირველეს ყოვლისა, მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობენ. სწრაფი მოგების მიზნით კომპანიების ეგრეთ წოდებული მტრული შთანთქმა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რაც საბაზრო დაფინანსების დიდი შესაძლებლობებისა და ფინანსური ბაზრების სტრუქტურის შედეგია.

მოკლევადიან მიღწევებზე ორგანტირება

თითქოს ძლიერი პროფესიული

პროფესიული საბაზრო დანაწილება

მუშაյთა ნარმომადგენლობა აუცილებელი არ არის

იმის გამო, რომ უპირატესობა ენიჭება მოგებიანობას – მტკიცე შინაგანი იერარქის თანხლებით – ერთი მხრივ, პრიტანული სანარმოები ახერხებენ სწრაფად გადაეწყონ, გარდაიქმნან და ახალ სარფიან ბაზრებზე გავიდნენ, თავი დააღნიონ ნაკლებად სარგებლიანი საქმიანობის მიმართულებებს; მეორე მხრივ, ამგვარ მიდგომებს მიღყავართ ბრიტანეთის ეკონომიკისათვის დამასასიათებელი „შორთტერმიზმისკენ“, რაც მიზნის სწრაფად მიღწევას გულისხმობს.

შრომითი ურთიერთობები

დროდადრო ბრიტანული პროფესიულები მეტად ძლიერნი ჩანდნენ. ერთ-ერთი ასეთი პერიოდი იყო ეგრეთ წოდებული „უკმაყოფილების ზამთარი“. 1978-1979 წლებში ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა გაფიცვა, რომელმაც დიდი ბრიტანეთის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების პარალიზება გამოიწვია: აღარ გაპქონდათ ნაგავი, უმოძრაოდ იდგა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აღარ მარხავდნენ გარდაცვლილებს. თუმცა ინტენსიურ გაფიცვათა პერიოდები პროფესიული ძლიერებასა და ძალაზე როდი მეტყველებდა. ძლიერი, კარგად ორგანიზებული პროფესიულები, როგორც წესი, ახერხებენ მუშავთა ინტერესების დაცვას მოლაპარაკების გზით, გაფიცვების გამოყენების გარეშე. ამრიგად, „უკმაყოფილების ზამთარი“ უფრო იმაზე მიუთიერდდა, რომ პროფესიულებს არ ჰქონდათ სათანადო ძალა მოლაპარაკებისთვის. ბრიტანეთში პროფესიულები უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს, უპირველეს ყოვლისა, მათი დაქასესულობის შედეგია. 1990-იან წლებში 300-ზე მეტი პროფესიული ორგანიზაცია არსებობდა. ისინი მოწყობილი იყვნენ არა დარგობრივი, არამედ პროფესიული პრინციპებით. ამის შედეგად ერთსა და იმავე სანარმომ ხშირად ბევრი სხვადასხვა კავშირი იყო წარმოდგენილი. პრიტანული პროფესიულების სისუსტის მეორე მიზეზია შემდეგი ფაქტორი: დიდ ბრიტანეთში, სწორედ ისე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც საბაზრო ეკონომიკის ლიბერალურ მოდელს მისდევენ, სანარმოები არ არიან ვალდებული, შექმნან სანარმოო საბჭოები ანდა უზრუნველყონ მუშავთა წარმომადგენლობის სხვა ფორმები. დიდ ბრიტანეთში პრაქტიკულად არაფერი იციან იმის შესახებ, რომ გერმანიის სამთო-მეტალურგიულ მრეწველობაში არსებობს სანარმოთა მართვაში მუშავების მონაბრილების მოდელი. და ბოლოს, მესამე, ტეტჩერის კონსერვატიულ-მა მთავრობაში (1979-1990) თანდათან შეკვეცა და შეზღუდა ბრიტანული პროფესიულების უფლებები. შესაბამისად, სადლეისოდ აქ პროფესიულული ორგანიზაციების ხევდრითი წილი ძალიან დაბალია. დიდ ბრიტანეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პროფესიულებისა გაერთიანებული, 30%-ზე ნაკლებია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახ-

ელმწიფო სექტორი კერძო სექტორზე უკეთ არის ორგანიზებული.

მუშაკთა მსგავსად, შედარებით ცუდად არიან ორგანიზებული დამსაქმებლები. პრაქტიკულად არ არსებობს ძლიერი ასოციაციები. დამსაქმებელთა კავშირების მნიშვნელობა სუსტდება.

ამ პირობებში, როგორც წესი, სახელფასო განაკვეთი საწარმოს დონეზე ან დამსაქმებელთა და მუშაკთა ინდივიდუალური მოლაპარაკებების გზით განისაზღვრება. თუმცა 1999 წლიდან დაწესდა ხელფასის ქვედა ზღვარი, როგორც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე.

საწარმოებისა და ცალკეული მუშაკების ურთიერთობას მნიშვნელოვან-წილად განსაზღვრავს საბაზრო ძალები, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, სადაც საბაზრო ეკონომიკის კოორდინირებულ მოდელს მისდევთ. მუშაკები, ჩვეულებისამებრ, ერთსა და იმავე კომპანიაში დიდხანს არ ჩერდებიან და ამიტომაც, როგორც წესი, არ უყალიბდებათ ამ კომპანიისადმი განსაკუთრებული ერთგულება. მუშახელის რაოდენობის შემცირების მიღწევა საკმაოდ იოლა, ვინაიდან სუსტ პროფესიონებს ამ პროცესებთან დაპირისპირების უნარი არა აქვთ, ხოლო დასაქმებულთა დაცვის სისტემა სუსტია. იმავდროულად კვალიფიციურ მუშაკებს მეტად მოქნილ შრომის ბაზარზე ახალი სამუშაოს პოვნა სუსტაც არ უძნელდებათ.

ბრიტანული კომპანიებისთვის ზოგადად დამახასიათებელია მტკიცე იერარქია, რითაც ისინი განსხვადებიან საბაზრო ეკონომიკის კოორდინირებული მოდელის ქვეყნების კომპანიებისგან. ეს გამოიხატება არა მხოლოდ მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელის (Chief Executive Officer/CEO) განმსაზღვრელი როლით, არამედ თვით შრომის ორგანიზებით. ამრიგად, გრმანისთვის ჩვეულებრივი რამ – მაღალკალიფიციურ მუშაკთა გუნდური საქმიანობა – დიდ ბრიტანეთში საკმაოდ იშვიათად გვხვდება; სანაცვლოდ მას შრომის მკაცრი დანაწილების კლასიკური ფორმები ახასიათებს (Wood 2001: 250).

განათლებისა და შემდგომი ტრენინგის სისტემა

დღიდი ბრიტანეთის მეტად მოქნილ შრომის ბაზარზე პროფესიული უნარ-ჩვევები საკმაოდ სუსტადაა განვითარებული. დამსაქმებელთა თვალსაზრისით ეს ადვილი გასაგებია.

პირველი, დასაქმებულები ერთსა და იმავე საწარმოში შედარებით მცირე ხნით ჩერდებიან, რის გამოც მუდამ არის იმის საშიშროება, რომ ცალკეული მუშაკების დაფინანსების ამოგება ვერ მოხდეს, ან, უფრო მეტიც, – მან შეიძლება მოგება მიუტანოს კონკურენტ კომპანიას. მეორეც, შრომის მეტისმეტად მოქნილი ბაზრები საშუალებას იძლევა, მოკლე დროში მოძებნობ კვალიფიციური მუშაკები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ასევე სწრაფად გაათავისუფლებენ.

მთლიანობაში,
პროფესიონების
ხედრითი წილი
დაბალია

საწარმოში
მოლაპარაკებები,
თუმცა მხოლოდ
ხელფასის ქვედა
დონის შესახებ

დასაქმება
პრაქტიკულად
დაცული არ არის

კომპანიების
შეგნით ძლიერი
იერარქიული წყობა

ზოგადი უნარების
ათვისება

ასეთ ვითარებაში არც მუშაკებს ეძლევათ სტიმული, დაეუფლონ ამა თუ იმ კომპანიაში მუშაობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რამდენადაც კომპანიაში მოკლე ვადით ყოფნისას ისინი ცდილობენ მხოლოდ იმ ზოგადი უნარ-ჩვევების შექმნას, რომლებიც შესაძლებელია სხვა ფირმებსა და დარგებშიც იქნეს გამოყენებული.

პროფესიულ ცოდნაზე სუსტი ირიენტაციის გარდაუვალი შედეგია ის, რომ ბრიტანულ კომპანიებში წარმოება წაკლებად ეფექტურია, ვიდრე, მაგალითად, გერმანულ კომპანიებში; ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის მოდელი ფოკუსირებულია პროდუქციაზე, რომელიც მარტივად ინარმოება და რომლის საწარმოებლად სტანდარტიზებული მეთოდები გამოიყენება.

საწარმოთა შორის ურთიერთობები

საწარმოთა შორის ურთიერთობები ეფუძნება საბაზრო ურთიერთობებს და ფორმალურ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებზედაც ვრცელდება სამართლებრივი დაცვა. საწარმოთა ურთიერთინტეგრირება სუსტია. ტექნოლოგიების გადაცემა ძირითადად მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ან ტექნოლოგიური პერსონალის გაცვლის ხარჯზე ხდება. მეცნიერები და ინჟინერები კვლევითი ცენტრებიდან კერძო კომპანიებში და პირუულ უფრო ხშირად გადადიან, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკის კლასიკურად კოორდინირებული მოდელი მოქმედებს. სამაგიეროდ იშვიათად გვხვდება რამდენიმე საწარმოს მიერ ერთობლივად დაფუძნებული კვლევითი პროექტები ან თანამშრომლობის მდგრადი ქსელები.

შეჯასება და დასკვნა

კაპიტალიზმის ბრიტანულ მოდელს უფრო მეტი აქვს საერთო აშშ-ის ეკონომიკურ სისტემასთან, ვიდრე კონტინენტური ევროპის ეკონომიკურ მოდელებთან. შესაბამისად, ბრიტანული კაპიტალიზმის უპირატესობაა დასაქმების საკმაოდ მაღალი დონე და დაბალი უმუშევრობა, ხოლო წაკლი და ხარვეზი - ბრიტანული საწარმოების დაბალი მწარმოებლობა შესაბამის ამერიკულ და გერმანულ ფირმებთან შედარებით. მისთვის აგრეთვე დამახასიათებელია სწრაფი მოგებისაკენ სწრაფვა. იმავდროულად თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის დროს ვლინდება მეტისმეტად მოქნილი შრომის ბაზრის ხარვეზები: მუშაკთა გაიოლებული დათხოვნის პირობებში უმუშევრობა ელვის სისწრაფით იზრდება. თუმცა აღნიშნული კლასიფიკაციის განხილვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ იგი საბოლოო არ არის.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემა, სადაც ადამიანებს აქვთ არჩევის უფლება, დაფუძნებულია უბრალო მაჟორიტარულ სისტემაზე; ამავე დროს, სახელმწიფოს ცენტრალიზებული წყობა მთავრობებს საშუალებას აძლევს, მეტისმეტად სწრაფად განახორციელონ ძირეული სტრუქტურული ცვლილებები.

დიდი პრიტანეთი			
მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2008 წ.	29.200 €	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის სტანდარტების (PPS) მიხედვით; 1 PPS შეესაბამება 1 ევროს საშუალო მსყიდველობით უნარს (წყარო: Eurostat)	
საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990–2007 წ.	2,4 %	ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ნლიური ეკონომიკური ზრდა სტაბილური ფასების პირობებში (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 195)	
სახელმწიფო ვალი 2008 წ.	52,0 %	სახელმწიფო ვალი პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Bundesministerium für Finanzen, Monatsbericht 12/2009, გვ. 99)	
მიმდინარე ანგარიშების ბალანსი 2008 წ.	– 1,7 %	საქონლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის სალდო პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook 10/2009, გვ. 187)	
დასაქმების დონე 2008 წ.	71,5 % (65,8 %)	15-დან 64 ნლამდე დასაქმებულია (დასაქმებული ქალთა) ხევდრითი წილი საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
უმუშევრობის დონე 2008 წ.	5,6 %	უმუშევროთა ხევდრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
შემოსავლების უთანაბრობა, გამოხატული ჯინის კოეფი- ციენტით 2009 წ.	36 %	შემოსავლების არათანაბარი განაწილების მაჩვენებელი; 100%-მაქსიმალური არათანაბრობა (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 195)	
ქალთა შემოსავლების დონე მამაკაცთა შემოსავლების დონესთან შედარებით	67 %	ქალთა შემოსავლები პროცენტულად მამაკაცთა შემოსავლებთან შედარებით (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 186)	
სიღარიბის ინდექსი 2009 წ.	14,6 %	სიღარიბის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, წიგნიერების დონე, ჯანდაცვის სისტემის ხელისაწვდომობა და ა. შ.) მიხედვით დგინდება; 0=მინიმალური სიღარიბე, 100=მაქსიმალური სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 180)	
პროფესიულ კავშირებში გაერთიანების ხევდრითი წილი 2007 წ.	28 %	პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა (წყარო: OECD)	

6.3. გერმანია

ავტორი: საიმონ ფაუტი

გერმანიაში
კოორდინირებული
საბაზრო
ეკონომიკა

საწარმოთა
დაფინანსება
ბანკების
მეშვეობით

„მომთმენი“
კაპიტალის
ხელმისაწვდომობა

გერმანია კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ტიპური ქვეყანაა (მაიერი, 2005ა: 280 და ა.შ.) და დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკური დინამიზმის, პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური თანასწორობის ერთანხობის სამაგალითო მოდელად იყო მიჩნეული (ეგლე, 2006: 273-326). თუმცა 1990-იან წლებში უმუშევრობის ზრდისა და ეკონომიკური სტაგნაციის დაწყების გამო გერმანულმა მოდელმა გარკვეულწილად მიმზიდველობა დაკარგა და უურნალ „ეკონომისტში“ მას „ევროპის ავადმყოფი“ უწოდეს. ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკური აყვავება ამ დასკვნას თითქოს უარყოფდა. თუმცა ფინანსური ბაზრების ამჟამინდელი კრიზისი გერმანიისთვის მწვავე გამოწვევა იქნება.

დაფინანსების სისტემა

გერმანიაში კაპიტალის ბაზრის მიერ საწარმოთა დაფინანსება უმნიშვნელოა. საწარმოს მართვის ხარისხი ფასდება არა მხოლოდ ბაზრის, არამედ ბანკებისა და სხვა კომპანიების მიერ, რომლებიც მოცემულ საწარმოსთან არიან დაკავშირებული, აგრეთვე დასაქმებულთა ნარმომადგენლებისა და სახელმწიფო სუბიექტების მიერ. ასეთი სისტემა ხელს უწყობს ინფორმაციის ინდიკაციულ გაცვლას და ნდობის განმტკიცებას. საწარმოები უპირატესად საბანკო კრედიტების მოზიდვის მეშვეობით ფინანსდება. ამ კრედიტების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია როგორც კომპანიის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები, ისე საწარმოთა კავშირები და რეპუტაცია. ინვესტორები საწარმოთა საქმიანობისა და რეპუტაციის შესახებ ინფორმაციას მჭიდრო კავშირების მეშვეობით ადგენენ. ხელმისაწვდომობა „მომთმენი კაპიტალისა“, რომელიც მოკლევადიან მოგებაზე არ არის დამოკიდებული, კომპანიებს საშუალებას აძლევს, კაპიტალი გრძელვადიან პროექტებში დაბანდონ და მაღალგვალიფიციური პერსონალი შეინარჩუნონ, თვით ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი. ამის გამო გერმანიაში მენეჯმენტი აღარ არის ვალდებული, ასე მგრძნობიარედ რეაგირებდეს უშუალო მოგებასა თუ კომპანიის აქციათა ლირებულებაზე. აქ „მტრული შთანთქმის“ ცდებს კანონმდებლობა და საწარმოთა მჭიდრო ურთიერთქმედება ენიანალმდეგება. თუმცა საწარმოებისა და ბანკების ამგვარ ურთიერთობას „საბანკო კარტელად“ მოიხსენიერებ (Bury/Schmidt 1996), ვრაიდან იგი ახალ კომპანიებს ურთულებს კაპიტალთან დაშვებას, რადგან უპირატესობას ინსაიდერებს ანიჭებს. თუმცა ბოლო პერიოდის მოვლენები მიუთითებს, რომ გერმანიის სამრეწველო სექტორში კავშირები შესუსტდება, ხოლო საერთაშორისო ჩართულობა, როგორც ამას მომდევნო განყოფილება გვიჩვენებს, გაიზრდება.

ექსკურსი: კონცერნ გერმანიის დასასრული?

1990-იანი წლების გერმანიაში პოლიტიკურ მოღვაწეთა თვალისთვის შეუმჩნევლად დაიწყო ღრმა ცვლილებათა შეუქცევი პროცესი. მას

ზოგჯერ „კონცერნ გერმანიის“ ლიკვიდაციასაც უწოდებენ. ეს ტერმინი ერთგვარი მინიშნებაა გერმანული ბანკებისა და მრეწველობის ტრადიციულ მქიდრო კავშირებზე. ამ ურთიერთობას შეიძლება დავაკვირდეთ თვით იმპერიამდელ პერიოდშიც კი. ეს კავშირები ემსახურებოდა გერმანულ საწარმოთა გარე იზოლაციას და შიგა სტაბილურობას. გლობალიზაციის პირობებში კომერციული ბანკების სისტემა და ჯვარედინი მონანილეობა ხელის შემშლელი მიზეზი გახდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა გერმანული საწარმოები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სურვილს ამჟღავნებდნენ (ეგლე, 2006: 291).

ამრიგად, ბოლო წლებში ბანკებსა და მრეწველობას შორის კაპიტალის გაცვლა მკვეთრად შემცირდა. სპეციალიზაციის გაღრმავებით გერმანული საწარმოები საერთაშორისო ბაზარზე გავიდნენ.

საწარმოთა, განსაკუთრებით კი ბანკებისა და მრეწველობის, მქიდრო კავშირები უკანასკნელი წლების განმავლობაში პრაქტიკულად გაქრა. ეს პროცესი უჩვენებს, რამდენად ცვლის გერმანულ ეკონომიკურ სისტემას გლობალიზაცია.

ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს მაქს პლანკის სახელობის კიოლნის საზოგადოებრივ კვლევათა ინსტიტუტი: იქ, სადაც 1996 წელს ჯერ კიდევ არსებობდა მქიდრო ურთიერთქმედება, დღეს კაპიტალთა შეზრდა გაცილებით სუსტად არის გამოხატული.



ამის შედეგად გერმანიის კომპანიები კაპიტალის საერთაშორისო ბაზრისთვის უფრო გახსნილი გახდნენ. ეს ქვეყანა კოორდინირებული კაპიტალიზმის მოდელიდან გარკვეულწილად არაკოორდინირებული მოდელისკენ გადაიხარა. აქ გარდამტები მომენტი იყო 2001 წელს მდიდარი ტრადიციების მქონე გერმანული საწარმოების კომპანია „Mannesmann“-ის შთანთქმა მობილური კავშირის პრიტანული კონცერნის, „Vodafone“-ს, მიერ, რაც მანამდე წარმოუდგენლად მიაჩნდათ. დღეს DAX-ის 30 კომპანიიდან რვაა უცხოელთა მფლობელობაში, 2000 წელს კი მხოლოდ სამი იყო. იმავე პერიოდში გასამაგდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი და იმავდროულად გაიზარდა საერთაშორისო ბაზრებზე გერმანული კომპანიების მონანილეობა.

ამ კავშირების განტვეტას ხელს უწყობდა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის მოგებაზე გადასახადის გაუქმდა. ეს გადასახადი მანამდე 53% იყო, რაც ამცირებდა საწარმოთა წილების გაყიდვის მიმზიდველობას და აადვილებდა მრეწველობასა და ბანკებს შორის მყარი კავშირების ჩამოყალიბებას.

ინტერნაციონალიზაციისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია კვლავ გრძელდება. ამჟამად მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, უნდა შეიზღუდოს თუ არა გამჭვირვალობა „ქონების დამოუკიდებელი ფონდებისა“ და კერძო საინვესტიციო ფონდების მიმართ.

ხდება კი ბანკებისა
და საწარმოთა
ურთიერთკავშირების რღვევა?

არაკოორდინირებული მოდელისკენ სწრაფვის ტენდენცია



© 2008 Lothar Krempel (ლოტარ კრემპელი), მაქს ბლანკის სახ. საზოგადოებრივ
კვლევათა ინსტიტუტი, www.mpifg.de/people/lk, ანტიმონოპოლიური კომისიის
მონაცემები, <http://www.monopolkommission.de>

კონცერნ გერმანიის გაუქმების შედეგები შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. ერთი მხრივ, უცხოური კაპიტალისთვის გზის გახსნამ, ინვესტიციებისა და სიახლეების ხელმისაწვდომობამ მრავალი გერმანული სანარმო კონკურენტუნარიანი გახადა. მათ შეძლეს მსოფლიო ბაზრებზე თავიანთი პოზიციების გამყარება. გერმანიაში ხელფასის ერთეულის ღირებულება, განსხვავებით ევროპის ყველა დანარჩენი ქვეყნისაგან, მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის შედეგად ათწლეულების განმავლობაში ექსპორტი 50%-ით გაიზარდა – გაცილებით მეტად, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში (წყარო: Economist Intelligence Unit 2006). მეორე მხრივ, გაიზარდა მოგებისადმი მოთხოვნები და გაძლიერდა სწრაფი მოგების ტენდენცია, როთაც ზიანი მიადგა შრომითი ურთიერთობების სტაბილურობას.

ინტენსიურად განიხილება რისკები, რომლებიც კერძო საინვესტიციო ფონდებისა და ჰეჯ-ფონდების მიერ გერმანული სანარმოების შთანთქმის გახშირებას უკავშირდება. ამ კონტექსტში მათ ხშირად კალიების გუნდს ადარებენ. აღნიშნულ კომპანიებს ორიენტაციის სწრაფ და მყისიერ წარმატებაზე აღების გამო აკრიტიკებენ.

გერმანიის მთავრობასთან არსებულმა ეკონომიკის ექსპერტთა საბჭომ ამის თაობაზე 2005 წელს შემდეგი დასკვნა გააკეთა: „დებატების განმავლობაში გერმანიაში ყურადღების ცენტრში მოექცა სანარმოთა რისკები. გამოითქვა შეშფოთება, რომ სწრაფ მოგებას დახარბებული ფინანსური ინვესტორები იძენდნენ კომპანიის აქტივებს, თავიდან იცილებდნენ კაპიტალს, ხსნიდნენ რეზიტაციას აქტივების ხელახალი გაყიდვის მიზნით და კიდევ უფრო ასუსტებდნენ კომპანიებს“. ამის საპასუხოდ 2008 წელს მიღებულ იქნა რისკის შეზღუდვის შესახებ კანონი, რომელიც ინვესტორს ავალდებულებს, წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი საფინანსო საშუალებების წარმომობისა და მიზნების შესახებ (Sachverständigenrat 2005: 35).

შრომითი ურთიერთობები

გერმანიაში მუშაკთა გაერთიანებების ქსელი საერთაშორისო დონესთან შედარებით მოკრძალებულია (2007 წლის მონაცემებით, 20%. შვ. 111). თუმცა თავისუფალი კოლექტიური მოლაპარაკებების სისტემა მათ საშუალებას აძლევს, მანიც მოახდინონ გავლენა ხელფასის რაოდენობისა და შრომის პირობების განსაზღვრაზე (ეგლე, 2006: 290). გერმანიაში პროფესიურები და დამსაქმებელთა ასოციაციები დარგობრივ დონეზე მოქმედებენ. მაგალითად, მეტალურგიული მრეწველობის შემთხვევაში გვაქვს IG Metall და Gesamtmetall. ამრიგად, სახელფასო მოლაპარაკებების განხორციელებისას კოორდინაცია ამ დარგების ჩარჩოებში ხდება და აღნიშნულ დარგებში დასაქმებული მუშაკები თანაბარ ხელფასს იღებენ. ერთიანი სატარიფო ბადის გამო სანარმოები აღარ ცდილობენ, გადაიბირონ მაღალკვალიფიციური მუშაკები უფრო მაღალი ანაზღაურების შეპირების გზით (ჰასელი, 2006: 14).

საერთაშორისო
კაპიტალის
შემოღინების
დაცებითი და
უარყოფითი
მხარეები

თავისუფალი
კოლექტიური
მოლაპარაკებები

სახელფასო
მოლაპარაკებები
დარგების
მიხედვით

გერმანიაში მუშაკები სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთ არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც საქმე სამუშაოს ორგანიზებას და საკადრო საკითხებს ეხება. სანარმოებში მუშაკთა წარმომადგრნლობითი ორგანოების შესახებ კანონი არეგულირებს საწარმოებში საბჭოების ზომასა და უფლებამოსილებებს, აგრეთვე სამუშაოდან მუშაკების დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასესხო კაპიტალის საზოგადოების ვალდებული არიან, მუშაკები ჩართონ მართვაში, თუკი საწარმოში 500-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. სახელდობრ, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს თანამშრომელს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოში მოახდინოს საკუთარი წარმომადგენლის დელეგირება.

ტრენინგის დუალური სისტემის მნიშვნელობა

ტრენინგის სისტემა

მრავალი გერმანული საწარმოს რთული სისტემა ხშირად მუშაკთა მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. აյ წარმატებული გამოდგა ტრენინგის დუალური სისტემა, რომელიც ერთმანეთს უთავსებს პრაქტიკასა და ღრმა საგნობრივ ცოდნას (ეგლე, 2006: 287). მას „გერმანული კაპიტალიზმის საკვანძო ინსტიტუტს“ უწოდებენ (პასელი, 2006: 13). შეგირდებს შედარებით მცირე ხელფასს უხდიონ, სანაცვლოდ კი, როგორც წესი, მათ შრომის ბაზრის კვალიფიციური ხელმისაწვდომობის საშუალება ეძლევათ. სწორედ ამის შედეგად გერმანიაში ახალგაზრდობის უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია (ზრდასრულ მოსახლეობასთან შედარებით) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შორის.

შედარებით მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის გამო აქაურ მუშაკებს მოლაპარაკებებში მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე იმ ქვეყნის მუშაკებს, სადაც სწავლების სისტემა უფრო ზოგადი განათლების მიღებაზეა ორიენტირებული და ამიტომ მუშაკების შეცვლა უფრო ადვილია. ვინაიდან წარმოება ხარისხზეა ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური მუშაკებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩნდება. გერმანულმა ფირმებმა თავიანთი მუშაკების მხრიდან კიდევ უფრო შორს მიმავალი მოთხოვნებისაგან თავის დაცვისა და სხვა ფირმების მიერ მაღალკვალიფიციური თანამშრომლების გადაბირების თავიდან აცილების მიზნით საწარმოო ურთიერთობებში დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის სახელფასო მოლაპარაკებების კოორდინირებული სისტემა დააფუძნეს. ამის შედეგად მოცემულ სამრეწველო სექტორში შრომის შესაბამისი ხელფასი თანაბარი ხდება. ყოველივე ეს ართულებს სპეციფიკური კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის გადაბირებას.

ტრენინგის სისტემის წინაშე მდგარი საფრთხე

თუმცა ტრენინგის დუალურ სისტემას სამი ფაქტორი უქმნის საფრთხეს. ეკონომიკური აღმავლობის დროს საწარმოები დიდი ხალისით იყვანენ შეგირდებს, როგორც იაფ და მოსახერხებელ სამუშაო ძალას. სტაგნაციის პერიოდში კი საწარმოო სწავლებისათვის ადგილები აღარ რჩებათ. თუ ასეთმა ვითარებამ დიდხანს გასტანა, წარმოიქმნება თვითგაძლიერების ეფექტი, რამდენადაც ისინი, ვინც ადგილები ვერ მიიღო, მომდევნო

წელს ცდილობენ მათ მიღებას და ამით კონკურენციას ზრდიან. მეორეც, საწარმოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ სასწავლო ადგილების შექმნა. და მესამე, მიღებული ცოდნა სულ უფრო სწრაფად ძველდება. თითქმის აღარაა დარჩენილი განათლების ისეთი პროგრამა, რომელსაც ღირებულება მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუნარჩუნდება. ყოველდღიურად და ელვისებურად ცვლადი შრომის ბაზრის გამოწვევებზე პასუხები ჯერ კიდევ არა აქვთ გერმანიაში, ქვეყანაში, სადაც კვალი-ფიკაციის ამაღლების სისტემა არასაკმარისად არის განვითარებული.

საწარმოთა შრომის ურთიერთობები

მსხვილი გერმანული კომპანიების მენეჯმენტს იშვიათად ეძლევა საშუალება, ცალმხრივად მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მან უნდა მიიღოს თანხმობა სამეთვალყურეო საბჭოსა და ქსელური სტრუქტურებისა, რომლებშიც, გარდა ბანკებისა, აგრეთვე წარმოდგენილი არიან სხვა კომპანიები, მუშაკები და სახელმწიფო ორგანოები. აქედან გამომდინარე, კორპორაციულ გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს არა იმდენად აქციონერთა ინტერესები, რომლებიც სწრაფი მოგების მიღებისათვის იბრძვიან, არამედ საზოგადოების მრავალი წარმომადგენლის ინტერესები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შეიძლება აღინიეროს, როგორც დამხმარის ან ხელშემწყობის. თუმცა ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევის საშუალებები შეზღუდული იყო ფედერალური სტრუქტურების და ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ, როგორებიცაა ფედერალური ბანკი და ანტიმონოპოლიური სააგენტო, სახელმწიფომ შეიმუშავა მეთოდები, რომლებიც მხარს უჭერს საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კვაზისახელმწიფოებრივი კორპორაციული სტრუქტურების თვითორგანიზაციას და წარუდგენს მათ აუცილებელ, ნაწილობრივ კონსტიტუციურ საშუალებებს იმისათვის, რომ დამოუკიდებლად დაარეგულირონ და ადმინისტრირება გაუწიონ პოლიტიკური ეკონომიკის სრულ სპექტრს, რომელიც სხვა სახელმწიფოებში სახელმწიფოს ან თავისუფალი ბაზრის მეშვეობით იმართება.

ცენტრალური ბანკი, რომელიც სრულიად თავისუფალია ფულადი პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, აგრეთვე კონკურენციის საკითხებში ევროპის კომისრის ოფისი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედ ეკონომიკურ პრინციპებს მისდევენ და, შესაბამისად, ამ სისტემას ზიანს არ აყენებენ. გარდა ამისა, სახელმწიფო მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს აძლევს სოციალური დაცვის სისტემას და რეგიონული გადანაწილების სისტემის მეშვეობით ყველა ფედერალურ შტატში იცავს კონსტიტუციურ დებულებას „ცხოვრების თანაბარი პირობების“ შესახებ (Streeck 1995).

საწარმოთა
გადაწყვეტილების
მიღების პროცესში
მრავალი ინტერესი
იყვათება

შეფასება

გერმანულმა ეკონომიკურმა სისტემამ ამოირჩია შუალედური გზა ანგლო-საქსურ საპაზრო ეკონომიკასა და სკანდინავიის სახელმწიფოთა საყოველ-თაო კეთილდღეობას შორის (Schmidt 2000).

გერმანიისთვის დამახასიათებელია საკმაოდ ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობები: ერთ დამსაქმებელთან მუშაკი საშუალოდ 10 წელზე მეტ ხანს შრომის, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი დიდ ბრიტანეთში არის 8 წელი, აშშ-ში კი – 7 წელი (Streeck 1995). ვინაიდან შრომითი ურთიერთობები თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, ხოლო მუშაკებს მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, მნარმლებლობა იზრდება და დამსაქმებელს საშუალება ეძლევა, კვალიფიციურ მუშაკს მეტი გადაუხადოს და თანაც სამუშაო დრო შეამციროს (Hassel 2006).

ამრიგად, გერმანიაში ხელფასებს შორის დიდი სხვაობა არაა, ხოლო კვალიფიციური მუშაკები, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მთლიანად საშუალო კლასს მიეკუთვნებიან. გერმანიაში ისინი მეტად ფართო ფენას ქმნიან. ეს ფენა მოსახლეობის 66%-ს მოიცავს, მაშინ, როდესაც საშუალო კლასს დიდ პრიტანეთში მოსახლეობის 26% მიეკუთვნება, ხოლო აშშ-ში – 44% (Rössel 2005).

1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად გერმანულმა მოდელმა კრიტიკა დაიმსახურა. განსაკუთრებით 2005 წლის წინასარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კონსერვატორი პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ გერმანიამ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობა დაკარგა და პოზიციებს თმობს. თუმცა, ასეთი პესიმისტური წინასწარმეტყველების მიუხედავად, ეს ქვეყანა რეგულარულად ადასტურებდა თავის კონკურენტუნარიანობას და ექსპორტის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. ეს კი დაკავშირებულია მაღალხარისხიანი რთული სამრეწველო საქონლის წარმოებასთან, უპირველეს ყოვლისა, ისეთ დარგებში, როგორებიცაა მანქანათმშენებლობა და ჩარხშენებლიობა. გერმანიაში სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მუდმივად 10%-ით უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხვა ქვეყნებში (ეგლე, 2006: 292).

გერმანია

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2008 წ.	29.100 €	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის სტანდარტების (PPS) მიხედვით; 1 PPS შეესაბამება 1 ევროს საშუალო მსყიდველობით უნარს (წყარო: Eurostat)
საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990–2007 წწ.	1,4 %	ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა სტაბილური ფასების პაროპების (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 195)
სახელმწიფო ვალი 2008 წ.	65,9 %	სახელმწიფო ვალი პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Bundesministerium für Finanzen, Monatsbericht 12/2009, გვ. 99)
მიმდინარე ანგარიშების ბალანსი 2008 წ.	6,4 %	საქონლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის საღადღო პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook 10/2009, გვ. 187)
დასაქმების დონე 2008 წ.	70,7 % (65,4 %)	15-დან 64 წლამდე დასაქმებულთა (დასაქმებულ ქალთა) ხვედრითი წილი საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)
უმუშევრობის დონე 2008 წ.	7,3 %	უმუშევრთა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)
შემოსავლების უთანაბრობა, გამოხატული ჯინის კოეფიციენტით 2009 წ.	28,3 %	შემოსავლების არათანაბარი განაწილების მაჩვენებელი; 100=მაქსიმალური არათანაბრობა (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 195)
ქალთა შემოსავლების დონე მამაკაცთა შემოსავლების დონესთან შედარებით	59 %	ქალთა შემოსავლები პროცენტულად მამაკაცთა შემოსავლებთან შედარებით (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 186)
სიღარიბის ინდექსი 2009 წ.	10,1 %	სიღარიბის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ნიგნიერების დონე, ჯანმდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა და ა. შ.) მიხედვით დგინდება; 0=მინიმალური სიღარიბე, 100=მაქსიმალური სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 180)
პროფესიულ კავშირებში გაერთიანების ხვედრითი წილი 2007 წ.	19,9 %	პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა (წყარო: OECD)

6.4. იაპონია

ავტორი: ვერნერ ფაშა

იაპონია კომუნიტიული საბაზრო ეკონომიკის ტიპურ ნიმუშად არის მიჩნეული. კომუნიტიული საბაზრო ეკონომიკის სპექტრში ჰოლი და სოსკისი (2001: 34) იაპონიას მიაკუთვნებენ „ჯგუფური კომუნიტაციის ქვეყანას“ (მრეწველობის თვალსაზრისით). ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური საქმიანობის კომუნიტაციის ახორციელებენ დარგთაშორისი კონგლომერატები, რომლებსაც იაპონიაში კეირეცუს უწოდებენ.

იაპონია: დიდხანს
მიიჩნეოდა
ეკონომიკური
აყვავებისა და
სოციალური
თანასწორობის
მაგალითად

საწარმოთა
დაფინანსება
ბანკების მიერ

გერმანიის მსგავსად, იაპონია მისაბაძ მაგალითად მიიჩნეოდა, რადგან აქ სანიმუშოდ ეხამებოდა ერთმანეთს ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა (Kevenhörster/Pascha/Shire 2003).

თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკური კრიზისის შემდგებ მისი დიდება გაფერმირთალდა. ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია „საპნის ბუშტის ეკონომიკამ“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეცულაციური ბუშტის გასკდომამ. იაპონიამ ბაზრის ლიბერალიზაციისათვის რეფორმების განხორციელება დაიწყო, თავიდან – გაუსედავად. ამ მხრივ ძალიან აქტიურობდა პრემიერ-მინისტრ კოიძუმის მთავრობა (2001–2006).

დაფინანსების სისტემა

ომისშემდგომ იაპონიაში დაფინანსების სისტემა ბანკზეა ორიენტირებული. საწარმოთა დაფინანსების ძირითად ინსტრუმენტად ათეული წლების განმავლობაში საბანკო კრედიტების მოზიდვა გვევლინებოდა.

თვითონ ბანკები კაპიტალის სიმცირის გამო მის დამთავრებიდან პირველ წლებში მნიშვნელოვანილად იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ბანკზე. ცენტრალური ბანკის მეშვეობით სახელმწიფო გავლენას ახდენდა უშუალოდ ბანკებზე, ხოლო ირიბად – საწარმოებზე.

მთლიანად სისტემა ხელს უწყობდა მსხვილ კონცერნებს. სახელმწიფო მათ სტრატეგიული პროექტების განსახორციელებლად კრედიტებს აძლევდა და ამიტომ შეძავათებსაც უწესებდა. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ინვესტიციების მაღალი დონე და მძლავრი ეკონომიკური ზრდა, რითაც სამუშაო ძალამაც ისარგებლა (Aoki/Saxonhouse 2000).

თუმცა 1970-იან წლებში ბევრი რამ შეიცვალა. საწარმოები და ბანკები ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და ლიბერალიზაციის ვითარებაში სახელმწიფოსთან მტკიდრო კავშირებისაგან გათავისუფლდნენ. კერძოდ, მსხვილ კონცერნებს საშუალება მიეცათ, დაფინანსება კაპიტალის ბაზრის მეშვეობით მოეხდინათ. ამ ცვლილებათა დაუგეგმავი შედეგი გახდა უკვე ნახსენები, 1980-იანი წლების ბოლოსთვის დამახასიათებელი „საპნის ბუშტის ეკონომიკა“ (Amyx 2004). 1997 წელს შემუშავდა ღონისძიებათა პაკეტი სახელწოდებით „ბიგ ბენგი“, ანუ „დიდი აფეთქება“. ამ რეფორმებს

უნდა აემაღლებინა ქვეყნის პრესტიუი, უფრო მიმზიდველი უნდა გაეხადა იგი, რაკი გაიზარდა ფინანსური სისტემის ღიაობა და გამჭვირვალობა. თუმცა საბანკო სისტემაში გამსკდარი ბუშტის შედეგებისგან თავის დაღწევა მხოლოდ 2003 წლიდან მოხერხდა.

შრომითი ურთიერთობები

იაპონიაში ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო ჩამოყალიბება ურთიერთობების სისტემის, რომელიც ხანგრძლივ საქმიანობაზე იყო ორიენტირებული. ამ ტენდენციამ აყვავებას ომისშემდგომ პერიოდში მიაღწია (Demes 1998). მაღალვალიფიციურ თანამშრომლებს საწარმოები დიდხანს ინარჩუნებდნენ შემდეგი გზით: რეგულარულად უზრდიდნენ ხელფასს, ბიზნესის განვითარების შესაბამისად წელიწადში ორჯერ აძლევდნენ პრემიებს, მიმზიდველი სოციალური პაკეტებით უზრუნველყოფდნენ და კარიერული ზრდისა და წინსვლისათვის საუკეთესო პირობებს უქმნიდნენ.

ეს სისტემა კომპანიებს საშუალებას აძლევდა, მოქნილად გადაენანილებინათ მოვალეობები საიმედო თანამშრომელთა შორის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საწარმოს გრძელვადიანი წარმატებით და ამ წარმატებისათვის ირვებოდნენ კიდევაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამით მოგებული რჩებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცები – ანუ მსხვილ კორპორაციათა შტატიან თანამშრომლები, მაშასადამე, ჯგუფი, რომელიც მთელი დასაქმებული მოსახლეობის მესამედზე ოდნავ ნაკლებს შეადგენდა.

სისტემას სხვა ხარვეზიც ჰქონდა – საწარმოზე თვით პრივილეგირებული მუშაკების ძლიერი დამოკიდებულება. სამუშაო გამოცდილება მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ერთ კონკრეტულ ფირმასთან. ამის გარდაუვალი შედეგი გახლდათ ფირმებს შორის დაბალი მობილობა, დიდი მოცულობის ზეგანაკვეთური შრომა და მივლინებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ოჯახურ ცხოვრებაზე.

იაპონიაში ერთ პოზიტიურ ასპექტად რჩებოდა შემოსავლებს შორის გონივრული განსხვავება – თვით ტოპმენეჯერებისა და ჩვეულებრივი მუშაკების შემოსავლებს შორისაც კი.

ომისშემდგომ წლებში იაპონიაში საწარმოთა პროფესიონალიზება ჩამოყალიბება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პერიოდული კონფლიქტების მიუხედავად, საწარმოთა ხელმძღვანელობა და პროფესიონალიზმი უფრო შეთანხმებულად მოქმედდებდნენ. ამავე დროს, მცირე საწარმოთა თანამშრომლებისა და არარეგულარულ თანამშრომელთა ინტერესები პრაქტიკულად არ იყო გათვალისწინებული. ზოგადად, პროფესიონალიზმი კვლავ სუსტდება, რაც შრომითი ურთიერთობებისა და დასაქმებულთა ინტერესების დივერსიფიცირებითაა გამოწვეული.

თავის მნიშვნელობას კარგას ხანგრძლივი დასაქმების სისტემაც (Haak 2006). 1990-იანი წლების კრიზისი ავად დაეტყო ხანში შესულ მაღალანაზ-

გრძელვადიანი
დასაქმება...

...გარკვეული
შუქ-ჩრდილებით

საწარმოთა
პროფესიონალიზმი

ღაურებად მუშაკებს. არსებითად გაიზარდა დასაქმების ისეთი არარეგულარული ფორმების მნიშვნელობა, როგორებიცაა არასრულ და ნახევარ განაკვეთებზე მუშაობა ან დაქირავებულთა საქმიანობა. ამის შედეგად საშუალო ხელფასი 2003 წლის შემდეგ თითქმის არ გაზრდილა, მიუხედავად გარკვეული ეკონომიკური წარმატებისა.

განათლებისა და ტრენინგის სისტემა

საპაზისო
სახელმწიფო
განათლება...

მე-19 საუკუნის ბოლოდან სახელმწიფო უზრუნველყოფა საბაზისო სახელმწიფო განათლებას სახელმწიფო დაწესებულებებში. დღეს თითქმის ყველა ახალგაზრდა აგრძელებს სწავლას ცხრანლიანი სავალდებულო სასკოლო განათლების შემდეგ. დიდი ხნის განმავლობაში სასკოლო განათლება იმისკენ იყო მიმართული, რომ წარმატებისა შერომისმოყვარეობა, სიბეჭითე, საზოგადოებაში ჩართულობა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, უმნიშვნელოვანესი ცოდნის მიღება, მაგრამ იგი არ ახალისებდა საკითხებისადმი შემოქმედებით მიღებომასა და პიროვნების დამოუკიდებლობის ფორმირებას (Münch/Eswein 1998). ამრიგად, ახალგაზრდები მშვენივრად იყვნენ მომზადებული კომპანიებში სამუშაოდ, ხოლო კომპანიები თვითონვე კისრულობდნენ ვალდებულებას, რომ მათ სანარმოში გამოსადეგ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემდნენ.

... და
სპეციალიზაცია
სანარმოებში

კომპანიებში „სამუშაოს როტაცია“ და „ადგილზე სწავლება“ ძალზე ინტენსიურია, რის შედეგადაც შეძენილი უნარ-ჩვევები მოცემული ფირმისთვისაა დამახასიათებელი, რის გამოც სხვა კომპანიაში გადასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ტრენინგის სისტემის მეორე ნიშანია ახალგაზრდების ზემოთ აღნერილი უნარების მიხედვით „დახარისხება“. ამგვარი ფილტრაციის შედეგად მსხვილ კონცერნებს შეუძლიათ მათ მაღალი ხელფასები შესთავაზონ და იოლად შეარჩიონ საუკეთესო მაძიებლები, ხოლო შედარებით სუსტი ცოდნისა და უნარების მქონე სკოლადამთავრებულები ნაკლებად მიმზიდველი ვაკენისიერით დაკავშირდებიან.

ბოლო პერიოდში იზრდება იმის საშიშროება, რომ ტექნიკური და ორგანიზაციული პროგრესის ლიდერის პოზიციაზე მხოლოდ შრომისმოყვარე, მაგრამ ნაკლებად შემოქმედებით მუშაკების შენარჩუნება გაჭირდება. გარდა ამისა, ორიენტაციის ახალგაზრდა კადრებზე აღება აღარ შეესატყვისება სწრაფად დაბერებადი საზოგადოების რეალობას. ამიტომაც დღევანდელ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს სჭირდებათ, აღსაზრდელებში გააღვივონ ინდივიდუალობა და კრეატიული სული, აგრეთვე დამატებით ასწავლონ და გადაამზადონ უფროსი თაობის ადამიანები. ამასთანავე, ფირმები ცდილობენ გვერდი აუარონ პერსონალის გაწვევის ტრადიციულ გზებსა და კვალიფიკაციის ამაღლების მოცემებულ ღონისძიებებს. თუმცა ჯერ ისევ გადაასაწყვეტია ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაოდ მიღება, მაღალკალიფიციური ქალების საზოგადოებრივი აღიარება და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა და ა. შ.

საწარმოთა შორის ურთიერთობები

იაპონური კომპანიები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ზოგიერთი მკვლევარი იაპონურ სისტემას ქსელურ ეკონომიკას უწოდებს (Lincoln/Gerlach 2004). ჰორიზონტალურად ინტეგრირებული კონგლო-მერატები, მაგალითად, „მიცუბისი“ და „სუმიტომო“, სხვადასხვა დარგის საწარმოებს აერთიანებს. მათ ერთმანეთთან ჰერსონალის გაცვლა, კაპი-ტალი და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მექანიზმები აკავშირებს. სხვა კონგლომერატებთან მეტოქეობაში მათ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ტრადიციული დარგობრივი სპეცია-ლიზაციით არ შეფერხებულან.

ვერტიკალური კონგლომერატები კავშირებს ღირებულების ჯაჭვის გას-წვრივ ქმნიან. იმ დროს, როდესაც დედა კომპანია, მაგალითად, „ტოი-ოტა“, უზრუნველყოფს ხარისხს საბოლოო აწყობისას და სტრატეგიულ საკითხებს აგვარებს, მასალების მიმწოდებელი პირველი ჯგუფი საკვნძო სისტემურ კომპანენტებზე აგებს პასუხს. უფრო წვრილი ქვედა დონის მიმწოდებლები ცალკეულ დეტალებზე ზრუნავენ. მიმწოდებელთა მსგავსი პირამიდები ძალზე მოქნილები არიან და მრავალი ფუნქციის შესრულების უნარი აქვთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დროს ყველაზე დიდი ტვირთი სწორედ ამ დაბალ დონეებს დააწვებათ.

კრედიტზე ორიგინტირებული ფინანსური სისტემის შედეგად ბანკებსა და კომპანიებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო ღრმავდება. ომისშემდ-გომ პერიოდში ბანკები ზედამხედველების როლს ასრულებდნენ, როგორც საფირმო ბანკები, და ამიტომაც ზოგჯერ აქციონერებზე მეტ მნიშვნელობას იძენდნენ. კორპორაციული მმართველობის იაპონური სისტემა შეინდან ჩამოყალიბდა მენეჯმენტის იერარქიის მიერ, ხოლო გარედან – ბანკების მიერ (Dirks/Otto 1998). იმ შემთხვევაში, თუ საწარმო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, ის ბანკებისაგან ელოდა მხარდაჭერას, რათა სისტემური კრიზისი არ მომხდარიყო. თავის მხრივ, სახელმწიფო გრძელვადიან გა-რანტიას საბანკო სისტემის თვით ყველაზე სუსტ დაწესებულებებსაც კი აძლევდა. ბანკებსა და საწარმოთა მმართველებს შორის, ანდა მათ უფლე-ბამოსილ ჩინოვნიერებს შორის პირადი კონტაქტები მყარდებოდა, რაც ხელს უწყობდა ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ხანგრძლივ პერსპექ-ტივაზე იყო ორიენტირებული. მეორე მხრივ, ამას შეიძლებოდა გამოეწვია პრობლემური გარიგებები, რომლებიც არ გამორიცხავდა კორუფციას.

ამ პერიოდში სისტემამ მნიშვნელოვანი ზეწოლა განიცადა. საერთაშორი-სო კაპიტალის ბაზარზე დამოკიდებულების ზრდა კომპანიებს აიძულებს, თავიანთი ურთიერთობები და მმართველობის ფორმები უფრო გამჭვირ-ვალე გახადონ. ჩნდება საშიშროება: იაპონური კომპანიებიც არ გახდნენ იძულებული, მოკლევადიანი ინტერესებით იმოქმედონ, როგორც ამას დასავლეთის კომპანიები აკეთებენ, და არ დაკარგონ ნდობაზე დაფუძნე-ბული მრავალწლიანი ურთიერთობების უპირატესობა.

სამრეწველო
პროდუქციის
ოპტიმიზაცია...

...მაგრამ ასევე
სოციალური და
პოლიტიკური
პრობლემები

იაპონური
მოდელის
მომავალი?

შეფასება

იაპონიის „ჯგუფზე დაფუძნებულმა“ კოორდინირებულმა კაპიტალიზმა ომისშემდგომ პერიოდში შესანიშნავად გამოავლინა მისი სამრეწველო სექტორის ძლიერი მხარეები. ამ მოდელის დახმარებით მოხერხდა სერიული წარმოების პირობებში სტანდარტული სამრეწველო პროდუქციის თანდათანობით გაუმჯობესება და სრულყოფა. ამასთანავე, შესაძლებელი გახდა, რომ ეს პროდუქცია უმაღლესი ხარისხის ყოფილიყო, ხოლო მნარმებლობა გამუდმებით იზრდებოდა და პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე საღდებოდა. საკრედიტო დაფინანსება და საბანკო ზედამხედველობა ხელს უწყობდა ისეთ სტრატეგიას, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაზე იყო ორიენტირებული. სანარმოთა წარმატებული ჯგუფები ამ სტრატეგიის განსახორციელებლად სათანადო რესურსებს პოულობდნენ. შრომისმოყვარე მუშაკები აღნიშნულ სტრატეგიას ცხოვრებაშიც მისდევდნენ. ამგვარ მუშაკებს განათლების სისტემა მრავლად უშვებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი წარმოშობდა გარკვეულ სოციალურ და პილიტიკურ პრობლემებს, როგორებიცაა, მაგალითად, მსხვილ და წვრილ სანარმოებს შორის დაპირისპირება, პიროვნული განვითარების შესაძლებლობათა დეფიციტი, კორუფციისადმი ერთგვარი კეთილგანწყობის შექმნა, – ზოგადად მოქალაქეთა უმრავლესობა საერთო ეკონომიკური აღმავლობით მოგებული დარჩა.

ინტერნაციონალიზაციისა და ტექნიკურ-ორგანიზაციული პროგრესის დროს ამ სისტემამ თავისი შესაძლებლობების ზღვარს მიაღწია. სოციალური თანასწორობა ვერ დამყარდა, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე და საბაზრო რეფორმატორის, კოიდუმის, მთავრობიდან წასვლის შემდეგ მთავრობის არასტაბილურობის მთავარი მიზეზია.

მკვლევრები გარკვეულ ეტაპზე სვამდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ იაპონიის ეკონომიკა არაკოორდინირებულ ანგლო-ამერიკულ მოდელს მიუახლოვდა (Dore 2000, Pascha 2004, Streeck/Yamamura 2003). თუმცა, როგორც ჩანს, იაპონია არ დაადგება არაკოორდინირებული კაპიტალიზმის გზას. ამაზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, კორპორაციული შმართველობის ტენდენციები. ჯერჯერობით არ ხდება კაპიტალის ბაზარზე ორიენტაციისა და შრომის ბაზარზე საკადრო კაპიტალის მიბმის შესამება. რაც მმართველობით სტრუქტურებს მიჰყევია დიდი ყურადღება, რაც ასე დამახასიათებელია არაკოორდინირებული მოდელებისთვის; სხვადასხვა ფირმაში უფრო ხშირად გვხვდება შერეული ფორმები, მაგალითად, უფრო ღია გახდა საკადრო პოლიტიკა, ოღონდ შემორჩენილია ტრადიციული ომის-შემდგომი მოდელის დანარჩენი ელემენტები (Aoki/Jackson/Miyajima 2007).

ახალი არაწინააღმდეგობრივი და ერთიანი სისტემა ჯერჯერობით არ ჩანს.

იაპონია			
მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2008 წ.	27.800 €	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის სტანდარტების (PPS) მიხედვით; 1 PPS შეესაბამება 1 ევროს საშუალო მსყიდველობით უნარს (წყარო: Eurostat)	
საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990–2007 წ.	1,0 %	ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა სტაბილური ფასების პირობებში (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 195)	
სახელმწიფო ვალი 2008 წ.	173,1 %	სახელმწიფო ვალი პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Bundesministerium für Finanzen, Monatsbericht 12/2009, გვ. 99)	
მიმდინარე ანგარიშების ბალანსი	3,2 %	საქონლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის სალდო პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook 10/2009, გვ. 187)	
დასაქმების დონე 2008 წ.	70,7 % (59,7 %)	15-დან 64 წლამდე დასაქმებულთა (დასაქმებულ ქალთა) ხვედრითი წილი საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
უმუშევრობის დონე 2008 წ.	4,0 %	უმუშევართა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
შემოსავლების უთანაბრობა, გამოხატული ჯინის კოეფიციენტით	24,9 %	შემოსავლების არათანაბარი განაწილების მაჩვენებელი; 100=მაქსიმალური არათანაბრობა (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 195)	
ქალთა შემოსავლების დონე მამაკაცთა შემოსავლების დონესთან შედარებით	45 %	ქალთა შემოსავლები პროცენტულად მამაკაცთა შემოსავლებთან შედარებით (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 186)	
სიღარიბის ინდექსი 2009 წ.	11,6 %	სიღარიბის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, წიგნერების დონე, ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა და ა. შ.) მიხედვით დაინდება; 0=მინიმალური სიღარიბე, 100=მაქსიმალური სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 180)	
პროფესიულ კავშირებში გაერთიანების ხვედრითი წილი 2007 წ.	18,3 %	პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა (წყარო: OECD)	

6.5. შვედეთი

ავტორი: ერიკ გურგსდისი

რენ-მეიდნერის მოდელი

სრული დასაქმება
„შრომის
ანაზღაურების
სოლიდარული
პოლიტიკით“

შვედეური ეკონომიკური პოლიტიკა ეგრეთ წოდებულ რენ-მეიდნერის მოდელს ეყრდნობა. ეს სახელი მას პროფესიული მოდელის მინიჭების პატივსაცემად მიენიჭა. ესენი იყვნენ გესტი რენი და რუდოლფ მეიდნერი. ამ ექსპერტებმა 1951 წელს შეიმუშავეს ზოგადი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ერთმანეთს უხამებს სრულ დასაქმებასა და „შრომის ანაზღაურების სოლიდარულ პოლიტიკას“ და არ იწვევს ინფლაციურ პროცესებს.

მოდელის ძირითადი დებულებები შემდეგია: სრულ სტაბილურ დასაქმებას ვერ მივალნევთ, თუნდაც მთელი ეკონომიკის მასშტაბით დიდი მოთხოვნილება იყოს მუშახელზე, და არა აქვს მნიშვნელობა, ეს გარემოება გლობალური ეკონომიკის განვითარებითაა გამოწვეული თუ ეროვნული ეკონომიკის სტიმულირების პროგრამებით. ვინაიდან ეკონომიკის ცალკეული დარგები არათანაბრად იზრდება, საზოგადოებრივი მოთხოვნის მუდმივად მაღალი დონე მაღალ გამოიწვევს „ვიწრო“ ადგილების წარმოქმნას. ის სექტორები, რომლებიც სამუშაო ძალის ნაკლებობას განიცდიან, ეცდებიან, მუშახელი სხვა დარგებიდან გადაიბირონ. სრული დასაქმების პირობებში ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი მუშახელს შესთავაზებენ უფრო დიდ ხელფასს, ვიდრე იღებს. ეს კი ამ სექტორებში წარმოებული პროდუქციის ფასის გაზრდას იწვევს. ამის შედეგად მსყიდველობითი უნარის კომპენსირებისათვის ხელფასები სხვა სექტორებშიც იზრდება, რაც განაპირობებს ფასების მატებას და ინფლაციას ეროვნულ ეკონომიკაში.

შრომის ანაზღაურების სოლიდარული პოლიტიკა

დამატებით სირთულეს ქმნიდა ეგრეთ წოდებული შრომის ანაზღაურების სოლიდარული პოლიტიკა, რომელიც შვედეთის პროფესიული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემოილეს. ამ პოლიტიკას ორი მიზანი ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი ცდილობდა განეხორციელებინა პრინციპი „თააბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისთვის“, რაც შრომის საშუალო მწარმოებლობას ეფუძნებოდა. მეორე მხრივ, ის მოითხოვდა ხელფასებს შორის სხვაობის შემცირებას სხვადასხვა სახეობის საქმიანობისას. ამ მიზნის მიღწევის პირობა იყო ხელფასის სიდიდის დადგენისას უპირატესად ცენტრალიზებული შეთანხმებები.

იმისათვის, რომ „შრომის ანაზღაურების სოლიდარული პოლიტიკის“ შედეგები ინფლაციამ არ გაანადგუროს, რენ-მეიდნერის მოდელი აწესდს მკაფიო სახელმწიფო ფინანსურ პოლიტიკას, რომელიც ზღუდავს საყოველ-თაო მოთხოვნილებებს ბიუჯეტის პროფიციტის მეშვეობით.

რენ-მეიდნერის
მოდელის
დადგებითი და
უარყოფითი
მხარეები

ეკონომიკური პოლიტიკის ამგვარი კონცეფცია დაბალი მწარმოებლობის სანარმოებს არასახარბიელო პირობებს უქმნის. ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი, როდესაც მოთხოვნა მხოლოდ ზომიერია, ისინი გასაღების პრობლემის წინაშე დგებან, რაც მათი დაბალი დანახარჯებით და ფასების სტრუქტურით არის გამოწვეული; მეორე, „შრომის ანაზღაურების სოლი-დარული პოლიტიკა“ კიდევ უფრო ამწვავებს მათ რთულ მდგომარეობას ხარჯებთან და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით, რითაც ზრდის ხელფასებზე მოთხოვნას ყველა სექტორსა და ყველა კომპანიაში, საშუალო მწარმოებლობის კომპანიების მსგავსად.

მათგან განსხვავებით, ის სანარმოები, რომელთაც შრომის მწარმოებლობის მაღალ დონეს მიაღწიეს, ორმაგ უპირატესობას იღებენ. ჯერ ერთი, დანახარჯთა მოქნილი სტრუქტურა წარმოშობს ხელსაყრელ ფასებს და ამგვარად განაპირობებს მაღალ მოთხოვნას. მეორეც, სახელფასო სქემები შეგნებულადაა მორგებული საშუალო მწარმოებლობაზე, რითაც იქმნება გარკვეული არეალი მანევრირებისთვის, რაც მაღალპროდუქტიულობის შედეგია. ამ გზით ეს კომპანიები აღწევენ კაპიტალის ზრდას, რაც მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნისთვისაა საჭირო.

შემზღვდავი ფინანსური პოლიტიკისა და „შრომის ანაზღაურების სოლი-დარული პოლიტიკის“ ამგვარი შესაბმებით წაგებული რჩებიან დაბალი მწარმოებლობის სანარმოები და ამ სანარმოთა მუშაკები. თუმცა ამ ძროს წარმოქმნილი უმუშევრობა განიხილება არა როგორც სახელმწიფო პრობლემა, არამედ როგორც საკითხი, რომელიც სახელმწიფოსაგან მოქმედებას მოთხოვს. შესაბამისად, მუდმივი განვირცობისა და დახვეწის შედეგად ჩამოყალიბდა „შერჩევითი შრომის ბაზრის პოლიტიკა“. ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბური სისტემა და ადგილიდან ადგილზე გადასვლისას ფინანსური მხარდაჭერა, მიმართული იყო უმუშევრებისკენ, აგრეთვე დამწევები მუშაკებისა და იმ ადამიანებისკენ, რომლებიც გარკვეული შესვენების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდნენ შრომის ბაზარს პროდუქტიული და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნის სურვილით.

მაშასადამე, რენ-მეიდნერის მოდელში შემზღვდავი ფისკალურ-საბიუჯეტო პოლიტიკა, „შრომის ანაზღაურების სოლიდარული პოლიტიკა“ და „შერჩევითი შრომის ბაზრის პოლიტიკა“ შვედეთის ეკონომიკის განუწყვეტელი განახლებისა და მუდმივი სტრუქტურული ადაპტაციისკენაა მიმართული. ეს მეთოდი მეტ-ნაელებად, 1960-იანი წლებიდან შვედეთის ეკონომიკური ორიენტირის როლს ასრულებდა. მთლიანობაში, შვედური ეკონომიკური მოდელისთვის დამახასიათებელია „ეონცეპტუალური ერთიანობა და პოლიტიკური მხარდაჭერა, რასაც მსგავსმა ქვეყნებმა ვერ მიაღწიეს“, როგორც აღნიშნა ფრიც ვ. შარპფმა 1987 წელს გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიისა და შვედეთის სოციალ-დემოკრატიული

დაბალი
მწარმოებლობის
სანარმოების
არასახარბიელო
მდგომარეობა

მაღალი
მწარმოებლობის
სანარმოთა
უპირატესობა

უმუშევრობა
სახელმწიფოსაგან
მოქმედებას
მოთხოვს

შვედურ მოდელზე
ორიენტირების
მაღალი დონი

ეკონომიკების შედარების საფუძველზე (შარპფი, 1987: 119). ამ დასკვნას ყავლი არც დღეს გასვლია. ამრიგად, შევედეთმა, რომლის შიგა ბაზარიც 10 მილიონ კაცზე ნაკლებს შეადგენს, გლობალიზაციით გამოწვეული აღმა-დალმა სვლების მოუხედავად, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის წყალობით მოახერხა არა მხოლოდ შეენარჩუნებინა პოზიციები მსოფლიო ბაზარზე, არამედ უფრო მეტიც – გაეზარდა საქონლის ბრუნვა, ბოლო ხანებში კი მომსახურების სფეროც გაეფართოებინა: დღეისათვის ექსპორტი შიდა ეროვნული პროდუქტის ნახევარს შეადგენს.

კაპიტალის
ბაზარზე
დამოკიდებული არ
არის

დაფინანსების სისტემა და საკუთრების სტრუქტურა

შევედეთში საწარმოთა დაფინანსება სხვადასხვა ელემენტისგან შედგება. დაფინანსება, უპირველეს ყოვლისა, საფირმო ბანკების განსაკუთრებულ სისტემას ეყრდნობა. გარდა ამისა, შეიმჩნევა აქციათა ბაზრის მეშვეობით დაფინანსების ერთგვარი ელემენტები, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინონთ შევეღური საწარმოებსათვის დამახასიათებელი აქციების ჯვარედინი ფლობა. ამიტომაც საწარმოთა დაფინანსება უფრო მეტად ხანგრძლივ პერსპექტივაზეა ორიენტირებული. დაფინანსების შევეღური სისტემა მოგვაგონებს „რაინის კაპიტალიზმის“ სისტემას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ახასიათებდა გერმანიას.

ტრენინგის სისტემა

შევედეთში ადრევე მიხვდნენ, რომ გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენტული უპირატესობის უმნიშვნელოვანესი რესურსი განათლებაა. შევდი მოსწავლეები პროფესიულ განათლებას სკოლის ბოლო კლასებში ეუფლებიან. ამ გაკვეთილებს ნებაყოფლობით ესწრება თითქმის ყველა შეგირდი. ქვეყანაში უმაღლესი განათლების გვერდით სპეციალიზებული პროფესიული განათლების 14 ეროვნული პროგრამა არსებობს.

განათლების შევეღური პოლიტიკის ძირეული პრინციპია განათლების უპერსპექტივო მიმართულებების შექლებისდაგვარად თავიდან აცილება. ამიტომ სპეციფიკურ პროფესიულ ტრენინგში გარკვეული პროპორციით ზოგადი განათლების ელემენტებია ჩართული, რის გამოც პროფესიული კვალიფიკაცია უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების უფლებას იძლევა. 2006 წელს იმ კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, რომელთაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების უფლება მიიღეს, 94,6% იყო.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია მრავალი სხვა შესაძლებლობა მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში დამატებითი განათლების მისაღებად. საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ითქვა, შევეღური ეკონომიკური პოლიტიკისა და შრომითი მოწყობის პოლიტიკის მიზანია არა უკვე განსაზღვრული, არსებული სამუშაო ადგილების დაცვა-შენარჩუნება, არამედ ადამიანთა მომზადება საერთაშორისო კონკურენციისთვის, რათა მათ ყველაზე მაღალი მწარმოებლობის სამუშაო ადგილები დაიკავონ. ამი-

ტომაც განათლების სისტემა ყველა მოქალაქეს აძლევს როგორც ზოგად, ისე სპეციალურ ცოდნას.

შრომითი ურთიერთობები

როდესაც ნათელი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდებოდა სოციალ-დემოკრატების სამთავრობო პოზიციებიდან გადაყენება, დამსაქმებლებმა, 1938 წლის „სალტისიობადენის შეთანხმების“ თანახმად, პროფესიულურ მოლაპარაკებებში თანასწორუფლებიან პარტნიორებად აღიარეს.

შეთანხმების მიზანი იყო სახელმწიფოს მაქსიმალურად ჩამოშორება შრომის ბაზრის რეგულირების საკითხებისგან. ეს გამოდიოდა კიდევაც დაახლოებით მომდევნო 30 წლის განმავლობაში. შრომის ბაზარი მშვიდობიანად ვითარდებოდა, ხოლო შრომის ანაზღაურების საკითხი ცენტრალიზებულად კონტროლდებოდა სახელფასო შეთანხმებების მეშვეობით. შრომის ბაზრის შესახებ კანონმდებლობა პრაქტიკულად არ არსებობდა.

თანამშრომლობის პერიოდის (1970-იანი წლებიდან 1998 წლამდე) შემდეგ კონფრონტაციის ხანა დადგა. შრომის ანაზღაურების რაოდენობის თაობაზე მოლაპარაკებების არსებული ცენტრალიზებული სისტემა თანადათანობით დაინგრა. თუმცა შემდგომი სტაბილურობის აუცილებლობამ, რაც ევროკავშირში შესვლას უკავშირდებოდა, სახელფასო შეთანხმების მხარეები დაარწმუნა, რომ სახელფასო მოლაპარაკებებისთვის ახალი საფუძვლის ძიება იყო საჭირო. სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ინიციატივით 1998 წელს უმინიშვნელოვანება სამრეწველო პროფესიონერებმა და დამსაქმებლებმა ეგრეთ წოდებული სამრეწველო სატარიფო ხელშეკრულება დადგეს.

მრეწველობის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი პრინციპი: პირველი, წესების ერთობლიობა, რომელიც ცდილობს შეამციროს პერიოდები, როდესაც ხელშეკრულება გაფორმებული არ არის და ამიტომ კონფლიქტებია მოსალოდნელი. ამ მიზნით შემდგომი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებები არსებული ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე უნდა დაიწყოს. მათში ჩართული არიან ოფიციალურად დანიშნული უპარტიო არბიტრები, რომლებიც ცდილობენ, მოლაპარაკებები იმგვარად წარიმართოს, რომ მიღებული ხელშეკრულება ევროკავშირის ნორმებს შეესაბამებოდეს. და ბოლოს, განახლდა წარმოდგენები იმის თაობაზე, რომ შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელია ექსპორტზე ორიენტირებული მაღალკურენტუნარიანი კერძო სექტორი. მრეწველობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვიანებით სახელმწიფო სექტორშაც გადაიღო.

შვედეთში პროფესიონერებს ძალიან ძლიერი პოზიციები უკავიათ და მუ-

პროფესიონები
და დამსაქმებლები
თანაბარ
სანყისებზე

კონფლიქტის
თავიდან აცილება

შპკთა 70%-ზე მეტს მოიცავენ. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მუშაკები საწარმოთა მართვაში პროფესიული მეშვეობით მონაწილეობენ. გერმანიისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი სამრეწველო საბჭოების მსგავსი სტრუქტურები შვედეთში არ არსებობს.

საწარმოს მართვაში მონაწილეობა – შვედეთი გერმანიისაგან ამითაც განსხვავდება – დიდი ხნის განმავლობაში კანონმდებლობით არ ყოფილა განმტკიცებული. შვედეთში აღებული კურსის შესაბამისად, პროფესიული მიერის უფლება, ყველა გადამწყვეტ საკითხზე გამართულ მოლაპარაკებებში მიეღოთ მონაწილეობა. მართვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული კონფლიქტის შემთხვევაში მუშაკებს გაფიცვის უფლება აქვთ, მაშინაც კი, როდესაც სახელფასო შეთანხმება ჯერ კიდევ ძალაშია.

საწარმოთა შორის ურთიერთობები

საწარმოთა
მჭიდრო
ურთიერთკავშირი

შვედეთის არა მხოლოდ პროფესიული ისთვის, არამედ დამსაქმებელთა კავშირებისთვისაც მაღალი ორგანიზებულობაა დამახასიათებელი. მოლაპარაკების ორივე მხარეს ძლიერი პოზიციები ეკავა, რამაც განაპირობა დამსაქმებელთა და პროფესიულ ინგრენზაციათა ზემოხსენებული შეთანხმების წარმატება. გარდა ამისა, შვედეთისათვის ტიპურია კაპიტალისა და საწარმოების შეზრდა. და ბოლოს, საბაზრო ურთიერთობათა გვერდით საწარმოები იყენებენ მრავალფეროვან და სხვადასხვაგვარ საინფორმაციო ქსელებსაც, როგორც საკუთარი კაპიტალის მისაწოდებლად, ისე ფირმებს შორის თანამშრომლობისა და ტექნოლოგიების გაცვლისათვის.

შეფასება

ახლოსაა
კოორდინირებული
საპაზრო
ეკონომიკის
იდეალურ
მოდელთან

ამ წიგნში განხილული ქვეყნებიდან შვედეთი ყველაზე ახლოსაა კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის იდეალურ მოდელთან. შვედეთის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მჭიდრო თანამშრომლობა ხელფასების ფორმირებისას; პროფესიული განათლების უზრუნველყოფაში შრომის ბაზრის ორივე სუბიექტი მონაწილეობს; კორპორაციულ დაფინანსებაში მონაწილეობები საფირმო ბანკები, საწარმოთა აქციონერები და ბიზნესის საინფორმაციო ქსელები, რომლებიც კომპანიის კაპიტალს უზრუნველყოფენ. ეს საინფორმაციო ქსელები აგრეთვე გამოიყენება ტექნოლოგიათა გაცვლის და კომპანიათა თანამშრომლობის მიზნებისთვის.

შვედეთი გამოიჩინება თავისი კოორდინირებული ეკონომიკის სისტემით და მტკიცე კეთილდღეობით, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, ერთმანეთს შეუთავსოს ეკონომიკური ზრდა, კეთილდღეობის სამართლიანი განაწილება და უმუშევრობის დაბალი დონე. ამიტომ, აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და იაპონიასთან შედარებით, იგი ყველაზე უკეთ უპასუხებს სოციალური დემოკრატიის მოთხოვნებს.

შეცდეთი			
მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2008 წ.	30.100 €	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის სტანდარტების (PPS) მიხედვით; 1 PPS შეესაბამება 1 ევროს საშუალო მსყიდველობით უნარს (წყარო: Eurostat)	
საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990–2007 წ.	2,3 %	ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ნლიური ეკონომიკური ზრდა სტანდარტი ფასების პირობებში (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 195)	
სახელმწიფო ვალი 2008 წ.	38,0 %	სახელმწიფო ვალი პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: Bundesministerium für Finanzen, Monatsbericht 12/2009, გვ. 99)	
მიმდინარე ანგარიშების ბალანსი	7,8 %	საქონლის ექსპორტი-იმპორტის ბალანსის სალდო პროცენტობით მშპ-ის საერთო რაოდენობასთან (წყარო: International Monetary Fund: World Economic Outlook 10/2009, გვ. 187)	
დასაქმების დონე 2008 წ.	74,3 % (71,8 %)	15-დან 64 წლამდე დასაქმებულთა (დასაქმებულ ქალთა) ხვედრითი წილი საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
უმუშევრობის დონე 2008 წ.	6,2 %	უმუშევართა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლების საერთო რაოდენობასთან (წყარო: Eurostat)	
შემოსავლების უთანაბრობა, გამოხატული ჯინის კოეფიციენტით	25 %	შემოსავლების არათანაბარი განაწილების მაჩვენებელი; 100%-მაქსიმალური არათანაბრობა (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 195)	
ქალთა შემოსავლების დონე მამაკაცთა შემოსავლების დონესთან შედარებით	67 %	ქალთა შემოსავლები პროცენტულად მამაკაცთა შემოსავლებთან შედარებით (წყარო: Human Development Index 2009, გვ. 186)	
სიღარიბის ინდექსი 2009 წ.	6,0 %	სიღარიბის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ზიგნიერების დონე, ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა და ა. შ.) მიხედვით დგინდება; 0=მინიმალური სიღარიბე, 100=მაქსიმალური სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2009, გვ. 180)	
პროფესიულ კავშირებში გაერთიანების ხვედრითი წილი 2007 წ.	70,8 %	პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული შრომისუნარინი მოსახლების პროცენტული რაოდენობა (წყარო: OECD)	

7. ეკონომიკური პოლიტიკა: პრაქტიკული მაგალითები

სოციალურ ფინანსურულობ კურტ ლევინს მიაწერენ გამოთქმას: „არაფერია ისე პრაქტიკული (ხელსაყრდნობის თვალსაზრისით), როგორც კარგი თეორია“. მომდევნო თავში წარმოდგენილი თეორიების ეკონომიკური და სოციალური დემოკრატიის საკითხებთან პრაქტიკული კავშირის დემონსტრირების მიზნით ამ თავში ხშირად გამოყიდებთ პრაქტიკულ მაგალითებს.

ამ, დასკვნით თავში მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები პოლიტიკის რამდენიმე სადაც სფეროდან. ისინი ნათლად გვიჩვენებენ, როგორ აისახება ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ პროექტებში სოციალური დემოკრატიის ძირითადი ღირებულებანი და როგორ ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები.

მოცემულ სერიაში არ არსებობს შრომის ბაზრის პოლიტიკისადმი მიძღვნილი ცალკე ტომი, რადგან ეს საკითხი სოციალური დემოკრატიის პოლიტიკის საკვანძო ელემენტია და ყველა ტომში ფიგურირებს. სოციალური დემოკრატიის ეს უმნიშვნელოვანესი თემა წითელ ზოლად გასდევს სერიის ყველა ტომს. უეჭველია, ამ წიგნშიც, რომელიც „ეკონომიკისა და სოციალური დემოკრატიის“ თემას ეძღვნება, შრომის ბაზრის პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ შევეცადეთ, მისთვის სათანადო პატივი მიგვეგო, რისთვისაც წიგნში ჩავრთეთ ორი პრაქტიკული მაგალითი – „ღირსეული შრომა“ და „მინიმალური ხელფასი“.

სერიაში მეტად განსხვავებული ავტორების სტატიებია თავმოყრილი. ამ ნაშრომებში სხვადასხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი. მუდმივად ცვლად პირობებში მაგალითები ვერ მოგვცემს დამაჯერებელ პასუხებს, თუმცა ისინი იდეებს გვიკარნახებენ და მკითხველს ფიქრისთვის განაწყობენ.

ამ თავში აღნერილი პრაქტიკული მაგალითები შემდეგ საკითხებს ეხება:

- ეკონომიკური სამრეწველო პოლიტიკა: როგორ შეიძლება, სახელმწიფოს დახმარებით შეიქმნას მინინავე ბაზრები, რომლებიც ხელს შეუწყობს სიახლეებს, ეკონომიკურ ზრდას და სრულ დასაქმებას;
- საბიუჯეტო პოლიტიკისადმი მიძღვნილ ნაწილში ნაჩვენებია, სახელმწიფოსათვის რა პირობებშია მიზანშეწონილი საინვესტიციო პოლიტიკის კრედიტით დაფინანსება;
- პრივატიზაცია: მისი უპირატესობები; როგორ შეიძლება მისი ორგანიზება პოლიტიკური თვალსაზრისით და როდის ჯობს პრივატიზაციის სულაც თავიდან აცილება;
- ღირსეული შრომა და ერთობლივი მართვა: ეს ურთიერთდაკავშირებული სფეროებია და სოციალური დემოკრატიისათვის საკვანძო მნიშვნელობის საკითხებს მიეკუთვნება;
- მინიმალური ხელფასი: ის საჭიროა დაბალანაზღაურებადი დასაქმების შეზღუდვისთვის, იმავდროულად, გენდერულ საკითხებზე რეაგირებისთვის.

7.1. ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკა: ზრდის პოლიტიკა მდგრადი მომავლისთვის¹²

ავტორები: პეტერ ფრანცი, ფლორიან მაიერი და შტეფან ტიდოვა

ეკოლოგია 21-ე საუკუნის ეკონომიკის წამყვანი ძალა ხდება. ბოლო წლებში ენერგიასა და ნედლეულზე მოთხოვნილება სწრაფად გაიზარდა და, უეჭველია, კიდევ უფრო გაიზრდება. დედამიწის მოსახლეობა შემდგომ ორმოც წელიწადში გამრავლდება – ამჟამად არსებული ექსი მილიარდიდან დაახლოებით ცხრა მილიარდამდე. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ, ამ ხნის განმავლობაში გასამაგდება და ოთხ მილიარდს მიაღწევს. შესაბამისად, კოლოსალურად მოიმატებს სამრეწველო წარმოების სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნილება. შეფასებათა თანახმად, მხოლოდ ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში უახლოეს სამ წელიწადში გაორმაგდება საშუალო კლასი, რომელსაც დიდი მსყიდველობითი უნარი აქვს და მოხმარებაზეა ორიენტირებული. მაგრამ ჩინი პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ისევე, როგორც მიწები, რომლებიც ასე საჭიროა მშენებლობსა და სოფლის მეურნეობისთვის. ჰაერი და წყალი ფასეული რესურსებია. ენერგიის მარაგიც უსაზღვრო როდია. ყოველ შემთხვევაში, ეს ითქმის ტრადიციულ ენერგომატარებლებზე, რომლებიც დღეს ენერგიის უდიდეს ნაწილს იძლევა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოწვევები უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იყო გარემოს და ეკონომიკის ანტაგონიზმზე მსჯელობა.

ის, რასაც ეკოლოგია ადგენს, სულ უფრო ხშირად ხდება ეკონომიკური აუცილებლობა, ამასთანავე, არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მასშტაბით, არამედ ყოველი მეწარმისლომისაც. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი, სერ ნიკოლას სტერნი, ფიქრობს, რომ მოუთოვავ გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანაკარგები მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს მიაღწევს.

ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთკავშირის ეს ცვლილებები უშუალოდ აისახება პოლიტიკაზე. რამდენადმე გამარტივებულად ასე შეიძლება ითქვას: ეკოლოგიური პოლიტიკა სულ უფრო მეტად გადადის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგია ითვალისწინებს ამ ტენდენციას და აღიარებს, რომ ენერგეტიკისა და რესურსების საკითხი ეკონომიკის ეკოლოგიური პოლიტიკისა და სოციალური პირობების საკვანძო საკითხად გადაიქცა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო დონეზედაც.

¹² ეკოლოგიისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის თაობაზე დამტებოთი ინფორმაცია იხილეთ მწვანე ეკონომიკის შესახებ 2009 წლის მოსსენტაში. მოსსენტა შემუშავებულია გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროს და გარემოს დაცვის ფედერალური საგვანდო მიერ: www.umweltwirtschaftsbericht.de

- მდგრადი განვითარების პოლიტიკა ინოვაციების, ზრდისა და დასაქმების პროგრამის შემადგენელი ნაწილი ხდება

ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკა მდგრადი განვითარებისკენ მიმართულ ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდერნიზაციის სტრატეგიას ეკონომიკურ-ეკოლოგიური სპეციალიზაციის სტრატეგიასთან აკვშირებს, რაც მეტი მდგრადიბის მიზნით კეთდება. ეს არის არა იდეოლოგიური პასუხიჩვენი ეპოქის გამოწვევებზე, არამედ პრაგმატული და მიზანზე ორიენტირებული გზის განსაზღვრა.

მართვის ექსპერტთა შეფასებების თანახმად, ეკოლოგიურ ტექნოლოგიათა ბაზრების მსოფლიო მოცულობა უკვე დღეს დაახლოებით 1 ტრილიონ ევროს შეადგენს. პროგნოზების მიხედვით, 2020 წლამდე მათი მოცულობა ორჯერ და მეტადაც კი გაიზრდება და 2 ტრილიონ ევროს გადააჭარბებს. გერმანია ამჟამად მსოფლიოში ეკოლოგიური საქონლის ექსპორტის მიხედვით პირველ ადგილზეა და მსოფლიო ბაზარზე ბევრი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოშვებითაც ლიდერობს. ეს არის მეტად მოგებანი და ხელშემყობი მდგომარეობა, რათა ქვეყანამ მომავალშიც ნახოს საკმაო სარგებლი მწვანე ბაზრებიდან იმ პირობით, თუ მოახერხებს, შეინარჩუნოს ტექნოლოგიური ლიდერის პოზიცია. ეს უკანასკნელი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მნიშვნელოვანნილად არის დამოკიდებული გარემოს დაცვის ამბიციურ პოლიტიკაზე, რომელიც სტიმულს აძლევს

მოდერნიზაციას და მაღალ მოთხოვნებს უყენებს წარმოების პროცესებსა და პროდუქციას.

ამრიგად, ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკა ამ ორი განზომილების ურთიერთქმედების გაძლიერებისკენ ისწრაფვის. საამისოდ კი აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა, რომელიც დაისახავს ამბიციურ მიზნებს, შექმნის საჭირო ჩარჩო პირობებს და მართებულ გებს უჩვენებს, ხოლო იქ, სადაც ეს აუცილებელია, თვითონვე გახდება გზის გამკვალავ. მართალია, ბაზარი სულ უფრო მზარდა უპასუხებს ცვალებად რეალობებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი ტემპი მაინც დაბალია. მან ჯერჯერობით ვერ შეძლო, დამაკამაყოფილებლად გაეთვალისწინებინა როგორც გამოწვევები, ისე შესაძლებლობები. ხოლო თუკი კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით მეცნიერთა დასკვნებს ვენდობით, მაშინ მხოლოდ რამდენიმე წელი დაგვრჩენია კურსის შესაცვლელად, რაც ასე აუცილებელია. მართლაც არ არის იმდენი დრო, რომ იგი რეგულაციებისა და ზოგადი პრინციპების თაობაზე უშედეგო დებატებისთვის დახხარჯოთ. ახლა საჭიროა სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტისა და მიდგომის პრაგმატიული ნაზავი და ეკოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გონივრული შეხამება, რამაც უნდა დაძლიოს სახელმწიფოს და ბაზრის სისუსტეები. ამიტომაც სახელმწიფომ ნაირგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს და მათი ეფექტური შეხამებით ხელი უნდა შეუწყოს სიახლეების დანერგვას, ეკოლოგიურად ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებას, ეკონომიკისა და საზოგადოების ენერგო- და რესურსეფექტური რეორგანიზაციას, იმავდროულად, უნდა წაახალისოს ზრდა და დასაქმება.

➤ ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის პრინციპები

ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის კონცეფციისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ასპექტის შეხამება.

1. აუცილებელია მოთხოვნისა და მიწოდების ინსტრუმენტების გონივრული შეწყვეტა. მოთხოვნისა და მიწოდების პოლიტიკას იმგვარად წარმოადგენენ, თითქოს ისინი ერთმანეთთან სრულიად შეუთაცსებელი არიან. თუმცა უახლესი გამოკვლევები ადასტურებს, რომ მხოლოდ ჩარჩო პირობათა სათანადო შეხამება, რომელიც მხარს უჭერს მიწოდებას და თან სტიმულს აძლევს მოთხოვნას, ქმნის ოპტიმალურ წინაპირობას ინოვაციური ტექნოლოგიების დარგში გარღვევის განსახორციელებლად და განაპირობებს ბაზარზე მათ გადასვლას. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკა ითვალისწინებს როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მხარეს.
2. წინასწარგანსაზღვრული ჩარჩო პირობები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ამბიციური მიზნების დასახვა. სანარმოებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ, რა მოელით. ამიტომაც პოლიტიკა თავისუფლად ვერ იმოქმედებს. იმავდროულად, ხვალინდელ დღეში დარწმუნებულობის განცდამ არ უნდა გამოიწვიოს სანარმოთა თვითმაყოფილება და მიღწევებით დამშვიდება. ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ მომავლის გამოწვევების მისაღებად. კონკურენცია არ თვლემს. აზის სწრაფად განვითარებადი ქვეყნები ბაზ-

რეზჩე გასვლას ცდილობენ. დღოული და ლოგიური ფორმულირება არის ამბიციური მიზნების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი, სადაც კომბინირებულია დინამიკა და წინასწარგანჭვრეტა. არსებობს სხვა შესაძლებლობა – „ჩემპიონებზე სწორება“, ე. ი. ისეთი მიდგომა, როცა ეტალონია იღებენ ტექნიკის მოწინავე მიღწევებს. ამრიგად, სანარმოებს მხოლოდ ისეთი მოთხოვნები წაეყენებათ, რომელთა შესრულებაც ძალუქთ, ოღონდაც ეს მოთხოვნები გამუდმებით იცვლება და ახლდება.

3. ფასებმა უნდა „ილაპარაკონ“ სიმართლე, მაგრამ კონკურენტუნარიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ფასები რესურსის დეფიციტურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და მათ უკვე აღარ შეუძლიათ ეკოლოგიური სინამდვილის იგნორირება. საგარეო დანახარჯების გლობალიზაცია და ქმედუნარიანი ბაზრები ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის საკვანძო ელემენტების როლს ასრულებენ. პრატიკულად ჯერ კიდევ ძნელია ფასში „ქემმარიტა დანახარჯების“ გათვალისწინება, მათ შორის, იმიტომ, რომ არ იცავენ კონკურენციის საერთაშორისო პირობებს, ამავე დროს, იმის გამო, რომ რთულია იმ დანახარჯების გამოთვლა, რომლებიც მომავალში წარმოიქმნება.

4. კვლევები არ უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული; იმავდროულად, ისინი მიზანმიმართულად უნდა უწყობდნენ ხელს პროგრესს და ორიენტირების საშუალებას უნდა იძლეოდნენ. დღეს ძნელია იმის თქმა, რა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები დაწინაურდება მომავალში. ამიტომ პოლიტიკა სხვადასხვა ტექნოლოგიისათვის ღია უნდა იყოს და ყველაფერი ერთ ფსონზე არ უნდა დაიდოს. შესაბამისად, „ტექნოლოგიის ფორსირების“ პოლიტიკა ამბიციურ მიზნებს ისახავს, მაგრამ ტექნოლოგიური გადაწყვეტის სტრატეგიებს არ უზრუნველყოფს. მეორე მხრივ, არის ისეთი კონკრეტული ტექნოლოგიები, რომელთა დამოუკიდებლად შემუშავება ბაზარს არ შეუძლია, არადა მათ პრობლემათა ეფექტიანი გადაწყვეტის პოტენციალი აქვთ. სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელიც სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერისა და ტექნოლოგიების განვითარების სენანა მიმართული, უნდა გაითვალისწინოს ისინი, მან აგრეთვე მხარი უნდა დაუჭიროს სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ექსპერიმენტული საპილოტე და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას.

5. პორიზონტალურმა გადაწყვეტილებებმა და დარგობრივმა პოლიტიკამ ერთმანეთი უნდა შეავსონ. საჭიროა ისეთი ჩარჩო პირობების შექმნა, რომლებიც მთელ ეკონომიკას ინვაციურ ეკოლოგიურ კურსზე გადაიყვანს. ეს არის არა მხოლოდ ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროს რეგულირების, არამედ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და საგადასახადო და ეკონომიკური ნორმების დაწესების საკითხიც. გარდა ამისა, საამისოდ აუცილებელია მძლავრი, თანამედროვე ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური სამუშაო ძალა. პორიზონტალურ განზომილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა ყოველთვის გამოწიდება სფეროები, სადაც გარკვეულ დარგებში დამატებით სტრუქტურული ცვლილებების გაძლიერება იქნება საჭირო. საუბარი ეხება მრეწველობის საკვანძო ტექნოლოგიებისა

და დარგების მიზანმიმართულ მხარდაჭერას, რადგან ძლიერი, გაქვავებული საბაზრო სტრუქტურების სხვაგვარად დამსხვრევა წარმოუდგენელია; ტექნოლოგიური ნახტომების გამოწვევა მხოლოდ ჩარჩო პირობების შეცვლით შეუძლებელია, საერთაშორისო კონკურენციაში კი განსაკუთრებულ როლს სწორედ გრძელვადიანი, სტრატეგიული ინტერესები ასრულებს.

ინდუსტრიული საზოგადოების რესურსებზე ორიენტირებული რესტრუქტურზარისაციისთვის მხოლოდ სიახლის მაჩივებელი მეწარმეები და გზის გამკვალავი სახელმწიფო საკმარისი არ არის. გარდა ამისა, აუცილებელია მუშაკები, რომლებსაც ლირსეული სამუშაო აქვთ და რომლებიც მას „კარგად ასრულებენ“, აგრეთვე აქტიური მომხმარებლები, რომლებიც თავიანთი მოთხოვნით მნიშვნელოვან იმპულსს ქმნიან მოდერნიზაციისთვის „ქვევიდან ზემოთ“. და ბოლოს, საჭიროა საყოველთაო „ახალი კურსი“, რათა ცვალებადი მსოფლიოს გამოწვევებს გაუმტკლავდეთ და ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდერნიზაციის სტრატეგიის განხორციელება დავიწყოთ.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპარეზი არსებითად შეიცვალა. ცხადია, რომ ეკონომიკა და ეკოლოგია ახლა ისეა გადახლართული, როგორც არასდროს. აღნიშნული იმასაც გვიჩვენებს, რომ გერმანიას კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისთვის სამრეწველო წარმოების ისეთი ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები სჭირდება, რომლებიც შექმნის ეკოლოგიურად სუფთა საქონელსა და მომსახურებას, რაც მაღალევალიფიციურ მუშაკებსა და კარგ განათლებას დაეფუძნება. ეკოლოგიური სამრეწველო პოლიტიკის კურსი ამ მიმართულებით განვითარდება.

7.2. საბიუჯეტო პოლიტიკა: რამდენი გვაქვს გერმანიის ვალი

ავტორი: მიჰაელ დაუდერშტედტი¹³

სახელმწიფო ვალი 1,5 ტრილიონ ევროს აღემატება. ამ ვალის მომსახურება საშემოსავლო გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს შთანთქავს. ეს ვალი, როგორც ჩანს, მძიმე ტვირთად დაანგება მომავალ თაობებს, რომელთაც მისი დაბრუნება მოუნევთ. ამიტომაც საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად არის ქცეული კონცეფციათა მთელი წელი, რომლებმაც სახელმწიფო ვალის ზრდა უნდა შეაჩეროს (სხვაგვარად მას „სავალო მუხრუჭი“ ეწოდება). ეს კონცეფციები ჭეშმარიტად შეესატყვისება სტაბილურობისა და ზრდის ევროპული პატრიტის სულისკვეთებას, რომელიც აგრეთვე ვარაუდობს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ანუ ეკონომიკური ციკლის მიღმა, სახელმწიფო ვალი პრაქტიკულად არ უნდა გაიზარდოს; ამისათვის გონივრულმა

13 ეს ტექსტი არის 2008 წლის საფინანსო ბანკების კრიზისს ფონზე შემოკლებული და გადამუშავებული ვარიანტი სტატიისა „Was wir Deutschland schulden“, რომელიც სერიით „WISO direct“ 2007 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა.

ფინანსურმა პოლიტიკამ მოდერნიზაციის ინვესტირება უნდა მოახდინოს, დავალიანების შემცირების შემდეგ კი უნდა შეინარჩუნოს აქტიური კონიუნქტურული პოლიტიკის შესაძლებლობა და არ უნდა შეაფეროს იგი.

პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით აუცილებელია განვასხვაოთ სახელმწიფო ვალის ორი სახეობა: ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული დეფიციტი და ზრდის ხელშემწყობი ინვესტირებისთვის გამიზნული გრძელვადინი სესხები. ეკონომისტთა უმრავლესობას დავალიანების ორივე სახეობა მნიშვნელოვნად მიაჩინა, თუმცა მათ ფარგლებს განსხვავებულად აჯასებს.

➤ ზრდა ვალის ხარჯზე?

ეკონომიკური რეცესიის დროს სახელმწიფო შემოსავლები მცირდება, ხოლო ხარჯები იზრდება (განსაკუთრებით – უმუშევრობის შემწეობების გამო). დეფიციტი, რომელიც, როგორც წესი, სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნება, სტაბილურს ხდის მოთხოვნას, რომელსაც სხვაგვარად კრახი ემუქრება. კონსოლიდაციის თანამედროვე კონცეფციათა უმრავლესობას, სტაბილურობისა და ზრდის ეკონომიკული პაქტის ჩათვლით, ეს ავტომატური სტაბილიზატორები მიზანშეწონილ მექანიზმად მიაჩნია. გერმანიაში 1967 წელს მიღებული სტაბილურობისა და ზრდის ხელშემწყობი კანონი ითვალისწინებს კიდევ ანტიციკლურ საბიუჯეტო პოლიტიკას, თუმცა გერმანელ ხელისუფალთა პოლიტიკა ფაქტობრივად ციკლურ მიდგომას უჭერს მხარს¹⁴. რეცესიის პერიოდში ფინანსური პოლიტიკა ხშირად რეაგირებდა ეკონომიკის პანიკურ ცდებზე, რომლებიც აღრმავებდა და ახან-გრძლივებდა რეცესიას. ოღონდაც აღმავლობის ხანში კონსოლიდაცია აღარ ხდებოდა, რაც საერთო დავალიანების ზრდას იწვევდა.

აქტიურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სახელმწიფო ხარჯები იმგვარად უნდა განსაზღვროს, რომ მათ ციკლის საპირონე შექმნან. ამ იდეის მიხედვით, რეცესიის პერიოდებში, საბიუჯეტო დეფიციტისა და დავალიანების მოქედავად, ხარჯები უნდა გაიზარდოს, რათა მოხდეს კერძო სექტორის შემცირებული მოთხოვნის კომპენსირება. ამასთანავე, ციკლური პოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს, საქმე სახელმწიფო ინვესტიციებს ეხება თუ მოხმარებას, მოქედავად იმისა, რომ ზრდის ეფექტი ინვესტიციის შემთხვევაში უფრო მდგრადია. მკვეთრი აღმავლობის პერიოდებში ეს ხარჯები აუცილებლად უნდა შემცირდეს, რათა ეკონომიკური ზრდა ზედმეტად არ დაჩქარდეს და შესაძლებელი გახდეს ბიუჯეტის კონსოლიდირება.

გერმანიაში ვალის დანაწევრების შემოღებამდე ძირითადი კანონით დადგინდა, რომ სახელმწიფოს მიერ ალებული სესხები მხოლოდ ინვესტიციების დასაფინანსებლად უნდა გამოეყენებინათ. ეს გამოხატავდა მოსაზრებას, რომ ხარჯების დაფინანსების ტვირთი, რომელიც მოგებას დიდი ხის განწავლობაში უზრუნველყოფს, არ შეიძლება რომელიმე ერთ საბიუჯეტო წელს

14 ამგვარ უნიგენშო დასკვნამდე მიღიან სოლოუ და ვიპლოში (Solow/Wyplosz 2007)

დაეკისროს. შესაძლებელია ამის უფრო ფართოდ ფორმულირებაც: ის, რაც სარგებელს მოუტანს მომავალ თაობებს, არ შეიძლება ქვეყნის მხოლოდ ამჟამინდელი მცხოვრებლების ხარჯზე ფინანსდებოდეს. ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართაც გამოიყენება ლოგიკა კერძო შინამეურნეობისა თუ სანარმოსი, რომელიც კრედიტით აფინანსებს ინვესტიციებს, რასაც ძალუდს მომავალში მოიტანოს შემოსავლები ანდა შეამციროს ხარჯები (მაგალითად, მშენებლობა ან სახლის შეძენა, რაც სამომავლოდ მოიტანს შემოსავლებს ბინის დამქირავებლებისაგან ან დაზიგავს იჯარის ხარჯებს).

თუმცა სახელმწიფოს შემთხვევაში ეს ლოგიკა უფრო რთულია. რას შეუძლია გაზარდოს სახელმწიფო შემოსავლები ან შეამციროს ხარჯები მომავალში? საბოლოოდ, ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც ზრდას უწყობს ხელს, იმავდროულად ზრდის შემოსავლებს. ეს ზომები გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ამას ტერმინი „კაპიტალური ინვესტიციები“ გულისხმობს. მაგალითად, მომავალი ხარჯების აღსაკვეთი ღონისძიებების განსახორციელებლად გაღებული ხარჯები (მაგალითად, იმუნიზაციის პროგრამები) ინვესტიციად უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ როდის აქვს აზრი ვალის აღებას? ზრდის ნებისმიერი პროცესი კრედიტების მეშვეობით, ე. ი. სახელმწიფოსაგან ან კერძო სექტორისაგან აღებული ვალით, ფინანსდება. საქმე ის არის, რომ მიმდინარე შემოსავლები მხოლოდ მიმდინარე პროდუქციის ასანაზღაურებლადაა საკმარისი. წარმოების გაზრდა-გაფართოება აუცილებელი დამატებითი ინვესტიციების დასაფინანსებლად მოითხოვს კრედიტებს, რომელთაგან მიღებული მოგება იდეალურ ვითარებაში (ე. ი. თუ შემოსავლების მიმღებნი დამატებით მომჭირნეობას არ ენევიან) დამატებითი პროდუქციის გასაღებას უზრუნველყოფს. თუკი შინამეურნეობები და სანარმოები ზრდის უზრუნველსაყოფად კრედიტებს არ იყენებენ – მაგალითად, რეცესიით გამოწვეული პესიმიზმის გამო – შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სახელმწიფო ვალის გაზრდა. დოდი ოპტიმიზმის პერიოდებში – როგორიც, მაგალითად, აშშ-ში 2007 წლამდე იყო – პირიქით, კრედიტების დარიგებამ შეიძლება ეკონომიკის ზრდის ყველა რეალურ შესაძლებლობას გადააჭარბოს.

ამ სისტემაში ფულადმა პოლიტიკამ კრედიტების აღება გონივრულ მოცულობამდე უნდა შეზღუდოს. მეტისმეტად დიდი დავალიანება (მიუხედავად იმისა, ვისი ვალია ეს – სახელმწიფოსი, სანარმოების თუ შინამეურნეობის) ინვესტიციების დირებულების გაზრდას და ინფლაციური მოთხოვნის გაძლიერებას, რაც არის წინაპირობა არა რეალური რაოდენობრივი ზრდისა, არამედ ფასების მატებისა – მიწოდების სტაგნაციის პირობებში.

➤ რა რაოდენობის ვალია ძალიან დიდი?

სადამდე შეიძლება გაიზარდოს ვალი? ხშირად ეკონომიკური ზრდის პერიოდები მთავრდებოდა ვალის კრიზისით, მაგალითად, როგორიც იყო მსოფლიო ეკონომიკის უკანასკნელი კრიზისი, თუმცა, ჩვეულებრივ, საქმე ეხებოდა არა სახელმწიფო ვალს, არამედ მეტად აქტიურად ზრდად ფინანსურ ბაზრებს.

ყოველთვის როდია ნათელი, აქტივების (უძრავი ქონების, აქციების და სხვ.) ღირებულების თანმხვედრი ზრდა მოსალოდნელი მოგების რეალისტური შეფასებითაა განპირობებული თუ სპეცულაციის აუვავებით. საბოლოო საზღვრებს ეკონომიკის რეალური სექტორი, ე. ი. მწარმოებლობის ზრდის შესაძლებლობები და წარმოების თავისუფალი, ჯერ კიდევ აუმოქმედებელი ფაქტორები, ავლებს. მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ინფლაცია და სავაჭრო ბალანსი. ურმის გადაბრუნების (აზის 1997 წლის კრიზისი, 2000 წლის ეგრეთ წილებული „დოთკომების კრახის“ (dot.com bubble) სახელით ცნობილი სპეცულაცია ინტერნეტის მეშვეობით, აგრეთვე 2008 წლის შემოდგომის ფინანსური კრიზისი) შემდეგ გზას ყველა დაინახავს, მაგრამ ვინ მოინდობებდა ეკონომიკის სასწაულებრივი აღმასვლის (სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა) შეჩერებას მხოლოდ იმის გამო, რომ ფასებმა ოდნავ მოიმატა, ხოლო სავაჭრო ბალანსი დეფიციტური გახდა?

დავალიანების წმინდა ნამატის მოცულობის, აგრეთვე იმის მიუხედავად, კრედიტებს ეკონომიკური პოლიტიკის მოსაზრებით იღებენ თუ სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად, ბევრს აშვეოთებს დაგროვებული ვალის აბსოლუტური სიდიდე. იგი ზლუდავს სახელმწიფოს უნარიანობას, რადგან სახელმწიფო იძულებული ხდება, შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ვალის მომსახურებისთვის ხარჯოს, ხოლო პროცენტების ზრდის შემთხვევაში ეს ხარჯები ჭეშმარიტად შემაშვილებელ მასშტაბებს იძენს. გარდა ამისა, სახელმწიფო დავალიანება იწვევს შემოსავლების გადანაწილებას სახელმწიფოსათვის კრედიტების მიმცემ კაპიტალის შესაკუთრეთა სასარგებლოდ, ვინაიდან მათი საპროცენტო შემოსავლების გასტუმრება იმ გადასახადების მეშვეობით ხდება, რომელთა უდიდესი ნაწილიც დაქირავებულ მუშაკებს ექვითებათ. და ბოლოს, ყველაზე ხშირად ისმის ასეთი არგუმენტი – ვალი მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს ბავშვებს, მომავალ თაობებს.

➤ ლარიბი მომავალი versus მდიდარი აწმყო?

მაგრამ ვალი მართლა დააზარალებს მომდევნო თაობებს? მიუხედავად იმისა, რომ ეს თეზისი ხშირად გამოიყენება, იგი ძალზე კატეგორიულია. მომავალი თაობები მემკვიდრეობად მხოლოდ ვალებს კი არა, მოთხოვნის უფლებებსაც მიიღებენ. სახელმწიფო დავალიანება ზემოქმედებს არა თაობათაშორისის სავალო ტვირთის საერთო მოცულობაზე, არამედ მომდევნო თაობებში ამ სიმძიმის განაწილებაზე. ერთ მხარეზე დგანან გადასახადის გადამხდელნი, რომელთაც ვალი უნდა დააბრუნონ, ხოლო მეორეზე – კრედიტორები, ანუ ისინი, ვინც სახელმწიფოს ფული ასესხა.

იმ ტვირთის ზომა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აწევს სახელმწიფოს და გადასახადის გადამხდელებს, უპირველეს ყოვლისა, საპროცენტო განაკვეთისა და ნომინალური ზრდის ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული. თუკი ეკონომიკა საპროცენტო განაკვეთზე სწრაფად იზრდება, სახელმწიფო ვალის ხვედრითი წილი (როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის წილი) მცირდება. ამგვარი შემსუბუქების პერიოდები წარმოქმნა ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის შედეგად, რომელიც 1950 წლიდან 1975

წლამდე გრძელდებოდა, მაგრამ შემდეგ ასეთი პერიოდების სიხშირე შემცირდა. თუმცა ეს მაგალითი იმასაც გვიჩვენებს, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, თვითონ კაპიტალის მესაკუთრეებს აყენებს ზიანს. მაღალი პროცენტები ზრდის ან, როგორც მინიმუმი, სტაბილურს ხდის მათი სავალო მოთხოვნების ფარდობით ღირებულებას.

თუკი დღევანდელ თაობას სურს, რაიმე გააკეთოს მომდევნო თაობის საკეთილდღეოდ, მაშინ მან არ უნდა დააგროვოს საკუთრების უფლებები ისეთ აქტივებზე, რომელთა რეალურ მოგებასაც მომდევნო თაობები მემკვიდრეებისათვის შექმნიან. უმჯობესია მან ისეთი ღონისძიებები განახორციელოს, რომლებიც მომდევნო თაობის შრომის მწარმოებლობის გაზრდას უზრუნველყოფს. ამ ღონისძიებათა სფეროს მიეკუთვნება ინვესტიციები ინფრასტრუქტურის, განათლების, კვლევებისა და განვითარების სფეროებში. თუკი რაიმე სახის მოხმარების შეზღუდვა საზოგადოდ მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, ეს არის რესურსების დაზოგვა, რადგან რესურსების ხარჯვის ზრდა (მაგალითად, წყალდიდობებისაგან დასაცავად) მწარმოებლობას ამცირებს. შემოსავლების უთანაბრო გადანაწილების პირობებში უფრო მდიდარი შინამეურნეობები ფულს აგროვებენ და რეალურ ინვესტიციებს არ ახორციელებენ, ამან კი შეიძლება სახიფათო და არამდგრადი აქტივების გაპერვა გამოიწვიოს.

გერმანის მსგავს ქვეყანას თავისი ეკონომიკის ფარგლებში არ შეუძლია, კეთილდღეობა მომავალში გადაიტანოს ვალის მოთხოვნების (აქტივების) დაგროვებით, ისევე, როგორც არ შეუძლია, სილარიბე სამომავლოდ გადადოს ვალების დაგროვების გზით. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სახელმწიფო უცხო ქვეყნებისგან სესხულობს ფულს ან საზღვარგარეთული ვალების მოთხოვნებს აგროვებს.

საზღვარგარეთ აღებულმა ვალმა შეიძლება მომავალში ქვეყანა აიძულოს, იმპორტზე მეტი ექსპორტი ჰქონდეს, რათა კრედიტორები უზრუნველყონ. საზღვარგარეთული ვალების მოთხოვნები, რომლებიც გერმანიას ბოლო წლებში დაუგროვდა, ფინანსური ბაზრების კრიზისის დროს შესაძლოა არარად იქცეს ან ძლიერ გაუფასურდეს, როგორც ეს 2008 წლის კრიზისის პერიოდში მტკიცნეულად გამოსცადა მრავალმა ინვესტორმა. მაგრამ გერმანიაში ექსპორტის სიჭარე მიჩნევა არა ტვირთად, არამედ მიზნად (იგი აქაური ეკონომიკური პოლიტიკის მიზანიცაა).

➤ ეკონომიკური სახელმწიფო და მდიდარი კერძო ინვესტორები

ამგვარ ვითარებაში მნიშვნელობა არა აქვს, საქმე ეხება სახელმწიფოს თუ სანარმოებისა და შინამეურნეობების ვალებს. მართალია, რომ გერმანიაში სავალო ტვირთად (და ამიტომ მანკიერებად) მხოლოდ სახელმწიფო ვალია მიჩნეული, კერძო (ძირითადად კერძო კომპანიების) ვალის დაგროვება კი სიკეთედ განიხილება. მაგრამ მომდევნო თაობა მემკვიდრეობად მიიღებს არა მხოლოდ 1,5-ტრილიონევროიან სახელმწიფო ვალს, რომელიც განსა-

კუთრებულ რისკებთან არაა დაკავშირებული, არამედ აგრეთვე საწარმოთა პოტენციურად არასაიმედო ვალებს 2,5 ტრილიონი ევროს ოდენობით. დიდხანს გაბატონებული იყო ნარმოდენა, რომ კერძო ვალები ნაკლებად სახიფათოა. ეს გახდა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია პრივატიზაციის ტალღა სახელმწიფო სექტორში, მაგალითად, ისეთ დარგებში, როგორებიცაა სატელეკომუნიკაციო სამსახურები, სარკინიგზო გზები და ავტომაგისტრალები. ამჟამად ამ კომპანიათა კრედიტები საგანგაშო ვალად არ მიიჩნევა; პირიერთ, კერძო ინვესტიციებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. გადანაწილება ამ შემთხვევაშიც მოხდება, ოღონდ მომდევნო თაობების დროს. თუმცა სახელმწიფო ვალების პროცენტებს გადასახადის გადამხდელები აღარ აანაზღაურებენ – მოგების ზრდა ფასების გაზრდით (მაგალითად, ლირებულების გადასახადით) და ხელფასების გადაუხდელობით ანაზღაურდება. ე. ი. კლიენტებისა და, როგორც ხშირად ვართ ამის მოწმენი, პერსონალის ხარჯზე განხორციელდება. მაგრამ კერძო სექტორისთვისაც მართებულია წესი: ჭეშმარიტი კეთილდღეობის მიწნევა მხოლოდ მნარმოებლობის რეალური ზრდის საფუძველზე შეუძლებელია.

ამრიგად, გერმანიის მომავლისთვის გვმართებს, გავტედოთ ვალების აღება, რომლებიც მდგრადი, ხანგრძლივი განვითარებისთვის არის საჭირო. საამისოდ აუცილებელია ძირითადი საწარმოო ფონდების, ჯანდაცვის, განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ადამიანური კაპიტალის ინვესტირება. ხშირი ქებით ცამდე აყვანილ ზომებს – საზღვარგარეთული ვალების მოთხოვნათა დაგროვება იმპორტან შედარებით ექსპორტის სიჭარბის ან მომავალი თაობების ვალების მოთხოვნათა ხარჯზე საპენსიო დაგროვების ინვესტირების შედეგად – მხოლოდ ის ლირებულება აქვთ, რომელსაც დღევანდელი ინვესტიციების წყალობით მომდევნო თაობები ქვეყანაში და საზღვარგარეთ შექმნიან. თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ „არასოციალურ“ გადანაწილებას ინვესტორთა სასარგებლოდ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მათი მოგება არ შეიძლება ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპებზე მაღალი იყოს.

7.3. პრივატიზაციის რისკები და შანსები

ავტორი: საიმონ ფაუტი

სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის კონფლიქტური თემაა. იგი სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანაფარდობის პრინციპულ საკითხს ეხება. ის ცხარე კამათი, რომელიც თან ახლავს გერმანიის რკინიგზის პრივატიზაციას, გვიჩვენებს, რომ საქმე მხოლოდ ცალკეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში არ არის: ორივე მოკამათე მხარეს არგუმენტად საყოველთაო სიკეთეზე ორიენტირებული მოსაზრებები მოჰყავს და საყოველთაოდ გამოსაყენებელ მომსახურებებსა და სახელმწიფოს ამოცანებზე საუბრობს. ის, რომ გერმანიის სოციალ-დე-

მოკრატიული პარტიის რიგებში ისმის ხმები როგორც რეინიგზის პრივატიზაციის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ, ადასტურებს, რომ სოციალ-დემოკრატიისათვის არ არსებობს ამ საკითხის იოლი გადაწყვეტის გზა. კერძო და სახელმწიფო სექტორების თანაფარდობაში ჯერ კიდევ ბევრი გაუგებრობაა. ცხადია, რომ ამ საკითხს მრავალმხრივი შესწავლა სჭირდება.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაციის საკითხები დეტალურად არის გაანალიზებული რომის კლუბის¹⁵ მიერ მომზადებულ გამოკვლევაში. ნაშრომის საერთო ხელმძღვანელია ეკონომისტი და პოლიტიკოსი ერნსტ ულრის ფონ ვაიცზეკერი. ნარკვევი გამოქვეყნდა წიგნში „პრივატიზაციის საზღვრები“. ქვემოთ მოყვანილი თეზისები, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული მოხსენებიდანაა ნასესხები.

რომის კლუბის მეცნიერებს მოხსენებაში, ერთი მხრივ, პრივატიზაციის მიმართ არაკრიტიკული იდეოლოგიის საწინააღმდეგო არგუმენტები მოჰყავთ და, მეორე მხრივ, აკრიტიკებენ სახელმწიფოსადმი ბრძა მინდობას, რაც იმის ცდით გამოიხატება, რომ რაც შეიძლება მეტი ქონება და ფონ-დები მოექცეს სახელმწიფოს ხელში და სახელმწიფო საკუთრებად იქცეს. მაგრამ დიფერენცირებული საშუალო გზა, რომელიც დარღობრივი პირობების მიხედვით აკეთებს არჩევანს კერძო ბიზნესის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობისა თუ სახელმწიფოს მიერ მიწოდებული მომსახურების სასარგებლოდ, გარკვეულ პირობათა დაკმაყოფილებას მოითხოვს. შეიძლება არსებობდეს პრივატიზაციის მრავალი ფორმა და მასში ჩართული სუბიექტების მრავალი ჯგუფი:

- სახელმწიფო სანარმოები კერძო კომპანიებთან კონკურენციაში ერთვებიან. ამ დროს ისინი სახელმწიფო საკუთრებად რჩებიან. მაგალითად, საკინიგზო კონცერნი „Deutsche Bahn“ 1994 წლიდან მის ნაწილობრივ პრივატიზაციამდე სააქციო საზოგადოება იყო (ფედერალურ საკუთრებაში იმყოფებოდა) და სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევდა სხვა ოპერატორებს.
- უფლებამოსილებათა დელეგირება: სახელმწიფო კერძო ფირმებს გარკვეულ ამოცანათა შესრულებას ავალებს და გაწეულ შრომას უნაზღაურებს. ამის ნიმუშია ფედერალური ტიპოგრაფია, რომელიც კერძო მფლობელობაში რამდენიმენობინი ყოფნის შემდეგ უსაფრთხოების პოლიტიკის განსახორციელებლად ისევ სახელმწიფომ გამოისყიდა.
- სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა: პრობლემებათა ერთობლივი გადაწყვეტა სახელმწიფო და კერძო კომპანიების თანამშრომლობის გზით.
- სრული პრივატიზაცია: სახელმწიფო ქონების საბოლოო გაყიდვა. ამის შემდეგ სახელმწიფოს საბაზრო მოვლენებზე ზემოქმედება მხოლოდ რეგულირების მექანიზმების გამოყენებით შეუძლია.

¹⁵ რომის კლუბი – საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საკითხებს სწავლობს. რომის კლუბმა სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც 1972 წელს ნარკვევი „ზრდის საზღვრები“ გამოაქვეყნა. ამ კვლევაზ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე მოსახლეობის მატების, გარემოს დაბინძურების, ნედლეულის რესურსის ამონურების საკითხები დააყენა, რამაც ეკოლოგიური მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია.

სახელმწიფო მმართველობასა და ეკონომიკის თავისუფლებას შორის, აგრეთვე უსაფრთხოებასა და ინოვაციას შორის არსებული ურთიერთობები მუდმივად უნდა ფასდებოდეს. ზოგადი პირობები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს: ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზაცია და ლიბერალიზაცია, ჩვეულებრივ, პრივატიზაციის დადგებით ნიმუშადაა მიჩნეული. პრივატიზაციის შედეგად ფასები ძლიერ შემცირდა, ამ სფეროში გახმირდა ინოვაციები, სახელმწიფო ხაზინა მხოლოდ პრივატიზაციით მიღებულმა მოგებამ შეავსო. საკითხის ამგვარი გადაჭრა ითვალისწინებდა, რომ არსებული სატელეფონო ქსელის ჩარჩოებში თავიანთ მომსახურებებს სხვადასხვა პერატორი შემოგვთავაზებდა. ეს ტექნიკურად შესაძლებელი მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს გახდა. მანამდე პრივატიზაცია კონკურენციას ვერ გააძლიერებდა, რადგან სახელმწიფო მონოპოლიას უბრალოდ კერძო მონოპოლია შეცვლიდა.

ქანქარა გამუდმებით ირხევა სახელმწიფო და კერძო სეტტიორებს შორის. მე-19 და მე-20 საუკუნეებში სახელმწიფოები საკუთარ თავზე დიდ პასუხ-ისმგებლიობას იღებდნენ, როცა ეკონომიკაში სახელმწიფოს მონარილეობის ხვედრით წილს აფართოებდნენ. წინათ სახელმწიფო საკუთრებაში იყო საქმიანობის განსხვავებული სფეროები – კავშირგაბმულობა და ენერგე-ტიკა, ფოლადის გამოწინობა და ავტომრჩეველობა. ამჟამად ეს დარგები ნაწილობრივ ან მთლიანად პრივატიზებულია. ბოლო 25 წლის განმავ-ლობაში ქანქარა შესამჩნევად გადაიხარა კერძო საკუთრების მხარეს.

რამ გამოიწვია მოვლენათა ასეთი განვითარება? ამ პროცესს საერთაშორისო დონეზე, ეგრეთ წოდებული ვაშინგტონის კონსენსუსის ფარგლებში, ხელი შეუწყვეს მსოფლიო ბანქმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა. ვაშინგტონის კონსენსუს ერთ-ერთი ძრითადი დებულება ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება; ის ამ სფეროდან სახელმწიფოს გასვლას და დერეგულაციებისა და პრივატიზაციის გლობალურ აზირობებას მოითხოვდა. „ვინგეს რომ თუ-თიყვიშისთვის სიტყვა „პრივატიზაცია“ სწავლებინა, 1980–1990-იან წლებში ბევრ სფეროში იქნებოდა შესაძლებელი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რჩევების გარეშე ფონს გასვლა“, – ამბობს ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი, იოზეფ ე. სტიგლიცი (სტიგლიცი, 2002: 78–81). სტიგლიცის აზრით, ვაშინგტონის კონსენსუსის პრობლემა ის არის, რომ იგი პრივატიზაციას განიხილავს, როგორც თვითმიზანს, რომ არ აქცევს უურადლებას, რა პირობებში, რომელ დარგებში და რა დროს ხორციელდება იგი, ამასთანავე, არ ინტერესდება, რა თანაფარდობა ამ დროს კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის და როგორი თანაფარდობა უზრუნველყოფდა უფრო სწრაფ და მდგრად ზრდას, გარდა ამისა, რომელი უფრო განაპირობებდა სამართლიან განაწილებასა და უზრუნველყოფას. პრივატიზაციის შედეგები იმაზედაც არის დამოკიდებული, თუ რომელ დარგში ხორციელდება იგი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ამ დარგში მიექმედო ზოგადი პირობები. ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნის ერთსა და იმავე დარგში განხორციელებული პრივატიზაცია ერთ ქვეყანაში შეიძლება ნარმატიტით დასრულდეს, ხოლო მეორეში – კრახით.

პრივატულობის წარმატებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ას-როლებს შემდეგი ფაქტორები:

- ამ დარგში კონკურენცია მოსალოდნელი თუ სახელმწიფო მონოპოლია უბრალოდ კერძო მონოპოლიით შეიცვლება? შეზღუდვები, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის იმ დარგებში წარმოიქმნება, რომლებიც ერთმანეთს ინფრასტრუქტურით უკავშირდება; მაგალითად, რკინიგზის მოცემულ ხაზზე კონკურენცია თითქმის შეუძლებელია. გზების პარალელურად დაგება უბრალოდ არარენტაბელურია, ერთ ხაზზე კი მატარებლები ერთმანეთს ვერ გაასწრებენ. ქსელური ტიპის სანარმოებს მიეკუთვნებიან შესრულებაზე დაფუძნებული პროვაიდერები, მაგალითად, წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის მიმწოდებლები. პრივატულობის განხორციელების შემთხვევაში ასეთი კომპანიები ისეთ რეგულირებას უნდა დაექვემდებარონ, რომელიც არ დაუშვებს მათ მიერ ბაზრის ბოროტად გამოყენებას.
- არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურებისა-გან მომხმარებელთა გამორიცხვის საფრთხე? მაგალითად, შეიძლება შორეული კუთხების მცხოვრებლებს შეუწყდეთ საფოსტო მომსახურება ან გადახდისუუნარო ადამიანების ბინები ელექტროენელიდან გამორთონ.
- აქვს სახელმწიფოს უსაფრთხოების კონკრეტული ინტერესი? სრული პრივატულობის შემდეგ გერმანიის ფედერალური ტიპოგრაფია კვლავ სახელმწიფოს დაუბრუნდა, რადგან იქ დამზადებული დოკუმენტები და მონაცემები განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალად იქნა მიჩნეული.

პრივატულობისა და წაციონალიზაციის შედეგები სხვადასხვაგვარია. ისინი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დარგსა და ბოლიტიკურ ფორმაციაზე. მოხსენებაში „პრივატული საზღვრები“ განხილული და შეფასებულია გერმანიაში განხორციელებული პრივატულობის კონკრეტული შემთხვევები. იქვე მოცემულია სხვა ქვეყნების ვითარების ამსახველი ფაქტები. პრივატულობის შედეგები მერყეობს მთელი დიაპაზონის ფარგლებში, უარყოფითიდან დადებითადმდე. ქვემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები რომის კლუბის კვლევებს ეფუძნება. თავდაპირველად დადებითი ეფექტის მქონე მაგალითებს განვიხილავთ, შემდეგ კი პრივატულობისათან დაკავშირებულ რისკებს აღვნერთ.

პრივატულობისა ამა თუ იმ დარგში კონკურენციის გაჩენასა და გაძლიერებას უწყობს ხელს, რითაც, როგორც წესი, მომხმარებელზე ორიენტაციას აძლიერებს. ერთმანეთის კონკურენტი კერძო კომპანიები კლიენტების გულის მოგებას ცდილობენ. ამიტომაც მათ უწევთ სიახლეთა მოფიქრება და დანერგვა, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა, რათა ბაზარი არ დაკარგონ. ამის ნიმუშია სატელეკომუნიკაციო დარგი, სადაც კერძო კომპანიების კონკურენციამ სიახლეთა დანერგვა და ბაზრის გაფართოება გამოიწვია. სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო. სახელმწიფო სანარმოები, რომელთაც არ უწევთ კონკურენტული ბრძოლების გადატანა, უფრო მეტს ხარჯავენ და ნაკლებად არიან განწყობილი ცვლილებების განსახორციელებლად. მაგრამ პრივატულობისა და განსახილების განსახორციელებლად.

პანაცეა როდია. იგი არ გულისხმობს ხარჯების მყისიერად შემცირებას და მომსახურების ხარისხის სწრაფად გაუმჯობესებას. ეს ყოველთვის ავტომატურად არ ხდება. კერძო კომპანიები ცდილობენ უგულებელყონ კლიენტები, რომლებსაც დიდი მოგება არ მოაქვთ: სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, მათ მოგების შედარებით იოლი გზით მიღება სურთ. ამის მაგალითია შორეულ პროვინციებში მცხოვრები ადამიანები, სადაც საფოსტო გზავნილების მიტანა ეკონომიკურად ხელსაყრელი არ არის.

პრივატიზაცია იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა ამა თუ იმ ობიექტის დასაცინანსებლად სახელმწიფოს თანხები არ ჰყოფნის, ხოლო კერძო (ან საერთაშორისო) ინვესტორი მზადაა აუცილებელი კაპიტალი დახარჯოს. ეს ხშირად ხდება ღარიბ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანი კომუნალური მომსახურება, როგორიცაა წყალმომარაგება, კერძო ინვესტორს გადაეცემა ხოლმე. მინოდება უმჯობესდება, მაგრამ მხოლოდ გადახდისუნარიანი კლიენტებისთვის, რამაც შეიძლება უთანასწორობის გამწვავება გამოიწვიოს.

პრივატიზაციის ყველაზე გავრცელებული და საჭიროოროგო პრობლემა ინვესტირების არასაკმარისად მკაფიო წესებია: პრივატიზაციის სფეროში გამოუცდელი მთავრობა, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაშია, შეიძლება დათანხმდეს და ხელი მოაწეროს წაგებიან კონტრაქტს. ამ მხრივ განსაკუთრებით ყოფილი კომუნისტური ქვეყნები გამოირჩევიან. გამოცდილ საერთაშორისო კონცერნებთან მოლაპარაკებების დროს ისნი ხშირად თანხმდებოდნენ არარეალურ ფასებზე და ვერ იღებდნენ სასურველი ხარისხის საქონელსა თუ მომსახურებას. მაგალითად, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გარდამავალ პერიოდს გაადიოდნენ, მათი ენერგოკომპანიები საკმაოდ დაბალ ფასად გაიყიდა.

ზემოთ ნახსენები იყო პრობლემები, რომლებიც არასაკმარისი კონკურენციის პირობებში იჩენდა თავს. ეს კარგად ჩანს კერძო მონოპოლიების ჩამოყალიბების მომენტში. მაგალითად, ასეთია უალტერნატივო კომუნალური სამსახურები (ცენტრო- და წყალმომარაგების). ამ შემთხვევაში პრივატიზაცია დადებითად აღარ მოქმედებს არც ინოვაციურობაზე და არც ფასებზე. კერძო მონოპოლიებს, როგორც წესი, უფრო მეტი ნაკლიაქვს, ვიდრე სახელმწიფო მონოპოლიებს.

კიდევ ერთი საშიშროებაა რისკებისა და გარე ხარჯების გადაჯგუფება. კერძო ინვესტორისათვის ობიექტის მიყიდვის შემდეგ შემოსავლის რისკები შეიძლება სახელმწიფოზე გადავიდეს. ეს ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გარე ოპერაციული დანახარჯები, როგორიცაა ეკოლოგიური შედეგები, სახელმწიფოს ეკისრება, ხოლო მოგება კერძო ინვესტორთა ხელში რჩება. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ატომური ენერგეტიკის ოპერაციული ხარჯები.

კიდევ ერთი პოტენციური პრობლემაა კერძო ინვესტორების მიერ დიდ-ხანს გამძლე და სტაბილური ხარისხის პროდუქციის უგულებელყოფა, რა-

საც ზოგ შემთხვევაში მოსდევს ინფრასტრუქტურის რღვევა, რომელსაც პრივატიზაციამდე სახელმწიფო სახსრებით ინარჩუნებდნენ. ამის მაგალითები ნაცნობია ბრიტანეთის რეინიგზის სისტემისთვის. პრივატიზაციის შემდეგ ინვესტორებმა თავი მიანებეს რეინიგზის ქსელის მომსახურებას, რამაც მძიმე ავარიები გამოიწვია. ამის გამო რეინიგზის ქსელის ხელახლი ნაციონალიზაცია განხორციელდა.

პრივატიზაციას ხშირად აქვს საბიუჯეტო მიზნები: მიღებულმა მოგებამ უნდა ამოქილოს საბიუჯეტო ხვრელები. ეს შესაძლოა დადებითად აისახოს პოლიტიკის სხვა სფეროებზე. მაგალითად, დრეზდენის მუნიციპალიტეტმა გაყიდა 100 000 ბინა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრება იყო, და ამჟამად დრეზდენი გერმანიის ერთადერთი უმსხვილესი ქალაქია, რომელსაც ვალი არა აქვს. აქ ყოველწლიურად კეთდება 80 მილიონი ევროს ეკონომიკა, რომელიც მანამდე პროცენტების დასაფარავად იხარჯებოდა. ამჟამად ეს თანხა (მიმდინარე რემონტისათვის განეული ხარჯების გამოკლებით) განათლებისა და სხვა სახელმწიფოებრივი ამოცანების დაფინანსებისთვის გამოიყენება.

რომის კლუბი პრივატიზაციის შემთხვევისათვის აუცილებელ საკონტროლო საკითხთა ნუსხას განვდის. თავდაპირველად საჭიროა ლიად განვიხილოთ ის მიზეზები, რომელიც ამ ზომების მიღებას მოითხოვს. ამით თავიდან იქნება აცილებული იდეოლოგიურად მოტივირებული პრივატიზაცია.

- უნდა არსებობდეს რეგულირების მტკიცე ჩარჩო, რომელიც ინვესტორებს მკაფიო მიზნებს უსახავს.
- მიუღებელია პრივატიზაციის იდეოლოგიური მოსაზრებებით განხორციელება, თუკი სახელმწიფო კარგად ართმევს თავს მომსახურებათა მინდებას.
- უნდა არსებობდეს დემოკრატიული კონტროლი, რომელსაც სამეთვალყურეო ორგანოები ახორციელებენ.
- იქ, სადაც სახელმწიფო აღარ არის მესაკუთრე, ის ბაზარზე გავლენას რეგულირების ბერკეტებით უნდა ახდენდეს.
- საგანგებო დაცვას საჭიროებს საზოგადოებრივი სიკეთე და საყოველთაო მომსახურება: ამ საქონლისა და მომსახურებათა პრივატიზაცია დიდი ყურადღებით უნდა განხორციელდეს.
- უქმნელთათვის უნდა არსებობდეს სოციალური ქარტია: მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქი დრეზდენი, სადაც უძრავი ქონების გაყიდვისას წინასწარ იყო შეთანხმებული მოიჯარეთა საგანგებო უფლებები.
- პრივატიზაციის შესახებ განცხადებები გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს.
- უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს მესამე გზა სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის. აქ იგულისხმება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ან კოოპერატივები.

7.4. ღირსეული შრომა და ერთობლივი მართვა: ღირსეული შრომის პოლიტიკა

ავტორი: ვოლფგანგ შრედერი

„შრომა“ ყოველ საზოგადოებას თავისებურად ესმის. ასევე სხვადასხვაგვარია „ღირსეული შრომის“ ცნების გაგება. როგორ არის შრომა ორგანიზებული დღეს? რა პირობებში ვიშრომებთ მომავალში? რა მნიშვნელობა აქვს შრომას ჩვენს ყოფაში და რა როლს ასრულებს იგი საზოგადოების შეკავშირებაში? დროებითი ფენომენია თუ არა პოლარიზაცია, არასამედო შრომითი ურთიერთობების თვალსაზრისით, როცა არსებობს, ერთი მხრივ, დაბალანაზღაურებადი დასაქმება არადამაკამაყოფილებელი სამუშაო პირობებით¹⁶ და, მეორე მხრივ, მაღალანაზღაურებადი, საინტერესო, კმაყოფილების მომტანი სამუშაო? თუ ეს ყოველივე დამღუპველი პროცესის დასაწყისია? ეს უაღრესად აქტუალური კითხვებია. მათი გათვალისწინების გარეშე ვერც კონკრეტული ადამიანი და ვერც საზოგადოება სამომავლო გეგმებს ვერ დაისახავს. ამ ბოლო დროს სულ უფრო სუსტად ქლერს იმ ექსპერტთა თეზისი, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ „სამუშაო დამთავრდა“. ამ თეზისის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში არ არის სარგებლის მომტანი საკმარისი სამუშაო ადგილი და სრული დასაქმების მიღწევა უკვე შეუძლებელია. ამ მოსაზრებას ენინააღმდეგება სკანდინავიური ქვეყნების სიტუაცია, სადაც დასაქმების მაღალი დონე მაღალ სიციალურ სტანდარტებთანაა შეხამებული. თვით გერმანიაშიც კი სტაგნაციის მრავალი წლის შემდეგ მოახერხეს უმუშევრობის შემცირება. იმავდროულად, შემაძლიერებელია „ენერგიული მშრომელი საზოგადოების მოქნილობის“ მოთხოვნა. მართალია, მნარმოებლობის ზრდის შედეგად დღეს გაცილებით ნაკლები მუშახელით შეიძლება ბევრად მეტი მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიღება, კიდრე, მაგალითად, 40 წლის წინ, მაგრამ ეს შრომის ტრანსფორმაციის შესახებ გამართული დებატების მხოლოდ ერთი ასპექტია.

➤ შრომის ორგანიზების ცვლილებები

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ორგანიზება ფართოდ განიხილება მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში და მხოლოდ გარკვეული სიტუაციების დროს, იგი მაინც განსაზღვრავს მუშაკთა ყოველდღიურ ცხოვრებას. სამრეწველო წარმოება მჭიდროდ უკავშირდებოდა კონვეიერებს ან მანქანადანდგარებს. მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთ წოდებული შრომის ორგანიზების ტეილორისტული სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მანქანები, კონტროლი და სტანდარტები, ანუ შრომითი პროცესების „მეცნიერული“ დაგეგმვა, ყველაზე ვერ ახდენდა გავლენას, იგი მთლიანობაში მაინც გადამწყვეტად მოქმედებდა საზოგადოებაზე და თვით დასვენებისა და თავისუფალი დროის ხასიათსაც განაპირობებდა. ასევე არ შეიძლება

¹⁶ დასაქმების ამ პირობებისათვის გამოიყენება „პრეკარიზაციის“ ცნება. იგი მოდის ლათინური სიტყვიდან „precarious“, რაც „ნაწყალობებს, ბოძებულს“ ან „არასაიმედოს“ ნიშნავს.

კულტურული მემკვიდრეობა

მუშათა მოძრაობის, განსაკუთრებით პროფესიული მიზანის მიზანი იყო შრომის იმგვარად ორგანიზება, რომ იგი მაქსიმალურად ქმედითი ყოფილოყოფილი მას მიაჩნდა, რომ მუშაკები მანქანების მსგავსად მოქმედებდნენ, და ცდილობდა სამუშაო პროცესი მექანიკური ანუობის, ანუ კონვენიული სახით, ჩამოყალიბდნენ.

1980-იანი წლებიდან ტეილორიზმს შეუერთდა წარმოების მეორე, ინოვაციური მოდე-

ლი, რომელიც ტოიოტიზმის სახელითაა ცნობილი. მას ასე უწოდეს იმ დროისთვის სრულიად ახალი შრომის ორგანიზების მიხედვით, რომელიც იაპონიის სააგტომობილო კონცერნმა „ტოიოტა“ დაამკვიდრა. ამ მოდელს საფუძვლად დაედო ჯგუფური მუშაობა, რომელიც შრომის ხისტი დანაწილების ნაკლოვანებათა დაძლევისკენ იყო მიმართული. ამ ვითარებაში ხდებოდა მუშაკთა ინტეგრაციის გაძლიერება და მათი სხვადას-სვაგვარი უნარ-შესაძლებლობების სრული გამოყენება. ერთი ასპექტი, რომელიც აგრძეთვე მთლიანად უპასუხებდა პროფესიული პოლიტიკის მნიშვნელოვან მოთხოვნას, შრომითი საქმიანობის პუმანზაცა იყო: ამ მოთხოვნას უკავშირდებოდა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისაკენ ლტოლვა, რაც საშუალებას იძლეოდა, ერთმანეთისთვის შეეთავსებინათ შრომისა და ცხოვრების ხარისხი, უზრუნველყოთ ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაეზარდათ საზოგადოებრივი სიმდიდრე.

შრომის ორგანიზების სფეროში სიახლეები უფრო ხშირად საავტომობილო ქარხნებიდან მოდიოდა. ასე, მაგალითად, შრომის ორგანიზების პროცესს მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ჯგუფური მუშაობის ახალმა ფორმებმა, რომლებიც შვედურ ქარხანა „ვოლვოში“ დაწერებეს. ჯგუფურ მუშაობაში ავტონომიური ან ნაწილობრივ ავტონომიური ახალი მეთოდების აღმოჩენა, შემოლება და დაწერება 1980-იანი წლების დასაწყისში ასევე აღნიშნულ საკვანძო დარგთან იყო დაკავშირებული. ჯგუფურ, ნაწილობრივ ავტონომიურ მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ის მიაჩნდათ მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო შრომის პირობად, რომელიც უფრო მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვდა და მუშაკებს საშუალებას აძლევდა, გავლენა მოეხდინათ განაკვეთური სამუშაო ნორმების განაწილებაზე და მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. იმედოვნებდნენ, რომ ჯგუფური მუშაობა შრომის ახალი სამყაროს სიმბოლო გახდებოდა, ხოლო თითოეული მუშაკი სოლიდარული ჯგუფის ჩარჩოები ახალ მნიშვნელობას შეიძინდა.

ვინაიდან კონვეირთან სტანდარტიზებულმა მუშაობამ – ტეილორიზმმა – თავისი შესაძლებლობები ამონურა, აქტიურად დაიწყო დისკუსია სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ეს პირობები ჯგუფური, ნაწილობრივ ავტონომიური მუშაობის მიმართულებით ვითარდებოდა და თანდათან უახლოვდებოდა „ლინსეული შრომის“ იდეალს. ეს პროცესი გერმანიაში

უფრო ფართოდ გავრცელდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ზოგიერთი ავტორი საუბრობს გერმანიის „საგანგებო გზაზედაც“, სადაც ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობოდა კვალიფიციური შრომისა და დუალური პროფესიული განათლების პრინციპს, რომელიც ტეილორიზმის სისტემაში ჩამოყალიბდა.

ამრიგად, გერმანული მოდელი გარკვეულწილად ერთმანეთს უთავსებდა ჰერმანიზაციისა და რაციონალიზაციის პრინციპებს და ამით შედეგიან საფუძველს უყრიდა ექსპორტზე ორიენტირებულ მრეწველობაში გამოსაყენებელი მოქნილი სპეციალიზაციის პროგრამებს. მაგრამ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან სამრეწველო შრომის ეს სპეციფიკური სახესხვაობა ისევ გახდა დისკუსიის საგანი, რადგან ეკონომიკურმა და ფინანსურმა ვითარებებმა, ერთი მხრივ, და ჯგუფური მუშაობის პროცესში გაჩერილმა წინააღმდეგობრივმა მომენტებმა, მეორე მხრივ, მისი ეფექტიანობა და აღიარება საეჭვო გახადა.

ბოლო ხანებში ერთგვარი იმედგაცრუება შეინიშნებოდა. მართალია, ჯგუფური მუშაობა ფართოდ გავრცელდა, მაგრამ მასზე დამყარებული შრომის კარდინალური ჰერმანიზაციის მოლოდინი არ გამართლდა და დღემდე მოლოდინად რჩება. პირიქით, ძალიან ხშირად იქ, სადაც ადრე მუშავებს შეეძლოთ გავლენა მოხედინათ თავიანთი შრომის ორგანიზებაზე, ახლა უფრო მტკიცე სტანდარტიზაცია მკვიდრდება. ამრიგად, დღევანდელ მრეწველობაში უფრო მაღალი მნარმოებლობის მისაღწევად ერთმანეთს მეტოქეობას შრომის სხვადასხვა რეჟიმი უწევს.

მსხვილი მრეწველობისათვის დამახასიათებელი, ტიპური ფორმების გაქრობის პარალელურად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა შრომის სხვა ტიპი: მოქნილი, ცოდნაზე ორიენტირებული შრომა მიმსახურების სფეროში. ხშირად ფიქრობენ, რომ ამ სფეროში დასაქმებულ ცალკეულ მუშავებს მეტი დამოუკიდებლობა აქვთ. ისინი მუშაობენ არა დღიდ, არამედ შედარებით მცირე სამუშაო ადგილებზე, მაგრამ მეტად არიან პასუხისმგებელნი მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებისთვის. შრომითი საქმიანობის სწორედ ამ კატეგორიას უკავშირებენ განსაზღვრული სამუშაო საათების პრაქტიკაზე უარის თქმას. იმავდროულად, საქმე ეხება არა სამუშაო დღის შემცირებას, არამედ „სამუშაოს დასასრულის გარეშე“. მაგალითად, ელექტრონული ფოსტისა და მობილური ტელეფონის ეპოქაში მრავალი მუშავია ხელმისაწვდომი სამუშაო საათების შემდეგ, თუნდაც კანონის დარღვევით. ამ ტენდენციასთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და რისკების შეფასებაში არსებით როლს ასრულებს მუშავის კვალიფიკაცია, როდესაც საქმე დამოუკიდებლობის ხარისხს ეხება. ასეთ შრომასთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება ფსიქიკური სტრესის ახალი ფორმები, პროფესიული გამოფიტვის სინდრომი (შრომით გამოწვეული ფსიქიკური გამოფიტვა), გადაჭარბებული პროფესიული დატვირთვა და მისგან გამომდინარე წინააღმდეგობრივი შედეგები, რომელიც გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე.

ბოლო წლებში ხშირად კამათობენ, ხომ არ წარმოიშვა ახალი ტიპის მუ-

შაკი, „თვითდასაქმებული მეწარმე“, რომელიც საჯუთარი დასაქმების შესაძლებლობებისთვის („employability“) არის პასუხისმგებელი. ამრიგად, შრომის ბაზარზე შეინიშნება ევოლუცია – პროლეტარი და პროფესიონალი დაქირავებული მუშაოდან თვითდასაქმებულ მეწარმეზე გადასვლის პროცესი. თვითშეგნებით მოქმედი მეწარმის (რომელიც ხშირად დამოუკიდებლად უწევს ორგანიზებას თავის შრომით საქმიანობას საბაზროსთან მიახლოებულ პირობებში) მახასიათებლები სამი ასპექტით შეიძლება ჩამოყალიბდეს: ინდივიდუალური კვალიფიკაცია, შრომის სისტემატური თვითკონტროლი და თვითექსპლუატაციის საფრთხე არასაიმედო სოციალური დაცვის თანხლებით. ვინაიდან შემრთავაზებული სოციალური სქემა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპს, სოციოლოგები ვოსი და პონგრატცი სანარმოთა შიგნით ახალი ურთიერთობების გაბატონებაზე ალაპარაკდნენ: „თვითდასაქმებული მეწარმის გამოჩენით კაპიტალისტურ სანარმოში არ ისპობა კაპიტალსა და შრომას შორის წინააღმდეგობა. იგი სხვადასხვა ტიპის მეწარმებს შორის სტრუქტურულ დაპირისპირებად გარდაიქმნება“ (ფოსი/პონგრატცი, 2003: 32). როგორც კრიტიკოსები სწორად მიუთითებენ, ეს ტიპი ჯერ არ არის გაპატონებული ბაზარზე, თუმცა აյ აღწერილი ნიშნები დღეს უკვე ფართოდაა გავრცელებული.

დღეს ლირსეული შრომის პოლიტიკისთვის ყველაზე დიდი გამოწვევაა იმ ადამიანთა მზარდი რაოდენობა, რომლებიც არასაიმედო და დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე არიან დასაქმებული. იმავდროულად, ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა სულ უფრო რთულდება. სოციალური დემოკრატიისთვის მოცემულ პირთა ლირსეული შრომა ორი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი: პარველი, უნდა მოხდეს დაბალხარისხიანი სამუშაოს პირობების ჰუმანიზაცია; და მეორე, საჭიროა ასეთ პირობებში მომუშავე მუშაკებისთვის დახმარების განევა, რათა მათ თავი დაალწიონ არსებულ სიტუაციას და საჯუთარი თავის განვითარებაზე იზრუნონ.

➤ ერთობლივი მართვა: მონაწილეები და პროცედურები

შრომის სამრეწველო ორგანიზაციის მნიშვნელობის შემცირება ახალ მოთხოვნებს უყვენებს მათ, ვინც ლირსეული შრომის ხელშეწყობისთვის იღვწის. გერმანიაში ლირსეული შრომის პოლიტიკასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან და სახელმწიფოსთან ერთად მესამე საყრდენიც მონაწილეობს. ესენი არიან სანარმოს წარმომადგენლები. 1980-იან წლებამდე მათი მოლაპარაკებები ეხებოდა შრომის პირობებთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, იმ სტანდარტების ფარგლებში, რომლებიც სანარმოთა დონეზე იყო შეთანხმებული ან რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებდა. ამრიგად, გერმანულ სანარმოებში ჩამოყალიბდა სოციალური სისტემა, რომელიც სანარმოს დონეზე განხორციელებულ რეგულირებაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ ამ რეგულირებას მონურად არ ემორჩილებოდა. გერმანულ

მოდელში საწარმოს დონეზე ურთიერთგაცვლის მრავალი გამოცდილება და ფორმა არსებობს. ისინი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ ჩარჩო პირობებს ექვემდებარებიან. ასე, მაგალითად, საკადრო საკითხების გადაწყვეტისას კომპანიის ხელმძღვანელობაზ უნდა გაითვალისწინოს თანამშრომელთა და საწარმოო საბჭოების ინტერესები, სწორედ ისე, როგორც მაღალი ინსტანციების მითითებანი, როგორებიცაა სატარიფო ხელშეკრულებები და სახელმწიფო რეგულაციები. მეორე მხრივ, საწარმოო საბჭომ არა მხოლოდ თანამშრომელთა ინტერესები უნდა დაიცვას, არამედ, ამასთანავე, საწარმოს მწარმოებლობისა და ეკონომიკური წარმატებისათვის პასუხისმგებლობის ნანილი უნდა იტვირთოს. საწარმოს მართვაში მონაწილეობისა და თანამშრომლობის მოდელი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საწარმოებში მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კანონში: „დამსაქმებელი და საწარმოო საბჭო თანამშრომლობენ მუშაკთა და საწარმოთა საკეთილდღეოდ, ურთიერთობის საფუძველზე და ითვალისწინებენ მოქმედ სატარიფო ხელშეკრულებებს; ამავე დროს, ურთიერთქმედებენ პროფესიუნალური და დამსაქმებელთა ასოციაციებთან, რომლებიც საწარმოებშია ჩამოყალიბებული“ (საწარმოებში მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კანონის გვ2-ის 1-ლი აბზაცი).

ინტერესთა წარმომადგენლობის გერმანული მოდელი ფორმალურად მიჯნავს საწარმოო საბჭოებსა და პროფესიუნალური არ არის, საწარმოო საბჭოს წევრები იყვნენ პროფესიუნალურის წევრები, ხოლო პროფესიუნალური არ ახდენს პირდაპირ და ავტომატურ გავლენას საწარმოო საბჭოზე. ამგვარი ფორმალური დანარინების პირობებში გერმანული მოდელის დიდ მიღწევად შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ საწარმოო საბჭოებსა და პროფესიუნალურის შორის ჩამოყალიბდა არა გადაულახავი კონკურენციის ურთიერთობაზი, არამედ მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად თანამშრომლობის ტრადიცია. ამ ბოლო სამოცი წლის განმავლობაში საწარმოო საბჭოს წევრთა 70%-ზე მეტი იყო აგრეთვე პროფესიუნალურის წევრი, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდა. იმ დროს, როცა საწარმოო საბჭო კოლექტივის, ხელმძღვანელობისა და პროფესიუნალურის წინააღმდეგობათა ველში მოქმედებს, როგორც „სასაზღვრო ორგანო“ (Fürstenberg 2000 [1958]), მენეჯმენტი კოლექტივის, საწარმოო საბჭოსა და კომპანიის ხელმძღვანელობისა და დამსაქმებელთა ასოციაციების ძირითად ინტერესებსა და მითითებებს შორის უნდა ლავირებდეს. საწარმოო საბჭოსა და მენეჯმენტის ინტერესთა შორის კონფლიქტი სამუშაო წესით წყდება. გამონაკლისია ღია კონფლიქტები. იქ, სადაც ჩნდება ღია უთანხმოება განანილებისა და ორგანიზების საკითხებში, ხშირად საქმეში გარეშე მოთამაშები არიან ჩართული. საწარმოო საბჭო და მენეჯმენტი საწარმოთა დონეზე შესაბამისი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებად გვევლინებიან. მათ სხვადასხვა უფლებრივი სტატუსი აქვთ მინიჭებული და, როგორც წესი, არათანაბარი სახელისუფლებო რესურსები მოეპოვებათ. ასე რომ, ჩვეულებრივ, არ შეიძლება ვისაუბროთ სამრეწველო ურთიერთობის სფეროში

თანაბარი ძალის მოთამაშეებზე. მოთამაშეები, რომლებიც საწარმოთა დონეზე მოქმედებენ, სატარიფო ხელშეკრულებების პოლიტიკის სფეროში განკარგულებათა გაცემის უფლებას სათავო ორგანიზაციების დონეზე გადასცემინ და ამგვარად მისდევენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინ-სტიტუტთა მოდელს, რომელიც დღემდე მხარს უჭერს თანამშრომლობის რეჟიმს. ამ მოდელის უმნიშვნელოვანესი კომპონენტები შეიძლება დავყოთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კომპონენტებად.

➤ ერთობლივი მართვის გამოწვევები

საწარმოს მართვაში მონაწილეობის მოდელი, რომელიც საწარმოო საბჭოებს, საწარმოთა დონის პროფესიულ მოღვაწეებს (ნაწილობრივ გავლენას რომ ახდენენ ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაზე) და სამეთვალყურეო საბჭოებში ნარმოდგენილი დარღობრივი პროფესიონელების პროფესიულ ნარმომადგენლებს მორის შრომის დანაწილებას ეფუძნება, დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

1. ერთობლივი მართვაში მონაწილეთა დამაკავშირებელი ძალები სუსტდება. კონკრეტულ საწარმოში შრომის პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების უფრო მაღალი დონის აღიარება უეჭველი არ არის. იგი ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მექანიზმებსა და პოლიტიკურ ძალთა თანამედროვე თანაფარდობას გამოხატავს. იქ, სადაც მენეჯმენტი ხედავს შანსს, განსაზღვროს საკუთარი სატარიფო პოლიტიკა ისე, რომ ამით საწარმოში კონფლიქტები არ გამოიწვიოს და ეკონომიკურ მნარმოებლობას საფრთხე არ შეუქმნას, ის ცდილობს კიდეც, ამგვარად მოიქცეს. ამასთანავე, ამ ბოლო წლებში სოციალური დემოკრატიის პრეტიზ უფრო ხშირად იძლევა ნათელ პოსტულატს: მართვაში მუშავთა მონაწილეობა არის არა ხელმძღვანელობის მიერ გაღებული მოწყალება, არამედ კანონმდებლობით დაწესებული მონაწილეობის ძირითადი უფლება, რომელიც განხილვას თითქმის არ ექვემდებარება.

უფრო მაღალი დონის პოლიტიკის ლეგიტიმურობისა და აღიარებისათვის მნიშვნელოვანია, საწარმოს დონეზე მოქმედი მოთამაშეები ხედავდნენ, რომ მათ აქვთ გავლენა და მათი ინტერესები ნარმოდგენილია სათავო ორგანიზაციებში. როგორც წესი, სათავო ორგანიზაციები უნდა მისდევდნენ ამ პრინციპს, რათა თავიანთი წევრების ერთგულებასა და პასუხისმგებლობას მიაღწიონ. ამასთანავე, ტრადიციებმა მნიშვნელოვანი შემაკავშირებელი ფაქტორის როლი შეასრულა, რაც სამრეწველო ურთიერთობათა პოლიტიკურ განზომილებას განაპირობებდა. თუმცა ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში მათი მნიშვნელობა შესამჩნევად მცირდება. გერმანული საწარმოების უმეტესობაში რამდენიმე ათეულ წელს არსებობდა დროში გამოცდილი უფლებამოსილებათა დანაწილება, რომელიც ეჭვს არ იწვევდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სათავო ორგანიზაციებისა და საწარმოთა დონის მოღვაწეების კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული ეს კავშირები მნიშვნელობასა და ზეგავლე-

ნას კარგავს: 1980-იანი წლებიდან შეიმჩნევა სათავო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ნორმების შესუსტების ტენდენცია. მენეჯმენტი და საწარმოო საბჭოები სულ უფრო ხშირად ავლენენ დამოუკიდებლობას, ღიად აცხადებენ, რომ არ ეთანხმებიან სათავო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, და უარს ამბობენ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

2. საწარმოო საბჭო არის საკონტაქტო პარტნიორი და ყველა თანამ-შრომლის ინტერესთა წარმომადგენელი. სერიოზული გამოწვევაა საკვანძო თანამშრომელთა და დანარჩენი კოლექტივის ინტერესების სამართლიანი წარმოდგენა. ამ ბოლო ხანებში საწარმოთა კოლექტივების სტრუქტურა ძლიერ შეიცვალა; მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მუშავთა რაოდენობა, რომელთაც ვადიანი შრომითი ხელშეკრულება აქვთ დადებული, აგრეთვე იმათი რაოდენობა, ვინც არასრულ განაკვეთზე მუშაობს ან დაქირავებული მუშავია. ამან შეიძლება საწარმოში კონფლიქტის პოტენციალი შექმნას და დამღუპველად იმოქმედოს მართვაში მონაწილეობის საკითხებზე, რადგან იგი ასუსტებს სოლიდარობას და ართულებს შეუამავლობას. საწარმოო საბჭო ვალდებულია მუდმივად ცვალებადი კოლექტივის ინტერესები დაიცვას; ამასთანავე, ზოგჯერ ძალიან რთულია სუსტად დაცული თანამშრომელთა ჯგუფების ინტერესთა ისე წარმატებით და მარჯვედ წარმოდგენა, როგორც ძირითადი კოლექტივისა.

3. საწარმოს ერთობლივი მართვის მოდელს კორპორაციული პასუხისმგებლობის დამსასტებელი ძალები ეწინააღმდეგებინ. საწარმოები მუშავთა წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კანონის (Betriebsverfassungsgesetz) შექმნის პერიოდში წარმოებაში გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იგივე პირები იღებდნენ, რომლებიც ეკონომიკურ რისკებს ეწეოდნენ. მართვაში საწარმოო საბჭოს მონაწილეობა წარმოების ორგანიზებისა და საკადრო საკითხებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მსჯელობაც, მათი შედეგების შესაბილებლად. თუმცა გლობალიზაციის შედეგად და საწარმოს მფლობელებისა და მენეჯმენტის განცალკევების გამო სულ უფრო ხშირად დაძვრება ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება როგორც კოლექტივის, ისე კომპანიის ინტერესებს. ამავე დროს, საწარმოთა დონის მოღვაწეებს არ ძალუდ ამ გადაწყვეტილებზე რაიმე გავლენის მოხდენა მათი მიღების მომენტში. ზოგჯერ საწარმოო საბჭოს შეუძლია მოლაპარაკებების მეშვეობით შეასუსტოს გადაწყვეტილების მიმღებობა ზემოქმედება, მაგრამ მიმდინარე მოვლენები და კომპანიებში დაფუძნებული „ფინანსურ ბაზარზე ორიენტირებული კონტროლის“ სისტემა ერთობლივი მართვის მოდელს ახალი პრობლემების წინაშე აყენებს.

4. საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი მართვის ინტერნაციონალიზაციას მოითხოვს. შრომის პირობების გაუარესების გამამართლებელ არგუმენტთა შორის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად რჩება პიზნესის სხვადასხვა ადგილმდებარეობას შორის კონკურენცია. ხშირად ის

ერთი და იმავე კომპანიის ტერიტორიულ განყოფილებებს შორის იჩენს თავს. ასე, მაგალითად, ავტომობილების ახალი მოდელების შესახებ სამუშაო დავალება მთელი კომპანიის მასშტაბით ცხადება და, ამგვარად, განყოფილებებს შორის კონკურენცია შრომის ანაზღაურების დანახარჯთა შემცირებისა და სოციალურ პაკეტთა შეკვეცის მიზნით გამოიყენება. თუმცა არის სოლიდარობის პირველი პოზიტიური გამოცდილებაც. მაგალითად, ასეთი სოლიდარობა გამოხატეს კონცერნ „General Motors“-ის ეპროპულმა ქარხნებმა, როდესაც მთავარმა ოფისმა ევროპაში ცალკეული ქარხნების დახურვის თაობაზე განაცხადა. ევროპული საწარმოო საბჭოები გახდნენ პირველი მნიშვნელოვანი ზენაციონალური ორგანოები, რომლებიც უკვე დღეს მიზანმიმართულად იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას. მიუხედავად ამისა, აქ აუცილებელია კანონმდებლობის სრულყოფა, რათა მუშაკთა წარმომადგენლებს მართვაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა შეეძლოთ. მეორე სფერო, სადაც მართვაში მონაწილეობა საერთაშორისო ნორმებს ემყარება, ევროპული კომპანიებია. აქაც ასევე აუცილებელია შემუშავდეს სტრატეგიები და კონცეფციები, რათა შანსები სარგებლივანად იქნეს გამოყენებული და რისკები მინიმუმადე შემცირდეს. ლოგიკა მარტივია: საწარმოს მართვაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უნდა გაძლიერდეს ევროპული თანამშრომლობა სხვადასხვა დონის განსხვავებული მოქმედი პირების მოზიდვის გზით. რაც უფრო უკეთ მოხერხდება ეს, მით უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება შედეგები.

7.5. დებატები მინიმალური ხელთასების შესახებ

ავტორი: კლაუდია ვაინკოფი¹⁷

არის თუ არა დაბალი ანაზღაურების მნიშვნელობის ზრდა ის პრობლემა, რომელიც პოლიტიკურ მოქმედებას მოითხოვს, თუ იგი უმუშევრობის შესამცირებელი სტრატეგიის აუცილებელი ასპექტია? ამაზე გერმანიაში დღესაც კამათობენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ნლების რამდენიმე გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გერმანიაში დაბალი ანაზღაურება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა (იხ. მაგალითად, Schäfer 2003, Rhein/Gartner/Krug 2005, Goebel/Krause/Schupp 2005, Eichhorst და სხვ. 2005), მაინც კიდევ და კიდევ მოითხოვენ დაბალანაზღაურებადი დასაქმების გაფართოებას, ხოლო აქა-იქ დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების „და-

17 ფაქტობრივად ამ განყოფილების იდენტური ვერსია გამოქვეყნდა სათაურით „Die politische Debatte über Niedrig-und Mindestlöhne – aus der Gender-Perspektive kommentiert“ (პოლიტიკური დებატები დაბალი და მინიმალურ ხელფასების შესახებ – კომენტარები გენდერული პრისტეტურებით). იგი იყო შემადგენელი ნაწილი სტატიისა „Niedrig- und Mindestlöhne. Eine Analyse aus der Gender-Perspektive“ (დაბალი და მინიმალური ხელფასები. ანალიზი გენდერული პრეტერივიტებით), რომელიც დაიბეჭდა გამოცემაში Friederike Maier, Angela Fiedler (რედ.) (2008), Verfestigte Schiefflagen. Ökonomische Analysen zum Geschlechterverhältnis (ჩატურაბეჭდული პრისტეტურები. გენდერულ ურთიერთობათა ეკონომიკური ანალიზი), ბერლინი; მადლინას ვუდლით გამოცემლობა „Edition Sigma“-ს და ავტორებს გადაბეჭდვის უფლების მონიშვნებისათვის.

ნერგვის“ მოთხოვნითაც კი გამოდიან.¹⁸

ამ პლო დროს დეპატები უფრო მეტად იმაზე იმართება, (მხოლოდ) სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი დაბალი ხელფასის დანამატზე, რომელიც შინამეურნეობებისათვის აუცილებელ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს, თუ აუცილებელია შრომის ანაზღაურების მინიმალური ზომა დადგინდეს სატარიფო ხელშერულების ანდა კანონმდებლობის დონეზე, რათა შეიქმნას იმის გარანტია, რომ სანარმოები გამუდმებით არ შეამცირებენ ხელფასს. ქვემოთ განხილულია ზოგიერთი კლასიური არგუმენტის საფუძვლიანობა, როდესაც ზოგი ემხრობა, ზოგიც – არა დაბალანაზღაურებად საქმიანობას ანდა შრომის ანაზღაურების მინიმალური ზომის დადგენას. იქვე მოცემულია კომენტარები გენდერული პერსპექტივებით.

